

ოთარ გამყრელიძე

ბროქლა სამართლებრივი  
სახელმწიფოსათვის

პირველი წიგნი

თბილისი  
1998 წ.

ვუძღვნი ახალი საქართველოს  
დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის  
მშენებლებს

აკტორის აგან

ჩემი წერილების კრებული იბეჭდება ორ წიგნად. ამჟამად მკითხველს ვთავაზობ პირველ წიგნს. მეორე წიგნის მასალაც უკვე შერჩეული მაქვს და შევეცდები ისიც მალე მივაწოდო მკითხველს.

კრებულს, წმინდა პრაქტიკული დანიშნულების გარდა, უფრო ზოგადი მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ ის ალბათ არაპროფესიონალ მკითხველსაც დააინტერესებს.

აკტორი ბედნიერად ჩათვლის თავს, თუკი ეს წერილები ოდნავ მაინც შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში ათეული წლობით დამკვიდრებული სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევას.

# ბრძოლა სამართლებრივი

## სახელმწიფოსათვის

### პირველი ნაწილი

“ბრძოლით მოიპოვებ შენ უფლებას შენსასო“, ნათქვამია. ეს ძველისძველი სიბრძნე ზუსტად პასუხობს და მიესადაგება თანამედროვე ვითარებას, იმ ხანას, როცა ჩვენში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ჩაისახა, როცა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბება დაიწყო. დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ სამართლებრივი სახელმწიფო თავისით, უბრძოლველად ვერ შეიქმნება, ვინაიდან ჯერ ისევ საკმაოდ ძლიერია ჩვენში წარსულის ინერცია, ბიუროკრატია ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება და ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს მოპოვებული პოზიცია, არ დათმოს ის. რანაირი ხრიკებით არ ცდილობენ ძველი რეჟიმის მომხრეები, ხელი შეუშალონ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს. რა ხერხებს არ მიმართავენ ისინი, რომ სახელი გაუტეხონ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას! ბიუროკრატიულ აპარატს ამ საქმეში განსაკუთრებით ხელს აძლევს და ძალას მატებს ფართო საზოგადოების, ხალხის სამართლებრივი გაუნათლებლობაც, რომლის დაბალი იურიდიული განათლება აფერხებს საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას.

ხალხს, რომელიც მოწადინებულია, რომ ნამდვილი თანამედროვე კულტურული ცხოვრება შექმნას და ამით ცივილიზებულ, მაღალგანვითარებულ ერთა შორის ჩადგეს, კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის და ნიადაგ უნდა ზრუნავდეს, გამუდმებით უნდა ესწრაფოდეს თავისი ცხოვრების დემოკრატიზაციას.

ქვეყნის დემოკრატიზაცია არის ის ნოყიერი ნიადაგი, სადაც ყოველგვარი კულტურული თესლი ადვილად გაღვივდება, აღმოცენდება და მოგვცემს სასურველ ნაყოფს. მაგრამ, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენში ძალზე ცოტას თუ ესმის სამართლის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის საქმეში. ეს მდგომარეობა არც უნდა გაგვიკვირდეს. იმის გამო, რომ ათეული წლების განმავლობაში ქართველ ხალხს არ უცხოვრია ნამდვილი სამართლებრივი ცხოვრებით და

სამართლებრივ მექანიზმს აღმინისტრირების მეთოდი ცვლიდა, ჩვენი იურიდიული კულტურა საგრძნობლად დაეცა და ჩამორჩა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ სამართლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრების წარმატებისათვის თავის დროზე შესანიშნავად განსაზღვრა ი.ჭავჭავაძემ. "... რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, წერდა ამ ასი წლის წინ ი.ჭავჭავაძე იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამის მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენი ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვადა გვაქვს, მხრლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება" ("ცხოვრება და კანონი").

ამ სიტყვებით ი.ჭავჭავაძე სამართლებრივ ურთიერთობებს, ესე იგი, მისი აზრით, სამართალს გულისხმობს. ერთი სიტყვით, ქვეყნის წინსვლა და წარმატება დიდად ყოფილა დამოკიდებული განვითარებულ სამართალზე. ეს იდეა კარგად ჰქონდა შეგნებული ჩვენს დიდ წინაპარს და ყოველნაირად ცდილობდა არა მარტო პრაქტიკულად განეხორციელებინა ის ცხოვრებაში, არამედ ხალხიც გაეთვითცნობიერებინა ამ საკითხში. მაგრამ ი.ჭავჭავაძის შეხედულება სამართლის მნიშვნელობაზე ქვეყნის ცხოვრების წარმატებისათვის ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. ეს შეხედულება ქართული იურიდიული აზროვნების მაგისტრალური ხაზის გაგრძელება იყო.

თითქმის ანალოგიურად განსაზღვრავდა სამართლის მნიშვნელობას უფრო ადრე ჩვენი დიდი მეფე-განმანათლებელი ვახტანგ მეექვსე, რომლის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში ვკითხულობთ: "უსამართლობა ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოუხვრის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა - ნაყოფს. ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წასწყემდს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს. ესენი ყველაჟა უსამართლობისაგან გამოვლენ და სამართლის ქნა მეფესა და მსაჯულსა ამა ყოველის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განდევნის".

როგორც ვხედავთ, ვახტანგ მეექვსე ამ სიტყვებით მოკლედ, ლაკონურად გადმოსცემს უსამართლობის მოელ საშინელებას და

ამით მიგვანიშნებს სამართლის მნიშვნელობაზე საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის. უსამართლობა თურმე ადამიანს “ქვეყანას აულობრებს“ და გაუპარტახებს. მაშასადამე, სამართლის გარეშე ქვეყანა წინ ვერ წავა, ჩამორჩება. ეს კარგად იცოდნენ წვენმა წინაპრებმა.

ვახტანგ მეექვსის ზემოთ მოტანილ სიტყვებში გამოხატულია ის აზრიც, რომ მეფესა და მსაჯულს ვეალებათ “სამართლის ქნა“, რათა თავიდან აიცილონ უსამართლობისაგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგი. მაშასადამე, “სამართლის ქნა“ ქვეყნის წინსვლის, საზოგადოებრივი ცხოვრების შეუფერხებელი განვითარების აუცილებელი საშუალებაა. უნდა ითქვას, რომ არც ეს შეხედულება აღმოცენებულა ცარიელ ნიადაგზე. მას კიდევ უფრო ღრმა ფესვები აქვს გადგმული ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

მე აქ კონკრეტულად მხედველობაში მაქვს გენიალური რუსთაველის საყოველთაოდ ცნობილი აფორიზმი “ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ამ აფორიზმში არსებითად გამოხატულია ის აზრი, რომელიც ჩვენ უკვე ვნახეთ ი.ჭავჭავაძის და ვახტანგ მეექვსის ზემოთ მოტანილ ციტატებში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რუსთაველი ამ აზრს გამოხატავს უბრწყინვალესი პოეტური ფორმით. მაგრამ ეს პოეტური ფორმა აქ თვითმიზანი როდია. არამედ, პირიქით, იგი საგნის მნიშვნელობის უფრო ნათლად დანახვის საშუალებად არის გამოყენებული. ეს საგანია სამართალი. თუმცა აქ ლაპარაკია “მართალ სამართალზე“, რომლის შინაარსი მეცნიერთა შორის დიდ დავას იწვევს. მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ რუსთაველი ლაპარაკობს სამართლის მნიშვნელობაზე საზოგადოდ. არსებითი, ჩემი აზრით, აქ ის არის, თუ როგორ მაგიურ ძალას ანიჭებს რუსთაველი სამართალს, რომელსაც თურმე ხმელი ხეც კი შეუძლია გაანეღლოს. ამრიგად, თუკი სამართალს ასეთი მაგიური ძალა აქვს, აშკარაა მისი მნიშვნელობაც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ერთი სიტყვით, რუსთაველის აზრითაც სამართალს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია ხალხის ცხოვრების წინსვლის, მისი განვითარებისათვის.

ასეთი იყო ქართული იურიდიული აზროვნების მაგისტრალური ხაზი, ასე ვითარდებოდა ეს აზრი მე-19 საუკუნის ბოლომდე.

თუმცა ეს იდეა იმ დროისათვის ჯერ კიდევ მხოლოდ იდეად რჩებოდა და ცხოვრებაში დამკვიდრებული არ იყო, რასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, გულისტკივილით აღნიშნავდა კიდევ ი.ჭავჭავაძე. მაგრამ თვითონ ამ იდეის წინ წამოწევა და ხალხში მის გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალში ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თუკი, რასაკვირველია, ჩვენი ხალხი ამ იდეას სათანადოდ აითვისებდა და შემდეგ ცხოვრებაში დაამკვიდრებდა.

მაგრამ მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მდგომარეობა ამ მხრივ ჩვენში სრულიად შეიცვალა. ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის იმპერიაში სოციალისტური მოძრაობის გაძლიერების კვალობაზე საქართველოში თანდათანობით იწყო გავრცელება ანარქისტულმა იდეებმა. ანარქიზმის ძირითადი თეზისი კი, როგორც ცნობილია, “სამართლებრივი ნიჰილიზმი“, ესე იგი სამართლის არარად ჩაგდება, მისი უგულვებელყოფა გახლავთ. აქ, რასაკვირველია, იგულისხმება პოზიტიური, ესე იგი სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი. ვინაიდან ანარქიზმი, როგორც პოლიტიკური მოძღვრება, უარყოფს და ებრძვის სახელმწიფოს, ლოგიკურად იგი სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალსაც, ესე იგი კანონსაც უგულვებელყოფს.

თუ როგორ უყურებდნენ კანონს და როგორ აფასებდნენ მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმდროინდელი მოაზროვნეები, ეს კარგად არის გამოხატული ქართული ანარქიზმის მაშინდელი ლიდერის მიხაკო წერეთლის შემდეგი სიტყვებით: “რა არის კანონი? ძალმომრეობის, პარცვა-გლეჯის, დამონების, კაცის კვლისა და ავაზაკობის ორგანიზაციის დადგენილება“. ან კიდევ: “სანამ არ მოისპობა იმისთანა ანტისოციალური მოვლენა, როგორიცაა კანონმდებლობა და მმართველობა, მანამ დანაშაული და მონობა კაცობრიობის მარადიული ხვედრი იქნება“.

რასაკვირველია, მე ამით არ მინდა ვთქვა, თითქოს ხსენებულ პერიოდისათვის მხოლოდ წმინდა, ორთოდოქსალური ანარქიზმი იყო გავრცელებული და სხვა არაფერი. მაგრამ მთლიანობაში ის სხვადასხვა პოლიტიკური მოძღვრებები, რომლებიც შემოდოდა ჩვენში ევროპიდან იმ დროს, ასე თუ ისე მაინც უარყოფითად აფასებდნენ სახელმწიფოსა და სამართალს. თვითონ მარქსისტული მოძღვრებაც კი, რომელიც ძლიერ მალე გავრცელდა საქართველოში, საბოლოო ანგარიშით მაინც,

როგორც ვიცით, სახელმწიფოსა და სამართლის კვდომის აუცილებლობას ქადაგებდა. მართალია, ორთოდოქსალური ანარქიზმისაგან განსხვავებით, მარქსიზმის თანახმად სახელმწიფოსა და სამართლის სრული კვდომა უნდა მოხდეს მომავალში, მაშინ, როცა სრული კომუნისტური საზოგადოება აშენდება, მაგრამ მანამდე ეს კვდომა თანდათანობით, ნელ-ნელა უნდა დაიწყოს და განხორციელდეს.

მარქსისტების მიხედვით, კაპიტალიზმიდან სრული კომუნისტური საზოგადოების დამყარებამდე საზოგადოებას უნდა გაეკვლო პერიოდი, რომელსაც სოციალიზმი ეწოდებოდა. სოციალიზმი იყო კომუნისმის პირველი ფაზა ანუ კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გარდამავალი ეტაპი. სწორედ ამ გარდამავალ პერიოდში უნდა დარსენილიყო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მოვლენა, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო და სამართალი. მაგრამ კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სოციალიზმის დროს ამ მოვლენებს ერთგვარი თავისებურებანი უნდა ახასიათებდეს. ეს თავისებურება იმით გამოიხატება, რომ ამ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო და სამართალი კი არ მტკიცდება, სრულყოფისაკენ კი არ მიდის, არამედ, როგორც უკვე ვთქვით, “კვდომას“ იწყებს, თანდათანობით ტოვებს საზოგადოებრივ სარბიელს. ლენინი თავის ნაშრომში “სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც 1917 წელს დაწერა, სახელმწიფოს სოციალიზმის დროს “ნახევრად სახელმწიფოს“ უწოდებდა. “ნამდვილად აქ ენგელსი ლაპარაკობს პროლეტარული რევოლუციის მიერ ბურჟუაზიის სახელმწიფოს მოსპობაზე წერდა იგი - მაშინ, როდესაც სიტყვები კვდომის შესახებ ეხება პროლეტარული სახელმწიფოებრიობის ნაშთებს სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ბურჟუაზიული სახელმწიფო კი არ “კვდება“, ენგელსის მიხედვით, არამედ “ისპობა“ პროლეტარიატის მიერ რევოლუციაში. ამ რევოლუციის შემდეგ კვდება პროლეტარული სახელმწიფო ან ნახევარ-სახელმწიფო“ (“სახელმწიფო და რევოლუცია“. გვ. 21). მაშასადამე, სოციალიზმის დროს სახელმწიფო არის “ნახევარსახელმწიფო“. ამის შესაბამისად სამართალიც “ნახევარსამართალი“ უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი სოციალიზმის დროს თანდათან სუსტდება და შემდეგ სრულ კვდომას აღწევს.

ახლა ძნელია იმის თქმა, რა იქნება მომავალში და როგორ სახეს მიიღებს სამართალი. მაგრამ ის კი შეიძლება დანამდვილ-

ებით ითქვას, როგორი ზეგავლენა მოახდინა ამ თეზისმა ოციანი და ოცდაათიანი წლების ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაზე, როგორ გამოიყენეს ეს დებულება მაშინდელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. საქმე ის არის, რომ ოციან-ოცდაათიანი წლებისათვის სამართლის კვდომის აუცილებლობის მარქსისტული თეზისი ისე პრიმიტიულად იყო გაგებული, თითქოს სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ სრული კომუნისტური საზოგადოება ჩამოყალიბდება და სამართალი, ესე იგი სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონმდებლობა საჭირო აღარ იქნებაო. ადვილი წარმოსადგენია, რა უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა მოყოლოდა ხსენებული თეზისის ამგვარ გაგებას ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში. უფროსი თაობის იურისტებისაგან გამიგია, რომ იყო შემთხვევები, როცა თურმე იურიდიულ ფაკულტეტს ტოვებდა სტუდენტობა და სხვა ფაკულტეტზე გადადიოდა იმის შიშით, რომ მალე კომუნიზმში გადავალთ და სამართალი მოკვდება, უპროფესიოდ დავრჩებითო. სამართლებრივად ისედაც ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც კანონიერების დაცვისა და განმტკიცების არავითარი ტრადიციები არ არსებობდა, სამართლის კვდომის აუცილებლობის ასეთი პრიმიტიული გაგება ოფიციალური იდეოლოგიის მიერ, ცხადია, კარგს არას უქადდა პიროვნების თავისუფლებას.

სამართლის კვდომის მარქსისტულმა თეზისმა ოციან-ოცდაათიანი წლებში ანარქისტული მოძღვრებისათვის დამახასიათებელი “სამართლებრივი ნიჰილიზმი“ გამოიწვია. სამართალმა იურიდიული დაწესებულებიდან პარტიულ ორგანოში გადაინაცვლა, რასაც მოჰყვა პოლიტიკის პრიმატი სამართლის მიმართ. ოციანი წლების ერთ-ერთი ავტორი პირდაპირ განსაზღვრავდა იმდროინდელი სამართლებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელ ასეთ ნიშანს: “პოლიტიკური თვალსაზრისის პირველობის დადგენა სამართლებრივზე მალლა“ (იხ. А.М. Попов. "Основные течения марксистской юридической мысли", 1925, стр.1).

რასაკვირველია, “სამართლებრივ ნიჰილიზმი“ არ გამოუწვევია პოზიტიური სამართლის სავსებით გაუქმება, მაგრამ მის სრულ დეფორმაციას რომ შეუწყო ხელი, ეს კი აშკარაა. როგორც ვიცით, სამართალს საზოგადოდ, კერძოდ კი პოზიტიურ სამართალს ის თვისება აქვს, რომ მან ერთგვარი წონასწორობა



უნდა დაამყაროს კერძო ანუ პირად და საზოგადო სიკეთეთა შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა სამართალი საზოგადო სიკეთეს იცავს და ამისათვის პირად სიკეთეს ზღუდავს, ესე იგი მოქალაქის, ამ შემთხვევაში დამნაშავეს უფლებებში იჭრება, ეს პირადი სიკეთე სულ კი არ უნდა გაანადგუროს საზოგადო სიკეთის დაცვის ხარჯზე, არამედ მასზეც უნდა იზრუნოს. მასაც ანგარიში უნდა გაუწიოს. სამწუხაროდ, ოციან წლებში დამკვიდრებულმა “სამართლებრივმა ნიჰილიზმმა“, სამართლის უგულვებელყოფამ უხეშად დაარღვია ზემოთ აღნიშნული წონასწორობა კერძო და საზოგადო სიკეთეთა შორის მარქსისტულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით. რადგან კაპიტალისტური ეპოქისაგან განსხვავებით, სოციალიზმისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი მომენტის წინა პლანზე წამოწევა, ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ სამართალშიც წინ წამოიწია სამართლის საზოგადოებრივმა ფუნქციამ. სამართლის ძირითად ამოცანად იქცა საზოგადოებრივი სიკეთის უპირატესი დაცვა. პირადმა სიკეთემ, როგორც წარსულის, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელმა მოვლენამ მეორე პლანზე გადაინაცვლა. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ დამღუპველად იმოქმედა პიროვნების საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. სისხლის სამართალში ამას მოჰყვა ბარბაროსულად მკაცრი სასჯელების დაწესება. მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

საბჭოთა კავშირის ცაკის 1929 წ. 21 ნოემბრის დადგენილების თანახმად “ის პირი, რომელიც უარს იტყვის სსრ კავშირში დაბრუნებაზე, გამოცხადდება კანონს გარეშე (პ.2). კანონს გარეშე გამოცხადება გამოიწვევს:

- ა) მსჯავრდადებულის მთელი ქონების კონფისკაციას;
- ბ) მსჯავრდადებულის დახვრეტას 24 საათის შემდეგ მისი პირადობის გამორკვევიდან“.

ასეთივე არაადამიანურად მკაცრი და ბარბაროსული იყო 1932 წ: 7 აგვისტოს კანონი, რომლის თანახმად, “ვინც ცდილობს ხელი ახლოს საზოგადოებრივ საკუთრებას, უნდა წაითვალოს ხალხის მტრად“ (ო.გ.). ამ კანონით დამნაშავეს “... რკინის გზის და წყლის ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობისათვის (უნდა) შეეუარდოს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით“. ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებებში ეს ღონისძიება შეიძლება შეიცვალოს თავისუფლად

ების აღკვეთით “არანაკლებ 10 წლისა ქონების კონფისკაციით“. ანალოგიური ღონისძიება იქნა დაწესებული ამ კანონით “საკონსტიტუციური და კონსტიტუციური ქონების მტაცებლობისათვის“.

არსებითად ასეთივე მდგომარეობაა ამჟამად მოქმედ საბჭოურ სისტემის სამართალშიც. მაგალითად, საქართველოს სსრ 1960 წ. სისტემის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მეორე თავში აღწერილია სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ხოლო პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მხოლოდ მეხუთე თავშია გათვალისწინებული. მარტო ეს ფაქტიც კი მოწმობს იმას, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვას უპირატესობა ეძლევა პირადთან შედარებით. სწორედ ამის გამო სოციალისტური ქონების ხელყოფა პრინციპულად უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე პირადი ქონების ხელყოფა. თითქმის სამი ათეული წელია, რაც მოქმედებს ჩვენი კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლი (სხვა კოდექსების შესაბამისი მუხლების ანალოგიურად), რომელიც სახელმწიფო და საზოგადო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებს. წლების განმავლობაში ამ მუხლით უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მიუხედავად ამისა მინდა მივაქციო კიდევ ერთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში გამოიცა. კიროვის მკვლელობის შემდეგ (1.12.34წ.) სასწრაფოდ შევიდა ცვლილება მოქმედ საბჭოურ საპროცესო კანონმდებლობაში, რომლის მიხედვით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტების საქმეები უნდა განხილულიყო შემდეგნაირად: 1) ასეთი საქმის გამოძიება უნდა დასრულებულიყო ათი დღის განმავლობაში; 2) ბრალდებულს საბრალდებო დასკვნა უნდა ჩაბარებოდა ერთი დღით ადრე საქმის განხილვამდე; 3) საქმის მოსმენა უნდა მომხდარიყო მხარეთა მონაწილეობის გარეშე; 4) არ დაიშვებოდა არც განაჩენის საკაცო გასაჩივრება და არც შუამდგომლობა შეწყალებისათვის; 5) სიკვდილის განაჩენი უნდა აღსრულებულიყო დაუყოვნებლივ ამ განაჩენის გამოტანისთანავე.

ანალოგიური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ყოველნაირად ზღუდავდა ადამიანის უფლებებს, ბევრი გამოიცემოდა მომდევნო წლებშიც.

დღესაც მოქმედებს ზოგიერთი ისეთი აქტი, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება, რადგან ოციანი წლებიდან

ჩვენში ოფიციალურად დამკვიდრებული სამართლებრივი ნიჰილიზმი ჯერ კიდევ არ არის დაძლეული მოლიანად.

სამართლებრივი ნიჰილიზმი და მისგან გამოწვეული სამართლის გამრუდება, ადამიანის უფლებების არნახული შეზღუდვა, აი, რამ შეუწყო ხელი ოციანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულ დიქტატურისათვის ბრძოლას. რაც საბოლოოდ სტალინის სისხლიანი დიქტატურის დამყარებით დაგვირგვინდა. ეს დებულება რომ განვაზოგადოთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიზმის მთელი სამოცდაათწლიანი ისტორიისათვის დამახასიათებელია სამართლის სრული უგულებელყოფა. მაგრამ იქ, სადაც არ არის სამართალი, არ არის არც პიროვნება, ინდივიდი. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიზმი ყოველგვარი პიროვნულის, ყოველგვარი ინდივიდუალურის წინააღმდეგ იბრძოდა. ჩვენში მხოლოდ ერთი პიროვნება არსებობდა: ეს იყო პარტიული ლიდერი. სულ ერთია, იქნებოდა რაიონული, რესპუბლიკური თუ საკავშირო მასშტაბის ხელმძღვანელი. კლასიკური სახით ეს ვითარება, რასაკვირველია, სტალინის დიქტატურის წლებში გამოვლინდა. ჩემი თაობის ადამიანებს უთუოდ ეხსომებათ, რომ, თუკი რაიმე საკითხზე სტალინი თავის მოსაზრებას გამოთქვამდა, ეს მოსაზრება ისევე სავალდებულოდ ითვლებოდა ყველასათვის, როგორც სახარება ღვთისმოსაბურთათვის. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მაგალითად, მაშინ, როცა გამოქვეყნდა სტალინის ნაშრომები ენათმეცნიერების, ეკონომიკისა და სხვა საკითხებზე. ყოველივე ამან მეცნიერებისა და კულტურის არნახული ჩამორჩენა გამოიწვია. თუმცა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არც სხვა სფეროებს დადგომია კარგი დღე.

თანამედროვე რუსული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა სახელმწიფოს სამოცდაათწლიან ისტორიას სამ მთავარ პერიოდად ყოფს: რეპრესიების წლები (სტალინი), ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის პერიოდი (ხრუშჩოვი) და უძრავობის პერიოდი (ბრეჟნევი, ანდროპოვი). ეს დაყოფა აშკარად ხელოვნური და მიუღებელია. განა ოცდაათიან-ორმოციანი წლების რეპრესიები შეიძლებოდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გარეშე? განა ბრეჟნევის დროს არ ყოფილა რეპრესიები? ეს ხომ არსებითად ნეოსტალინიზმის ბატონობის ეპოქაა! მართალია, სტალინის ეპოქისაგან განსხვავებით შენეულა დახვრეტები, ციმბირში გადასახლება, სამაგიეროდ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ

შემოიღეს ახალი მეთოდები (ფსიქიატრიულ-საავადმყოფოში მოთავსება, საზღვარგარეთ გაძევება და სხვ.).

როგორ და როდის მოხდა სტალინისმიდანი ნეოსტალინიზმზე გადასვლა? ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, აუცილებელია საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ახლებური პერიოდიზაცია. პირველ პერიოდად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ის ხანა, როცა ჩვენში სრული სამართლებრივი ნიჰილიზმი ბატონობდა, როცა ოფიციალური იდეოლოგია სამართლის კვდომის მარქსისტულ თეზისს იცავდა და სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებას გეპირდებოდა, სადაც აღარ იქნებოდა საჭირო აღარც სახელმწიფოს და აღარც სამართლის არსებობა. ამ გზით მიდიოდა საბჭოთა სახელმწიფო 1917 წლიდან 1956 წლამდე. ამიტომ იყო, რომ ყველაზე დიდი რეპრესიები საბჭოთა კავშირში სწორედ დროის ამ მონაკვეთში მოხდა.

1956 წლიდან, როცა პარტიის მე-20 ყრილობაზე ხრუშჩოვმა გააკრიტიკა “სტალინის პიროვნების კულტი“ და არსებითად დაგმო ოცდაათიანი წლების კანონიერების დარღვევები, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო. თუ მანამდე საბჭოთა სახელმწიფო მიდიოდა სამართლებრივი ნიჰილიზმისა და ამის საფუძველზე კანონიერების შესუსტების გზით, 1956 წლიდან როცა გაიკიცხა წარსულში მომხდარი კანონიერების დარღვევები, დაისახა ახალი გზა, რაც კანონიერების განპტიკებას მოითხოვდა. ამით არსებითად მოხდა სამართლის კვდომის მარქსისტული თეზისის დასამარება.<sup>1</sup> ამიტომ იყო, რომ სწორედ 1956წ. მომდევნო პერიოდიდან დაიწყო ჩვენში ფართო საკანონმდებლო რეფორმის გატარება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პიროვნების თავისუფლების გარანტიას, რასაც დასაბამი მიეცა 1958წ. დაწყებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმით. მაგრამ ეს ახალი პერიოდი, რასაც საბოლოოდ ლოგიკურად უნდა მივეყვანეთ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებამდე, სათანადო სისრულით მაინც ვერ განვითარდა. კონსერვატორულად განწყობილმა ძალებმა იმდენი ქნეს, რომ ნეოსტალინიზმის სახით მაინც მოახერხეს ბოლშევიკური რეჟიმის შენარსუნება და მისი არსებობის გახანგრძლივება.

<sup>1</sup> ხრუშჩოვის მიერ იმის განცხადება, თითქოს ოთხმოციან წლებში ჩვენი თაობა კომუნისში იცხოვრებდა. უფრო ზარკის მოხდას პაუდა კონსერვატორული ძალების წინაშე და ამ დებულებას ადრინდელი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ აქონა.

ბოლშევიზმის ნამდვილი კრიზისი, ამ კაცთმოძულე რევოლუციის არსებითი შერყევა მხოლოდ ოსხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. 1988 წელს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში ოფიციალურად პირველად ითქვა, რომ წყენში უნდა აშენდეს სამართლებრივი სახელმწიფო. თუკი უკანასკნელი ოსხი-ხუთი წლის წყენს პოლიტიკურ ცხოვრებას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. განსაკუთრებით უნდა მივყვასალმით იმ ფაქტს, რომ სულ ახლახან გაუქმდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-9 მუხლი და დაიწყო მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა. თუ ეს პროცესი წარმატებით დაგვირგვინდება, ამით არსებითად დამთავრდება საბჭოთა კავშირში ანარქიზმის ბატონობის პერიოდი. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ წყენი წარსული პოლიტიკური ცხოვრების ამგვარი კლასიფიკაცია. მაგრამ, წყენი ღრმა რწმენით, ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური რეჟიმი, ანარქიზმის ნაირსახეობაა. ანარქიზმის არსი ის გახლავთ, რომ უქმდება სახელმწიფო (მასთან ერთად კანონმდებლობაც) და ძალაუფლება გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში, ესე იგი არასახელმწიფოებრივი ორგანო იკავებს სახელმწიფო ორგანოს ადგილს. თუ დავაკვირდებით, არსებითად ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი ისტორიულად საბჭოთა კავშირში. პარტია, ესე იგი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არასახელმწიფოებრივი ორგანო, იდგა სახელმწიფო ხელისუფლებაზე მაღლა. რეალური ხელისუფლება იყო არა სახალხო დემოკრატიის საბჭოში ან უმაღლეს საბჭოში, არამედ შესაბამის პარტიულ ორგანიზაციაში. მაშასადამე, სახელმწიფო სუვერენიტეტი შეზღუდული იყო გარეშე ძალით. ეს გარეშე ძალა კი, ცხადია, არ იყო სახელმწიფო ხელისუფლება.

დღეს, როცა ქვეყანა გადადის მრავალპარტიულ სისტემაზე, არსებითად ხდება ანარქიზმის პრაქტიკული დაძლევა პოლიტიკურ სფეროში, რადგანაც არცერთ პარტიას არ ექნება იმის უფლება, რომ უკარნახოს სახელმწიფო ხელისუფლებას თავისი ნება. ყოველ პარტიას უფლება ექნება მხოლოდ ამტკიცოს თავისი პოზიცია პარლამენტში. პარლამენტი, როგორც მთელი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, თვითონ გადაწყვეტს როდის რომელი კანონი უნდა მიიღოს და რომელი გააუქმოს. მხოლოდ ასეთი პარლამენტი გამოხატავს მთელი ხალხის ნებას და არა რომელიმე პარტიული ჯგუფის კერძო ინტერესს, როგორც ეს აქამ-

დე იყო. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება აღდგეს კანონის ავტორიტეტი და დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა ქვეყანაში, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი კომპონენტია.

კანონის უზენაესობა იმას გულისხმობს, რომ კანონი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, ყველა ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტზე უფრო მაღლა უნდა იდგეს. მაგალითად, მინისტრთა საბჭო არ არის საკანონმდებლო ორგანო, ამიტომ მას არ შეუძლია გამოსცეს კანონი. მინისტრთა საბჭოს დადგენილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია. ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არიან სხვა არასაკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული აქტებიც. ამ დებულებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კანონს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მათ შორის წინააღმდეგობაა, უნდა იმოქმედოს კანონმა და არა კანონქვემდებარე აქტმა.

სამწუხაროდ, კანონსა და კანონქვემდებარე აქტს შორის ზემოთ აღნიშნული ურთიერთობა წვენს ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე ირღვევა. შეიმჩნევა ერთგვარი მოზღვაება კანონქვემდებარე აქტებისა, რომლებიც კანონებს ეწინააღმდეგებიან. რომელ დაწესებულებაშიც არ უნდა შეხვიდე და მოითხოვო შენი კანონიერი უფლების განხორციელება, შესაბამისი დარგის მოხელე ამ უფლების განხორციელებაზე უარს გეტყვის და საბუთად მოიშველიებს ამა თუ იმ დებულებას ან ინსტრუქციას, სადაც პირდაპირაა აკრძალული ის მოქმედება, რომლის შესრულების უფლებასაც კანონი გაძლევს. ასე რომ, სახელმწიფო ერთი ხელით რომ გაძლევს უფლებას, მეორე ხელით გართმევს მას. ამიტომ დღემდე კანონს წვენში უფრო პროპაგანდისტული ფუნქცია აქვს, ვიდრე ნამდვილი სამართლებრივი აქტის მნიშვნელობა. ამიტომ არის, რომ წვენში კანონის ტექსტი უმოქმედოა და არ იძლევა მოქალაქის უფლების დაცვის გარანტიას. სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც ადამიანის უფლების დაცვის გარანტიას უზრუნველყოფს. ბევრ ქვეყანაში ასეთი მექანიზმი არსებობს. საბჭოთა კავშირში უკვე შეიქმნა კონსტიტუციური კონტროლის კომიტეტი, რომელმაც ზემოთ დასახელებული მექანიზმის როლი უნდა შეასრულოს. საქართველოში ასეთი ორგანო ჯერ კიდევ არ შექმნილა. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა წამოყალიბდეს ისეთი ორგანო, რომელიც

შესაბამისი დაწესებულების წინაშე დააყენებს კანონსაწინა-  
არმდეგო ნორმატიული აქტის, კონსტიტუციის საწინააღმდეგო  
კანონის გაუქმების საკითხს, ხოლო ვიდრე ეს კანონქვემდებარე  
აქტი ან კანონი არ გაუქმებულა, უზრუნველყოფს მოქალაქის კან-  
ონიერი (კონსტიტუციური) უფლების დაცვას.

მაგრამ კანონის უზენაესობის პრინციპის განხორციელების  
დროს არ უნდა გადავვარდეთ მეორე უკიდურესობაში და ამ  
პრინციპმა არ უნდა მიგვიყვანოს კანონის ფექციონიზმამდე. კანონი  
ფექციონად არ უნდა ვაქციოთ. ასეთი საფრთხის წინაშე შეიძლება  
აღმოვჩინდეთ, თუ წვეს კანონის უზენაესობას გამოვიყენებთ  
ბოროტად, თუ კი კანონმდებელი გამოსცემს დანაშაულებრივ  
კანონებს. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მაგალითად, გერმანიაში  
ფაშისტების ბატონობის დროს. როგორც ცნობილია, ნიურნბერ-  
გის პროცესზე, სადაც გერმანიის მთავარ სამხედრო დამნაშა-  
კეებს ასამართლებდნენ, განსახილველი თავს იმით იმართლებდნენ,  
რომ ისინი იცავდნენ კანონიერების პრინციპს. ესე იგი  
მოქმედებდნენ კანონის საფუძველზე. მაგრამ ბრალმძებლებმა  
მათ უპასუხეს, რომ კანონები, რომლებსაც ისინი ასრულებდნენ,  
დანაშაულებრივი იყო და მათ არ ჰქონდათ უფლება ემოქმედათ  
დანაშაულებრივი კანონების საფუძველზე. საგულისხმოა, რომ იმ  
ოთხ სახელმწიფო ბრალმძებელთა შორის, რომლებიც ნიურნბერ-  
გის პროცესზე გამოდიოდნენ, საბჭოთა ბრალმძებლებიც  
იყვნენ. მაშასადამე, საბჭოთა მხარემ გაიზიარა ის შეხედულება,  
რომ სახელმწიფომ შეიძლება გამოსცეს ზნეობრივიც და უზნეო,  
ესე იგი დანაშაულებრივი კანონებიც.

უსამართლო და უზნეო კანონები ბოლშევიკური რეჟიმის სამ-  
ოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე მრავლად გამოიცემოდა  
საბჭოთა კავშირშიც. დანაშაულებრივი იყო, მაგალითად,  
საბჭოთა კავშირის ცაკ-ის 1929წ. 21 ნოემბრის დადგენილება და  
სხვა, წვესს მიერ ზემოთ დასახელებული კანონებიც. ასევე დანა-  
შაულებრივი იყო საბჭოთა კავშირის 1927 წ. სახელმწიფო დანა-  
შაულთა კანონის ბევრი მუხლი. მათ შორის ისიც, რომელიც  
აწესებდა პასუხისმგებლობას აგიტაციისა და პროპაგანდისათვის  
საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და სხვ. (იხ. საქართველოს  
სსრ 1928წ. სსკ-ის 58<sup>10</sup> მ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების  
სსკ-ის შესაბამისი მუხლები). ასევე უნდა შეფასდეს საბჭოთა  
კავშირის 1958წ. 25 დეკემბერს მიღებული სახელმწიფო დანაშა-  
ულთა კანონის მე-7 მუხლიც, რომელიც აწესებდა პასუხისმგებ-

ლობას “ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის“ (იხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 71-ე მ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსკ-ის შესაბამისი მუხლები, იგულისხმება 1989წ. 8 აპრილამდე მოქმედი რედაქცია).

ამ მუხლით, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოქმედებდა, ისჯებოდა “აგიტაცია ან პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების...” და ა.შ. მიზნით. რას ნიშნავდა და როგორ ჰქონდათ გაგებულნი ჩვენს მართლმსაჯულების ორგანოებს სიტყვები “ძირის გამოთხრა ან შესუსტება?” ყოველგვარი იმ უკანონობის კრიტიკა, რასაც ჩვენი მმართველი წრეები სწადიოდნენ, განიხილებოდა აგიტაციად ან პროპაგანდად, რომელიც ძირს უთხრიდა ან ასუსტებდა საბჭოთა სახელმწიფოს. სხვა რა უნდა გუწოდოთ, თუ არა დანაშაულებრივი, იმ კანონს, რომელიც მიიმე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებდა ბოლშევიკური რეჟიმის ყოველგვარი სამართლიანი კრიტიკისათვის? რომ ეს ლიტონ სიტყვებად არავის მოეჩვენოს, დავიმოწმებ პრესის და საზოგადოდ მასობრივი ინფორმაციის ყოველგვარი საშუალების მეტად უჩვეულო გააქტიურების ამბავს საბჭოთა კავშირში ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან. ის, რაც დღეს ჩვენი პრესის ფურცლებზე იწერება, წარსულში, კერძოდ, სამოციანი, სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების პირველი ნახევრისათვისაც კი თავისუფლად დაკვალიფიცირდებოდა “აგიტაციად და პროპაგანდად” საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოთხრისათვის. მაშასადამე, ჩვეულებრივი კრიტიკული გამოსვლა დანაშაულად განიხილებოდა. ამიტომ არის, რომ კანონი, რომელიც ადამიანის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ, ნორმალურ საქმიანობას დანაშაულად აცხადებს, თვითონ ხდება დანაშაულებრივი აქტი. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა “აგიტაციისა და პროპაგანდის“ მუხლი ორთოდოქსალური ბოლშევიზმის ბატონობის დროს. ესე იგი 1956 წლამდე, როცა ყოველგვარი ჩვეულებრივი უკმაყოფილო (ზოგჯერ ესეც არ იყო საჭირო) გადალაპარაკება “აგიტაციად და პროპაგანდად” კვალიფიცირდებოდა. თუმცა 1989 წ. 8 აპრილს “აგიტაციისა და პროპაგანდის“ მუხლი უკვე გაუქმდა (იხ. 1958წ. 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დანაშაულთა კანონის მე-7 მუხლის 1989 წ. 8 აპრილის რედაქცია.), სამწუხაროდ, მისი კვალი დღემდე შემორჩენილი მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებში.



მხედველობაში მაქვს საქართველოს სსრ სსკ-ის 206<sup>1</sup> მუხლი (აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსკ-ის შესაბამისი მუხლები), რომლითაც ისჯება “სიტყვიერი ფორმით სისტემატური გავრცელება შეგნებულად ცრუ მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას. აგრეთვე ამავე შინაარსის ნაწარმოებების წერილობით, ბეჭდვით ან სხვა ფორმით დამზადება თუ გავრცელება“. ეს მუხლი ტექსტობრივად ემთხვევა ზემოთ ხსენებულ სახელმწიფო დანაშაულთა კანონის მე-7 მუხლის ადრინდელ ტექსტს (საქართველოს სსრ სსკ-ის 71-ე მ). ამიტომ დასახელებული კანონის მე-7 მუხლის ძველი რედაქციის შეცვლამ საქართველოს სსრ სსკ-ის 206<sup>1</sup> მუხლს უკვე თავისთავად დაუკარგა ძალა. თუმცა ეს უკანასკნელი მუხლი ფორმალურად ისევ დარჩა კოდექსში. აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ 206<sup>1</sup> მუხლი, რომელიც თავის დროზეც დანაშაულებრივი კანონი იყო, მით უმეტეს აღარ შეიძლება გამოყენებული იქნეს დღეს, როცა სახელმწიფო დანაშაულთა კანონის მე-7 მუხლის ამჟამინდელი რედაქცია 206<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ქმედობას დანაშაულად აღარ მიიხსენებს.

უზნეოდ და უსამართლოდ უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, 1990 წ. 10 აპრილის კანონი, რომელიც სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესს ადგენს. ეს კანონი, რომელიც ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არის მიღებული, არსებითად ართმევს მოკავშირე რესპუბლიკას სსრ კავშირიდან გასვლის უფლებას, რაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. 1922 წ. 30 დეკემბრის ხელშეკრულება (თუ მას ხელშეკრულება დავერქმევთ), რომლითაც საბჭოთა კავშირი შეიქმნა, საერთაშორისო სამართლებრივი აქტია. ამიტომ თითოეულ რესპუბლიკას, რომელიც ხელშეკრულების სუბიექტია, სრული უფლება აქვს ცალმხრივად თქვას უარი ამ ხელშეკრულებაზე ყოველგვარი პირობისა და დათქმის გარეშე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ 1921 წ. 25 თებერვალს რუსეთმა დაიპყრო საქართველო და კოლონიად აქცია.

წარსულში უზნეოდ და დანაშაულებრივი კანონების საფუძველზე საბჭოთა კავშირში ასრ.ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაისაჯა. ამიტომ შემდეგში საჭირო გახდა ამ ხალხის რეაბილიტაცია. პირველად უსამართლოდ მსჯავრდებულთა რეა-

ბილიტაცია, როგორც ცნობილია, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ შეწყდა კონსერვატორული ძალების ზემოქმედების შედეგად. შემდეგ ეს პროცესი განახლდა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან და რამდენადაც ვიცი, დღემდე გრძელდება. შეიქმნა საკავშირო და რესპუბლიკური კომისიებიც, რომლებიც ამ საქმეს ხელმძღვანელობენ. კონსერვატორული ძალები, ეტყობა, ახლაც დიდად აფერხებენ ამ საკითხის სწორად და სამართლიანად მოგვარებას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საზოგადოებას არა აქვს სრული და ობიექტური ინფორმაცია იმისა, თუ რა გაკეთდა ამ მხრივ და რა კეთდება დღეს... დახურულ კარის მიღმა კი საკითხები ალბათ ისე წყდება, როგორც ეს ძველი რეჟიმის მომხრეებს აძლევთ ხელს...

მაგრამ მარტო უსამართლოდ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია როდი კმარა. აუცილებელია, რომ პასუხი აგონ იმ ადამიანებს, ვინც ბოლშევიზმის რეჟიმის ბატონობის დროს პიროვნების უფლებებს ფეხქვეშ თელავდა. და უდანაშაულო ადამიანებს აწამებდა. ორმოცდაათიანი წლების შუახანებში თბილისსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში რამდენიმე სასამართლო პროცესი გაიმართა. მაშინ გაასამართლეს მაღალი თანამდებობის პირები, რომლებმაც ოცდაათიან-ორმოციან წლებში თანამდებობის ბოროტად გამოყენებით მრავალი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწირეს, ბევრ უდანაშაულოს ციმიბრში უკრეს თავი... მაგრამ არც მაშინ დასჯილა ყველა. ვინც მართლა დასჯის ღირსი იყო და არც დღეს ისჯება. დღესაც ბევრია ჩვენში ისეთი ადამიანი, ვისაც მიმიე სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ ისინი ძალიან მშვიდად გრძნობენ თავს, რადგან მათი ხელშეუხებლობა საიმედოდ არის უზრუნველყოფილი... ბევრი მათგანი, რომ იტყვიან, დამსახურებულ პენსიაშია და ჩინ-მედლებით მკურდდამშვენებული კმაყოფილებით იგონებს თავის წარსულს. საკმარისია, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოჩნდეს ვინმე, ვისაც ომის დროს ფაშისტებთან უთანამშრომლია, რომ ის მაშინვე ყველა წესის დაცვით გაასამართლონ და სასტიკად დასაჯონ, მაშინ როცა კაცს, რომელიც ბოლშევიკური რეჟიმის სამსახურში იდგა და ადამიანობის საწინააღმდეგო დანაშაულს სწადიოდა, არათუ სჯიან, პირიქით, ზოგჯერ დიდ პატივშიც ჰყავთ.

შარშან “ლიტერატურნაია გაზეტამ“ (1989წ. №11) ქვეყანას მოჰფინა პ.გრიშაევის დანაშაულებრივი საქმიანობის ამბავი. ოთხი ენის მცოდნე პ.გრიშაევი ჯერ ნიურნბერგის პროცესზეა.

მან იქ, დაკითხა გროს-ადმირალი რედერი და ნაცისტთა იდეოლოგი ფრინე. ორმოციანი წლების ბოლოს და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში კი, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უდიდეს საქმეთა გამომძიებლის პოსტზე ყოფნისას, იგი თვითონ ახდენს სისხლის სამართლის საქმეთა ფალსიფიკაციას და სნადის ადამიანობის საწინააღმდეგო დანაშაულებს. მიუხედავად ამისა, პ.გრიშავეი ამჟამად პროფესორია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. მისი ფოტოსურათი მოსკოვის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის საპატიო დაფაზეცაა გამოკრული. კორესპონდენტს იგი სიამაყით აცნობს თავის ბიოგრაფიულ მონაცემებს, მაგრამ, როცა საქმე მიდგება დანაშაულებრივ ფაქტებზე, იგი მაშინვე დადუმდება და მხოლოდ იმას ამბობს, რომ ასეთი ფაქტები არ ახსოვს. თუმცა კორესპონდენტს საკმარისი მასალა შეუგროვებია მისი დანაშაულების მხილებისათვის (A. Ваксберг, "Заслуженный деятель").

ახლახან ჟურნალმა "იუნოსტმა" (1990, №2) გამოაქვეყნა თავის დროზე მოკლეს საქართველოში ფრიად გახმაურებული ტრაგიკულად დაღუპული ნ. შამანაურის დღიურები. ამ საკითხს გასული "საქართველოც" გამოეხმაურა. როცა ამ მასალებს ეცნობი, გრძნობ, რომ აქ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის აშკარა საბაბი არსებობს. მოქმედი კანონმდებლობით, პრესაში გამოაქვეყნებული ცნობა საქმის აღძვრის საბაბს წარმოადგენს. მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ამ საქმეზე დღემდე არაფერი გაკეთებულა. ოფიციალური აზრი მეტად საეჭვოდ დუმს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დანაშაულთა კანონის ზემოთ ხსენებული მე-7 მუხლის ძველი რედაქცია, რომელიც აწესებდა პასუხისმგებლობას აგიტაციისა და პროპაგანდისათვის, 1989წ. 8 აპრილს მეტად უხმაუროდ შეიცვალა. სინამდვილეში ეს მუხლი და ანალოგიური მუხლები უნდა გამოცხადებულიყო დანაშაულებრივ კანონებად. დანაშაულებრივ ორგანიზაციებად უნდა გამოცხადებულიყო აგრეთვე ზოგიერთი წარსულში არსებული დამსჯელი ორგანოები, როგორც იყო, მაგალითად, "Тройка" ("სამეული"), "особое совещание" და სხვ. მიუხედავად იურიდიული შედეგებით ეს ორგანოები დღეს მართალია, აღარ არსებობენ, მაგრამ მათ დაგმობას აქვს უდიდესი ისტორიული და ხსენებრივი მნიშვნელობა.

## მეორე წერილი

სვენ ვისაუბრეთ კანონის უზენაესობის პინციპზე, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ითქვა ისიც, რომ კანონიერების პრინციპი არ შეიძლება გავაფრთხოთ, თვითმიხნად ვაქციოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვეღიარებინა უსამართლო, ზოგჯერ კი დანაშაულებრივი კანონების იურიდიული ძალაც. ყოველივე ეს იმისათვის გეჭირდება, რომ დავიცვათ ადამიანის უფლებები, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ასევე აუცილებელ თვისებას, მის ძირითად ნიშანს წარმოადგენს. ადამიანის უფლებების დაცვას კი სჭირდება საგანგებო გარანტიები, ესე იგი ქვეყანაში უნდა არსებობდეს ამ უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებები. ეს საშუალებები კი შეიძლება იყოს ფორმალურიც და მატერიალურიც ანუ რეალურად არსებული, ესე იგი ისეთი, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების დაცვას. მაგალითად, სასამართლო ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, მაგრამ ეს დაწესებულება ჩვენში ფორმალურად არსებობს და ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების რეალურ, არსებით დაცვას. რა არის ამის მიზეზი? ამას, ცხადია, ბევრი მიზეზი აქვს, რაც უნდა შესწავლილ იქნეს, რათა შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცეს, გავატაროთ სასამართლო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების რეალური დაცვის გარანტიას.

უმთავრესი მიზეზი ამისა, არის ის, რომ სამართალი ჩვენში ისტორიულად იდეოლოგიზირებულია და პოლიტიკაში ააღრუული. თანაც პოლიტიკას ეკუთვნის პრიმატი სამართლის მიმართ. სამართალი იარაღია, ინსტრუმენტია სახელმწიფო პოლიტიკისათვის და იგი ისე მოქმედებს, როგორც ამ პოლიტიკის გამტარებლებს მოესურვებათ. სამართალი საბჭოთა სახელმწიფოში ყოველთვის გამოსატრავდა გარკვეული კლასის ინტერესებს, ესე იგი ის კლასობრივად არის გაგებული. ამიტომ კლასობრივ იდეოლოგიაზე აგებული სამართალი უზღუდველყოფს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რაც ფართო გზას უხსნის ადამიანის უფლებების დარღვევას და ხელსაყრელ პირობებს ქმნის თვითნებობისა და გაუმართლებელი რეპრესიებისათვის.

სამართალთან ერთად, რასაკვირველია, სასამართლოც ჩვენში ისტორიულად კლასობრივი ბუნებისაა. სასამართლო ისეთი დავესებულებაა, რომელიც მთლიანადაა დამოკიდებული პოლიტიკ-

ურ ორგანოსთან. ამიტომ იგი მართლისა და მტყუანის გამრჩევი კი არა, გარკვეული პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა. სამართლის მსგავსად, სასამართლოც იარაღია, ინსტრუმენტი სახელმწიფო პოლიტიკისა. მოსამართლე ტრადიციულად პარტიის წევრია და ამ გზით იგი კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამტარებელია. ამ დებულების სისწორის დასადასტურებლად იმ აშკარად პოლიტიკური მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეების გახსენებაც კმარა, ხელისუფლების ცვალებადობის პროცესში რომ აღიძვრებოდა და იხილებოდა ხოლმე ჩვენს სასამართლო ორგანოებში. სასამართლოს და სხვა იურიდიულ დაწესებულებათა ასეთი საგალალო მდგომარეობა დიდი ხნის შემინეულია საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიერ. თუმცა მისი აშკარად გამოხატვის შესაძლებლობა ადრე დიდ პიროვნულ რისკთან იყო დაკავშირებული. ამ ბოლო დროს კი ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომ იურიდიულ დაწესებულებათა მუშაკებს შორის წარმოიშვა მათი სამსახურებრივი საქმიანობის დეპოლიტიზაციის მოთხოვნა. ეს მათი აზრით, იმით უნდა გამოიხატოს, რომ გამოიცეს კანონი, რომელიც აუკრძალავს ამ ორგანოების მუშაკებს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობას (იხ. ი. ჯავახიშვილი, როდემდე უნდა მეფობდეს დემაგოგია? “ახალგაზრდა ივერიელი“, 1990წ. 26 აპრილი). ასეთი კანონი, როგორც ჩანს, მალე გამოვა. ეს იქნება ლოგიკური შედეგი მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლის იმ პროცესისა, რომელიც ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს.

რამდენად დაკარგული აქვს სასამართლოს ჩვენში დამოუკიდებლობა და რამდენად დაკნინებულია მისი როლი საზოგადოებაში ამას კარგად მოწმობს ტერმინი “სატელეფონო სამართალი“, რომელიც ხშირად გვხვდება პრესის ფურცლებზე და გამოიყენება ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაშიც. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ამა თუ იმ საქმეზე გადაწყვეტილებას სათათბირო ოთახში კი არ იღებს ყველასაგან დამოუკიდებლად, არამედ საკითხს წვეტს ტელეფონის ზარის მიხედვით; ისე, როგორც ეს პარტიულ ფუნქციონერს თუ სხვა რომელიმე დაწესებულების მოხელეს ესაიმოვნება.

ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სასამართლოებს ძალზე იშვიათად გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენი. სასამართლომ ამით დაკარგა თავისი ძირითადი დანიშნულება

და მართლმსაჯულების განხორციელების ნაცვლად, საბრალდებო უუხეცხავს ასრულებს. სასამართლო წვენში მართლმსაჯულების ორგანო კი არა, საბრალდებო დაწესებულებაა. იგი ამ მხრივ პრაქტიკულად პროკურატურის უბრალო დანამატია. ვინც ერთხელ მანც დასწრებია სასამართლო პროცესს, უთუოდ დამეთანხმება, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს ბრალმდებლის უუხეცხავს, პროკურორის ნაცვლად, სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს. რატომ ხდება ასე? ამის მიზეზი ადვილი ასახსნელია. როცა სახელმწიფო ბრალმდებელმა იცის, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, საქმეს აგრე ადვილად ვერ დააბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის, ვერც გამამართლებელ განაჩენს გამოიტაცებს, და, მაშასადამე, განსასჯელის ბედი წინასწარ არის გადაწყვეტილი. ისიც ბრალდების მტკიცებით თავს აღარ იწუხებს. ასე რომ, მთელი შავი სამუშაოს შესრულება ბრალდების დასამტკიცებლად სასამართლო პროცესზე მოსამართლეს უხდება.

საგულისხმოა, რომ შინაგან საქმეთა, საგამოძიებო (პროკურატურის) და სასამართლო ორგანოები “სამართალდამცავი” ორგანოების ერთიან ცნებაში არიან მოქცეული და ყველას ერთი საერთო ამოცანა დანაშაულობასთან ბრძოლა აქვს დასახული. სწორედ ამ სინამდვილის ასახვას წარმოადგენს ახლახან პრესის უფრცვლებზე გამოქვეყნებული ასეთი სტრიქონები: უნდა მოხდეს... შინაგან საქმეთა, პროკურატურის და სასამართლო (ორბანონების) (ო.გ.) ძალების დარაზივა, დამნაშავეობასთან დაკავშირებული პროცესების შეფასებისას მართიანი პოზიციით (ო.გ.) გამოვლან...“ და ა.შ. ხედავთ, თურმე დანაშაულობასთან “ერთიანი პოზიციით” უნდა იბრძოდნენ არა მარტო მოკვლევისა და პროკურატურის (საგამოძიებო) ორგანოები, არამედ სასამართლოც! რა მართლმსაჯულების განხორციელებაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ წვენ ამის შემდეგ, როცა დანაშაულობასთან ბრძოლის დროს პროკურატურასაც და სასამართლოსაც “ერთიანი პოზიცია” უკავიათ? როგორ უნდა მოახერხოს სასამართლომ ერთსა და იმავე დროს პროკურატურის გვერდითაც დადგეს დანაშაულობასთან საბრძოლველად და მართლმსაჯულებაც განხორციელოს? შეგვიძლია ასეთ პირობებში მოვთხოვოთ სასამართლოს, რომ გაამართლოს მართალი კაცი, როცა მას ამ კაცის მიმართ პროკურატურის საბრალდებო დასკვნა უდევს წინ? სასამართლომ რომ ეს კაცი გაამართლოს, მაშინ ხომ დაირღვევა

ის “ერთიანი მოზიცია“, რომელიც სასამართლოს და პროკურატურას, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოებს უნდა ეკავოთ დანაშაულობასთან საბრძოლველად?

აი, რატომ არის, რომ ჩვენში ასეთ იშვიათ ხილად იქცა გამამართლებელი განაჩენი. ამიტომაც ჩვენს სინამდვილეში დიდ ცოდვად ითვლება გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, თუკი ამას ზოგჯერ ვინმე გაბედავს. ვინც უკანასკნელი ორი ათეული წლის საქართველოს სასამართლო პრაქტიკას იცნობს, ალბათ დამემოწმება, თუ რა ძვირად დაუჯდათ მოსამართლეებს ასეთი გაბედულება. ცნობილია, რომ არაერთმა მოსამართლემ შესწირა თავისი სკამი გამამართლებელ განაჩენს. ყოველ გამამართლებელ განაჩენს პროკურატურა ცეცხლითა და მახვილით ებრძვის და მიწანსაც აღწევს. პარტიული ორგანოების მხარდაჭერით პროკურატურამ საბოლოოდ შეძლო მოსამართლეთა კასტის დაშინება და თავისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. ეს, რასაკვირველია, იმიტომაც ხდება, რომ მოსამართლე ჩვენში არსებითად დაუცველია. ის სოციალურად სუსტი და სახელგატეხილია საზოგადოების თვალში, რაც ძლიერ აადვილებს მის წინააღმდეგ ბრძოლას.

მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას ხელს უშლის აგრეთვე ჩვენში დამკვიდრებული განაჩენთა სტაბილობის პრინციპის დაცვა. რაც უფრო ნაკლები განაჩენი უქმდება ან იცვლება, მით უფრო კარგად მუშაობენ სასამართლოები. ასეთია ამ პრინციპის დედააზრი. ამის მიხედვით მოწმდება მოსკოვშიც თითოეული რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოთა მუშაობის ხარისხი. ცნობილია ისიც, რომ საქართველო ადრეულ წლებში ამ მხრივ პროცენტულად თითქმის ყველა რესპუბლიკას ჩამორჩებოდა. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და ჩვენს რესპუბლიკაში განაჩენთა სტაბილობის პრინციპი განმტკიცდა, რადგან, ბევრ რესპუბლიკასთან შედარებით, აქ უფრო ცოტაა განაჩენთა გაუქმებისა და შეცვლის შემთხვევები. რამდენად სამართლიანია საკითხისადმი ასეთი მიდგომა? ხომ არ ხდება განაჩენთა სტაბილობის პრინციპის დაცვა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ხარჯზე? ეჭვი არ არის, რაც უფრო ბევრია განაჩენთა გაუქმებისა და შეცვლის შემთხვევები, მით უფრო ცუდად მუშაობენ ის სასამართლოები, რომლებმაც ეს განაჩენები გამოიტანეს. თუკი, რასაკვირველია, ეს გაუქმება ან შეცვლა კანონიერი და დასაბუთებულია. სამაგიეროდ კარგად მუ-

შაობენ ის სასამართლო ორგანოები, რომლებიც აუქმებენ ან ცვლიას უკანონო და დაუსაბუთებელ განაჩენებს. ცხადია, იდეალური და ბუნებრივი გახლავთ ისეთი მდგომარეობა, როცა სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები არც გაუქმებას და არც შეცვლას არ საჭიროებენ. მაგრამ ყოველად გაუმართლებელი უნდა იყოს ვითარება, როცა განაჩენთა სტაბილობის პრინციპის დაცვა თვითმიზნად იქცევა და როცა პროტესტი არ იწერება იმის გამო, რომ არ შეირყეს განაჩენთა სტაბილობა, არ გაუარესდეს სასამართლოების მუშაობის მანვენებელი. მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს ყოველი საქმისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და აქ პროცენტების გამოდევნება ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას მოასწავებს. ამიტომ ზემდგომი სასამართლო ინსტანციების გადაუდებელი ვალია გააუქმოს და შეცვალოს ყველა გასაუქმებელი და შესაცვლელი განაჩენი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აისახება ეს გაუქმება სასამართლოების მუშაობის პროცენტულ მანვენებელზე.

კიდევ ერთი საკითხიც. ზოგჯერ პროტესტი ამა თუ იმ საქმეზე იწერება განაჩენის გამოტანიდან ორი-სამი წლის თუ მეტი ხნის შემდეგ. თანაც, ამ დროის განმავლობაში საქმეს არაფერი არ მიმატებია, რაიმე ახალი გარემოება არ აღმოჩენილა. გიკვირს, რატომ დასჭირდა პროტესტის დაწერას ამდენი ვადა. რატომ დაუყოვნებლივ არ დაიწერა პროტესტი, როცა გაირკვა, რომ განაჩენი გასაუქმებელი ან შესაცვლელია? რატომ ხდება ასე? საქმე ის გახლავთ, რომ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც პროტესტი იწერება, უხდება უზარმაზარი წინააღმდეგობის დაძლევა ზოგჯერ სრულიად ელემენტარული ჭეშმარიტების მიხედვით. ამას სჭირდება უდიდესი ენერჯია, ნებისყოფა და ფულადი სახსრებიც. იმედდაკარგული მომნივანი ამ დროს არაფერს ზოგავს. ხოლო თავისთავად ასეთი ვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მექრთამეობისა და კორუფციისათვის. ყოველივე ეს მაისც იმის ნაყოფია, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და მარიონეტის როლს ასრულებს გავლენიანი ძალების ხელში.

მართლმსაჯულების განხორციელება უადრესად ფაქიზი საქმეა და ამიტომ მასზე უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს ერთი შეხედვით თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო ფაქტორმაც კი. ცნობილია, რომ ამჟამად მოქმედი სასამართლო სისტემა არ გამო-



რიცხავს მოსამართლის რამდენიმე ვადით არჩევას. ამიტომ მოსამართლეები გადარჩევის ვადის მოახლოებისას ცდილობენ ისე წარმართონ თავიანთი საქმიანობა, რომ გაინადღონ ახალი ვადით არჩევა. იყო შემთხვევა, როცა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე სიკვდილის განაჩენი გამოიტანა იმ დროს, როცა მოსამართლეს ის-ის იყო გადარჩევა ელოდა. ეტყობა, მან იფიქრა, რომ განზრახი მკვლევლობისათვის სიკვდილის განაჩენს მოწონებით შეხედებოდნენ ის ძალები, რომლებსაც მისი ახლად არჩევის საკითხი შეეძლოთ გადაეწყვიტათ. სასამართლომ უხეშად დაარღვია კანონიერების პრინციპი. საბედნიეროდ, განაჩენი გააპროტესტეს და ადამიანი სიკვდილს გადარჩა. ამიტომ არის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეს ირჩევენ მხოლოდ ერთი ვადით.

სასამართლოში ადამიანის უფლებების დაცვა შეუძლებელია დამოუკიდებელი და მძლავრი ადვოკატთა კორპორაციის გარეშე. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ადვოკატთა კორპორაცია სახელმწიფო დიქტატის ქვეშ იმყოფება. იუსტიციის სამინისტროს გააჩნია საგანგებო ქვედანაყოფი, რომელიც კონტროლს უწევს ადვოკატურას, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან ყოველად შეუთავსებელია. ამიტომაც არის, რომ ადვოკატი ჩვენში სუსტია და დაუცველი. ხოლო ადვოკატს, რომელიც თვითონ არის დაუცველი, როგორ შეუძლია განახორციელოს განსახიჯელის წარმატებით დაცვა! ალბათ ამით უნდა აიხსნას ის შემთხვევები, როცა განსახიჯელი ზოგჯერ უნდობლობას უცხადებს მთელ რესპუბლიკას და ადვოკატი რუსეთიდან (ძირითადად მოსკოვიდან) წამოყავს. რაც, ცხადია, ამვირებს დაცვას და მას ბევრისათვის ჩელმიუწვდომელს ხდის. სწორედ ამ უუფლებობით უნდა აიხსნას ის, რომ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ძლიერ ეხადებიან საგამომიებო ორგანოებს და უარს ამბობენ ადვოკატურაში წასვლაზე.

ყველაზე სავალალო მაინც ის გახლავთ, რომ საქართველოს ადვოკატთა კორპორაცია ბოლო ხანებში თანდათანობით დაიცალა კვალიფიციური, პროფესიული კადრისაგან. ბევრი სახელგანთქკული ადვოკატი გარდაიცვალა, ზოგიც პენსიაში გაუშვეს... ამჟამად ადვოკატთა კორპორაციის შევსება ძირითადად შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, პროკურატურიდან და სასამართლოდან წამოშვებული ხალხით ხდება. არის შემთხვევები, როცა ყოფილ

მოსამართლეს, რომელსაც ჯერ პენსია არ უწევს, სთავაზობენ ადვოკატურას, მაგრამ იგი ამ წინადადებით შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და დაჟინებით მოითხოვს პროკურატურის სისტემაში გაიმწესებას. ვინც ამ შემთხვევებს დაკვირვებია, ადვილად მიხვდება, თუ რა სავეალალო მდგომარეობაშია დღეისათვის ადვოკატთა კორპორაცია. გამოდის, რომ ამ კორპორაციას აგდებულად უყურებს არა მარტო ის, ვინც იქ მუშაობას სთავაზობს ყოფილ მოსამართლეს თუ მილიციელს, არამედ ისიც, ვისაც ამ ადგილს სთავაზობენ. პირველი ცდილობს პროკურატურას მოუფრთხილდეს და ადვოკატურა თუნდაც წყალსაც წაუღია. მთავარია პროკურატურაში იყოს ნორმალური კადრი, ადვოკატურამ კი თუნდაც თავში ქვა იხალოს. მეორე კი გრძნობს, რომ ადვოკატურა უწყლებო და უპრესტიჟო დაწესებულებაა. ამიტომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა როგორმე მოხვდეს პროკურატურის სისტემაში, მაგრამ ეს უკანასკნელნი ყოველთვის ვერ აღწევენ საწადელს და ასე ნელ-ნელა ივსება ადვოკატთა კოლეგია ყოფილი მოსამართლეებით, პროკურორებით, მილიციელებით და ა.შ. ამიტომ არის, რომ დღეისათვის ადვოკატთა კორპორაცია აღარ არის ის, რაც უნდა იყოს. ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკენს სახელმწიფოში ადამიანის ბრალდებაზე უფრო მეტად ზრუნავენ, ხოლო დაცვა არავის არ აინტერესებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო (და სხვა ორგანოებიც) დამოუკიდებელი უნდა გახდეს, რაც შესაძლებლობას მისცემს მას დაიბრუნოს თავისი ნამდვილი ფუნქცია - მართლმსაჯულების განხორციელება. სასამართლო ცალმხრივად კი არ უნდა მოქმედებდეს, მან უნდა განსაჯოს, ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუანი. მხოლოდ ასეთ პირობებში შეძლებს ის თავისუფლად გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, თუკი, რასაკვირველია, ამის სამართლებრივი საფუძველი ექნება.

მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლო ნამდვილად იქცეს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოდ, საჭიროა მას შეეუქმნათ მუშაობის ელემენტარული პირობები. კეთდება თუ არა იმისათვის რაიმე საბჭოთა კავშირში, თუ ყველაფერი, რაც ამ ბოლო წლებში ითქვა, რჩება “ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა?” რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში სასამართლოს მუშაობებს პირობები ერთგვარად გამოუკეთდათ. მაგალითად, მოსამართლეებს და სასამართლოს სხვა მომსახურე

პრესონალს საგრძობლად მოემატათ ხელფასები. მოსამართლეებს და სახალხო მსაჯულებს, 1989წ. 4 აგვისტოს სსრ კავშირში მოსამართლის სტატუსის კანონით თუ ვიმსჯელებთ, სხვაგვარადაც გაუუმჯობესდათ მუშაობის პირობები.

ხსენებული კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ტრადიციული კონსტიტუციური პრინციპი, რომ მოსამართლე და სახალხო მსაჯული დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება (1). მაგრამ ამ პრინციპს ახლა თან ახლავს მისი უზრუნველყოფის გარანტიებიც, სადაც ზოგადად არის ნათქვამი მოსამართლის “მატერიალურ და სოციალურ უზრუნველყოფაზე” (2), რაც, როგორც ვთქვით, პრაქტიკულად ნაწილობრივ უკვე განხორციელდა.

მე-4 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივცემულობისათვის, რაც კონკრეტულად უნდა განისაზღვროს შესაბამისი კანონმდებლობით (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის). თუ რამდენად ეფექტური იქნება ასეთი პასუხისმგებლობის დაწესება, ამას ალბათ მომავალი გეგმვებს. ახლა მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს პრესტიჟი ბუნებრივად უნდა ამალღდეს. ეს მაშინ მოხდება, როცა ხალხი დარწმუნდება, რომ ეს ორგანო სხვისგან დამოუკიდებლად და სამართლიანად მოქმედებს.

თავისი სიახლით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მე-5 მუხლი მოსამართლის სტატუსის კანონისა. ამ მუხლის თანახმად, აკრძალულია “მართლმსაჯულების განხორციელების” საქმიანობაში ჩარევა (1), ხოლო სასამართლოზე ზემოქმედება იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს ზემოქმედება, გამიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (2).

თავისთავად ასეთი ცდა სასამართლოს საქმიანობის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად უთუოდ მისასაღმებელია. მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად ეფექტური იქნება იგი და ხომ არ დარჩება ასეთი ნორმა მკედარ ნორმად სისხლის სამართლის კოდექსში. “სატელეფონო სამართალი” ჩვენში დიდი სიფრთხილით ხორციელდება და იმის დამტკიცება, რომ მოსამართლეზე ახდენენ ან ნამდვილად მოხდა ზემოქმედება, ძალზე ძნელია. უმთავრესი წყარო ამ ფაქტის მტკიცებისა მაინც თვითონ მოსამართლეა, რომელზეც ზემოქმედება ხდებოდა ან მოხდა. ის მოსამართლე, რომელსაც ეყოფა ვაჟკაცობა განაცხადოს, რომ მასზე ხდება ზემოქმედება, სხვისგან დამოუკიდებლადაც ადვი-

ლად შეძლებს ამ ზეგავლენისაგან თავის დაღწევას და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. გამოთქმა “ეყოფა ვაკეცობა” მე აქ იმიტომ ვიხმარე, რომ ასეთი რამის განცხადება თვითონ მოსამართლისათვის არის დიდ რისკთან დაკავშირებული. ჯერ ერთი, თუკი ზეგავლენა უკვე მომხდარია და გადაწყვეტილება მოსამართლემ ამ ზეგავლენის შედეგად მიიღო, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა (იხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 192 მ). იმიტომ მოსამართლე, ცხადია, ამ ამბავს არ გაამხელს. მეორეც, თუ მხოლოდ ცდა იყო ზემოქმედებისა და მოსამართლეს (სასამართლოს) ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, მას მაინც გაუჭირდება ამ ამბის გამო ხმაურის ატეხა, რადგან ძნელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგი მოჰყვება მის განცხადებას. იმიტომ მოსამართლე ასეთ რისკზე არ წავა. მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარი აქ ის არის, რომ საქმეს, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტით დაინტერესებულია ესა თუ ის ფუნქციონერი, ნებისმიერ მოსამართლეს როდი ანდობენ განსაზღვრულად. ამისათვის საგანგებოდ ეაკოშ “ეროგული კაცი” და იმას ენდობიან. ასე რომ, ზემოქმედება ძალზე ფრთხილად და ფაქიზად ხდება, რაც კვალს თითქმის არ ტოვებს.

მეტიად საგულისხმოა მე-5 მუხლით გათვალისწინებული ნორმა, რომლის მიხედვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება არა აქვთ თავიანთი შეტყობინების დროს წინასწარ განსაზღვრონ სასამართლო განხილვის შედეგები კონკრეტული საქმის გამო ან სხვა გზით მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე გადაწყვეტილების ან განაწინის კანონიერ ძალაში შესვლამდე(3).

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას ის, რომ ასეთი ნორმა პირველად შემოვიდა საბჭოთა კავშირის კანონმდებლობაში. ასე რომ, დღეს უკვე დაკანონებულია ის დებულება, რომელსაც აქამდე დაუნერვლი ნორმის სახით ვაღიარებდით და ისე ვაკრიტიკებდით პრესას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.

მეორეც ის, რომ რა ხან კანონი ლაპარაკობს ზემოქმედებაზე გადაწყვეტილების ან განაწინის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ლოგიკურად კანონმდებელი უშვებს პრესის ფურცლებზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობას გადაწყვეტილების ან განაწინის კან-

ოსიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ეს დებულება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ პრაქტიკოს იურისტთა შორის გავრცელებულია შეხედულება, თითქოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ირგვლივ კრიტიკული აზრის გამოთქმა არ უნდა იყოს სწორი. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან გადაწყვეტილების კრიტიკა ისევე ნებადართული უნდა იყოს, როგორც ნებადართულია კანონის კრიტიკა, თუკი, რასაკვირველია, ეს კრიტიკა ხაქმიანი და დახაბუთებულია.

მესამეც ის, რომ ამ ნორმას არ ახლავს მისი დაცვის უზრუნველყოფის რაიმე გარანტია. ამიტომ იგი ჯერ-ჯერობით ჰაერში გამოკიდებულია და უბრალო აკრძალვად რჩება. როგორც ჩანს, სასამართლოს საქმიანობაში წარვეის აკრძალვამ რომ თავის მიზანს მიაღწიოს, საჭირო იქნება პრესის კანონმდებლობის გამოცემა, რომელიც, რამდენადაც ცნობილია, უკვე მზადდება. ვუიქრობთ, იქ გათვალისწინებული იქნება დიდი ფულადი ჯარიმების დაკისრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სასამართლო საქმიანობაში უკანონო წარვეის გამო. შესაძლებელია გამოინახოს სხვა გზაც ამ ნორმის დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამისათვისაც აუცილებელი იქნება საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების გაზიარებაც.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ სასამართლომ ნამდვილი დამოუკიდებლობა მოიპოვოს და იქცეს იმ ორგანოდ, რომელიც ჭეშმარიტ მართლმსაჯულებას განახორციელებს. მარტო ხელუფლების მომატება ვერ მოსაობს წყენს სასამართლოებში ტრადიციულად დამკვიდრებულ კორუფციასა და მექრთამეობას. ამისათვის აუცილებელი იქნება მკაცრი სკეობრივი ცენზის შემოღება მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევის დროს, რაც წყენში რეალურად არასოდეს არ ხდებოდა. ერთი სიტყვით, საჭიროა არა ხანახვერო, არამედ სრულყოფილი, ნამდვილი სასამართლო რეფორმის გატარება. ასეთი რეფორმის გატარების აუცილებლობა კარგა ხანია იგრძნობა, თუმცა ამის ხელსაყრელი პირობები დიდი ხანი არ არის, რაც დადგა. როგორც კი ეს პირობები შეიქმნა, მაშინვე გაისმა ნანატრი ხმა, რომ შემოღებულიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი. მაგრამ რეალურად ჯერ არაფერი ამის მსგავსი არ ჩანს. ახლახან (10.4.90) საბჭოთა კავშირის სასამართლოს წყობილების კანონ-

ეს კანონი უკვე მიღებულია (რედ).

ში შექანილმა ცვლილებამ მხოლოდ ფორმალურად მოიხსესია “ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, არსებითად კი მოქმედ სასამართლო სისტემაში მას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. ხსენებული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, იმ დანაშაულის საქმე, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით ან სიკვდილით დასჯას, უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, ესე იგი სახალხო მსაჯულთა გაფართოებულმა კოლეგიამ. როგორც ვხედავთ, კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტს მსაჯულთა რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავს. სინამდვილეში ეს ინსტიტუტი სულ სხვა რამეს აღნიშნავს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაწესება ნიშნავს იმას, რომ ნაფიცი მსაჯულები სხვა საკითხს წევებენ, ხოლო მოსამართლე სხვას. მსაჯულები არ არიან პროფესიონალი იურისტები. ამიტომ ისინი არ წევებენ იურიდიულ საკითხს. მათ გამოაქვთ ვერდიქტი მომხდარი ფაქტის გამო, ხოლო მოსამართლე, თუკი ვერდიქტი, ესე იგი გადაწყვეტილება განსაზღვრავს საწინააღმდეგოა, განსაზღვრავს სასჯელის სახესა და ზომას. ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხვადასხვა სისტემა მოქმედებს. მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისეთი სისტემა უნდა დავამკვიდროთ, რომელიც ქართველი ხალხის ბუნებას, მის ფსიქოლოგიას ყველაზე მეტად შეეფერება.

სასამართლოს და საგამომიებო ორგანოთა რეფორმაზე როცა ვმსჯელობთ, ყურადღებას იქცევს დამცველის დაშვების საკითხი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე დაცვა საერთოდ არ დაიშვებოდა წინასწარი გამოძიების დროს. 1958 წლის კანონით ეს საკითხი მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა და დაცვა დაუშვეს იმ მომენტიდან, როცა გამოძიება დამთავრდება და ბრალდებულს წარუდგენენ მასალებს გასაცნობად, ხოლო ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში დამცველის აყვანის უფლება მიეცა ადამიანს ბრალდების წაყენების მომენტიდან (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ.43). პროგრესული იურიდიული აზრი საბჭოთა კავშირში დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა იმისათვის, რომ დაცვა დაშვებული ყოფილიყო ბრალდების წაყენების მომენტიდან ან უფრო ადრეულ სტადიაზეც. ამას წინათ საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს სესიამ განიხილა კანონპროექტი

დამცველის დაშვების საკითხზე, თუმცა ზოგიერთი დეპუტატი უარყოფითად იყო განწყობილი. სესიამ მაინც მიიღო კანონი, რომლის ძალითაც დაცვა დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან, ხოლო წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში ექვმიტანილი დაცვით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაპატიმრების მომენტიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლო დამოუკიდებელი რომ უნდა იყოს და მართლმსაჯულებას თავისუფლად ახორციელებდეს ეს, რასაკვირველია, ელემენტარული ჭეშმარიტებაა. მაგრამ პრაქტიკულად ამის მიღწევა ძალიან ძნელია და მოითხოვს დიდ დროსა და ენერგიას, დიდ მონდომებასაც მოელი საზოგადოების, მოელი ხალხის მხრივ. ზოგიერთ მოწინავე ქვეყანაში, რომლებსაც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის დიდი ტრადიციები აქვთ, მოსამართლეთა კასტა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. გამოსწილი ფრანგი იურისტი რენე დავიდი თავის განთქმულ წიგნში “ძირითადი სამართლებრივი სისტემები თანამედროვეობისა” საბჭოთა სამართალს რომ ეხება, წერს: საბჭოთა კავშირში არ არსებობს “მოსამართლეთა კასტა, რომელსაც, თუ უფრო მეტი

პრეტენზია მაინც ექნებოდა იმისა, რომ მოეპოვებინა დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. ასეთი კასტა არასდროს არ ყოფილა რუსეთში, სადაც 1864 წლამდე მოსამართლე უბრალო წინაშე ითვლებოდა, ხოლო 1864-დან 1917 წლამდე მოსამართლეთა კორპუსმა თუმცა კი იგრძნო ავტონომიის აუცილებლობა, მაგრამ ვერ შეძლო მისი მოპოვება“. ავტორს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი, რომელიც რუსეთში შემოიღეს 1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად. გასათვალისწინებელია აგრეთვე ა.კონის და სხვა გამოსწილი იურისტების მოღვაწეობა, რომლებმაც უთუოდ წინ წასწიეს რუსეთში მართლმსაჯულების განხორციელების კულტურა (ამისათვის მარტო ვ.ზასულინის გახმაურებული სასამართლო პროცესის გახსენებაც კმარა). 1917 წ. შემდგომ პერიოდზე, ცხადია, ჩვენ ამას ვერ ვიტყვით, რადგან დღემდე არავითარი პირობები არ შექმნილა იმისათვის, რომ მოსამართლეთა კასტას “ავტონომიის აუცილებლობა“ ეგრძნოს.

რა უნდა გააკეთდეს ამისათვის? უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ გამოირიცხოს მოსამართლედ შემთხვევითი ადამიანის არჩევა. უნდა შემუშავდეს სპეციალური

ნორმატიული აქტი, რომელაც განსაზღვრავს იმ ცენზებს, რასაც კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. მარტო იმის აღნიშვნა, რომ მოსამართლედ აირჩევა კაცი, რომელიც ამდენი და ამდენი წლის არის და იურიდიული განათლება აქვს, ცხადია, არ კმარა.

აუცილებელია აგრეთვე სასამართლო პროცესის მეტი დემოკრატიზაცია. როგორც ვიცით, კანონით გათვალისწინებული ზოგი გამონაკლისის გარდა, სასამართლო განხილვა საქმისა ღიად მიმდინაროებს და ყველას შეუძლია დაესწროს და ნახოს, რა ხდება იქ. მაგრამ ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ სულ უახლოეს წარსულშიც კი პოლიტიკური მნიშვნელობის პროცესები, ესე იგი პროცესები, სადაც დისიდენტების, პარტიულ ფუნქციონერთა და სხვათა საქმეები იხილებოდა, კანონით თითქოს ღია იყო, ფაქტიურად კი დახურულად მიმდინარეობდა და იქ “საექვო პირთა” დახწრება “ხასურველად” არ მიიხნეოდა. უფრო მეტიც, ეს პროცესები შემდეგ პრესის ფურცლებზე და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აშკარად ტენდენციურად შექედებოდა ხოლმე და “დაიყვანებოდა” მოსახლეობის ფართო ფენებამდე. “დაყვანა” იმას ნიშნავდა, რომ როგორმე დაერწმუნებინათ ყველა განანენის დასაბუთებულობასა და სისწორეში. მაგრამ მოსახლეობის გაზრდილი მართლშეგნების გამო “დაყვანა” აშკარად საწინააღმდეგო შედეგს იწვევდა და კიდევ უფრო უტეხდა სახელს ჩვენს საგამოძიებო და მართლმსაჯულების ორგანოებს. სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი რამ, ცხადია, აღარ უნდა გასმოხდეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვანინია, რომ შეიქმნას ოფიციალური პრესის ორგანო, სადაც გახმაურებული სასამართლო პროცესების სტენოგრამები დაიბეჭდება ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ზოგიერთი განსაკუთრებით საინტერესო სასამართლო პროცესის სტენოგრამა შეიძლება ცალკე ბროშურის სახითაც დაიბეჭდოს. ერთი სიტყვით, უნდა აღსდგეს (თუკი ოდესმე არსებობდა) სასამართლო ქრონიკის ჟანრი.

სამართლებრივ სახელმწიფოში სრულიად უნდა გაქრეს მართვის ბიუროკრატიული მეთოდი. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? ამ სენს, რასაკვირველია, უბრალო კრიტიკით ვერ განვკურნავთ. ამიტომ აქაც სამართალი უნდა მოგვეშველოს. განვიხილოთ ისეთი საკითხი, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო (პარტიული) აპარატის ხელმძღვანელი მოხელის მოსვლა ამა თუ იმ დაწესებულების სათავეში და მისი წახვლის წესი ამ ადგილიდან. როგორ ხდება ეს ტრადიციულად ჩვენში? არავითარი საქმიანი



თვისებები, არავითარი პროფესიული დაოსტატება ამისათვის საჭირო არ გახლდათ. ახალგაზრდას, რომელიც დიდ ასპარეზზე გასვლისათვის ემზადებოდა, უპირველეს ყოვლისა, პარტიის წევრობაზე უნდა ეზრუნა, რადგანაც მან იცოდა, კარგი პროფესიონალი, მაგრამ უპარტიო, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვერ მოხვდებოდა. მაგრამ პარტიის წევრი სანამ გახდებოდა, უმჯობესი იყო, ჯერ კომკავშირული სკოლა გაეწეო, ჯერ იქ დაწინაურებულიყო თანამდებობაზე და იქიდან შემდეგ იწყებდა პარტიულ კარიერას. პროფესიას, როგორც ვთქვით, ან საერთოდ არ უწევდნენ ანგარიშს, ანდა მასაც ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, თუკი უნდოდათ, რომ კაცი დაენიშნათ პროკურორად, აუცილებელი იყო მას, პარტიის მანდატთან ერთად, იურისტის დიპლომიც ჰქონოდა. პროფესიულ ცოდნას, გამოცდილებას ყურადღება არ ექცეოდა. პირიქით, უკეთესიც კი იყო, რომ ასეთ კაცს დაბალი პროფესიული განათლება ჰქონოდა, რადგანაც მასთან თანამშრომლობა უფრო “ადვილი” იყო. ვინ არ იცის, რომ, რაც უფრო დაბალია კაცის პროფესიული ცოდნა, მით უფრო ძლიერად არის ის დამოკიდებული თავის ხელმძღვანელობაზე. მაინც როგორ ხვდება კაცი ხელმძღვანელ თანამდებობაზე? სასურველობის ნიშნით. უფროსი უნდა დარწმუნდეს, რომ კაცს, რომელსაც ხელქვეითად ნიშნავს, ფორმალურად (პარტიულობა, პროფესია) შეეფერება ამ ადგილს და მისთვისაც სასურველი კანდიდატურაა. დანიშვნით მოხდება ეს თუ არჩევით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყველაფერს სძლევეს ზემდგომი ხელმძღვანელის ნება-სურვილი. ამიტომ იყო, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნა სრული განუკითხაობის პირობებში ხდებოდა და ხდება დღესაც ჯერ-ჯერობით. ნაცნობ-მეგობრობასთან შეერთებული კორუფცია და მექრთამეობა ჯერაც არ არის აღმოფხვრილი.

განსაკუთრებით გავრცელებულია ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნა ასე ვთქვათ, თანამგზავრობის პრინციპით ანუ ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის გზით. საქმე ის არის, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნა საგანგებო ნომინკლატურას შეადგენდა ტრადიციულად. ამიტომ კაცი ცდილობდა, როგორმე ამ ნომინკლატურის მუშაკი გამხდარიყო. თუკი ის ამას შეძლებდა და ერთხელ მაინც მოხვდებოდა ამგვარ თანამდებობაზე, მერე ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული. ბიურ-

ოკრატორული აპარატის ასე თუ ისე მაღალ ეშვლონებში მოხვედ-  
 ლის შემდეგ, ის იწყებდა ამ აპარატში მუშაობის დაუწერელ წეს-  
 ჩვეულებების ათვისებას. რაც უფრო კარგად ათვისებდა იგი ამ  
 დაუწერელ "სამართალს", მით უფრო მეტად გაიხანგრძლივებდა  
 აპარატში ყოფნას და მით უფრო დაწინაურდებოდა. ამის შემდეგ  
 იგი იქცევა თანამგზავრად და როგორც ციური სხეული ბრუნავს  
 რომელიმე უფრო ძლიერი სხეულის გარშემო, ისიც ამ ბიუროკ-  
 რატორული აპარატის გარშემო იწყებს ბრუნვას. თანამდებობისა-  
 თვის შეუგუერებლობა, დაბალი პროფესიული დონე არაფერს  
 ნიშნავს. მთავარია, რომ მან არ უნდა უღალატოს ბიუროკრატორულ  
 აპარატში დადგენილ წეს-ჩვეულებებს. თუკი ერთ თანამდებობაზე  
 ვერ გამოიჩენს თავს და სახელი გაუტყდება, მას მეორე თანამდ-  
 ებობაზე გადაიყვანენ. გადაყვანა ხდება მაშინაც, როცა თანამდ-  
 ეობა კინეზოვის სჭირდებათ და სხვ. ერთი ხიტყვით, იქმნება  
 აღმასთანა კასტა, რომლებმაც აუცილებლად ხელმძღვანელ თა-  
 ნამდებობაზე უნდა იმუშაონ. მაშინ საქმეს ვინდა აკეთებს, რაღაც  
 მასიც; ხომ კეთდება დაწესებულებაში? საქმეს აკეთებს მოად-  
 გილე ას უფრო დაბალი რგოლის მუშაკი ანუ მუშაკები,  
 რომლებიც ასე თუ ისე პროფესიონალებად ითვლებიან. ერთი  
 ხიტყვით, მოელი ტრადიციის წვენი საზოგადოებრივი და  
 საკელმწიფოებრივი ცხოვრებისა ის არის, რომ საქმის მკოდნე  
 კარგი პროფესიონალი ტრადიციულად დაბეზავებული, დანანანაკ-  
 ებულია, მას გახაკანი არა აქვს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა,  
 რომ წვენში ტრადიციულად ასე დაეცა პროფესიონალიზმი და  
 ცოდნა. ამ ხიტყვის ფართო გაგებით, პოპულარული აღარ არის.  
 ახალგაზრდა არ ცდილობს ცოდნის შეძენას. იგი უფრო იმას  
 ფიქრობს, როგორ მოიპოვოს კარიერა, რისთვისაც საქმიანი თვ-  
 ისებები, ცოდნა აუცილებელი არ გახლავთ. ეს, რახაკვირველია,  
 როდი ეხება მოელ ახალგაზრდობას, რომლის შეგნებული ნაწილი  
 ყოველხაირად ცდილობდა და დღეხაც ცდილობს მიაღწიოს  
 პროფესიულ დაოსტატებას. სამართლებრივ სახელმწიფოში ადა-  
 მიახები, ცხადია, თავიანთი საქმიანი თვისებების გამო უნდა წინა-  
 ურდებოდნენ. პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა განმსახლვრელი  
 უნდა იყოს.

ქართულ ესაში არსებობს ერთი გამოთქმა, რომელიც ამ მნი-  
 შვსკოდით ვგონებ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში უნდა  
 ისმარებოდეს "ხეტავ როდის გააგდებენ ამ კაცს?" - ვამბობთ  
 ხოლმე წვენ მაგანისა და მაგანის მიმართ. ეს დამამცირებელი

გამოთქმა გამოთქენება იმ მაღალი მოხელის მიმართ, რომელმაც თავი მოაბეზრა ხალხს ერთი და იმავე თანამდებობაზე დიდი ხნის განმავლობაში ყოფნით. თუმცა ასეთი გამოთქმა მარტო ქართულ ენაში არ იხმარება. რუსები ამბობენ: "Корень один, а язык другой." და ამ ურასახაც იმავე მსიშვეულობით იყენებენ. რატომ შეიქმნა ეს გამოთქმა ამ მსიშვეულობით, რატომ ნატრულობს სოფჯერ ხალხი ამა თუ იმ დიდმოხელის "გაგდებას?" განა მარტო იმით, რომ ეს მოხელე არაფრის გამკეთებელია და ხალხს თავი მოაბეზრა? რასაკვირველია, არა. ხაქმე ის გახლავთ, რომ ბოლშევიზმის ბატონობის ეპოქაში არ არსებობდა ამა თუ იმ ხელმძღვანელი მოხელის მიერ თანამდებობის დატოვების თვითღირსად მყარად დადგენილი წესი, რომელიც წესრიგს შეიტანდა სახელმწიფო აპარატის მუშაობის ხისტემაში. იქაც კი, სადაც მოხელის არსევა გარკვეული ვადით ხდება, ამ არსევას არავითარი მსიშვეულობა არ ეძლევა. რადგან არ არის დადგენილი, რამდენი ვადით აირსევა ის. დიქტატურის დროს, ცხადია, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. დიქტატორი თანამდებობაზე თავის ყოფნის ვადას, ბუნებრივია, არ განსაზღვრავს. ახვეე ეძლეოდათ ეს შეღავათი დაბალი რანგის მოხელეებსაც, რომლებიც დიქტატურის განმტკიცებას ემსახურებოდნენ. ამიტომ იყო, რომ ტრადიციულად წყნარად თანამდებობის დატოვების ორი გზა არსებობდა: ან მოქელ-გაბრიელმა უნდა მოაკითხოს მოხელეს და წაიყვანოს, ანდა ის უნდა "გააგდოს" ხემდგომმა მოხელემ, თუკი ამ უკანასკნელისათვის მიზეზთა და მიზეზთა გამო ხელქვეითი ხელმეტი აღმოჩნდება და მისი ახალ პრესტიჟულ თანამდებობაზე გადაყვანა მიზანშეწონილად არ მიჩნია. მაგრამ ეს "გაგდება" ხშირად ადვილი როდია, რადგან ქვემდგომი გრძობს უყოობის მოქმედების უსამართლობას და "გამგდებელს" ადვილად არ ემორჩილება. ახეთ დროს ხშირად ტრავიკული ორთაბრძოლა იმართება ხოლმე, სადაც ყოველგვარ შანტაჟს, პრეზოკაციას თუ სხვა უზნეობას დიდი გახავალი აქვს. უკანასკნელ წლებში წვენ რამდენიმე ასეთი ტრავიკული ორთაბრძოლის მოწყენი გაგხდით, სადაც სოფჯერ ხაქმე სასამართლომდეც კი მივიდა, არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის მოხელე, რომელიც თავისი ხელქვეითის ამ წესით "გაგდებას" გამართლებულად თვლის, სულ მაღე თვითონ აღმოჩნდება ხოლმე იმავე მდგომარეობაში მისი უყოობის უსაფუძველო ახირების გამო. ეს იწვევს პიროვნების გაორებას, რის გამოც ადამიანი უნებლიედ ტრავი-

კომიკურ ვითარებაში აღმოჩნდება. სამართლებრივ სახელმწიფო-ში არ უნდა მოხდეს ასეთი გაუმართლებელი ტრაგედიები და ენერჯის უსაფუძვლო ხარჯვა, რისთვისაც საჭიროა განისაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც ადამიანს შეუძლია დაიკავოს ესა თუ ის თანამდებობა. როცა კაცს ეცოდინება, რომ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მან უნდა დატოვოს თანამდებობა, მაშინ ასეთ ტრაგედიასაც აუცილებლად თავიდან ავიცილებთ. ის საკითხი, თუ რომელ თანამდებობას უნდა შეეხოს ეს წესი, ეს ცალკე მსჯელობის საგანია და ამიტომ მასზე აქ აღარაუფერს ვიტყვი.

სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, რადგან დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომლის საფუძველზეც აგებულია რესპუბლიკისა და ცენტრის ურთიერთობა, შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი არის *Contradictio in adiecto*, ესე იგი ის წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. თუკი ურთიერთობა ცენტრსა და რესპუბლიკას შორის ცენტრალიზმის პრინციპზეა აგებული, მაშინ როგორღაა ეს ურთიერთობა დემოკრატიული, ხოლო თუ დემოკრატიულია, მაშინ რაღა ადგილი აქვს აქ ცენტრალიზმს? ერთი სიტყვით, “დემოკრატიული“ და “ცენტრალიზმი“ ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, რომელთა შეთავსება შეუძლებელია. სინამდვილეში სიტყვა “დემოკრატიული“ აქ მხოლოდ მოსართავად, ხალხის თვალის ასახვევად არის შემოტანილი, არსებითად აქ მხოლოდ ცენტრალიზმის პრინციპია გამოხატული, რაც მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში ასეთი თანამიმდევრობით ხორციელდებოდა კიდევ. ერთი სიტყვით, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა შეუთავსებელია ჩვენში ამჟამად არსებულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურასთან.

# ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი

## ნიჰილიზმის წინააღმდეგ

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული საქართველოში თანდათანობით შემოდინდა და ვრცელდებოდა სხვადასხვა ჯურის სოციალისტური იდეები. საუკუნის დასასრულს კი ჩვენში სოციალ-დემოკრატიული სოციალიზმის მძლავრმა ნაკადმა იწყო შემოჭრა, რომელსაც მარქსის მოძღვრება ედო საფუძველად. იმ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიაში და მისი ზეგავლენით საქართველოშიც, როგორც ამ იმპერიის ნაწილში, მიმდინარეობდა, სახელმწიფოსა და სამართლისადმი დამოკიდებულება ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი იყო. ყველა ჯურის სოციალისტური მიმართულება უგულვებელყოფდა სახელმწიფოსა და მისგან დადგენილ სამართალს. ამ პროცესმა იმდროინდელ საზოგადოებაში ძლიერი სამართლებრივი ნიჰილიზმი, ესე იგი სამართლის არად ჩაგდება, მისი გაუფასურება და უარყოფა გამოიწვია.

ილია ჭავჭავაძე მაშინ ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვინც სიტყვიერ თუ საქმით თანმიმდევრულად იბრძოდა მომძლავრებული სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ. ამ ფაქტს გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობის შესწავლისთვის. ამისათვის მეტად მდიდარ მასალას იძლევა ილიას მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება. ამ მხრივ საყურადღებოა მწერლის ბიოგრაფიული მონაცემები. როგორც ვიცით, ილია პროფესიონალი იურისტი იყო. ის ოთხი წელიწადი, რომელზედაც ჩვენი დიდი მწერალი თავის სახელგანთქმულ “მგზავრის წერილებში” ასე შთამბეჭდავად ლაპარაკობს, მან პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლას მოანდომა. გარდა ამისა, რამდენიმე წელი ილია დუშეთში მოსამართლედ მსახურობდა.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ავტორები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას იკვლევენ, ამ ფაქტს სრულიად უყურადღებოდ ტოვებენ. სწორედ ამის გამოა, რომ ისინი ხშირად მეტად კურიოზულ დასკვნებამდეც მიდიან. ცნობილია, რომ ქართველი ორთოდოქსი სოციალისტი კრიტიკოსები 30-იანი წლების

შუა ხანებამდე ილიას მეუღის ხელისუფლების მომხრედ, თავადაზნაურთა იდეოლოგიად და რეაქციონერად ნათლავდნენ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურმა იდეოლოგიამ მწერლის სრული რეაბილიტაცია მოახდინა და მის პიროვნებას რეაქციონერის სამარცხვინო იარლიყი წამოხსნა, საზოგადოებრივი აზრი ილიას მიმართ, ნემი ღრმა რწმენით, ახლა მეორე მხარეს გადაიხარა. როგორც ყოველი მოვლენის არსის კვლევისას, აქაც მარქსისტული მეთოდი მოიმარჯვეს და დაიწყო ილიას შემოქმედებაში სოციალისტური იდეების ძებნა. გადაწყვიტეს, ილიას შემოქმედება პროკრუსტეს ხარვეზელზე დაეწვინათ და როგორმე დაეახლოვებინათ მარქსისტულ მოძღვრებასთან, რათა ამით მწერლის შემოქმედების პროგრესულობა დაემტკიცებინათ. ათეული წლების მანძილზე წყენში ყოველგვარი პროგრესულის საზომი ხომ მარქსიზმის ადლი გახლდათ!

ილია ჭაკჭაკადი, რასაკვირველია, არც სოციალისტი ყოფილა და მით უმეტეს, არც მარქსის მოძღვრების მიმდევარი, რაზედაც ქვემოთ უფრო დავკრიტიკებთ გვექნება საუბარი. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ილიას შემოქმედებაში მაინც გვხვდება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც სოციალისტების სამართლიან აღფრთოვანებას და მოწონებას იმსახურებდა. ის, რაც არ უნდოდათ დაენახათ მწერლის სიძულვილით დაბრმავებულ ფ.მახარაძეს და მის ბრმად მიმდევრებს, არ დაუფარა გაცილებით უფრო ხალად მოაზროვნე და გულწრფელი სოციალისტმა კანაიციძემ. თუმცა სოციალისტურმა მსოფლმხედველობამ მასაც გადააკრა თავალზე ლიბრი და ზოგიერთი ისეთი რამეც ათქმევინა, რაც სრულიად უსამართლო ბრალდებაა დიდი მწერლის მიმართ და მხოლოდ სამწუხარო გაუგებრობის ნაყოფია. ეს ფაქტი თავისთავად იმაზე მიგვანიშნებს, რომ ილია ჭაკჭაკადის შემოქმედება იმდენად ღრმა და მრავალმხრივია, რომ ყოველი “იზმი” ამ შემოქმედებაში თავის ნოყიერ საკვებს ნახულობს. მხედველობაში მაქვს კანხიძის სიტყვა, რომელიც მან ილია ჭაკჭაკადის დასაყლაკების დროს წარმოთქვა. მოცულობით მცირე და უორმით უსაღო სიტყვაში კანხიძე ყურადღებას მიაპყრობს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების დასაწყის პერიოდს, როცა ილიამ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე დიდად გახმაურებული ნაწარმოები შექმნა. კ. ნხიძის თქმით, მწერლის ამ პერიოდის ნაწარმოებებმა ხელი შეუწყო ცხოვრების ასპარეზზე

“აღლთაობის” გამოსვლას, რომელმაც “კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ დროსად აღიარა”.

“შესი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი მიმართავს ორატორი ილიას ცხელარს გახდა მისი გონებრივი და სხეობრივი სრლის პირველ საფეხურად, რომელსედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინედ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესიხსლხორცილებას და წვენს ცხოვრებაში გადმოსწვრებას, რომელიც გვახსავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს სოციალიზმის დამკარება. ხილთ გ’სა, რომლითაც ამ მიზანს მიაღწევს კაცობრიობა, არის შეურთებელი, სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის“ (ი. კრ. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 206).

სწორედ ამ “შეურთებელი” და “სასტიკი” კლასობრივი ბრძოლის ამხახველ სურათებს ხედავდნენ ქართველი სოციალისტები ილია ჭავჭავაძის იხეთ მაღალმხატვრულ ქმნილებებში, როგორცაა “გლახის ნაამბობი”, “კაკო ყანალი” და სხვ. სწორედ ეს ნაწარმოებები გახდნენ კ.ხეიძის მიერ ნახსენები “ახალი თაობის”, ესე იგი სოციალიზმის მიმდევარი ახალგაზრდობის “გონებრივი და სხეობრივი სრლის პირველ საფეხურად”.

“კაკო ყანალი” იხევე, როგორც “გლახის ნაამბობი”, მთლიანად კლასობრივი ბრძოლის იდეაზე აგებული ნაწარმოებია. კაკო ბრატაშვილი როდია წვეულებრივი დამნაშავე, რომელიც სამართლიანი სასჯელს გაქცევია და ტყისთვის შეუფარებია თავი. იგი სოციალური სამართლიანობისათვის მეტბრძოლი ადამიანია, რომელიც თავის კლასობრივ მტერს - ბატონს და კლასობრივ ხამართლს ბატონელობის ინსტიტუტს გაქცევია და დაპირისპირებია. სიტყვა “ყანალიც” პოემაში კლასობრივი მოწინააღმდეგის, კლასობრივი სამართლიანობისათვის მეტბრძოლი ადამიანის ხინოხინად აღიქმება.

მაგრამ კლასობრივი ბრძოლის წინ წამოწევა ილია ჭავჭავაძის ამ პერიოდის ნაწარმოებებში ვერ არივებს იმ დებულებას, რომ ილია თავისი მსოფლმხედველობით სოციალისტი არ ყოვილა. ჯერ ერთი, კლასობრივი ბრძოლის აღიარება რომ სულაც არ მოწმობს სოციალისტობას, ეს თავის დროზე კ.მარქსმაც კი შენიშნა. იგი ამტკიცებდა, საზოგადოებაში კლასთა ბრძოლის არსებობის უპიქრს სოციალისტების მოწინააღმდეგე ისტორიკოსებიც კი აღი-

არებდნენო. მეორეც ის, რომ მომდევნო პერიოდის ნაწერებში ილია კლასთა ასეთ დაპირისპირებას აღარ გვიჩვენებს. პირიქით, იგი კლასთა და წოდებათა შერიგებას და მათი უფლებების გათანაბრებას ქადაგებს. ილია ერის ერთიანობის მომხრეა. ერის წოდებებად დაყოფა და რომელიმე წოდებისათვის უპირატესობის მინიჭება, მისი აზრით, დამღუპველია არა მარტო ამ წოდებისათვის, არამედ მთელი ერისთვის. “ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია წერდა იგი - იმ ერს გამოუტანია თავი ათას გვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა. პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია“.

“ჩვენდა სამწუხაროდ, - განაგრძობს შემდეგ ავტორი - ჩვენი თავადაზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას ვერ მისწვდომია და, როგორც ერთი ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხშირად ცალკე იწევს და ცალკე ითლის“(იხ. “წოდებათა თანასწორობა“, ი.ჭავჭავაძე, ტ.5, 1987, გვ. 19-20).

სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავი აზრების პატრონს სოციალ-დემოკრატები თავადაზნაურობის იდეოლოგიად სახავდნენ. რა უფლება ჰქონდა ამის შემდეგ სოციალისტ კ.ჩხეიძეს მიცვალებულისათვის საფლავზე წაეყვედრებინა: “დაე გიტროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამო...“ ეს აშკარა ცილისწამებაა და მეტი არაფერი.

თვითონ კ.ჩხეიძეც არ თვლიდა ილიას სოციალისტად. მისი აზრით, სოციალიზმის დამყარება შეიძლება მხოლოდ “კლასთა შორის“ შეურიგებელი და სასტიკი ბრძოლით. ილია კი მას კლასთა და წოდებათა შორის ასეთი შეურიგებელი ბრძოლის მომხრედ არ მიაჩნდა. პირიქით, კ. ჩხეიძე ილიას დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მწერლის ცხედარს საყვედურით მიმართავდა: “დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალაუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრეს“. არსებითად თუ განვსჯით, იმ სიტყვებში. კარგად არის გამოხატული ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა და იდეური მიმართულება. ილია, როგორც მოაზროვნე, სოციალისტების ზოგიერთ მოთხოვნას იზიარებდა და ეთანხმებოდა. მაგრამ განსხვავდებოდა მათგან



არსებით საკითხში, კერძოდ, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების გზებისა და საშუალებების შერჩევისას. ილია წინააღმდეგი იყო, რომ სოციალისტების მიერ დასახული მიზნები მიღწეული ყოფილიყო კლასთა ბრძოლით და სახელმწიფოსა და სამართლის უარყოფით. იგი გამოდიოდა სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ და სამართლებრივი ცხოვრების განვითარებას მოითხოვდა. თუ სოციალისტები საზოგადოების განვითარებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდნენ კლასთა ბრძოლას, ილია ასეთ უაქტორად თვლიდა სამართალს.

სოციალისტების აზრით, კლასთა ბრძოლის გზით მიიღწევა კაპიტალისტური ბაზისის შეცვლა სოციალისტური ბაზისით, რომლის გარეშეც საზოგადოების წინსვლა შეუძლებელია. მარქსი, როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ძირითად უაქტორებად ეკონომიკურ ბაზისს მიიჩნევდა. ეკონომიკას მისთვის უნივერსალური მნიშვნელობა ეძლეოდა. მარქსის მიხედვით, ყველაფერი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკონომიკით იყო დეტერმინირებული. ამიტომ სამართალი მისთვის, ცნობიერების სხვა ფორმებთან ერთად, ზედნაშენური კატეგორიაა და არსებული ბაზისით განისაზღვრება. სამართალი იმდენად არის განსაზღვრულ-დეტერმინირებული ეკონომიკით, რომ მას საკუთარი ისტორიაც კი არ გააჩნია (იხ. “პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის”). რაც მთავარია, მარქსიზმი, როგორც სოციალისტური მოძღვრება საზოგადოდ, სამართალს ისტორიულ კატეგორიად თვლიდა და წინასწარმეტყველებდა, რომ, სახელმწიფოსთან ერთად, ის საბოლოოდ უნდა მოკვდეს სრული კომუნისტური საზოგადოების პირობებში. ამ კვდომის პროცესი თანდათანობით უნდა დაიწყოს და განხორციელდეს კომუნიზმის პირველი ფაზის სოციალიზმის დროს. ერთი სიტყვით, მარქსიზმი აშკარად, შეუფარავად ქადაგებს სამართლებრივ ნიჰილიზმს.

ილია ჭავჭავაძე, პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა და წარმატებისათვის უნივერსალურ მნიშვნელობას სწორედ სამართალს ანიჭებს. “ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა- წერდა ილია ამ ასი წლის წინ - რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინც და მაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერას შევლის თურმე ვერც სიკეთე

პაერისა, კერც ხიმსუქნე მიწისა, კერც შეძლება ყოველგვარი წარმოქმნისა (ო.გ.), თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსახლებული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ (იხ. “ცხოვრება და კანონი“, ი.ჭავჭავაძე, ტ.4, 1987წ. გვ. 299).

როგორც ვხედავთ, აქ უარყოფილია გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. უგულებელყოფილია წარმოების წესის მნიშვნელობაც. ილიას აზრით, საზოგადოების წარმატებისათვის კერაფერს მოგვცემს “კერც შეძლება ყოველგვარი წარმოებისა“. “ხალხთა კეთილდღეობისათვის“ მას “კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსახლებული“ “ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“ უფრო საჭიროდ მიუჩნევიან, “ ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ“.

“რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, დაასკვნის ბოლოს იღია - თუ იქ წემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, მნელად გახარნევიან და არ არის საყოველთაოდ განსახლებული ცხადად და უცილოდ იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“ (იქვე, გვ.300).

მარტო ეს სიტყვებიც კმარა იმის გახარკვევად, თუ როგორ მნიშვნელობას აძლევდა იღია სამართალს, როგორ მაგიურ ძალად მიიხსენებდა მას საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის.

საგულდისხმოა ის, რომ იღია ჭავჭავაძემ ამ საკითხის შესწავლა აბსტრაქტულად კი არ აინტერესებდა, მას თავისი კონკრეტული მოსწებები ჰქონდა. ილიამ კარგად იცოდა, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნამორჩენის უმთავრესი მიზეზი დაბალი სამართლებრივი კულტურა, ქვეყნის სამართლებრივი განუვითარებლობა იყო. იმავე “ცხოვრება და კანონში“ ის გულისტკივილით აღნიშნავდა ამ გარემოებას: “ამის მაგალითი თვით წვენი ქვეყანაა: ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს წვენი ბედნიერებისათვის? ყოველდღიური უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება“. აქ ორი რამ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან: პირველი, ეს გახლავთ სახელმწიფოს მიერ

დადგენილი სამართლებრივი ნორმების განუყოფარებლობა, ხოლო მეორე საკითხია, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვისმართ. ხალხის მართლშეგნების დაბალი დონე, მისი გულგრილი დამოკიდებულება სამართლებრივი მოვლენების მიმართ.

ამ გულგრილობის შესანიშნავი ხურათია დახატული, მაგალითად, მოთხრობაში “სარისბელა”-ზე“. მოხუც პეტრეს არაუროთ არ უნდა დაიჯეროს, რომ მის თვალწინ კაცი წამოახრჩეს. მას ყოველივე იქ მომხდარი თვალთმაქცობა ჰგონია. თუმცა ერთ წამს დაფიქრდება და თავისთავს შეეკითხება: “ბიჭო, და, იქნება მართლა წამოახრჩეს!...” მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს და ცდილობს თავი დაიწმინდოს, რომ ყველაფერი ნანახი მოწყურება იყო. კაცის წამოხრჩობის ხცენა ვიღაცამ გაითამაშა ხალხის თვალის სახეიროდ და გასართობად. პეტრე თავის რწმენას შემდეგ გარემოებაზე ამყარებს: “ე ხალხი რომ ასე ქვიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლად დარწმუნება ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს მაინც წამოაგდებდნენ, რაც უნდა იყოს ღვთისკერძი ადამიანი, კატა ხომ არ არი”. პეტრე ალაღმართალი, გულწრფელი კაცია, მაგრამ გულუბრყვილოა და კარგად ვერ არის გარკვეული ვითარებაში, ამიტომაც ჰგონია, რომ მას ბრყულებენ.

## 2

სამართლებრივი კუთხით თუ შევხვდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იღია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში ამ მხრივაც გამორჩეული ადგილი უჭირავს მოთხრობა “ოთარაანთ ქვრივს“. ვეუქრობ, ამ ნაწარმოებში ავტორმა მიეღო თავისი სამართლებრივი იდეალი გამოხატა. თუკი სხვა ნაწარმოებებში მწერალმა იმდროინდელი საქართველოს სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე, მისი წამოხრჩობა ასახა, ოთარაანთ ქვრივის სახით მან დაგვიხატა მაღალი მართლშეგნების მქონე, საკუთარი უფლებისთვის ნიდავგ მებრძოლი ადამიანი. ამით მწერალს უნდოდა, რომ ქართველი კაცისათვის მაგალითი მიეცა, მისი სამართლებრივი აღზრდისათვის შეეწყო ხელი. იღიას უნდოდა, რომ ქართველი კაცი ოთარაანთ ქვრივისვით ჯანსაღი ყოფილიყო სამართლებრივად და ებრძოლა საკუთარი უფლებისათვის, რადგან სამართლებრივი არსებობა შეუძლებელია უფლებისათვის ბრძოლის გარეშე.

ოთარაანთ ქვრივი მოხუც პეტრესავით გულწრფელი და ალაღმართალია, მაგრამ იგი მასავით გულუბრყვილო როდია, რომ ადვილად ვინმემ მოატყუოს. იგი ფხიზელია და იცის საკუთარი უფლება-მოვალეობანი. ის იმავე დროს, უშიშარია და ამიტომ ადვილად ვერავინ დაჩაგრავს.

“გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, დიამბეგი მობრძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, და ასეთი ვაივაგლახი დააწია, რომ ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შეიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო. თუმიცა თვითონ ქვრივისაც ერთი ათიოდ მანეთი შემოხარჯოდა მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

“უფლი რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია! ჯავრი რომ არ შევარჩინე, ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავენაგვრინე ცოტაა?! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო“.

ეს სიტყვები შემთხვევით არ ათქმევინა ავტორმა თავის გამირს. თუკი ჩავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ მეტად ღრმა აზრია ჩამარხული. უფლებისათვის ბრძოლის დროს სამართალდარღვევისაგან გამომწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურება იმდენად არის გამართლებული, რამდენადაც ამით ხდება პიროვნების გათელილი უფლების აღდგენა. საქმე ეხება არა მატერიალური ზარალის ოდენობას, არამედ პიროვნების სამართლებრივ არსებობას; საქმე რომ მარტო მატერიალური ზარალის ანაზღაურებას ეხებოდეს, მაშინ ამ ზარალის ასანაზღაურებლად ზედმეტი ხარჯის გაწევა უკვე გაუმართლებელი იქნებოდა (რ.იერინგი). ერთი ქათმის წართმევით გზირმა ოთარაანთ ქვრივის პიროვნების სამართლებრივი არსებობა ხელჰყო, ხოლო ეს სიკეთე მატერიალური საზომით ვერ გაიზომება. ეს არის ოთარაანთ ქვრივის მთელი სამართლის ფილოსოფია. სწორედ ამიტომ არის, რომ იგი ერთი თუმნის დახარჯვას არაფრად აგდებს და ამბობს: “ჯავრი რომ არ შევარჩინე, ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავენაგვრინე, ცოტაა?!“

ოთარაანთ ქვრივი ამავე დროს სამართლიანი ადამიანია. მან კარგად იცის, რომ უფლება მოვალეობის გარეშე არ არსებობს. ის არა მარტო თავისი უფლებისათვის შეურიგებელი მებრძოლია, არამედ პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებსაც. ამიტომ არის, რომ იგი “არც სხვისას შეირჩენს და არც თავისას შეარჩენს სხვას“.

მაგრამ ჯანსაღი მართლშეგნება მარტო გარეგან ურთიერთობებში, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში როდი ვლინდება და მოითხოვს წესრიგს. იგი შინაგან წესრიგსაც და შრომის სიყვარულსაც გულისხმობს. ოთარაანთ ქერივი ამ მხრივაც სანიმუშოა. იგი “მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგება“, რადგან კარგად აქვს შეგნებული, რომ “თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაატელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

დამახასიათებელია, რომ ოთარაანთ ქერივი თავის ხელით ბარავს და თოხნის. თვითონვე მარგლავს ბაღ-ბოსტანს და მოჰყავს მოსავალი. თუმცა ამის გამო დიდი მითქმა-მოთქმა ყოფილა, ვის გაუგონია დედაკაცის ხელში ბარიო, მაგრამ ოთარაანთ ქერივი ამ ლაპარაკს არად აგდებდა. “მითომ მე რითა ვარ ნაკლები იმ დამპალ გოგიაზედ! - ამბობდა ის ამის გამო თუ იმასა ჰშეგნის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ, რა ვუყოთ რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი, მითამ ჩემზედ წინ რით არის?“

ეს სიტყვები დღეს მკითხველს შეიძლება ანაქრონიზმადაც მოეჩვენოს, მაგრამ ასი წლის წინ, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა, ქალის ემანსიპაციის იდეა, დედაკაცისა და მამაკაცის სამართლებრივი გათანაბრება ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული და განხორციელებული ცხოვრებაში. ამიტომ ოთარაანთ ქერივის ქცევა, იმდროინდელი თვალით თუ შევხედავთ, მაღალი მართლშეგნების გამოვლინებაა.

ოთარაანთ ქერივს ეზო-გარემოსა და სახლში იდეალური წესრიგი ჰქონდა დამყარებული. ამ მხრივ, ის ლუარსაბ თათქარიძის სრული ანტიპოდი. საზოგადოდ “კაცია ადამიანი?!“ და “ოთარაანთ ქერივი“, სამართლებრივი თვალსაზრისით თუ შევაფასებთ, ერთსა და იმავე საგანს უტრიალებენ. მე-მეჩვენება, რომ ორივე ნაწარმოები ერთი მედლის ორ მხარეს გამოხატავს. პირველ მათგანში მწერალი გვეუბნება, თუ როგორი არ უნდა იყოს ქართველი კაცი, ხოლო მეორეში გვიმტკიცებს, როგორი უნდა იყოს ის. ამიტომ, ურიგო არ იქნება, თუ აქ შევეცდებით მოკლედ გავაკეთოთ ამ ნაწარმოებთა შედარებითი ანალიზი.

ოთარაანთ ქერივის პიროვნება სამართლებრივი თვალსაზრისით ჩვენ უკვე დავახასიათეთ. ამიტომ, რაც უკვე ვთქვით, იმას აღარ გავიმეორებთ და აქ პირდაპირ შევუდგებით ლუარსაბის

პიროვნების მოკლე დახასიათებას. თუ ოთარაანთ ქვრივი, როგორც უკვე ვთქვით, მაღალი მართლშეგნების ადამიანია, ლუარსაბ თათქარისის მართლშეგნებაზე საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი. იგი არა მარტო გონებაშეხლულული, განუვითარებელი და ელემენტარულ წიგნიერებას მოკლებული კაცია, არამედ საოცრად უნებისყოფიც არის. მან საერთოდ არ იცის რა არის შრომა, თუ ოთარაანთ ქვრივს შრომის დიდი სიყვარული და უნარი გააჩნია და ერთ წუთს უსაქმოდ ვერ ნახავთ, ლუარსაბი, პირიქით, დღე და ღამე ტახტზე გორაობას და ძილს უნდება და მოლიანად ემა-ვლეხების შრომის ხარჯზე ცხოვრობს.

ოთარაანთ ქვრივს მწარე ენა ჰქონდა, სოფელში იმის ყველას ერიდებოდა. ბევრს ეშინოდა კიდევც. სოფელში შეჯგუფული ხალხი როგორც კი გზად მიმავალ ოთარაანთ ქვრივს შეინშნავდა, მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტებოდა, “თითქოს აღაღმა დაჰქროლა წიწილებსაო”. “იხე არაყის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკეცნა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა, ძნელად იქნებოდა რომ რაღად ხიჭკვა ვთქვამ ვისთვისმე”.

მაგრამ იგი ამას აკეთებდა კეთილი ზრახვით, საქმიანად ხევისი გაკენწვლისა და საყვედურის დროს ოთარაანთ ქვრივს პირად ეგოსიჭურს მისწრაფებანი როდის ამოძრავებდა. ყველაფერ ამას ის იმიხთვის აკეთებდა, რომ ხევისი პიროვნული ნაკლ აღმოეჩინებოდა, ხიზარმაცე გაეკიცხა და ადამიანებში გარჯისა და შრომის სიყვარული დაეთესა. რომ ისინი ხევისი ხარნენი, ხევის სეულში შეიქურენი არ ყოფილიყვნენ.

ლუარსაბმაც და დარეჯანმაც იცოდნენ ბიჭების “დაწოკე ზა”. მაგრამ ამ “დაწოკების” აზრი ხულ სხვა იყო. კნენს დათეჯანი “იქ მუჯღუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მოვლემარე წიბლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძინებში გახვეულ პაჭარა მურიან ბიჭსა, რომელიც მოქნარებით და ზარმაცად ზწმუნდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელს გაქონილს შანდაღსა. აქ იმას გაუწყრებოდა - რაზედ? თვითონ კნენინამაც არ იცოდა რაზედ“ და ა.შ. აი, როგორ ესმოდა ლუარსაბს ბიჭების “დაწოკების” აზრი და მნიშვნელობა: - “გლეხკაცს ეგრე უნდა მოეყვრას ბატონით, - იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, ეგრე უნდაო, რომ ყოველ ციხმარე დღეს ეშინოდეს, თორემ, ღორის ჰკეჩარახავით რომ გლეხკაცი ყეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებოდა, მაშ! შიში შეიქმნის სიყვარულსაო”.

ყველაზე მეტად მაინც ღუარსაბისა და ოთარაანთ ქვრივის ხასიათების დაპირისპირება მათი ეშოებისა და სახლ-კარის აღწერით ვლინდება. ვის არ ახსოვს ღუარსაბის ეზოს აღწერილობა. ვინ არ მოხიბლულა ილიასეული დიდებული შედარებით, რომელთაც იგი ღუარსაბის ეზოს საკვალალო მდგომარეობას, რომ იტყვიან, ერთი კაღმის მოხმით გვიხატავს: “შიგ თვითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული“. ასევე დაუვიწყარია ის აღგილი, სადაც ეზოში არსებული ხეგადახევა ნაგებობის აღწერაა. მოცემული: “ღობესთან, ერთის ფურცლის ხის ხიახლოვეს, მონანდა ძველი ჩაღური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებო“ და სხვ. სურათი სრული მაინც არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ იმსახაც, რომ ეზოს გარშემო ვერცა ტყრუშული ღობე, რომელიც აქეთ-იქით გადაქცეულიყო, მაგრამ “უხლანდელს პატრონს, არც კი მოხვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა: ეტყობა, რომ ქართველია...“ ამ სიტყვებს წვენ ვერაუფრს დაეკმატებო. ვუიქრობო, მკითხველისათვის ყველაფერი ნათელია.

ასეთივე არახასიათოვნო სურათის ვნახავთ, თუ ახლა სახლში ვეწვევით თავად თათქარიძეს. იატაკი აგურისაა, მაგრამ აგურები შიგადაშიგ ამოყრილია და “იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილია“. ოთახს თუმცაღა ორი დიდი ფანჯარა აქვს, მაგრამ ფიჭვის წარსოებზეც მინის მაგივრად გაქონილი ქაღალდი გაუკრავთ და ის აბნელებს.

ახლა ვნახოთ, როგორ არის აღწერილი ოთარაანთ ქვრივის ეზო-კარი: “ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშული ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჭიის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული... კაცის თვალს ეამებოდა რომ ეს ეზო ენახა“.

თუ ახლა სახლში ვეწვევით ოთარაანთ ქვრივს, ვნახავთ, რომ მისი სახლის შინაგანი წესრიგი და მოწყობილობა სრულიად გაგვიქარწყლებს ღუარსაბის სახლში ყოფიან მიღებულ უსიამოვნო გასწკობილებას. “სახლში რომ შესულიყავით - წერს ილია - ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვიღდაწმენდილობა იქაურობისა, თარო წრდილოს მოლიან კედელზედ თავიდან ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამომწკრივებულია სუფ-

თა ჭურჭელი ქაშანურისა. ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩაძნა, ქაფქირი ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი, მხიარულად გადმოიცქირებიან მალლიდან, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი ასწენიათ“.

ერთი სიტყვით, ოთარაანთ ქვრივის ეზო-კარი იდეალურად არის მოვლილ-დაწმენდილი, საიდანაც ჩანს, რომ მისი პატრონი გამრჯე, მშრომელი ადამიანია. ამ ნაწარმოებთა შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავტორს მათი წერის დროს ერთი აზრი უტრიალებდა თავში - ქართველი კაცის სამართლებრივი აღზრდისათვის ზრუნვა, მისთვის ხელის შეწყობა. როგორც ვიცით, “ოთარაანთ ქვრივი“, “კაცია ადამიანი?!“-ის შექმნიდან ოცდაშვიდი წლის შემდეგ დაიწერა, რაც იმას მოწმობს, რომ ილია ჭავჭავაძისთვის ეს იდეა მუდმივი ზრუნვისა და ფიქრის საგანი იყო.

“ოთარაანთ ქვრივის“ სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვა სრული არ იქნება, თუ კიდევ ერთ დეტალს არ მივაქცევთ ყურადღებას. საქმე ის არის, რომ ოთარაანთ ქვრივი თავის მოწინააღმდეგეს კლასობრივი თვალსაზრისით კი არ უპირისპირდება და ტყეში კი არ გარბის კაკო ყაჩაღივით, არამედ ის თავის “დამჩაგრულს“ გუბერნატორთან და ხელმწიფესთან უჩივის. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აღიარებს არსებულ სახელმწიფოს და სამართალს თავისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეებით. სწორედ ამას გულისხმობდა კ.ჩხეიძე, როცა ილიას ცხედარს საყვედურით მიმართავდა, რომ იგი იყო “თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრე“. თუმცა ამაში სასაყვედურო არაფერია. ასეთი საყვედური შეეძლო გამოეთქვა სოციალისტ კ.ჩხეიძეს, რომელიც ნიჰილისტურად იყო განწყობილი საზოგადოდ სახელმწიფოსა და სამართლის მიმართ. ილია კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდა სამართლებრივ ნიჰილიზმს.

### 3

ილია ჭავჭავაძე არა მარტო სიტყვით იბრძოდა სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ, არამედ ის საქმიანად ცდილობდა გაეგრცვლებინა ხალხში უფლებებისათვის ბრძოლის იდეა, რათა სამართლისათვის პატივისცემა ქართველი კაცის სასიცოცხლო მოთხოვნილებად ექცია. შემთხვევითი არ უნდა იყოს ხალხში გავრცელებული ერთი ამბავი, რომელიც ილიას ცხოვრებას



უკავშირდება. მწერალი თურმე მატარებლის ბილეთს ყიდულობდა. მოლარეს ხურდა არ აღმოაჩნდა. ის სალაროსთან დადგა და ხურდის მოლოდინში ფეხს არ იცვლიდა. ამ დროს გვერდზე მყოფმა უთხრა, ბატონო ილია, თუ არ ვინქარეთ მატარებელი გაგვასწრებს და, არათუ ხურდას დაგვარგავთ, ბილეთები სულაც გაგვიუქმდებათ! ამაზე ილიას უპასუხია: სჯობს მატარებელმა გაგვასწროს, ხურდაც დაგვარგოთ და ბილეთებიც გაგვიუქმდეს, ვიდრე ეს მოლარე გაწუწკდეს და სხვის ჯიბეში ხელის ფათურს დაენვიოსო. ვფიქრობ, ამ მსჯელობას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ქართველი კაცის ზღვარდაუდებელი სამართლებრივი ნიჰილიზმი დღესაც ნიადაგ ბრძოლას მოითხოვს.

იაკობ მანსვეტაშვილს თავის ცნობილ “მოგონებაში” ერთი მეტად საყურადღებო ამბავი აქვს აღწერილი. ერთხელ თურმე, ილიას ვენახის ღობე ვიდაც ახალგაზრდამ “გადალახა”. ილიამ მოურავს უთხრა, ის ბიჭი ახლავე აქ მომგვარეო. როცა ბიჭი მოუყვანეს, მოითხოვა მისთვის ჩოხა გაეხადათ. ბიჭმა თავისი დანაშაული აღიარა და ბოდიში მოიხადა. მაპატიეთ, მეჩქარებოდაო.

“პატიება რას მიქვიათ! უპასუხა ამაზე მწერალმა ბიჭო, რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, გაუფრთხილდით სხვის ქონებას ისე, როგორც თქვენსას. აბა შენთვის გაეტეხნათ ღობე, მგონი, თავსა და პირს დაამტკვრევდი. მე ჩემთვის კი არ ვლაპარაკობ, თქვენ მინდა ჭკუა გასწავლოთ. მე მალე შევაკეთებ ღობეს, მაგრამ ეგ რომ შენ ხელმოკლე მეზობელს უყო, იმან რაღა ქნას? მინამ ის შეაკეთებს, შეესვევიან ღორები, ძაღლი, ქათამი და სულ ააოხრებენ, რაც კი აბადია. მერე შენ აუნაზღაურებ ზარალს? აბა, ემაგიოთი ხართ დაღუპულები რომ სხვისი დაზოგვა არ იცით, არ უფრთხილდებით. მე კი ჩემი ავისრულოვო და სხვები ფეხებზე მკიდიაო” (ი.მანსვეტაშვილი, 1936, გვ. 139). საბოლოოდ ილიამ ბიჭს ჩოხა დაუბრუნა და გაუშვა. ამ ეპიზოდთან კარგად ჩანს, რამდენს ზრუნავდა ილია ხალხის სამართლებრივი აღზრდისათვის. უტყობა, მწერალი შემთხვევას არ უშვებდა, რათა პრაქტიკულად განეხორციელებინა ის იდეები, რომლებსაც იგი თავის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში ქადაგებდა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ვთქვით, “თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრე“, ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური მოღვაწე იყო. ამიტომ მას მსოფლმხედველობრივ ნიადაგზე მეტად მწვავე პოლემიკა ჰქონდა გამართული

ახლადგამოსეკილ ქართველ სოციალისტებთან, რომლებიც ილიას ვერც ნიჭით, ვერც განათლებით და პოლემიკის უნარით ვერ შეედრებოდნენ. თუ ამას დავუმატებ იმასაც, რომ მათი პოზიცია, პრინციპულად უსამართლო და ამიტომ წამებებიანი იყო, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ნაცვივდებოდნენ ისინი ისეთ გამოცდილ პოლემისტთან გააექცრების დროს, როგორც ილია ჭავჭავაძე გახლდათ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე ილიას მხარეს იყო, წლების მანძილზე გამუდმებულმა კამათმა საბოლოოდ მაინც მისთვის არასახარბიელო სახე მიიღო და დამთავრდა ჟურნალ “მოგზაურის“ (1905, №13) ფურცლებზე დაბეჭდილი საკმაოდ გახმაურებული პუბლიკაციით, რომელმაც ტრაგიკული როლი ითამაშა ილია ჭავჭავაძის პირად ცხოვრებაში. ვინმე ვახილ ნაცვლიშვილის ამ ცილისმწამებლურ პასკვილს აშკარად პოლიტიკური სუნი უდიოდა, რომელსაც, როგორც ცნობილია, უნდა მოემზადებინა. ერის სულიერი მამის მკვლელობა.

ამ პასკვილის ფანახმად, ილია ჭავჭავაძე იყო თავადაზნაურობის ინტერესების დამცველი. სასტიკი მებატონე და გლეხების მწვალებელი. ამით უბირი ხალხი ადვილად დაარწმუნეს, რომ, რაც აქ ეწერა, ყველაფერი სრული სიმართლე იყო. ხალხი მოატყუეს, გააბრეყვეს და ადვილად განახორციელეს თავისი ბნელი ზრახვები. ამ პასკვილის დახმარებით გამოსენილი მწერალი, იურისტი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძე უბრალო, ჩუქულებრივ, მაგრამ სასტიკ და გულქვა მებატონემდე ჩამოაქვეითეს, რათა გაადვილებულიყო მწერლის მკვლელობა და ხალხის რისხვისაგან თავი ადვილად დაეღწიათ. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა ხალხის დაბალი მართლშეგნების წყალობით, რამაც მეტად საშიში სამართლებრივი ნიჰილიზმი დაბადა. ის სამართლებრივი ნიჰილიზმი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შეგნებულსი ხიცოცხლის განმავლობაში ებრძოდა. სამწუხაროდ, ილიას მკვლელობის შემდეგ სამართლებრივი ნიჰილიზმი ჩვენში ისე გაძლიერდა, რომ მას ადამიანთა სულ ახალი და უგრო შეუნიღბავი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა 20-იან, 30-იან და მომდევნო წლებში. ამიტომ “მოგზაურის“ აქ დასახელებული პუბლიკაციის ნამდვილი არსის გარკვევა და ხალხის გათვითცნობიერება ამ საკითხში თითქმის შეუძლებელი გახდა. ილიას მკვლელობაც მეუფის “ოხრანკას“ გადაბრალდა და დიდხანს ამ საკითხს ტაბუ დაედო.

უკანასკნელი წლების წყნეი პოლიტიკური ცხოვრების ღიბერალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ილიას მკვლელობის ფაქტის ახლებური გაანალიზება და “თხრანკის“ ვერსიისადმი კრიტიკული მიდგომა. თანდათანობით წინ წამოიწია მანამდე ტაბუღადებულმა ვერსიამ, რომ საჯუკუნის მკვლელობა სოციალ-დემოკრატიების წადენილი უნდა იყოს. თუმცა კომისიამ, რომელიც ამ საკითხის გასარკვევად ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა, ბევრი ვერაუფერი გააკეთა ამ მიხრივ. კომისიას ბევრი ხელშეშლელი გარემოება ელობებოდა წის. ყველაფერს რომ თავი დაგანებოთ, ბოლო დრომდე ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო წვენში კონსერვატორულად განწყობილი ძალები, რომლებიც სხვადასხვა მოტივით ცდილობდნენ გადაურჩინათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესტიჟი. კომისიამ საბოლოოდ თავისი მუშაობა ვერ დაამთავრა. უკანასკნელი წლების პოლიტიკური მოვლენების შემდეგ ამ კომისიის არსებობა აღარავის გახსენებია. ასე რომ, სამართლებრივი ნიში-ლისში კვლავ ძალაშია.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ფაქტის სრულყოფილ გამოძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლის პიროვნების რეაბილიტაციისათვის, მისი შებდალული ღირსების აღდგენისათვის ხალხის თვალში, რომელსაც ჟურნალ “მოგზაურის“ ზემოთ დასახელებული პასკვილის გამოქვეყნებით დაედო სათავე. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ის ბრალდება, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც ბოგინობს ხალხის ფართო ფენებში, თითქოს ილია ისეთი სასტიკი იყო, რომ წყალსაც არ აძლევდა გლეხებს, სწორედ ამ პუბლიკაციიდან მოდის. მახსოვს, წემი სტუდენტობის დროს, ერთი ლექტორი გვიმტკიცებდა, თითქოს ილია წყალს იმიტომ არ აძლევდა გლეხებს, რომ მათთვის შრომა შეეყვარებინა, იშრომეთ, გამოიყვანეთ წყალი და გექნებათ!

დღეს ბევრმა, ინტელიგენციის წრეებიდანაც კი, ვისაც უშუალო კავშირი არ ჰქონია ამ საკითხთან, ისიც კი არ იცის, რომ ილიამ “მოგზაურის“ ფურცლებზე დაბეჭდილ საჯუკუნის ცილისწამებას მეტად ვრცელი და ძლიერ დასაბუთებული პასუხი გახცა. ეს პასუხი, თუ არ ვცდები, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ყველა გამოცემაშია შესული. რაც შეეხება “მოგზაურის“ ფურცლებზე დაბეჭდილ პასკვილს, რომლითაც ილიას მიმართ ჭაუგონარი ცილისწამება

გავრცელდა, ის დიდხანია, რაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და დღევანდელი მკითხველისთვის მხოლოდ არქივის მეშვეობით არის ხელმისაწვდომი.

იბადება კითხვა: მაშინ რატომ არის, რომ ილიას მიმართ ცილისწამება ასე ფართოდ არის გავრცელებული ხალხში, ხოლო მწერლის მიერ დასაბუთებულ თავის მართლებასზე დღემდე თითქმის არავინ ლაპარაკობს? დავიჯეროთ, რომ მკითხველმა ორივე ნაწარმოები - ბრალდების შემცველიც და ილიას პასუხიც - წაიკითხა, იმსჯელა მათზე, შეაფასა, ილიას არ დაუჯერა, ხოლო პასკვილს დაეყრდნო და ილია ისეთად ჩათვალა, როგორც მასშია გამოხატული? რასაკვირველია, ეს ასე არ გახლავთ. დარწმუნებული ვარ, რომ სპეციალისტთა ვიწრო წრის და საკითხით დაინტერესებულ ორიოდ სხვა პირთა გარდა, ხალხს არც ხსენებული პასკვილი წაუკითხავს და არც ილიას პასუხი. მაშ რა ხდება? საქმე ის არის, რომ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ წამოწყებულ ცილისმწამებლურ კამპანიას თავის დროზეც და მომდევნო პერიოდებშიც - საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგ, ოფიციალურმა წრეებმა ძლიერი პროპაგანდა გაუწიეს ხალხის უაროთ უფნებში. ამას ემატებოდა აგრეთვე ისეთი ფორმალური მომენტი, როგორც არის, მაგალითად, ილიას თავადიშვილური წარმოშობა და ის, რომ იგი მემამულე იყო. თანაც ამ პროპაგანდას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ. ხალხი კი უმეტესად ისეთია, რომ, როგორც მზესუმზირა უმზერს სულ მუდამ მზეს, ისიც მუდამ ხელისუფლებისაკენ იყურება და ბრმად სჯერა მისი ნათქვამი.

ილიასადმი ცილისწამების გავრცელებას ჯერ კიდევ რევოლუციამდე იმანაც შეუწყო ხელი, რომ აღნიშნული პასკვილი “მოგზაურიდან“ გაზეთმა “ივერიამ“ ავტორის დაუკითხავად გადმობეჭდა იმისათვის, “თითონ ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებსო“. ილია ამის გამო უკმაყოფილებას გამოსთქვამდა და გულისტკივილით ამბობდა, რომ ამით რედაქციამ “ხელი მოუმართა ავტორს გავერცელებინა საძაგელი მოთხრობა“.

რაც შეეხება ილიას პასუხს, თუიცა ის ქვეყნდებოდა ჩვენს დროშიც, მწერლის თხზულებათა სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ მას ისევ სპეციალისტთა ვიწრო წრე კითხულობდა და ილიას

თავის მართლება მკითხველთა ფართო ფენებამდე მაინც ვერ აღწევდა. ასე თუ ისე, ილიას პასუხს ქართველმა საზოგადოებრიობამ საჭირო პროპაგანდა ხალხში ვერ გაუწია.

ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები ჰქონდა. ილია პასუხში ისეთ საკითხებზე მსჯელობდა, რომლებზე წერაც ბოლშევიკების ბატონობის დროს გარკვეულ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. ილია აქ გამოდის კერძო საკუთრების დამცველად. აღიარებს, რომ ის შემამულეა და სხვ. გარდა ამისა, ამ ნაწარმოების მოწონება თავისთავად “მოგზაურის” პასკვილის დაწუნებას და საზოგადოდ სოციალ-დემოკრატიების კრიტიკას ნიშნავდა, რაც ხელისუფლებას, ცხადია, გაანაწყენებდა და ამიტომ ასეთი ნაწარმოების დაბეჭდვას ვერცერთი ეურნალის თუ გაზეთის რედაქტორი ვერ იკისრებდა იოლად. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მის პასუხზე მითითებას თითქმის ვერ შეხვდებით, ანდა მასზე მითითება, უმეტესად, ძალიან ფრთხილად და უმტკივნეულოდ ხდებოდა.

ბოლო წლებში, როცა ამის ერთგვარი პირობები შეიქმნა, თუ არ ვცდები, გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის პასუხია გაანალიზებული (ასეთია, მაგალითად ა.ბაქრაძის წიგნი “ილია ჭავჭავაძე”). მაგრამ, ვფიქრობ, ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. საჭიროა მკითხველისთვის უფრო ხშირად იწერებოდეს ამ საკითხზე და უფრო ხელმისაწვდომ ბეჭდვით ორგანოებში, იკითხებოდეს ლექციები და სხვ. მახსოვს, ერთხელ, როცა ხალხით სავსე აუდიტორიაში ამ საკითხზე ლექცია წავიკითხე, მსმენელები როგორ პირდაპირი ისმენდნენ მათთვის სრულიად ახალ მასალას და გაკვირვებული მკითხებოდნენ, განა ილია გლეხებს არ აწვალებდა და წყლის აღებას არ უკრძალავდაო?! ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ხალხის გაცნობიერებისა ამ საკითხში მე მესახება თვითონ ილიას პასუხის ცალკე ბროშურად გამოცემა დიდი ტირაჟით და შემდეგ მათი ფართო რეკლამირება. როცა ეს ნაწარმოები ტომეულებში შეაქვთ, მას ფართო მკითხველი ვერ აგნებს და მასზედ ყურადღებას გელარ ამახვილებს.

#### 4

თუ ილიას მკვლევლობა იყო უდიდესი ტერორისტული აქტი ანუ საუკუნის მკვლევლობა, ეურნალ “მოგზაურში” მის წინა-

აღმდეგ გამოქვეყნებულ ბრალდებასაც საუკუნის ცილისწამება უნდა ეწოდოს. ილიამ ამ ცილისწამებას, როგორც ვთქვით, საკადრისი პასუხი გასცა, რომელიც “ნუთუს?” სათაურით პირველად გაზეთ “ივერიაში” დაიბეჭდა, უფრო ზუსტად, ის ცალკე ბროშურის სახით დაერთო “ივერიას”. ეს პასუხი, რომელშიც ილიახაოვის წვეული ხიდრმით არის დასაბუთებული მის მიმართ წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობა და ცილისწამებლური ხასიათი, სამართლის პუბლიცისტიკის მნიშვნელოვანი ნიმუშია. ამიტომ იგი საგანგებოდ შესწავლისა და გაანალიზების საგანი უნდა გახდეს.

“ნუთუს?” განხილვა იმით მინდა დავიწყო, რომ იგი როდია უბრალოდ კერძო პირის თავის მართლება მის წინააღმდეგ წაყენებულ კერძო ბრალდებაზე. ილიამ თავისი პასუხი, როგორც მოსალოდნელი იყო, განაზოგადა და მას მაღალი საზოგადოებრივი უღერადობა მიანიჭა. “მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, აღნიშნავს ის - რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელმეხებული, ხოლო ეს აქლემი ხვალ თქვენწინაც დაიხოქებს. ვინ არის თავმდები, რომ ხვალ ამისთანა დღე თქვენც არ მოგაყენოს ერთმა ვინმემ თაკსეხელადებულმა მანანხალამ იმ ერთგვარ გაზეთისამ თუ უურნალისამ, რომელსაც წმინდა სახელი და დანიშნულება პრეხისა მსგრად უქცევია, ადამიანობა და ადამიანი ბეზლობის და ცილისწამების საგნად გაუხდია და დიდი მოძვრება, ადამიანის ხელმეუხებლობისა მარტო თავის სახეიროდ, თავის საფარველად გარდუქმნია“.

ილიას პასუხი, ამავე დროს, იმითაც არის განსაკუთრებით საკურადლებო და მეც იმიტომ გადავწყვიტე მისი განხილვა, რომ იგი სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ილია აქ ყურადღებას აქცევს

---

1 უ. გოგიანიშვილი. “ივერიის” მისწინდელი რედაქტორი ავანტურა. “სტამბის მუშაობის მოვალეობებიდან”. გაზეთის არ ავანტურაში, თუ ილიას პასუხის დაბეჭდავით. ამიტომ თბუღებული გაყვანილი “ნუთუს?” ცალკე ბროშურის სახით ემეწოდებოდათ და ამ სახით დაქვეითდა გაზეთისათვის.”

როგორც ჩანს, მუშებზე სეგვალენას ადგილს “მოგზაურის” გარემოში შემოკრებილი ილიას მოწინააღმდეგეთ. ეს ფაქტი კიდევ ერთი არამართლიანი უწყობაა ილიას, რომ ილიას მკვლელობის სოციალ-დემოკრატიების წადენილი უწეა ილიას. რადგან ურთიანი “მოგზაური”. როგორც ცნობილია. ქართველი სოციალ-დემოკრატიების ორგანიზაციისათვის გახლდათ.

იმას, რომ “მოგზაურის” კორესპონდენტმა ფეხქვეშ გათელა “დიდი მოძღვრება ადამიანის ხელშეუხებლობისა“. დღევანდელი ტერმინოლოგიით ოუ გამოცხატავთ, იღია აქ აღნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმუციის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი უდანაშაულოა მანამ, ხანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება სასამართლოს კასონიერ ძალაში შესული გამამტკუნებელი განახენით. კორესპონდენტს არა აქვს უფლება საექვო და ჯერ დაუმტკიცებელი ფაქტების პრესის უურცლებზე გამოქვეყნებით დაამციროს ვისიმე პარტივი და ღირსება. იღია თავის პასუხში საკურადლებო მოსახრებებს გამოთქვამს პრესის როლსა და მნიშვნელობაზე საზოგადებრივ ცხოვრებაში, კერძოდ კი, პიროვნების თავისუფლების უზრუნველხაყოფად. პრესის “ჭეშმარიტი თავისუფლება წერდა იღია მოღახების განზე გადგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა. დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-ახნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომა მათ შორის, მშვიდობიანობის წამოგდება...“

“მოგზაურის” კორესპონდენტს იღიასათვის ოთხი ძირითადი ბრალდება აქვს წაყენებული. პირველი ბრალდება ის არის, თითქოს ერთ “ახალსოფელს” გლეხს “სანადელო” ეანის ძნა იღიას კალოზე მიეჭანოს არა იმ დღეს, როცა ეს მოურავმა დაავალა, არამედ მეორე დღეს, ღილით ადრე. ამაზე იღია სასტიკად გაბრაზებული და გლეხისათვის ღანძლვა-გინებით უთქვამს: “ეხლავე ეგ ძნა იქვე ნაიტანე, სადაც დაუდე, და როცა მოურავს დრო ექნება, წამოვა, ახლად გადმოითვლის და გაჰყოფს“. ხანამ ამ ფაქტს არსებითად შეაფასებდეს, იღია წინასწარ ორ შენიშვნას აკეთებს.

პირველი ის, რომ, როგორც იგი ამტკიცებს, “ახალსოფელში” არც ერთი მტკაველი მიწა მე და ნემს მეუღლეს არ გვეკუთვნისო. ის სოფელი ეკუთვნის თავად ზაალ გურამიშვილს, რომელიც სხეულია და მის მამულ-დედულს “აჰეკა განაგებს“.

მეორეც ის, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო არც იღიას და არც მამულის პატრონს არ შეიძლებოდა ჰყოლოდა ნაყმევი, რადგან “ნადელი“, “რომელიც ნვეულებრივ ნიშნავს მარტო უსტავნოი გრამოტით ხაკომლოდ მიზომილ მიწას ნაყმევისას“, როგორც

ილია ამბობს, იმ სოფელში არ შეიძლებოდა ყოფილიყო. რისთვის დასჭირდა ასეთი ტყუილი კორესპონდენტს?

“ნაყმევი“ - ნამსახური კაცია, - განმარტავს ილია - ახლად მართლაც სამარცხვინო უღლიდან გამოშვებული, ამიტომაც უფრო გულშესატკივარია, უფრო შესაბრალისი, როცა თავის ნაბატონარისაგან ინაგრება“.

ახლა შევეხეთ ამ ბრალდების არსებით მხარეს. ილია ამბობს, რომ ოთხი ბრალდებიდან, რომლებსაც მე კორესპონდენტი მიყენებს, “კორესპონდენტის სასიხარულოდ“ მხოლოდ “ამ ამბავს აცხია მართლის ნიშანწყალიო“. მაგრამ ეს “ერთი ნამცეცა“ მართალიც კი ისე ამოუვლია “თავის გულის ზაფრაში“, რომ ტყუილისაგან დიდად არ განსხვავდება და მოგვაგონებს იმ ხავსს, რომელსაც წყალწაღებული ეჭიდება ხოლმე.

საქმე ის არის, რომ საგურამოში შემავალ სოფლებში მეოთხედობა ყოფილა მიღებული დიდი ხნიდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ მამულის პატრონს ეძლეოდა მოსავლის ერთი მეოთხედი, ხოლო გლეხი, ვინც მიწა დაამუშავა, იღებდა მოსავლის სამ მეოთხედს.

თუმცა ამ წესის პრაქტიკულად განხორციელება დიდ სირთულეებთან ყოფილა დაკავშირებული. გლეხსა და მოურავს გაყოფის დროს სხვადასხვა მიზეზით თურმე ხშირად მოსდიოდათ ჩხუბი და დავიდარება. მთელ ყანაში ერთნაირი ძნა არ იყო, “ხშირად თავში კარგი, პურიანი ძნაა, და სხვილი, შუა წელში, ან ბოლოში, აოდვილია, მომცდარია, პურნაკლებია“.

გარდა ამისა, მოურავიც და გლეხიც, როგორც ილია განაგრძობს, ყველა “უმანკო მტრედი“ არ ყოფილა. ორივე მხრიდან მოსალოდნელი იყო მოტყუება. “მეორეს მხრით იმისათვის - წერს ილია - რომ კაცმა იცოდეს, მოურავი ვის ყანიდან რას გზავნის, ვის რამდენს ართმევს, ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს, ვისგან რა შემოსდის, და მოურავსაც საბუთიანი ანგარიში ჩამოართვას, მე დავაწესე, რომ მოურავმა თითოეულ გლეხს იქავ, საცა მეოთხედს მიითვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო, და, თვითონაც დავთარში ჩაიწეროს, იქაც თავის თვალწინ ურემზე დაადებინოს, რომ ძნები არ შესცვალონ და ისე გამოიხსტუმროს“.

ამის შემდეგ, გლეხი რომ კალოზე ძნას მიიტანდა, ძნის მიმღებისათვის ეს ბარათი უნდა მიეცა და ამით მიეთვალა



მეოთხედი. მერე ეს ბარათი შეჯერდებოდა მოურავის დავთართან და ასე გაუსწორებდნენ ანგარიშს მამულის პატრონს.

ეს წესი დიდი ხნის გამოცხადებული ჰქონია ილიას გლეხებისათვის, ვისაც მასთან “ხენა-თესვის საქმე დაუჭერია“. დიდ ნაწილს გლეხებისა ეს წესი მოსწონებია და მიუღია კიდევ, მაგრამ იმ მრავალრიცხოვან გლეხთა შორის, ილიას მამულს რომ ამუშავებდნენ ხოლმე, თითო-ოროლა კაცი მაინც გამოერეოდა, რომლებიც ამ წესს არღვევდნენ. ბევრი ვეცადეო, ამბობს ილია, რომ ეს “უბრალო და უმანკო წესი არავისთვის დამერღვევინებია“, მაგრამ ვერაფერს გავხდით. წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომ ამ წესის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა მაინც არ მომხდარიყო. “ბოლოს სხვა გზა რომ არ იყო, - განაგრძობს ილია დაკვიპქრე, ვინც ჩემს მამულში სახნავ-სათესად შემოხვალთ და მეოთხედს უბარათოდ მომიტანთ, დადებულ ურემს უკან გაგაბრუნებ-მეთქი“. ილიას ამ უკიდურესი ღონისძიებისათვის იმიტომ მიუმართავს, რომ “აქ ყურის მოყრუება წესის სრულიად დაფუშვას მოასწავებდა“. ეს მეტად საყურადღებო მომენტია, რომელსაც სწორი იურიდიული შეფასება სჭირდება, რათა ილიას მსჯელობის ნამდვილი აზრი გაეიკოთ.

კიდევ უფრო საყურადღებოა ილიას მომდევნო მსჯელობა, როცა იგი ამბობს, რომ “ხსენებული წესის დადგენის აქეთ სულ ორი შემთხვევა იყო, როცა იძულებულ ვიყავ მე ჩემი მექმნა და ეს მუქარა ცარიელ სიტყვად არ დარჩენილიყო“. ერთი სიტყვით, “მოგზაურის“ კორესპონდენტი არ ტყუოდა იმაში, რომ ილიამ მართლა დააბრუნებინა გლეხს მოტანილი ძნა ყანაში. აქ სიმართლე, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის მხარესაა. მაგრამ ამ სიმართლის მიკვლევა თავისებურ იურიდიულ ნიუანსებში გარკვევას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, ერკვეოდა თუ არა ამ იურიდიულ ნიუანსებში “მოგზაურის“ კორესპონდენტი, ერთი რამ აშკარაა: ის განზრახ აზვიავებდა მომხდარ ფაქტს, რათა სამართლებრივად ჩამორჩენილი გლეხობა აედელეგებინა და ილიას წინააღმდეგ მოემართა.

თუ აღწერილ ამბავს და მის ილიასეულ განმარტებას იურიდიული მხრით შევაფასებთ, ნათელი გახდება, რომ აქ ჩანს არა მებატონე ილია ჭავჭავაძე, არამედ იურიდიული ურთიერთობების მონაწილე ილია ჭავჭავაძე. მიწის დამუშავების გამო გლეხსა და ილიას შორის წარმოშობილი ურთიერთობა წმინდა სამოქალაქო

სამართლებრივი ურთიერთობა იყო, ხოლო ძნის მოტანის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული სხვა დეკრალები ამ ურთიერთობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლდათ. გლეხი თავისი ნებით მიდიოდა ილიასთან და დებდა ხელშეკრულებას მიწის დახამუშავებლად. ილიაც თავის პირობას სთავაზობდა. გლეხს წინასწარ ჰქონდა გამოცხადებული, რომ მოურავის ბარათის გარეშე ძნას არ მიიღებდა. თუ გლეხი ამ პირობას დაარღვევდა, ილიაც წინასწარ დადგენილ სანქციას გამოიყენებდა და ძნას უკანვე გააბრუნებდა ყანაში. რატომ უნდა ჩაითვალოს ილიას ქცევა მეზობლის სისასტიკედ და არა ადამიანის მიერ თავისი უფლების გამოყენებად!

ვთქვათ, “მოგზაურის“ კორესპონდენტს ანდა ფ.მახარაძეს, რომელიც ილიას “ნუთუს?“ ასევე საშინელი პასკვილით გამოეხმაურა, დასჭირვებოდა ბინის რემონტი, დაექირავებინა ხელოსნები და მიეცა შეკვეთა, რომ საძილე ოთახი შეეღებოთ მწვანედ. მაგრამ ხელოსნებს რაღაც მიზეზით პირობა დაერღვიათ და მითითებული ოთახის კედლები ყვითლად შეეღებათ. ფ.მახარაძეს, როგორც სოციალისტს და პუშანურ პიროვნებას, შეეძლო აღბათ ამისთვის ყურადღება არ მიექცია. მაგრამ თუ ის მაისცდამაინც მოიწადინებდა, რომ საძილე ოთახი მწვანედ ყოფილიყო შეღებილი და ხელოსნებს პირობის შესრულებას მოსთხოვდა, გაუგებარია, რატომ უნდა ჩაგვეთვალა, მისი საქციელი სისასტიკედ და ხელოსნების ჩაგვრად?

“აშკარაა, ან ხელახლად წემი მუქარა უნდა ამესრულებინა, - ამბობს ილია რომ წესი წესად დარჩენილიყო, ან წესზე ხელი ამეღო, რადგანაც მაგალითი ამისთანა შემთხვევაში მთარულ ჭირსე უფრო ადვილად გადაიმდებია. რა თქმა უნდა, პირველი ღონისძიება ვირსიე: გლეხს მუქარა ავუსრულე, უკანვე დავაბრუნე მინამ ბარათს არ მომიტან, ძნას არ მივიღებ მეტიო“.

სამოქალაქო-სამართლებრივი თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ილიას სრული უფლება ჰქონდა აღესრულებინა მუქარა, რადგან გლეხმა, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ, დაარღვია ხელშეკრულების პირობა, რისთვისაც მეორე მხარეს, ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს, შეეძლო შესაბამისი სანქციის გამოყენება (ძნის უკან გაბრუნება).

ეს მსჯელობა სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ილიამ, როგორც პროფესიონალმა სამართალმცოდნემ, კარგად იცოდა,

სახჯელის აუცდენლობის პრინციპის მნიშვნელობა. დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში სახჯელის სიმკაცრეს იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც აქვს ამ სახჯელის რეალურად განხორციელებას. არცერთი დანაშაულებრივი გამოვლინება არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე, არცერთი დამნაშავე არ უნდა დაუძვრეს ხელიდან მართლმსაჯულებას, თუ გვინდა, რომ წარმატებით ვებრძოლოთ ამ საზოგადოებრივ ბოროტებას. ან “ხეში მუქარა უნდა ამესრულებინა, რომ წესი წესად დარჩენილიყო, წერს ილია, - ან წესზე ხელი უნდა ამეღო“. მას კარგად ესმოდა, რომ საკმარისი იყო ერთი შემთხვევაც კი დაეტოვებინა უწყურადღებოდ და ძნის მომტანი, რომელიც მოურავს ბარათის გარეშე მოუვიდოდა, უკანვე არ გაებრუნებინა ყანაში, დადგენილ წესს ვეღარ დაიცავდა. ამიტომ ამბობს ის, რომ “მაგალითი ამისთანა შემთხვევაში მთარულ ჭირზე უფრო გადაიმდებია“. ერთი სიტყვით, ილიას მსჯელობა საკსებით დასაბუთებულია და საკმარისი სისრულით ავლენს ჟურნალ “მოგზაურის“ კორესპონდენციის ცილისმწამებლურ ხასიათს.

მეორე ბრალდება “მოგზაურის“ კორესპონდენტისა ილია ჭავჭავაძის მიმართ ის იყო, თითქოს ილიას ერთ სხვა მემამულესთან ერთად მთავრობისათვის ჯარი ეთხოვოს გლეხთა “ბუნტის ჩახაქრობად“. ილია ამ ბრალდებას კორესპონდენტის მორიგ “თაღლითობად“ და “მოსურიდებელ ტყუილად“ თვლიდა.

როცა საბურამოძის გლეხთა მოძრაობას მიუღწევია, ილია ამ დროს თბილისში ყოფილა, ავად გამხდარა და სოფელში ვეღარ წასულა. ამასობაში მისთვის უცნობებიათ, რომ სახლიდან მოჯამაგირეები, მწყემსები და სხვანი სულ შეგვიშინეს და გაგვირეკესო. ამდენი სული საქონელი უპატრონოდ და მომკვლელის გარეშე დაგვრჩა. თანაც ტყეს შეესივნენ და სხეხნო.

პირველ ხანებში ილიას ყური მოუყრუებია და არავითარი ხომები არ მიუღია. იმედი ჰქონია, რომ გლეხკაცობა მას მაინც არ გაიმეჭვებდა. მაგრამ, როცა შეუტყვია, რომ სასახლეში მხოლოდ მოურავი, მისი ცოლი და მეფუტკრე დარჩენილან და ისინიც წასვლას აპირებდნენ, თბილისიდან ახალი მოჯამაგირეები მოუშველებია მათთვის. “მაგრამ გლეხკაცებს ესენიც დაეშინებიათ და გამოერეკნათ. აქეთ მოვდებ, იქით მივდებ და კაცი ვეღარ ვიშოვე მოჯამაგირედ გლეხკაცობის და ამ არეულობის შიშით“ ამბობს ილია.

ბოლოს იგი იძულებული გამხდარა მაზრის უფროსისათვის დეკემბით დახმარება ეთხოვა. მასაც არ დაუყოვნებია და სამი “სტრაჟნიკი“ გაუგზავნია “სასახლეს და კარ-მიდამოს უპატრონეთო“. სამივე “სტრაჟნიკი“ ილიას თავის სახლში დაუყენებია, თვითონ აჭმევდა, თვითონ ასმევდა, როგორც ამბობს და ცხენებსაც თვითონ უნახავდა. “(არც) ერთი იმათგანი, განაგრძობს ილია - სოფელს არც-კი მიჰკარებია. არც ერთ მათგანს გლეხკაცის წკირისათვის ხელი არ უხლია, როცა მოჯამაგირენი ვიშოვე, “სტრაჟნიკები“ მაშინვე დავითხოვე.“

როგორც ჩანს, ეს ამბავი გააზვიადა “მოგზაურის“ კორესპონდენტმა და, როგორც ხატოვნად ამბობს ილია, “ბუზს აქლემი აშობინა თავის ახირებულ სურვილისამებრ“, თითქოს მას ჯარი მოეთხოვოს გურამიანთკარში ჩასაყენებლად. ილია პირდაპირ აცხადებს, რომ ჯარი “არც მითხოვია და არც მოვითხოვ“, თუ გლეხებს არ მომისევვენ და არ მაიძულებენ “მათ მიერ მოსეულს და ასისინებულს გლეხკაცობას მტრულად დავხვდეთ“.

აქაც ილია თავის პროფესიონალურ ცოდნას იყენებს და მკითხველს ახსენებს იმ განუსხვისებელ უფლებას თავდაცვისას, რომელიც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში ჰქონდა და აქვს მინიჭებული ნებისმიერ ადამიანს ბუნებისაგან, თავადი იქნება ის, თუ გლეხი. “ეს უფლება თავის გადარჩენისა - დასძენს ილია ბუნებამ ყოველ თვითიველ ცალკე ჭიადუასაც კი მიანიჭა, და ნუთუ მარტო ჩემთვის დემერტმა არ გამოიმეტა...“

გარდა ამისა, ჯარის მოწვევა-არმოწვევის საკითხი არ არის დაკავშირებული გლეხკაცობის სიყვარულთან თუ სიძულვილთან. ბევრს ჯარის მოწვევა ერთადერთ ღონისძიებად მიაჩნია, რომ აზვირთებულმა და აბოხოქრებულმა გლეხკაცობამ რაიმე ძალმომრეობა არ ჩაიდინოს, “რადგანაც მოვა დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწაღებულ გლეხკაცობას“.

ილიას აზრით, ამასაც რომ თავი დავანებოთ, “კაცთმოყვარეობა“ და “სულგრძელობაც“ რომ არ მივიღოთ მხედველობაში, “პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხკაცობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრება“.

ამის შემდეგ ილია იწყებს ბრალდების სიყალბის დასაბუთებას. თუ მე მთავრობას ჯარი ვთხოვე - ამბობს ის - ამ თხოვნას კვალი სადმე ხომ უნდა დარჩენოდა ან მაზრის უფროსის, ან გუბერნატორის, ან მთავარმართებლის კანცელარიაში. ისეთი სერიოზული საქმე, როგორც ჯარის თხოვა და სოფელში ჩაყენებაა, განა შეიძლება ისე, რომ “მიწერ-მოწერა არ გაემართათ და შიგთხოვნა სხვისასთან ერთად ჩემიც არ დაესახელებინათ, ვითარცა მიზეზი?”

რამდენიც არ უნდა ექებოს “მოგზაურის” კორესპონდენტმა, - განაგრძობს ილია - ჩემი სახელის ხსენების ვერავითარ კვალს ვერ მიაგნებს “საგურამოს ჯარის ჩაყენების საქმეში“. მე არავითარი თხოვნა არც ზეპირი, არც წერილობითი ამ საკითხზე არავისთვის გამიგზავნია და, თუ საჭირო გახდება, “ამის ოფიციალურ მოწმობასაც წარმოვადგენო“. სხვა რაღა უნდა ვთქვა, მართალ კაცს ისეთ უსაბუთო ბრალდებაზე, რომელიც “მოგზაურის” კორესპონდენტს ილიასათვის წაუყენებია!

ილია დამატებით მაინც კიდევ ერთ არგუმენტს იშველიებს ამ ბრალდების უკუსაგდებად. რატომ მოხდა, რომ ჯარი, რომელიც საგურამოში იყო ჩაყენებული, სამი თუ ოთხი დღის შემდეგ უკან გამობრუნდა, თუმცა გლეხკაცობა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. თუ მე ჯარის გაგზავნა შევძელი, რატომ ვერ შევძლებდი იმის დატოვებას იმ დრომდე, ვიდრე აბობოქრებული სოფელი ბოლომდე დაშოშმინდებოდაო, - სამართლიანად შენიშნავდა იგი.

მესამე ბრალდება ილიას მიმართ ის ყოფილა, რომ, თურმე ნუ იტყვით, არც “დიდებული ილია ჭავჭავაძე“ და არც მისი ქვისლი გივი სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევდნენ “ზეზე სადგომის აგებასაო“. “ზეზე სადგომი“ მიწის ზევით აშენებულ სახლს ნიშნავდა, ვინაიდან გლეხობა მაშინ თურმე ჯერ კიდევ ცხოვრობდა მიწურებში. ამაზე ილია აცხადებს, რომ “სტაროსელსკისა არ ვიცი“, მაგრამ “საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკაველიც არ ეკუთვნის არც ილია ჭავჭავაძეს, არც მის მეუღლეს და სულ სააპეკუნოშია“. ამიტომ რა უფლება მაქვს სხვის მიწაზე “ან დავეუშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო ან მიწურის გათხრისა, ან ზეზეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს“. ილია სანიმუშოდ მიუთითებს სოფელ წიწამურს, რომელიც “სააპეკუნო ადგილშია“ და საგურამოში შემავალ სოფელს მიეკუთვნება, სადაც ბევრი სახლია მიწის ზევ-

ით აშენებული. ესეც რომ არ იყოს, საბძღვებო, სასიამოვნო და სხვა ნაგებობანი “ყველგან ზეზურადა დგას და, თუ ამათს ზეზურობას წინ არავინ უდგა, სახლების ზეზურად დგომას რა-ღა ჭკუაა წინააღმდეგის“. ერთი სიტყვით, აშკარაა, ეს ბრალდებაც ისევე შეთითხნილი და მონაჭორი გახლდათ, როგორც იყო სხვა ბრალდებები ილიას მიმართ.

დაგვრსა განსახილველი მმრმხმ და უკანასკნელი ბრალდება, რომელიც “მოგზაურის“ კორესპონდენტის მიერ მწერლის წინააღმდეგ შეთითხნილ ბრალდებათა შორის, თვითონ ილიასვე სიტყვით რომ ვთქვათ, არის “ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი და საშინელი, რადგანაც თითქმის კაცის კვლამდეა გაჭიმული“.

მაგრამ “შეუწყნარებლობა და საშინელება“ ამ ბრალდებისა კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ ეს სწორედ ის ბრალდებაა, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ ხალხის მახსოვრობამ აქამდე შემოინახა, რომელიც ილიას წმინდა შუბლს დღემდე ზედმეტ ლაქად ახის და დიდი ხანია, რაც ჩვენივე ხელით ჩამორეცხვას ელოდება. ოფიციალური იდეოლოგიის მიერ ილია დიდი ხანია რეაბილიტირებული და გამართლებულია. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანადაც კი აღიარა, მაგრამ დღემდე არ არსებობს რაიმე ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც ხალხის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი სახით “მოგზაურის“ კორესპონდენტის პასკვილი იყოს დაგმობილი და ილიას პიროვნებას კონკრეტულად ამ პასკვილით დაწამებული ცილი ჰქონდეს მოხსნილი. გამოდის ილიას წიგნები, იწერება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი უამრავი ნაშრომი, ტარდება ილიასადმი მიძღვნილი ოფიციალური იუბილეები და სხვა ღონისძიებები, მაგრამ იურიდიულად დახაზუთებული ნაშრომი, რომელშიც დაწვრილებით, ყველასთვის გასაგებად და პირუთვნელად იქნებოდა განხილული “მოგზაურის“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი და ილიას პასუხი მასზე, დღემდე არ გაგვანწია. აი, ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში დღესაც ბევრს სჯერა “მოგზაურის“ კორესპონდენტის მიერ ჯერ კიდევ ხაუკუნის დასაწყისში შეთითხნილი ბრალდება, თითქოს ილია ისე სასტიკი იყო, რომ გლეხებს წყალს არ აძლევდა.

ეს ბრალდება იმით იწყება, რომ კორესპონდენტისათვის ერთ გურამიანთკარულ გლეხს უთქვამს, თითქოს “ამ ზამთარს დიდი ყინვისაგან სოფლის სასმელი წყალი გაიყინა ისე, რომ მთლად

უწყლოდ დავრჩითო“. ეს ბრალდების პირველი ნაწილია, ილიაც თავიდან ამ ბრალდების სიყალბეს აკლენს. “აქ მოწმედ მომეკავს წერს ილია - იმისთანა უტყუარი, იმისთანა დაუქრთამავი მოწმე, როგორც ბუნებაა და თვალად დასანახავი გარემოება“. უთუოდ დამაფიქრებელია და ყურადღება მისაქცევი ის გარემოება, თუ რა უტყუარ მოწმობაზეა ლაპარაკი და რა შუაშია ბუნება. ამიტომ, თუ მკითხველი არ დაიზარებს და ილიას მომდევნო მსჯელობას გულისყურით თვალს მიადევნებს, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდება.

როგორც ილია ამბობს, სოფელს თეძამის წყალი ჩამოუდის, ესეც არ იყოს, გურამიანთკარში არის კარგა მოზრდილი წყარო. მართალია, თეძამის წყალი გაშლილ ველზე მოდის და ზამთრობით იყინება ხოლმე, მაგრამ “ბურამიანთკარის წყარო კი თავის ღლეში, რაც ბინდ ძლიერი ზამთარი იქოს, არასდროს არც გაყინულა და არც გაიყინება, რომელიც მოგახსენებათ ბუნება წყაროს წყლისა“ (ხაზგასმა ნემია, ო.გ.).

გვიქრობ, სრულიად გასაგებია, რატომ მოუხმო მწერალმა ბუნებას მოწმედ. ბუნებამ ამხილა “მოგზაურის“ კორესპონდენტი ისე. უტყუარად, რომ ეჭვის ნატამალიც კი აღარ რნება მისი დებულების სიყალბეში. თუ გურამიანთკარში, როგორც კორესპონდენტი გვიმტკიცებს, წყალი გაიყინა და სოფელი მთლად “უწყლოდ დარჩა“, რა გუყოს იმ უტყუარ ფაქტს, რომ სოფელში არის წყარო, ხოლო წყაროს გაყინვა ჯერ არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს, რადგან ასეთია მისი ბუნება.

ჩავეყვით ბრალდებას ქვემოთ. კორესპონდენტმა, თავისი მოკლე ჭკუით, გურამიანთკარში წყარო იმიტომ გაყინა, რომ როგორმე გაემართლებინა გლეხების ასვლა ილიას მამულში წყლის წამოსაღებად. მაგრამ ამისათვის მას იქ ჯერ წყაროს არსებობა უნდა დაეხაზუთებინა. ამიტომ წერს: “სოფელ ზევით სამ ვერსტზე, ტყეში, მიუვალ ღელეში, ჭაგჭვამის მამულში გამოდის პატარა წყარო, რომელიც ზამთრობით არ იყინება“. აქამდე ვიცოდით, რომ ბუნებას თავისი კანონები აქვს, რომლებიც ადამიანის ნებას არ ემორჩილებიან. ახლა ისიც გაირკვა, რომ “მოგზაურის“ კორესპონდენტს თურმე ისეთი ძალა ჰქონია, რომ შესძლებია თავის ნებაზე აემოქმედებინა ბუნების კანონები. სხვა რა ვოქვით აბა იმაზე, როცა კორესპონდენტის მიხედვით, გურა-

მიანთკარში წყარო იყინებოდა, ხოლო ილიას მამულში არ იყინებოდა. მაგრამ მიეყვებოდა ისევ ილიას მსჯელობას.

“ესეც ისეთივე მტკნარი ტყუილიაო“, აცხადებს იგი. დიდი მადლობელი ვიქნები - განაგრძობს ილია - თუ “ჩვენი ცრუპენტელა მამბეზლარი“ სოფლის ზევით “სამი ვერსტის მანძილზე“ ჩემი ტყის “მიუვალ ღელეში“ ისეთს პატარა წყაროს მიპოვის, რომ ან კოკა მიდგმით აივსებოდეს, ან როგორმე, და იქავ, რაცა გამოფონავს, ახლო მანძილზე სიპატარაობით არ იკარგებოდეს“. აქვე ილია იმასაც ამბობს, რომ ჩემს ეზოში სხვისი მამულიდან მაქვს გამოყვანილი სასმელი წყალი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, “გურამიანთკარს ზემოთ ტყე სტაროსელსკისაა და არა ჩვენი: ჩვენს ტყესა და გურამიანთკარის შუა სტაროსელსკის ტყე, მინდორი და ვენახებია კარგა მანძილზე“.

მართლაც, წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ მთელი სოფელი მიდის წყლის ჩამოსატანად სოფლიდან “სამ ვერსტზე, მიუვალ ღელეში“ არსებულ პატარა წყაროსთან და თანაც საქონელსაც იქ არწყულებენ. კორესპონდენტის მტკიცებით, მთელი სოფლის საქონელი თურმე იქ დაჰყავდათ წყლის დასალევეად, რაც, ცხადია, დაუჯერებელია. როგორც ვნახეთ, ილიამ ზემოთ ბუნება დაიმოწმა და ადვილად დაამტკიცა კორესპონდენტის მონათხრობის სიყალბე, თითქოს გურამიანთკარში წყარო გაყინულიყოს. მე რომ მკითხოს კაცმა, მარტო ესეც კმარა იმის დასადასტურებლად, რომ ილიას მიერ გლეხებისათვის წყლის აკრძალვის ყბადღებული ბრალდება, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, დღესაც გავრცელებულია ხალხში, სრული სიყალბეა და კორესპონდენტის მიერ არის შეთითხნილი. მაგრამ ილიას თავის გასამართლებლად ამ საბუთის გვერდით სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და სერიოზული საბუთებიც მოეპოვება, რომლებიც კიდევ უფრო აწიშვლებენ კორესპონდენტის განზრახვის მზაკვრულ და ვერაგულ ხასიათს.

რა საჭიროებას წარმოადგენდა ტყეში, “მიუვალ ღელეში“ საქონლის არეკვა წყლის დასალევეად, მაშინ, როცა შიგ სოფელში, ზედ “ცხვირწინ“ მშვენიერი და საკმაო წყარო აქვთ საქონლის სასმელადაც და თავიანთთვისაც“, წერს ილია. ეს ერთი. მეორეც ის, რომ “ვერსტნახევარზე თუ ორს ვერსტზე გურამიანთკარს“ მთელი არაგვი ჩამოუდის, რომელიც ჩქარი მდინარეა და არასდროს არ იყინება მთელ რიგზე ისე, რომ



საქონლისათვის სასმელად გამოუსადეგარი ხდებოდა; თუ მაინც გაიყინა არაგვი, ყინული ისე თხელია, რომ მისი ჩამტვრევა და იქიდან წყლის ამოღება ადვილი საქმეა, საქონლისთვისაც ადვილია აქედან. წყლის დაღევა.

ესეც რომ არ იყოს, “არაგვსა და გურამიანთკარს შუა“ ერთი დიდი ფშა ჩამოდის, რომელიც წისქვილს აბრუნებს ზამთარ-ზაფხულს, რადგანაც თავისი ბუნების გამო ფშის წყალი “არასოდეს არ იყინებაო“. ამ წყლებისაკენ უფრო ფართო და მოკლე გზა მიდის, “ვიდრე ჩემის ტყის მიუვალ დელისაკენ“, დასძენს ილია.

იმისათვის რომ მკითხველის მეტი აღშფოთება გამოეწვია ილიას მიმართ, კორესპონდენტი არ დაკმაყოფილდა მარტო იმის დაწამებით, თითქოს მწერალი თავის მამულიდან გლეხებს წყლით სარგებლობას უკრძალავდა. მან ამ ბრალდებას კიდევ ერთი ახალი, ცილისმწამებლური ეპიზოდიც მიუმატა, რომელიც მაშინ “წყლების გაყინვას და ამის გამო გურამიანთკარის უწყლოდ დარჩენას მოჰყოლია ვითომ“. აი, როგორ გადმოსცემს კორესპონდენტი ამ ამბის შინაარსს. ვითომდა გურამიანთკარელ გლეხების მონათხრობის მიხედვით.

“ჩვენ სოფელში იყო ერთი ძალზე დატაკი კაცი, ასე რომ ჩვენ ღარიბებს გვყავდა ზურგზე აკიდებული თავის ცოლ-შვილით. ერთს დღეს ამ კაცს აევსო ორი კოკა, გადაეკიდებინა მხარზე და მიჰქონდა სახლში. გზად გამოვლილი დაინახა ი.ჭავჭავაძის მოურავია, გავარდა, სწვდა ყელში, დაუწყო ლანძღვა, - რატომ თვეში ათ შაურს არ იხდიო... თქვენ ათი შაური საქონელზე დაადგინეთ, მე-კი კატაც არა მყავსო. ან ათი შაური ვინ მომცა, მე სულ ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდამ ავლანტალდი და, ხომ იცი, სულ ავადა ვარო.“ “შენთან ბევრი ლაპარაკი არა ღირსო - და ამ სიტყვებით მივარდა მოურავი საცოდავს და ორივე სავსე კოკა ზედ დაამტვრია ნახევრად შიშველ გლეხსაო“.

ახლა მოვუსმინოთ ილიას. გულდასმით შევამოწმოთ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება, თუ რამდენად დასაბუთებულია ბრალდება. მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდეთ, გავიხსენოთ ზემოთ ნათქვამი, რომ გურამიანთკარში არ შეიძლებოდა წყალი გაყინულიყო, რადგან სასმელ წყლად გამოიყენებოდა წყარო. წყარო კი ბუნების კანონების მიხედვით არასდროს არ იყინება. მაგრამ კიდევ რომ

ასე მომიხდარიყო და ბუნების საწინააღმდეგოდ წყარო მაინცდა-  
მაინც გაეყინულიყო, ილიას სიტყვით, არსებობდა სხვა საშუალებე-  
ბებიც (არაგვის წყალი, ფშა) რომლებიც შესაძლებლობას  
აძლევდა სოფლის მოსახლეობას სრულად დაეკმაყოფილებინა  
წყლის მოთხოვნილება და არ დაჭირვებოდა უფრო შორს და  
რთულ პირობებში ილიას მამულში წყლის ჩამოსატანად წასვლა.  
თუ იქ ნათქვამს გავითვალისწინებთ, მაშინ იმ “ძალზე დატაკი”  
და ავადმყოფი გლეხის ილიას მამულში წყლის ჩამოსატანად  
წასვლა და მთელი ის ისტორიაც, რაც შემდეგ კორესპონდენტის  
თქმით, ამ ამბავს მოჰყვა, თავისთავად უკვე სრული სიყალბე  
ყოფილა და მას არავითარი სხვა დამატებითი მტკიცებულებები  
აღარ უნდა სჭირდებოდეს. მიუხედავად ამისა, ილიას მაინც მოა-  
ქვს ახალი საბუთები, რომლებიც კორესპონდენტის ნათქვამის სი-  
ყალბეს კიდევ უფრო მეტად ააშკარავენ.

ილიას თქმით, როგორ დავიჯეროთ, რომ კაცს, რომელიც  
ახალი ნაავადმყოფარია, და ორი კვირაა, რაც ქვეშაგებიდან ადგა,  
სუხიან ზამთარში “ორი კოკა სოფელ ზევით, მთაში, სამს  
ვერსტზე, მიუვალ ღელეში, პატარა წყაროზე შეეტანოს” და  
შემდეგ სავსე კოკები თავის ზურგით ჩამოეტანოს სოფელში.  
“ორი სავსე წყლით კოკა სამართლიანად კითხულობს ილია  
ჯერ სახედრისა და ცხენისათვისაც მიმე სატარებელია და ნა-  
ვადმყოფარი, სნეული კაცი როგორ უნდა მორეოდა?”

კორესპონდენტს ეს ულოგიკობა, რასაკვირველია, ნაკლებად  
აწუხებდა. ის უფრო იმას ცდილობდა, რომ ერთი ტყუილისათვის  
კიდევ ახალი ტყუილი მიემატებინა და, რაც შეიძლება, გაებერა  
და გაეზვიადებინა ბრალდება, რათა ილიას ღირსება სულ უფრო  
დაემცირებინა ხალხის თვალში. ეს ახალი ტყუილი ის არის,  
თითქოს მოურავის მიერ გლეხის ზურგზე კოკების მტვრევას  
ილია ჭავჭავაძე “ბალკონიდან ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული  
უყურებდა. გულიანად იცინოდა და თანაც აქეზებდა ერთგულს  
მოურავსაო”.

ილია ამაზე შენიშნავს, რომ ეს ოთხასმანეთიანი ქურქი  
კორესპონდენტმა ალბათ იმიტომ წამომახურა მხრებზე, რათა  
“საშინელი უსამართლობა დაენახვებინა ქვეყნისათვის, აქაო და  
ერთის მხრით, ორმოცთუმნიან ქურქში გახვეული გაბღინიული  
თავადია და მეორეს მხრივ ნახევრადმიშველი საცოდავი გლეხი”.

რაც შეეხება იმ ამბავს, თითქოს ილია თავისი სახლის აივნიდან გზაზე, გლეხის კოკის მსხვრევის სცენას უყურებდა, ესეც კორესპონდენტის მორიგი ცილისწამება გახლავთ. “მობრძანდეს, - ამბობდა ილია კორესპონდენტის მისამართით - ჩემს ბალკონზე დადგეს, ორმოცთუმნიანი კი არა, თუნდ ასთუმნიანი ქურქი წამოსისხას, იქიდან გაიხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემის ბალკონიდან ტყვიდან გზად მიმავალს კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი“.

კორესპონდენტმა ილიას ესეც არ აკმარა და, “კოკების მტკრევის“ ამბავს კიდევ ერთი, ფრიად აღმაშფოთებელი ეპიზოდიც მოაყოლა. “უბედური გლეხი, ვიდრე სახლში მივიდოდა დასველებული, გზაში მთლად გაყინულიყო. მივიდა სახლში, მარა აქაც კერა გაციებული დახვდა უშემობის გამო. გახდა ხელახლად ავად და ერთს კვირაში გაათავა მრავალტანჯული და წამებული სიცოცხლე“.

ილიას მონაწილეობა ამ საქმეში, თუკი კორესპონდენტს დაუფხვრებთ, ის ყოფილა, რომ მისი წაქეზებით მოურავმა გლეხს კოკები ტანზე შეამტვრია, კოკებიდან ჩამოღვრილმა წყალმა გლეხი მოლიანად დაასველა, გააცივა, რამაც საბოლოოდ მოუსწრაფა კიდევ მას სიცოცხლე.

ილია ამის გამო აღფშოთებული აცხადებს, რომ “ეს გლეხკაცის სიკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, თმები ყალყზე ამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა!..“

ილიას გადაუწყვეტია, შეემოწმებინა ეს საკითხი და დაედგინა, მართლა მოკვდა თუ არა იმ ზამთარს გლეხი გურამიანთკარში. ამ მიზნით მას კაცი გაუგზავნია სოფლიდან მღვდელთან შესაბამისი შეკითხვით. გურამიანთკარის მღვდელს მწერლისათვის წერილობით უცნობებია შემდეგი: “შარშან პირველ დეკემბრიდან წლეგანდელ პირველ აპრილამდე მამაკაცი გლეხი არავინ გარდაცვლილა“.

ამჟამად დაბადებისა და გარდაცვალების გამო ჩანაწერებს აკეთებენ მმანის ორგანოები. იმ დროს ამ ფუნქციას მღვდელი ასრულებდა. ამიტომ ილიას საბუთი იურიდიულად სრულიად სარწმუნოა. სხვა რაიმე საშუალება ამ საკითხის შემოწმებისა მაშინ არ არსებობდა. ასე რომ, წყლის აკრძალვასთან დაკავშირებული ბრალდების ეს ბოლო ეპიზოდიც ყალბი და ცილისმწამებლური აღმოჩნდა.

მე შევეცადე, რაც შეიძლება დაწვრილებით და გულდასმით განმეხილა ილია ჭავჭავაძის პასუხი ჟურნალ "მოგზაურის" კორესპონდენტის ცილისმწამებლურ გამოსდრომაზე. ახლა დამატებით ისიც უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ, ილიას პასუხი რომ დაიბეჭდა, მას კვლავ უპასუხა "მოგზაურის" კორესპონდენტმა. ხოლო შემდეგ ამავე ჟურნალის ფურცლებზე "ნუთუს?" საშინელი პასკვილით გამოეხმაურა აგრეთვე ფ.მახარაძეც. მაგრამ ეს პასუხები ილიას მიმართ კიდევ უფრო ცილისმწამებლურია და უშვერი ლანძღვა-გინებაა დიდი მწერლისა. ესეც არ იყოს, აღნიშნული პასუხები ძალზე უსუსურია და მათზე სერიოზული მსჯელობა არც კი ღირს. საგულისხმოა, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძესაც, ეტყობა, ამ მიზეზის გამო პოლემიკა ამ საგანზე აღარ გაუგრძელებია.

ახლა მკითხველს მინდა მივმართო თხოვნით: კარგად გაიანზროს და შეაჯამოს ზემოთ წაკითხული და ყურადღება მიაქციოს ერთ საკითხს: თუ მას დღემდე სჯეროდა, რომ ილია გლეხებს თავის მამულიდან წყლით სარგებლობას უკრძალავდა, ახლი იფიქროს იმაზედაც, თუ როგორ ასაბუთებდა ამას ცილისმწამებელი კორესპონდენტი და როგორ პასუხობდა მას ილია ჭავჭავაძე. კორესპონდენტი, იმისათვის, რათა გლეხი ილიას მამულში აეყვანა წყლის წამოსაღებად, იძულებული იყო ეთქვა რომ გურამიანთკარში იმ ზამთარს წყალი გაიყინა. ილიამ ამაზე როგორც ვნახეთ, უპასუხა, რომ სოფელში იყო წყარო, რომელიც ბუნების კანონის ძალით არასოდეს იყინება. გარდა ამისა, იქვე ჩამოდის ფშა, რომელიც ასევე არ იყინება და არაგვი, რომელიც ზამთრობითაც გამოსაყენებელია სასმელად. აქედან უტყუარად მტკიცდება, რომ გლეხს ილიას მამულში წყლის ასაღებად წასვლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასჭირებოდა. ამიტომ ეს ამბავი კორესპონდენტმა განზრახ შეთითხნა, რათა ილიასათვის ხალხის თვალში სახელი გაეტეხა.

ზოგიერთ მკითხველს შეიძლება არც სჯერა, თითქოს ილია გლეხებს წყალს უკრძალავდა, მაგრამ გაგებულნი აქვს, რომ დიდ მწერალს ერთ დროს ასეთი ბრალდება წაუყენეს. მისთვის იმის გაგებას, თუ როგორ იმართლებდა თავს ილია ჭავჭავაძე, ვაძლევთ მნიშვნელობა ექნება. ამის საფუძველზე, ვფიქრობ ყოველი კეთილსინდისიერი და გონიერი მკითხველი თავის

მერყევე პოზიციას უთუოდ შეიცვლის და საბოლოოდ დარწმუნდება მწერლის სიმართლესი.

ვიდრე ამ საგანზე მსჯელობას დავასრულებდე, ნათქვამს კიდევ ერთი ახალი მოსაზრებაც მინდა დავუმატო. როგორც ზემოთ ვთქვი, ილია ჭავჭავაძის პასუხს “მოგზაურის” კორესპონდენტი ამავე ჟურნალის ფურცლებზე გამოეპასუხა (იხ. “მოგზაური“, 1905, №18). აქვე დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის “ნუთუს?” განმარტებული პასკვილი ფ.მახარაძემაც (№18,19).

მართალია, მკითხველს შეეპირდი, რომ ამ პასუხებს საერთოდ არ შეევეხებოდი, ნაწილობრივ მაინც მინდა უარი ვთქვა ამ შეპირებაზე და მოკლედ გავაცნო მას, თუ როგორ პასუხობდნენ მოწინააღმდეგენი ილიას თავის მართლებას გლეხებისათვის წყლის აკრძალვის ბრალდების გამო.

ფ.მახარაძე ამ ეპიზოდს საერთოდ გვერდს უვლის და სრულიად არაფერს ამბობს მასზე. როგორც ჩანს, მისთვისაც კი იმდენად აშკარა გამხდარა ამ ბრალდების სიყალბე და იმდენად დასაბუთებულად მიუჩნევია ილიას პასუხი, რომ საწინააღმდეგოდ უბრალო სიტყვის თქმაც კი ზედმეტად და წამგებიანად ჩაუთვლია თავის პასკვილში.

რაც შეეხება თვითონ კორესპონდენტს, მას ილიას თავის მართლება ამ ბრალდების გამო უპასუხოდ არ დაუტოვებია, მაგრამ ისეთი მიკიბულ-მოკიბული პასუხი გაუცია, რომ მკითხველისათვის აქაც აშკარაა ამ ბრალდების სრული სიყალბე და ცილისმწამებლური ხასიათი. აი, ეს პასუხიც:

“აი წყლის აკრძალვასაც ასე ხსნის თავისებურათ, რადგანაც ჩვენ პატარა შეცდომა შეგვეპარა და ახალსოფლის მაგივრათ ს.გურამიანთკარი დაეწერეთ. ამას იხვევს ილია ხელზე და წყლის მდგომარობაზე და მანძილზე გვითითებს: “თუმცა თეძამის წყალი იყინებაო“. გვეთანხმება ილია. ს.გურამიანთკარის პაწაწინა წყარო ხომ არ იყინება და ხუთს სოფელს ამ წყაროზე უთითებს. ან კიდევ “ფშანი და არაგვი ხომ ახლოა, ვიდრე კორესპონდენტის მიერ მიუვალი ტყის წყაროს წყალიო“. ახლა მე ვასწავლი ილიას იმ ადგილს, სადაც ჩემ მიერ დასახელებული წყარო გამოდის და გავზომოთ ახალსოფლიდან იმ ჩემ მიერ დასახელებულ ტყის წყარომდე და ანუ სოფელ გურამიანთკარის წყარომდე (არ ვიტყვი ფშას და არაგვს, რადგანაც ესენი კიდევ უფრო შორს არიან) ან ეს ერთი ბეწო გურამიანთკარის წყარო რას ეყოფა ხუთს სოფელს

ან იქნება გივი სტაროსელსკი ქეიფუდ არ არის (იმან ხომ ხშირად იცის ეს) და არ მიუშვა წყაროზე, ანუ ზევიდან ქვევით სამსუკოკების ზიდვა უფრო ადვილია, თუ ქვევიდან ზევით და მეგრისეთ ჯოჯოხეთ გზაზე, როგორც ' გურამიანთკარიდან ახალსოფლამდე (ა) ზამთარში“ (იხ. “მოგზაური“, 1905, №18).

ეს არის და ეს. ასეთია კორესპონდენტის პასუხი ილიას თავის მართლებაზე. მაპატიოს მკითხველმა იმის გამო, რომ ასეთი ვრცელი და ასეთი უსიამოვნო ამონაწერით კორესპონდენტის პასუხიდან გადავღალე მისი გონება, მაგრამ მკითხველი ალბათ გამიგებს. მე ეს იმიტომ გავაკეთე, რომ უფრო ნათლად გამოჩენილიყო ილიას სიმართლე, რომ მას თვალნათლივ დაენახა, რომ ილიას თავის მართლება სრულიად სარწმუნო და დამაჯერებელი გახლდათ.

მართლაც, დააკვირდით მოტანილ ტექსტს, თუ იქიდან თქვენ რაიმე აზრს გამოიტანთ. რა შუაშია აქ ის ამბავი, - რომ კორესპონდენტს შეეცდომა მოსვლია და “ახალსოფლის მაგიერათ გურამიანთკარი“ დაუწერია. რა კავშირი აქვს ამ შეცდომას წყლის გაყინვის ამბავთან. თუ კი ამ ციტატას დავაკვირდებით. შეიძლება ის აზრი გამოვიტანოთ, რომ კორესპონდენტი ახლა აღარ ამტკიცებს გურამიანთკარში წყალი გაიყინაო. ის ახლა იმას უფრო ჯავრობს, იქნება სოფლის წყაროზე გლეხები არ მიუშვას გივი სტაროსელსკიმო.

კორესპონდენტი ამტკიცებს, თითქოს იგი ასწავლის ილია იმ ადგილს, სადაც მის მიერ მითითებული წყაროა, ლაპარაკობს მანძილის გაზომვაზე ამ წყაროდან ახალსოფლამდე, ახსენებს არაგვს, ილიას მიერ დასახელებულ ფშას და სხვ. მაგრამ ძნელია ამ მსჯელობიდან, როგორც უკვე ვთქვით, ადამიანმა რაიმე ნორმალური აზრი გამოიტანოს. ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძის სიმართლე ამ ტრაგიკულ და უსიამოვნო პოლემიკაში იმდენად აშკარაა, რომ მასზე აქ კიდევ საუბრის გაგრძელება, ვფიქრობ, სრულიად ზედმეტი უნდა იყოს.

მიუხედავად ამისა, მაინც მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. საქმე ის არის, რომ ილია ჭავჭავაძეს პოლემიკა გაუმართეს ჟურნალ “მოგზაურის“ გარშემო შემოკრებილმა სოციალისტურად მოაზროვნე ახალგაზრდებმა, რომლებიც ილიას უსამართლობას უკიჟინებდნენ, ხოლო თვითონ გლეხობის ქომადგებად და, მაშასადამე, სამართლიანობის დამცველებად მოქმედნენ თავი. მაგრამ

მარტო ის ამბავიც კი, რომ ისინი აქტიურად უშლიდნენ ხელს ილიას საპასუხო წერილის გამოქვეყნებას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, აშკარად მოწმობს, თუ რამდენად სამართლიანი იყო მათი ბრძოლა დიდი მწერლის წინააღმდეგ. განა სწორია ის, რომ მხოლოდ შენ ილაპარაკო, მოწინააღმდეგე ლაფში ამოსვარო, ხოლო მას ლაპარაკი აუკრძალო და ამით თავის დაცვის ელემენტარული უფლება წაართვა?!

ესეც არ იყოს, თვითონ ამ სოციალისტებმა რამ საქართველოში შემდეგ ბოროტება დანერგეს და ჩაიდინეს, მასთან შედარებით ილიას მიმართ წაყენებული ბრალდებები, კიდევ რომ დამტკიცებულიყო ამ ბრალდებათა უტყუარობა და ჭეშმარიტება, დედის ნაწინად უნდა მოგვეჩვენოს. მარტო იმის შედარება რად ღირს, თუ რას უკიჟინებდნენ ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრენი ილია ჭავჭავაძეს გლეხებთან ურთიერთობის საკითხში და შემდეგ რა შედეგი გამოიღო ჩვენში მიწის სოციალისტურმა რეფორმამ, რომელსაც ისინი ქადაგებდნენ (კულაკობის განადგურება, სოფლის კოლექტივიზაცია და სხვ.).

## ბოლოთქმა

ილია ჭავჭავაძე სიტყვით თუ საქმით, მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე, იბრძოდა სამართლებრივი ნიჰილიზმის, ესე იგი სამართლის უგულვებელყოფის, მისი არად ჩაგდების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა წარმოუდგენლად გამწვავდა მე-19 საუკუნის დასასრულიდან, როცა ჩვენში სულ უფრო ძლიერად იწყო გავრცელება სოციალისტურმა იდეებმა. ამ დროს განსაკუთრებით წარმატებით იკიდებდა ჩვენში ფეხს მარქსისტული მოძღვრება, რომელიც სამართლებრივი ნიჰილიზმის უდიდესი წყარო იყო. საბოლოოდ სწორედ ამ სამართლებრივ ნიჰილიზმთან პრინციპული შეჯახების შედეგი იყო ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული.

ილია, მართალია, პირადად შეეჯახა სამართლებრივ ნიჰილიზმს, მაგრამ ეს შეჯახება გამოწვეული იყო არა მისი წმინდა პირადული კონფლიქტით, არამედ იმდროინდელი უსაშველოდ გამწვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლით. ილია

ჭავჭავაძე ამ ბრძოლის შუაგულში იდგა. მის მკვლევლობასაც სწორედ ეს ინდოლოგიური და პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. ამიტომ არის ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა უდიდესი ტერორისტული აქტი, ხოლო ეროვნული თვალსაზრისით თუ განვსჯით, ეს მოვლენა უდიდესი ეროვნული ტრაგედიაა.

ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის პროფესიით იურისტი იყო, რამაც ღრმა კვალი დააჩნია ილიას მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებას. ილია ჭავჭავაძემ მთელი ეპოქა შექმნა ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიაში. მე-19 საუკუნეში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაუქმებული იყო, არ არსებობდა ქართული კანონმდებლობა, ქართულ ენაზე არ ხორციელდებოდა მართლმსაჯულება და, მაშასადამე, ეროვნული იურიდიული აზროვნებაც, თუ მთლად შეწყვეტილი არა, საკმაოდ შეფერხებული ხომ მაინც იყო. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ილიას იურიდიული ნაწერები ხელს უწყობდნენ ქართველი ერის შეფერხებული იურიდიული აზროვნების განვითარებას. დღეისათვის მის იურიდიულ ნააზრევში ზოგიერთი რამ შეიძლება მოძველებულადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ, როგორც ყოველი ჭეშმარიტი და დიდი მოაზროვნის შემოქმედებაში, ილიას იურიდიულ ნააზრევშიც არის ისეთი მთავარი იდეა, რომელიც არასოდეს მოძველდება: ესაა დაუცხრომელი ბრძოლა სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ. ამ იდეას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოსათვის, ვინაიდან სამართლისადმი გულგრილი, ნიჰილისტური დამოკიდებულება ძველი ინერციით კვლავ გრძელდება.



## დამნაშავის ჩაქოლვა?

ტერმინი “ლინჩის სასამართლო“, ლინჩის წესით დასჯა განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ხოლმე ამ ბოლო დროს, როცა ხსენებული წესით დამნაშავის გასამართლება ასე ძლიერ არის გავრცელებული ჩვენში. ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს ამ ტერმინის ეტიმოლოგია, ესე იგი მისი ისტორიული წარმომავლობა. ლინჩი იყო გვარი ამერიკელი პოლკოვნიკისა, რომელიც გასულ საუკუნეში ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლინჩი რასისტო იყო და მოითხოვდა, რომ ზანგი, რომელიც თეთრკანიანის წინააღმდეგ რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა, ადგილზევე დაესაჯათ გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე. ლინჩის სასამართლო არსებითად ბრბოს სასამართლოა.

ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევათა გავრცელება ამ ბოლო ხანებში იმას როდი ნიშნავს, თითქოს ეს მოვლენა საზოგადოდ ამერიკიდან შემოსულიყოს ჩვენში. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ლინჩის სასამართლო ჩვეულებრივ ჩაქოლვით მთავრდება, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება. ცნობილია, რომ ძველი ქართული, კერძოდ, ფშავური ჩვეულებითი სასამართლო იცნობდა სასჯელის ისეთ სახეს, როგორც არის ჩაქოლვა (ჩაქვაგება). ტელევიზიამ თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა ამ ბოლო დროს ლინჩის წესით გასამართლების რამდენიმე შემთხვევის ამბავი გვაუწყეს. ამაზრზენი იყო ამას წინათ ტელეეკრანიდან იმ შემზარავი სურათის ხილვა, თუ როგორ ეყარა ძირს ოთხი ახლადჩაქოლილი დამნაშავის გვამი. თუკი ფშავურ ჩვეულებით სამართალში დასჯის ეს წესი უძველესი დროიდან მომდინარეობდა და იმდროინდელი სამართლებრივი აზროვნებისათვის ბუნებრივი მოვლენა იყო, დღეისათვის დამნაშავის ადგილზე ჩაქოლვა სამწუხარო ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს.

უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გავცეთ ორ კითხვას: 1. რა არის იმის მიზეზი, რომ ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევები ასე ძლიერ გახშიდა ამ ბოლო დროს ჩვენში და 2. რამდენად გამართლებულია ეს მოვლენა თანამედროვე იურიდიული აზროვნებისა და მოქმედი კანონმდებლობის თვალსაზრისით?

ჩემი აზრით, ხსენებული მოვლენების ასე გახშირება გამოწვეულია, ერთი მხრივ, დანაშაულობის რიცხვის უსაშველოდ ზრდით და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტით. სახელმწიფო ხელისუფლება შესუსტებულია და ვეღარ

ერეკა მოზღვავებულ დანაშაულობას. მოსახლეობა ხედავს, რომ დანაშაულობის რიცხვის ზრდის შეენრება სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებით რითქმის შეუძლებელია. ამიტომ ხალხი ცდილობს ეს ვაკუუმი, ეს ხარვეზი, რაც დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შეიმჩნევა, თვითონ შეავსოს და უშუალოდ გაუსწორდეს დამნაშავეს.

ამ პროცესებზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ამჟამად საკანონმდებლო სფეროში სრული ქაოსია. როგორც ვიცით, ამას წინათ ხელისუფლებამ დამხობილი რეჟიმის დროს მოქმედი კონსტიტუციის შენერების სანაცვლოდ აღადგინა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციით სიკედილით დასჯა გაუქმებულია (იხ. მუხ. 19), მაშინ, როცა მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სასჯელის ეს ზომე კვლავ არსებობს. მართალია, ხელისუფლებამ 1921 წ. კონსტიტუციის აღდგენასთან ერთად გამოაცხადა, რომ მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი კონსტიტუციასთან, მაგრამ დღემდე ეს არ გაკეთებულა. ასე რომ, წინააღმდეგობამ მოქმედ კანონმდებლობასა და კონსტიტუციას შორის შეუძლია წარმოშვას გაუგებრობა პრაქტიკაში კანონის გამოყენების დროს. საერთოდ სიკედილით დასჯის აკრძალვა ათასგვარი გაუგებრობის წყაროდ შეიძლება იქცეს, თუკი კანონმდებლობა არ დააწესებს მის შემცველს.

რამდენად გამართლებულია ლინჩის წესით დასჯა? ამ კითხვას ჩვენ თავიდანვე უარყოფითად უნდა ეუპასუხოთ. სამწუხაროა, რომ ბევრი მოქალაქე ჩვენში ამ ღონისძიებას დამნაშავეს მიმართ გამართლებულად მიიჩნევს. დამნაშავეს სასტიკი დასჯა, ადგილზევე ჩაქოლვა, მათი აზრით, ამ დამნაშავეებს ახალი დანაშაულის ჩადენის საშუალებას მოუსპობს, ხოლო სხვებს შეაშინებს და ხელს ააღებინებს თავიანთ ავ ზრახვებზე. ფიქრობენ, რომ ისეთი დამნაშავე, რომელიც სჩადის მკვლელობას, გაუპატიურებას, ადგილზევე უნდა განადგურდეს, ამ საქმეს არ სჭირდება გამოძიება და სასამართლო.

სამწუხაროა, რომ ყურადღებას არავინ აქცევს იმ უარყოფით შედეგებს, რაც ლინჩის წესით დამნაშავეს დასჯას მოსდევს. საქმე ის გახლავთ, რომ ლინჩის წესით გასამართლების დროს ის ადამიანები, რომლებიც დამნაშავეს ჩაქოლვაში მონაწილეობენ, არსებითად მკვლევები არიან, ისეთივე მკვლევები, როგორც თვითონ ჩაქოლილი. მკვლევლობა არის ადამიანის

სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოსპობა, მიუხედავად იმისა, მსხვერპლი, ესე იგი მოკლული დამნაშავეა თუ უდანაშაულო. რაც უნდა მიძიმე დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი ადამიანს, მისი დასჯა მხოლოდ სასამართლოს უფლებაა. ასე რომ, ის, ვინც ლინჩის წესით დასჯისაკენ მოუწოდებს ადამიანებს, არსებითად მკვლელობის თანამონაწილეა (რასაკვირველია, მხედველობაში გვაქვს კონკრეტული პირის ჩაქოლებისაკენ მოწოდება). ერთი სიტყვით, თუკი ერთი დანაშაული ჩაქოლილმა ჩაიდინა, მეორე დანაშაულს თვითონ ჩამქოლაგები სჩადიან. ორივე მხარე დამნაშავეა. ამიტომ არის, რომ ჩაქოლების ყოველი ფაქტის გამო აუცილებლად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

იმის გამო, რომ ადამიანის ჩაქოლება სიცოცხლის მოსპობა და, მაშისადამე, მკვლელობაა, ყოველი ასეთი ფაქტი მკვლელობის რიცხვის ზრდას იწვევს. რაც შეეხება საზოგადოების დადებით დამოკიდებულებას ასეთი ფაქტების მიმართ, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება ამართლებს მკვლელობას. აქ მოთავარია არა ის, რომ გამართლება ხდება დამნაშავის ჩაქოლებისა, არამედ ყურადღება გადადის თვითონ ჩაქოლებაზე, რომ საზოგადოება ჩაქოლებას, ესე იგი მკვლელობას ამართლებს. ეს კი იწვევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სისასტიკის კულტის დანერგვას, შემწყნარებლობაზე უარის თქმას, ზნეობის გაუხეშებას, გასასტიკებას, რაც საზოგადოებაში ახალი დანაშაულის ჩადენის წყარო ხდება; ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას ვკადაგებდეთ. დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გამოყენებით ისე, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სისასტიკის კულტის დანერგვა არ ხდებოდეს.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ლინჩის წესით გასამართლებას. საქმე ის გახლავთ, რომ გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე ადამიანის ჩაქოლებას შეიძლება მოჰყვეს საბედისწერო შეცდომა. ჩაქოლების მსხვერპლი შეიძლება გახდეს სავსებით ალაღმართალი ადამიანი, ნამდვილი დამნაშავე კი მიიძალოს. ასე, რომ ლინჩის წესით დამნაშავის დასჯა გახლავთ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპის უხეში დარღვევა, რასაც გამოუსწორებელი შეცდომა შეიძლება მოჰყვეს.

## პრესა და მართლმსაჯულება

ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება ხოლმე დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი მასალები. ამ მასალებში უმთავრესად აღწერილია მკვლელობის, ყანალობის, ქურდობის, მექრთამეობის და სხვა მძიმე ბოროტმოქმედებათა შემთხვევები. მაგრამ, ჩემი აზრით, პრესა მათ გვერდით უფრო მეტად უნდა აშუქებდეს აგრეთვე იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში შეიმჩნევა. თუმცა არ ვიქნებით მთლად მარტალი, თუ ვიტყვი, რომ ზეენს პერიოდულ პრესაში ამ ხასიათის მასალებიც არ იბეჭდებოდა. ცხადია, რომ ასეთი წერილებიც იბეჭდება და ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც პრესას ყოველდღიურად ყურადღებით თვალს ადევნებს.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მუშაობის ნაკლი, მართლმსაჯულების ბუნების თავისებურების გამო, ორგვარი შეიძლება იყოს. როგორც ცნობილია, მართლმსაჯულების დანიშნულება სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს მდგომარეობს იმაში, რომ დამნაშავე შესაბამისად დაისაჯოს, ხოლო უდანაშაულო გამართლდეს. ამიტომ მართლმსაჯულების ორგანოს ერთი ნაკლთაგანი იმით შეიძლება გამოვლინდეს, რომ მან დამნაშავე არ დასაჯოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, იგი აშკარად ღმობიერად დასაჯოს.

მეორე მხრივ კი შეიძლება შეგვხვდეს ეგრეთ წოდებული უკანონო მსჯავრდების შემთხვევაც, როცა ნებისთ თუ უნებლიედ მრუდდება ხოლმე მართლმსაჯულება და ისჯება უდანაშაულო ადამიანი ან დამნაშავეს აშკარად იმაზე მეტს უსჯიან, რაც მას კანონით ეკუთვნის.

თუ ქართულ პერიოდულ პრესას ამ თვალსაზრისით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ პრესა მართლმსაჯულების ორგანოებს ძირითადად დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ მოუწოდებს. ამ მიზნით ზოგჯერ გამოითქმის ხოლმე საყვედური, რომ ესა თუ ის საქმე კარგად ვერ გამოიძიეს ანდა სასამართლომ დამნაშავის მიმართ გამოიჩინა ღმობიერება და არ დასაჯა იგი უფრო მკაცრად.

ხშირად კი პრესის მუშაკები გამოხატავენ კმაყოფილებას, რომ დამნაშავე საკადრისად დაისაჯა და სხვ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, სწორია და მისაღები. პრესა ამით აფრთხილებს იმას, ვისაც მრუდე გზით სიარული განუზრახავს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას სასჯელი არ ასცდება, ხოლო შესაბამისი სამსახურის მუშაკებს აფხიზლებს და ხელს უწყობს მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

მაგრამ პრესის მუშაკები არც უკანონო მსჯავრდების შემთხვევებს უნდა სტოვებდნენ უყურადღებოდ. ისინი მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობაში შემჩნეული ამ სახის ნაკლსაც გულდასმით უნდა ადევნებდნენ თვალყურს და პერიოდულად აშუქებდნენ პრესის ფურცლებზე. ამ მხრივ მართლაც რომ სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს გაზეთ "Известия"-ს შარშანდელ ნომერში (27.11.83 წ.) გამოქვეყნებული ვრცელი წერილი "Тснх одной ошнрки", რომელიც ბელორუსიაში მომხდარი ერთი გახმაურებული სასამართლო შეცდომის ამბავს აშუქებდა.

წელიწადნახევრის გამოძიების შემდეგ ბელორუსიის უმაღლესმა სასამართლომ ორი ადამიანის განზრახი მკვლელობისათვის სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ხუთ კაცს. ხალხი ამ განაჩენს უკმაყოფილოდ შეხვდა და მოითხოვა, რამდენიმე მათგანისათვის მაინც მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა. ის-ის იყო პროტესტის დაწერას აპირებდნენ განაჩენის აშკარა ლმობიერების გამო, რომ იმ მხარეში ახალი ტრაგედია დატრიალდა. ბოროტმოქმედებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოკლეს ორი საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი. გამოძიებამ დამნაშავეთა კვალს მიაგნო. დააპატიმრეს ხუთკაციანი ბანდა, რომელსაც ბევრი სხვა დანაშაულიც აღმოაჩინდა ჩადენილი. საუბედუროდ ისიც გამოირკვა, რომ წინა მკვლელობაც, რომლის გამოც ის-ის იყო პროტესტის დაწერას აპირებდნენ, რათა რამდენიმე კაცი მაინც სიკვდილით დაესაჯათ, ამ ბანდის ჩადენილი ყოფილა. მსჯავრდებულნი გამართლდნენ. როგორც წერილიდან ჩანს, მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი საეჭვო მასალებზე იყო დაფუძნებული.

რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აქედან? სასამართლოს რომ შეცდომა არ მოსვლოდა, ადვილი შესაძლებელია, ინსპექტორები დღესაც ცოცხლები ყოფილიყვნენ. რატომ? იმიტომ, რომ უტყუარი საბუთების უქონლობის გამო სასამართლო საქმეს კვლავ დამატ-

ებითი გამოძიებისათვის დააბრუნებდა (ერთხელ უკვე იყო დაბრუნებული), გამოძიება ისევ გაგრძელდებოდა და ნამდვილ მკვლევებს ალბათ მანამ მიაგნებდნენ, სანამ ისინი ამ ახალი დანაშაულის წადენას მოასწრებდნენ. გამამტყუნებელმა განაწესმა კი ყველა დაამშვიდა, ყველას თვითკმაყოფილების გრძნობა მოკვარა, მაშინ როცა ნამდვილ დამნაშავეებს თავისუფლად პარპაშის შესაძლებლობა მიეცათ. ხალხსაც და მართლმსაჯულების ორგანოსაც მთელი ყურადღება იქით ჰქონდათ გადატანილი, დაესაჯათ თუ არა სიკვდილით მსჯავრდებულები, რომელთა ბრალდება ძლიერ ეჭვებზე იყო დამყარებული, ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილი დამნაშავეები მოენახათ და თუნდაც თავისუფლების აღკვეთით დაესაჯათ.

მაშასადამე, უკანონო მსჯავრდება ზოგჯერ ორმხრივი ბოროტებაა. ერთი უმთავრესი ბოროტება უკანონო მსჯავრდებისა ის არის, რომ ირღვევა კანონიერება და ისჯება უდანაშაულო ადამიანი. მორეც ის, რომ ნამდვილი დამნაშავე დაუსჯელი რჩება, როგორც ეს ახლა დავინახეთ, და აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. ასე რომ, ამ შემთხვევების პერიოდულად გაშუქება პრესის ფურცლებზე უთუოდ სასარგებლოა. ისიც ხელს შეუწყობს შესაბამისი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას და კანონიერების განმტკიცებას. მეორე მხრივ, მსგავსი პუბლიკაციები დიდად საჭიროა ხალხის სამართლებრივი აღზრდისათვის. ამიტომ უთუოდ დასანანია, რომ ქართულმა პერიოდულმა პრესამ არ გადმობეჭდა "Известия"-დან დასახელებული წერილი.

სამაგიეროდ საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდანაც შეგვეპლო აგველო უკანონო მსჯავრდების ზოგიერთი შემთხვევა და თუნდაც სასამართლო ქრონიკის ფორმით გამოგვექვეყნებია. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1980 წ. 1 თებერვლის დადგენილებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1972 წ. 19 სექტემბრის განაწენი გ.მელიაგას და გ.გელაშვილის მიმართ, რომელთაგან პივრელს 10, მეორეს კი 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი განზრახი მკვლევლობისა და ყანალობისათვის. როგორც ვხედავთ, გამამტყუნებელი განაწენი დაუსაბუთებლად ყოფილა ძალაში შეიდი წლისა და ოთხოვენახევრის განმავლობაში და

მოკელი ამ დროის მანძილზე მსჯავრდებულები, სასჯელს იხდიდნენ შრომა-გამასწორებელ კოლონიაში.

თითქმის ოთხი წელი მიმდინარეობდა ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის ა. ცამციშვილის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურაში 1979 წ. ოქტომბერში ხულიგნობისა და განზრახი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით. 1980 წ. 10 იანვარს ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მას მოეხსნა მკვლელობის მცდელობის ბრალდება და მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე და 228-ე მუხლების მეორე ნაწილებით (სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება და ხულიგნობა). საოცარია, რომ ამ საქმემ ქ. თბილისის თითქმის ყველა სასამართლო მოიარა და მხოლოდ ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1983 წ. 15 აპრილის განაჩენით მოახერხა განსასჯელის მლიანად გამართლება. თითქმის ნახევარი წელიწადი უდანაშაულო ადამიანმა საპატიმროში გაატარა. დაიხარჯა უამრავი დრო და ენერგია, რაც უფრო სასარგებლო საქმეს უნდა მოხმარებოდა. მაინც ისეთი რა სირთულე ახლდა ამ საქმეს, რომ ჭეშმარიტების დადგენას თითქმის ოთხი წელი დაჭირდა?! აი, კითხვა, რამაც არ შეიძლება არ დააფიქროს პრესის მუშაკებიც ყველა ამგვარი საქმის გაცნობისას.

# რამდენიმე უენიშვნა პრესის

## კანონმდებლობის პროექტის გამო

ახლაჩან საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონმდებლობის პროექტი (იხ. “საქართველოს რესპუბლიკა“, 1990 წ. 30 დეკემბერი). ანალოგიური კანონი ცოტა ხნის წინათ მიღებული იქნა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. თუმცა ამ კანონის მოქმედება საქართველოში დღემდე არ იგრძნობა. ამიტომაც არის, რომ ზემოხსენებული კანონ-პროექტის გამოქვეყნება დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სამართლებრივ ცხოვრებაში. ბოლშევიკური რეჟიმის ბატონობის პირობებში, როგორც ცნობილია, არ არსებობდა თავისუფალი პრესა. ეს იყო ხანა, როცა ჟურნალ-გაზეთების რედაქციები თუ სხვადასხვა სახის გამომცემლობები ძლიერი პარტიული წნეხის ქვეშ მუშაობდნენ. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები იმ წლებში პარტიული ცენზურის მძლავრ მარწუხებში იყო მოქცეული.

უნდა ვივარაუდოთ, რომ განსახილველი პროექტის დაკანონების შემდეგ ამ მხრივ ვითარება ჩვენში არსებითად შეიცვლება და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა საქმიანობაც ახალ, ცივილიზებულ ლიანდაგზე გადავა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პროექტის პირველი მუხლი, რომელიც პრესის თავისუფლებას აცხადებს. ამ მუხლში ნათქვამია, რომ “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია“. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჟურნალ-გაზეთების საქმიანობის სფერო თვითნებობის ასპარეზად გადაიქცევა. პრესის თავისუფლება არ შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული. მაგალითად, მე-5 მუხლი, რომელიც პროექტის პირველ თავშია მოქცეული, კრძალავს მასობრივი ინფორმაციის საშუალების “ბოროტად გამოყენებას“. მუხლში მოცემულია ამ საშუალებათა “ბოროტად გამოყენების“ შემთხვევათა ამომწურავი ნუსხა (სულ ექვსი შემთხვევაა ჩამოთვლილი).

საგულისხმოა აგრეთვე, რომ პროექტის მე-3 თავში შეტანილია მუხლი, რომელიც “ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევებს“ ითვალისწინებს. ამ მუხლის თანახმად რედაქციას,



ეურნალისტს უფლება არა აქვს: 1) გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელსაც იძლევა პროკურორი, გამოძიებელი ან მომკვლევები პირი; 2) საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს ინფორმაცია არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის შესახებ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე; 3) წინასწარ განსაზღვროს სასამართლოს შედეგები ან სხვაგვარად მოახდინოს ზემოქმედება სასამართლოზე (იხ. მუხ. 23).

როგორც ვხედავთ, ორივე ჩვენს მიერ აქ დასახელებულ მუხლში მოცემულია იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომელთა გამო ინფორმაციის გავრცელება პრესის ორგანოებს ეკრძალებათ. ვფიქრობთ, ეს აკრძალვები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან. ამიტომ ხომ არ იქნებოდა მართებული, რომ ყველა აკრძალვა ერთ მუხლში ყოფილიყო მოქცეული?

ახლა, რაც შეეხება თვითონ აკრძალვებს. მაგალითად, პროექტის თანახმად, რედაქციას უფლება არა აქვს “საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს ინფორმაცია არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის შესახებ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე” (იხ. მ.23). მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით “არასრულწლოვანია” ის, ვისაც ჯერ თვრამეტი წელი არ შესრულებია. ამ ასაკის დამნაშავის საქმე კი სასამართლოში ჩვეულებრივ იხილება საჯარო, ღია სხდომაზე, სადაც ყოველ ეურნალისტს თავისუფლად შეუძლია დაესწროს და გააკეთოს ნებისმიერი ჩანაწერი. ერთადერთი გამონაკლისი, რომელსაც უშვებს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, არის თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის საქმე. ასეთი საქმე შეიძლება განხილული იქნას დახურულ სასამართლო სხდომაზე, რაც “დასაშვებია სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით” (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მ.).

ამავე მუხლის ძალით დახურულ სასამართლო სხდომაზე დასაშვებია აგრეთვე სქესობრივი ან სხვა ისეთი დანაშაულის საქმის განხილვა, რომლის მონაწილის ცხოვრების ინტიმური მხარის გამჟღავნება არ შეიძლება. ვფიქრობ, გარდა ამ შემთხვევებისა, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი ეურნალისტისათვის სასამართლო პროცესზე დასწრებისა და ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვა. ამიტომ სასურველად მიმაჩნია პროექტის

23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ასე ჩამოყალიბდეს: “საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს ისეთი დანაშაულის საქმის ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს დახურულ სხდომაზე იყო განხილული.”

პროექტის მე-2 მუხლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნებას განსაზღვრავს. ჩემი აზრით, ეს ცნება აქ ვიწროდ არის განსაზღვრული და არ მოიცავს სრულად ამ საშუალებებს. განსაკუთრებით ითქმის ეს პრესის ცნებაზე, რომელშიც პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, იგულისხმება მხოლოდ “პერიოდული პრესა”, რაც ვფიქრობ, ზუსტი არ არის.

პრესის კანონმდებლობა არ შეიძლება არეგულირებდეს მხოლოდ პერიოდული პრესის საქმიანობას და კანონგარეშე ტოვებდეს ისეთ ცალკეულ, არაპერიოდულ გამოცემებს, როგორცაა წიგნი (ბროშურა), ერთჯერადი გაზეთი, პროკლამაცია, ლოზუნგი, სხვადასხვა სააგიტაციო ფურცლები, ბუკლეტები (ხელოვნების, ტურისტული და სხვ.) და ა.შ.

მე-2 მუხლთან პირდაპირი კავშირი აქვს პროექტის 26-ე მუხლს, რომელშიც განსაზღვრულია პასუხისმგებლობის საფუძველი პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის. ამ მუხლში დადგენილია პასუხისმგებლობა “სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის”. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ნაგულისხმეია “ზეპირად” წარმოთქმული სიტყვა. მაგრამ ეს არ შეესაბამება მე-2 მუხლს პროექტისას, რადგანაც ეს მუხლი ზეპირად წარმოთქმულ სიტყვას არ მოიცავს. მაშასადამე, 26-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებისათვის, რაც პროექტის მიერ განსაზღვრული მასობრივი ინფორმაციის ცნებით მოცული არ არის.

ჩემი აზრით, სერიოზულ შენიშვნებს იმსახურებს პროექტის 21-ე მუხლი - ავტორთა მასალებისა და წერილების გამოქვეყნება. ამ მუხლის თანახმად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მასალების გამოქვეყნება “შეიძლება საავტორო უფლების დაურღვევლად”. საავტორო უფლებები, როგორც ვიცით, განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, მაგრამ ეს როდია აქ მთავარი. მთავარი და არსებითი არის ამ უფლებათა დაცვის გარანტიები, რომელიც დაწესებული უნდა იყოს პრესის კანონმდებლობით. მაგალითად, საავტორო სამართალი უფლებას აძლევს ავტორს გამოაქვეყნოს თავისი ნაწარმოები, მაგრამ

რედაქცია უარს ეუბნება დაბეჭდვაზე. უნდა ევალდებოდეს თუ არა რედაქციას, რომ დაუსაბუთოს წერილობით ავტორს თავისი უარი. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ავტორი, თუკი ეს დასაბუთება, მისი აზრით, უსუსურია და არადამაჯგერებელი. პროექტით ეს საკითხები საერთოდ არ არის რეგულირებული.

უფრო მეტიც. იმავე 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით “არავის არა აქვს უფლება დაავალდებულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალება გამოაქვეყნოს რედაქციის მიერ უარყოფილი მასალა.“ გამოდის, რომ ავტორი რედაქციის სრული მონა-მორჩილი ხდება და მას, რაც არ უნდა კარგი მასალა ჰქონდეს მიტანილი რედაქციაში, ამ მასალის დაბეჭდვა რედაქტორის ჭირვეულობაზე იქნება დამოკიდებული. ხომ არ ჰქმნის ეს მუხლი იმის საშიშროებას, რომ ცენზურა, რომელიც პროექტის პირველი მუხლით სრულიად გაუქმებულია, ახლა ცალკეულ რედაქციაში დაიბუდებს და ავტორის მიერ შემოთავაზებულ კრიტიკულ მასალას გაზეთის მკითხველამდე არ მიუშვებს? მე ვფიქრობ, ეს საკითხი სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

პროექტის ზოგიერთი მუხლი, ჩემი აზრით, მოითხოვს რედაქციულ დახვეწას. მაგალითად, მე-5 მუხლის გ.პუნქტი ასე იკითხება: “აკრძალულია ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა“. აქ გაუგებრობას გამოიწვევს უთუოდ ის საკითხი, თუ რომელ სიტყვას განსაზღვრავს “შეუწყნარებლობა“. ვთქვათ “ომის... შეუწყნარებლობის პროპაგანდა“ თუ “ომის პროპაგანდა“ აკრძალული პრესის ფურცლებზე? როგორც ჩანს, “ომის პროპაგანდა“. “სისასტიკის... შეუწყნარებლობის პროპაგანდა?“, აქაც “სისასტიკის შეუწყნარებლობის“ კი არა, “სისასტიკის პროპაგანდა“ უნდა აიკრძალოს. ჩავეყვით ქვემოთ. დარჩა სამი სიტყვა: “რასობრივი, ეროვნული, რელიგიური“. რომელ მათგანს ეკუთვნის შეუწყნარებლობა? რას ნიშნავს, მაგალითად, რელიგიური, ეროვნული, რასობრივი “შეუწყნარებლობის“ პროპაგანდა? შეიძლება გვითხრან, რომ ეს სიტყვა არ ეხება “რასობრივს“. მაშინ მივიღეთ: “აკრძალულია რასობრივი პროპაგანდა“. მაგრამ რომელ “პროპაგანდაზეა“ აქ ლაპარაკი, ამა თუ იმ რასის უპირატესობაზე თუ რასების თანასწორუფლებიანობის პროპაგანდაზე? ეს ტექსტიდან არ ჩანს. ასევე ითქმის “ეროვნულზეც“ და სხვ. ამიტომ იქნება აჯობებდა, რომ აქ ჩაგვეწერა: აკრძალულია “რასობრივი, ეროვნ-

ნული უპირატესობის ქადაგება“, ხოლო “რელიგიურის“ მიმართ კიდევ დავუიქრდეთ.

მეოთხე თავი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონმდებლობის დარღვევისათვის. აქ პირდაპირ არის ჩამოყალიბებული მუხლები, რომლებიც უნდა შევიდეს სისხლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსებში (იხ. მ.27,28). უმჯობესი იქნებოდა აქ ზოგადად განსაზღვრულიყო პასუხისმგებლობა, როგორც ეს 26-ე მუხლშია მოცემული. კონკრეტულ პასუხისმგებლობას კი უკვე იურისტები განსაზღვრავენ შესაბამის კოდექსებში პრესის კანონმდებლობის საფუძველზე.

განხილვის. დასასრულს, მინდა შევეხო პროექტის 32-ე მუხლს, რომელიც პრესის კანონმდებლობის კონტროლისა და განხორციელებისათვის სპეციალური კომისიის შექმნას მოითხოვს. ჩემი აზრით, ასეთი კომისიის შექმნა სრულიად ზედმეტია. ამ კანონის განხორციელებას კონტროლს გაუწევს მთელი საზოგადოება არა მარტო თვითონ პრესის კანონმდებლობის, არამედ სხვა სახის კანონების (სისხლის, სამოქალაქო და ა.შ.) დახმარებით. ზედმეტად მიმაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ “ამ კანონის მუხლები იმპერატიული ხასიათისაა და უნდა შესრულდეს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის კანონი“ (მ.32). კანონი, თუკი ის ნორმალურად არის დაწერილი და შესაბამისი წესის დაცვით არის გამოქვეყნებული, ყველა შემთხვევაში უნდა შესრულდეს. ამიტომ ამას საგანგებო აღნიშვნა აღარ უნდა დასჭირდეს.

# საჭიროა მეტი პროფესიონალიზმი

გაზეთ “თბილისის“ 1991 წლის 6 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით “მეტი საფუძვლიანობა, მეტი სიღრმე“, რომელსაც პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების კანონპროექტის შემდგენელი კომისიის სახელით ხელს აწერენ ანდრო ბედუკაძე, უნა შერაზადიშვილი და მამუკა წიკლაური. წერილის P.S. - ში ავტორები ეხებიან ჩემს პუბლიკაციასაც “რამდენიმე შენიშვნა პრესის კანონმდებლობის პროექტის გამო“ (“თბილისი“, 23 იანვარი, 1991 წ.). პასუხის ავტორები აღიარებენ, რომ ჩემი “წერილი საქმიანია და სწორ, მისაღებ შენიშვნებსაც შეიცავს“, რისთვისაც მადლობასაც კი მიხდებიან. ისინი არ ეთანხმებიან მხოლოდ ჩემს “ზოგიერთ მოსაზრებას“. ლაპარაკია იმ კრიტიკულ შენიშვნებზე, რომლებიც მე გამოვთქვი პროექტის რამდენიმე მუხლის მიმართ. ვინაიდან ეს შენიშვნები პროექტის ავტორებს დასაბუთებულად არ მიაჩნიათ, შევეცდები, ერთხელ კიდევ დავიცვა ჩემი პოზიცია დამატებითი არგუმენტების მოშველიებით.

ჩემი პირველი შენიშვნა პროექტის მიმართ, რომელსაც პასუხის ავტორები არ ეთანხმებიან, პრესის ცნებას შეეხება. პროექტის მიხედვით, პრესის ცნება მხოლოდ პერიოდულ გამოცემებს მოიცავს. ასევეა განსაზღვრული ეს ცნება საბჭოთა კავშირის 1990 წლის 12 ივნისის კანონით (მუხ. 2). მე ვწერდი, რომ ეს ცნება ვიწროა და არ მოიცავს ისეთ ცალკეულ არაპერიოდულ გამოცემებს, როგორცაა, მაგალითად, “წიგნი (ბროშურა) ერთჯერადი გაზეთი, პროკლამაცია, ლოზუნგი, სხვადასხვა სააგიტაციო ფურცლები, ბუკლეტები (ხელოვნების, ტურისტული და სხვ.) და ა.შ.“

ამის საპასუხოდ ჩემი ოპონტენტები წერენ: “ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ ამჯერად საქმე გვაქვს კანონთან, რომელიც განსაზღვრავს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების საქმიანობას და არა ბეჭდვითი სიტყვისას საერთოდ. ამიტომ უადგილო და გაუგებარი იქნებოდა, რომ მასში შესულიყო მუხლები წიგნის (ბროშურის), ბუკლეტის, პროკლამაციისა თუ ლოზუნგის შესახებ“.

ამ მსჯელობიდან ისე გამოდის, თითქოს, “პრესა“ და “ბეჭდვითი სიტყვა“ სხვადასხვა ცნებები იყოს. პრესის კანონპროექტის შემამუშავებელი კომისიის წევრებს არ უნდა შეეშალოთ,

რომ რუსული "печатъ" იგივეა, რაც "პრესა", ხოლო "печатъ"-ს ქართული შესატყვისია "ბეჭდვითი სიტყვა". ეს ტერმინები კონსტიტუციური სამართლის ტერმინებია. ამიტომ, თუ კონსტიტუციის ტექსტს ჩაეხედავთ, დავინახავთ, რომ რუსულ ტექსტს "... гарантируются свободы: слова, печати, собраний... შეესაბამება ქართული ტექსტი: "მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების..." თავისუფლება (იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 48).

საგულისხმოა ისიც, რომ "პრესის კანონი" დასავლეთის ქვეყნებში არეგულირებს არა მარტო პერიოდულ პრესას, არამედ ცალკეულ გამოცემებსაც. ასეა გაგებული პრესის ცნების მოცულობა გერმანულ კონსტიტუციურ სამართალში. მაგალითად, პ. შლინკი ასე განმარტავს დასავლეთ გერმანიის 1949 წ. კონსტიტუციის მე-5 მუხლს (პრესის თავისუფლება): "პრესის ცნება მოიცავს გასავრცელებლად ვარგის და განსაზღვრულ ყოველ ნაბეჭდ პროდუქციას. ამ თვალსაზრისით, შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევა სამხარეო პრესის კანონთა საკანონმდებლო დეფინიციები. მათი მიხედვით, პრესას მიეკუთვნება არა მარტო პერიოდულად გამოშვებული ნაბეჭდი პროდუქცია (გაზეთები, ჟურნალები) არამედ აგრეთვე ისეთიც, რომელიც ერთჯერად იბეჭდება, როგორცაა, ვთქვათ, წიგნი, პროკლამაცია, სააგიტაციო ფურცელი და პლაკატი" (პ. შლინკი: სახელმწიფო სამართალი 11, გერმანულ ენაზე, 1989 გვ. 147). ანალოგიურად არის გაგებული პრესის ცნება შვეციის კანონმდებლობაშიც.

ერთი არგუმენტიც: პროექტის თანახმად, მოქალაქეს უფლება აქვს "მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას მოსთხოვოს პატივისა და ღირსების შემლახავი" მასალის უარყოფა (იხ. მუხ. 22). ვთქვათ, ასეთი ცნობა გამოქვეყნდა წიგნში. ისე გამოდის, რომ ეს შემთხვევა პროექტის 22-ე მუხლის მოქმედების სფეროში ვერ მოექცევა.

ჩემს პუბლიკაციაში კრიტიკულად არის შეფასებული, აგერთვე, პროექტის 21-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად "არავის არა აქვს უფლება დაავალდებულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალება გამოაქვეყნოს რედაქციის მიერ უარყოფილი მასალა". მე ვწერდი: "საავტორო სამართალი უფლებას აძლევს ავტორს გამოაქვეყნოს თავისი ნაწარმოები, მაგრამ რედაქცია უარს ეუბნება დაბეჭდვაზე. უნდა ევალდებოდეს თუ არა რედაქციას, რომ დაუსაბუთოს წერილობით ავტორს თავისი

უარი“. პროექტის ავტორები აქაც თავს იმართლებენ და ამტკიცებენ, თითქოს 22-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმებს სრულყოფა არ აკლია. მათი თქმით, ამა თუ იმ მასალის გამოქვეყნება რედაქტორის “გუნება-განწყობილებაზე არ არის დამოკიდებული“. ამის შემდეგ ავტორები დაწვრილებით აღწერენ, თუ რა გზას გაივლის ნაწარმოები რედაქციაში, ვიდრე მისი გამოქვეყნების საკითხი გადაწყდებოდეს. “რედაქციაში შემოსულ მასალას, წერენ ისინი - თავდაპირველად ეცნობა ლიტმუშაკი, შემდეგ - განყოფილების გამგე, რედაქტორის მოადგილე, ბოლოს - რედაქტორი. გარდა ამისა, ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს დაწუნებული მასალის სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე განხილვა და ბოლოს, მომჩივან ავტორს საშუალება ექნება მიმართოს პრესის კანონის დაცვისა და განხორციელების კომისიას“. კეთილი და პატიოსანი, რომ ამდენი უფლებები ჰქონია ავტორს, მაგრამ რომელი კანონით აქვს ეს უფლებები მას გარანტირებული? პროექტში ამის მსგავსი არაფერია. ამიტომ ეს უფლებები კვლავ ჰაერში გამოკიდებული რჩება. როგორც აქამდე იყო. ცნობილია, მაგალითად, ის ამბავი, რომ წიგნი, რომელიც გამომცემლობაში გამოდის, წინასწარ აუცილებლად იგზავნება რეცენზირებისათვის. თუკი რეცენზია უარყოფითია, წიგნის დაბეჭდვაზე უარს ამბობენ. ვფიქრობ, ანალოგიური წესი უნდა გაერცვლდეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებზეც, მაგრამ ეს კანონით უნდა იყოს რეგლამენტირებული. ჩემი მომდევნო კრიტიკული შენიშვნა, რომელსაც პასუხის ავტორები არ ეთანხმებიან, შეეხება პროექტის მე-9 თავს, სადაც ნათქვამია, რომ უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია პრესის კანონის დაცვისა და განხორციელების თვალყურის სადევნებლად. მე ასეთი კომისიის შექმნა ზედმეტად მიმაჩნია. პასუხის ავტორთა ძირითადი არგუმენტი ის გახლავთ, რომ ასეთი ორგანოები გვხვდება “დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში“. ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ, რასაკვირველია, არაფერი გვეთქმის. თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სხვაგვარი წესიც არსებობს. მაგალითად, შვეციის კანონმდებლობით, პრესის კანონის დაცვას თვალყურს ადევნებს იუსტიციის კანცლერი. მომავალში, ალბათ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ტრადიციას დავამკვიდრებთ. თუ ასეა, მაშინ იქნებ ჩვენთვისაც უმჯობესი იყოს, რომ პრესის კანონის დაცვაზე თვალყურის დევნება დაეკისროს იუსტიციის მინისტრს.

# კრიტიკული შენიშვნები პრესის

## კანონის გამო

30 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონი. იგი გამოქვეყნებისთანავე შევიდა ძალაში. ამ კანონის მიღებამდე პრესის საქმიანობა საქართველოში რომელიმე სპეციალური ნორმატიული აქტით არ წესრიგდებოდა. ასეთი მდგომარეობის მოთმენა კი დღევანდელ პირობებში შეუძლებელი იყო. თავის დროზე ხსენებული პროექტი საჯარო განხილვისათვის იყო გამოქვეყნებული. სამწუხაროდ, კანონის ტექსტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი არსებითად დაუმუშავებელია და ამის გამო ფრიად სერიოზულ კრიტიკულ შენიშვნებს იმსახურებს.

1. დავიწყოთ კანონის მე-4 მუხლის “ა” პუნქტის განხილვით. აქ ნათქვამია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ “სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება“. გამოდის, თითქოს სხვა სახის საიდუმლოების გამჟავნება პრესის ფურცლებზე სავსებით ნებადართული იყოს ანუ ჟურნალისტს უფლება ჰქონდეს პრესის ფურცლებზე გაახმაუროს სამხედრო, გამოძიების, შეილად აყვანის საიდუმლოება და ა.შ. აქ ჩამოთვლილ საიდუმლოებათა გამჟღავნება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულადაც კი არის გამოცხადებული. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125<sup>1</sup> მუხლით ისჯება შეილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე, ხოლო 201-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა გამოძიების საიდუმლოების გახმაურებისათვის.

ერთი სიტყვით, პრესის კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსს შორის აშკარა წინააღმდეგობაა. მის აღმოსაფხვრელად დასახელებული ტექსტი დაახლოებით ასე უნდა შესწორდეს: “მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ: ა) სახელმწიფო ან კანონით დაცული სხვა სახის საიდუმლოების გამჟავნება“, როგორც ეს საბჭოთა კავშირის 1990 წ. 12 ივნისის პრესის კანონშია მოცემული (იხ. მ.5).



2. იმავე მე-4 მუხლის ძალით მასობრივი ინფორმაციის სა-  
შუალებებს ეკრძალებათ აგრეთვე “არსებული სახელმწიფო და  
საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ  
მოწოდება“ (იხ. პ. “ბ“). მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ  
აკლია სიტყვა “ძალადობით“, რომლის გარეშე კანონის ეს  
ტექსტი სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის  
უხეში დარღვევაა, ამის უფლება კი ხსენებულ კანონს არ ჰქონდა.

არ შეიძლება ადამიანს ავუკრძალოთ იმის მოწოდება, რომ  
შეიცვალოს “არსებული სახელმწიფო და (უნდა იყოს “ან“) საზო-  
გადოებრივი წყობილება “ძალადობის“ გარეშე, ესე იგი  
კონსტიტუციური გზით. ამიტომ საკვებით უნდა დავეთანხმოთ  
საბჭოთა კავშირის პრესის კანონის მე-5 მუხლის ფორმულირე-  
ბას: “Недопускается использования средств массовой информации  
для призыва к насильственному свержению или изменению обще-  
ственного строя”.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ განსახილველი კანონის  
პროექტში შესაბამისი მუხლი ამ მხრივ სრულყოფილად იყო ჩამო-  
ყალიბებული. იქ სიტყვა “ძალადობით“ თავის ადგილას იყო  
ჩასმული (იხ. პროექტი, მ.5 პ. “ბ“). როგორც ჩანს, ეს ცვლილება  
შემთხვევითი არ უნდა იყოს.

განსახილველი კანონის ამ ნაკლზე უკვე იყო გამახვილებუ-  
ლი ყურადღება პრესაში (იხ. ვ. ყვავილაშვილი “სიტყვა,  
რომელიც ვერ ითქვა სესიაზე“, ი.მამალაძე - “იმედის მომცემია  
პრესის შესახებ კანონი, თუ უიმედობის დამამკვიდრებელი?“,  
გაზ. “დრონი“, 1991, №36). ამ ავტორებმა სწორად შენიშნეს კან-  
ონის ეს ნაკლი. მაგრამ მათ მსჯელობაში სხვაგვარ უზუსტობას  
ვხედავთ. ხსენებულ ავტორებს მიუჩნევიათ, თითქოს ამას შეიძ-  
ლება მოჰყვეს ჟურნალისტის დასჯა სისხლის სამართლის წესით.

კანონის ამ მუხლით ვერავის მისცემენ სამართალში და ვერ  
დასჯიან პრესის ფურცლებზე ხელისუფლების კონსტიტუციური,  
ესე იგი არაძალადური გზით შეცვლისათვის მოწოდების გამო-  
ქვეყნების გამო. ეს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის საქ-  
მეა. თუკი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით  
არ არის დაწესებული პასუხისმგებლობა ზემოთ დასახელებული  
მოწოდებისთვის, მაშინ პრესის კანონის ამ მუხლით არავის ემუქ-  
რება დასჯის საშიშროება. მე-4 მუხლის დღევანდელი რედაქცია  
შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას გააუქმოს გაზეთი,

თუკი მის ფურცლებზე ორჯერ მაინც გამოქვეყნდება ზემოთ დასახელებული მოწოდება (იხ. კანონის მე-12 მ.). ასე რომ, მე-4 მუხლის არასწორი ფორმულირება მხოლოდ პრესის თავისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ამ კანონის მიხედვით “ეკრძალებათ... ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა“ (იხ. მ.4, პ. “გ“). თუ ამ ტექსტს ყურადღებით დავაკვირდებით, ადვილად შევნიშნავთ, რომ აქ სიტყვა “შეუწყნარებლობის“ თავის ადგილას არ ზის. ამიტომ ამ ტექსტით ის აზრია გამოხატული, რომ “აკრძალულია ომის ან სისასტიკის შეუწყნარებლობის პროპაგანდა“, მაშინ, როცა სწორედ პირიქით უნდა იყოს. “ომის ან სისასტიკის შეუწყნარებლობის პროპაგანდა“ აკრძალული კი არა, პირიქით, ნებადართული უნდა იყოს და ასეც არის ყოველ ნორმალურ საზოგადოებაში. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო.

როგორც ეტყობა, პროექტის ავტორებს უსარგებლიათ საბჭოთა კავშირის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა 1990 წლის 12 ივნისის კანონის ტექსტით; რომლის მე-5 მუხლი სწორედ ამ საკითხს ეხება. აი, ეს ტექსტიც “Не допускается использование средств массовой информации для... пропаганды войны, насилия и жестокости, расовой, национальной, религиозной исключительности или нетерпимости...”

აქ, როგორც ვხედავთ, სიტყვა “პროპაგანდას“ მოსდევს იმ ქმედებათა ჩამოთვლა, რომელთა ჩადენის პროპაგანდა კანონით “არ დაიშვება“, ხოლო “შეუწყნარებლობა“ ბოლოშია მოქცეული. ამიტომ აზრი დალაგდა და ყველაფერი გასაგები გახდა. დასახელებული რუსული ტექსტი ასე უნდა ითარგმნოს ქართულად: “არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება... რასობრივი, ეროვნული, რელიგიური განსაკუთრებულობის ან შეუწყნარებლობის, აგერთვე; ომის, ძალადობის და (ან) სისასტიკის პროპაგანდისათვის“... ვფიქრობ, განსახილველი კანონის შესაბამისი მუხლის ტექსტიც დაახლოებით ამის მიხედვით უნდა ჩასწორდეს.

4. კანონის მე-4 მუხლით მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ეკრძალება “ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულს“ (იხ. პ. “დ“). ეს ფორმულირება მეტად ბუნდოვანია და ამის გამო ის შეიძლება

ბევრი გაუგებრობის წყაროდ იქცეს ჟურნალისტურ პრაქტიკაში. როგორ უნდა გაიგოს, ვოქვათ, გაზეთის ან სატელევიზიო გადაცემის რედაქტორმა, მის მიერ რედაქტირებული და გამოქვეყნებული ინფორმაცია ნამდვილად უწყობს თუ არა ხელს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას? თანაც, ხელშეწყობა შეიძლება ორნაირი იყოს: პირდაპირი (განზრახვი) და არაპირდაპირი (გაუფრთხილებლობითი). კანონის დასახელებულ ტექსტში კი არაფერია ნათქვამი, კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის გამოქვეყნება ეკრძალება პრესას. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იგულისხმება არა მარტო ის ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას, არამედ ისიც, რომელიც არაპირდაპირ, რედაქტორის განზრახვის მიუხედავად, იწვევს ამას. ამ უკანასკნელი სახის ინფორმაციის სფერო კი იმდენად ფართოა, თუკი მის გამოქვეყნებას ავკრძალავთ, პრესა საერთოდ ვეღარ იმუშავებს, რადგან ყოველმა მეორე ან მესამე ინფორმაციამ არაპირდაპირ შეიძლება შეუწყოს ხელი დანაშაულის ჩადენას. ვოქვათ, ტელეეკრანიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მავანმა და მავანმა ლატარიის ბილეთით მოიგო რაიმე ძვირადღირებული ნივთი. ხომ შეიძლება, ამ ინფორმაციამ ვინმეს აღუძრას გადაწყვეტილება, თავს დაესხას დასახელებულ პიროვნებას და წაართვას ეს ნივთი? მკითხველი ალბათ დარწმუნდება, რომ მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

საიდან განჩნდა განსახილველ კანონში მე-4 მუხლის “დ” პუნქტი? იგი საბჭოთა კავშირის 1990 წ. 12 ივნისის ზემოთ დასახელებული კანონის მე-5 მუხლის ტექსტის ანარეკლია. ამ მუხლში ნათქვამია: “Не допускается использование средств массовой информации для... пропаганды, распространения порнографии, в целях совершения иных уголовно наказуемых деяний”. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია გაზეთის გამოყენების დაუშვებლობაზე “პორნოგრაფიის გავრცელების, სხვა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენის პროპაგანდის მიზნით”. ვფიქრობ, მე-4 მუხლის “დ” პუნქტი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: “მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის პროპაგანდისათვის”.

5. მე-12 მუხლის თანახმად “მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით დაირღვა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები”... აქ

არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა განმეორდეს ეს დარღვევა. ეთქვათ, დარღვევა განმეორდა შვიდი, რვა ან ათი წლის შემდეგ. უნდა შეჩერდეს ან შეწყდეს თუ არა ამ შემთხვევაში გაზეთის საქმიანობა? რასაკვირველია, ეს მიზანშეწონილი არ იქნება. ამიტომ ვადის მითითება აქ აუცილებელი იყო. თანამედროვე საკანონმდებლო გამოცდრწლებით, ანალოგიური დარღვევის გამეორებისათვის მიღებულია ერთწლიანი ვადა (იხ. საბჭოთა კავშირის პრესის კანონის მე-13 მ.). ამის მიხედვით მე-12 მუხლის შესაბამისი ტექსტი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: “თუ ერთი წლის განმავლობაში გამეორებით დაირღვა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები...”

6. კანონის მე-20 მუხლში ვკითხულობთ: “მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რედაქციას მოსთხოვოს პიროვნების შეურაცხყოფელი მასალის უარყოფა“. აშკარაა, ამ კანონის ტექსტის ავტორიც არ არის იურისტი, რადგან მას არ სცოდნია, რომ “პიროვნების შეურაცხყოფელი მასალის უარყოფა“ არ შეიძლება. შეურაცხყოფა იქნება, მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როცა პრესის ფურცლებზე მავანს და მავანს უწოდებენ “ქურდს“, “მექრთამეს“ და ა.შ. როგორ უნდა უარყო ეს? ხომ ვერ იტყვი, მე ეს არ დამიწერიაო. შეურაცხყოფისთვის მხოლოდ მობოდიშება შეიძლება.

სინამდვილეში აქ სულ სხვა რამე არის ნაგულისხმევი. ამ მუხლის ტექსტში ნათქვამი უნდა იყოს არა “შეურაცხყოფელი მასალის უარყოფაზე“, არამედ პიროვნების ან ორგანიზაციის პატივისა და ღირსების შემლახველი ისეთი ცნობის უარყოფაზე, რომლის ნამდვილობასაც გაზეთი ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალება, რომელმაც ეს ცნობა გაავრცელა, ვერ დაამტკიცებს. ისეთი ცნობის გავრცელება, სინამდვილეს რომ არ შეეფერება, და ამავე დროს პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახველია, შეიძლება სულაც არ იყოს შეურაცხყოფა ან ცილისწამება, რომლებიც ყოველთვის განზრახი მოქმედებებია. რაც შეეხება არასწორი ცნობის გავრცელებას, ის შეიძლება მოხდეს რედაქციის და ავტორის დაუდევრობითაც.

განსახილველი კანონის მე 20-ე მუხლის სრულყოფილი ფორმულირება ადვილად შეიძლებოდა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის დახმარებით, რომლითაც დაცულია პიროვნებისა და ორგანიზაციის პატივი და

ღირსება. ამ მუხლის თანახმად, “თუ მოქალაქის ან ორგანიზაციის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გავრცელებულია პრესაში და სინამდვილეს არ შეეფერება, მათი უარყოფა პრესის საშუალებით უნდა მოხდეს“. თუ პრესა ამ უარყოფაზე უარს იტყვის, მაშინ მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

7. ასევე უნდა შესწორდეს კანონის 25-ე მუხლის ტექსტიც, სადაც ლაპარაკია პასუხისმგებლობაზე მოქალაქის ან ორგანიზაციის “განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის“. ჯერ ერთი, აქ სიტყვა “განზრახ“ უადგილოდ არის ნახმარი, რადგან “შეურაცხყოფა“ და “ცილისწამება“, როგორც ვთქვით, ყოველთვის განზრახი მოქმედებებია. ტექსტში სიტყვა “განზრახის“ შეტანა ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ამ მოქმედებების ჩადენა გაუფრთხილებლობითაც შეიძლებოდეს, რაც წარმოუდგენელია. მეორეც, პრესის კანონში “შეურაცხყოფისა“ და “ცილისწამების“ ცნებათა შეტანა საჭირო არ არის, რადგან მათი ადგილი მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია. პრესის კანონში, როგორც ახლა ვნახეთ, ლაპარაკი უნდა იყოს მხოლოდ პიროვნების ან ორგანიზაციის პატივისა და ღირსების შემლახველი არასწორი ცნობის გავრცელებაზე.

8. 26-ე მუხლში ნათქვამია: “თუ სახელმწიფო ან სახელმწიფო ორგანოები არღვევენ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების კანონს, მათ წინააღმდეგ შეიძლება აღიძვრას სისხლის სამართლის საქმე“.

კითხულობ ამ სტრიქონებს და არ გინდა დაიჯერო, რომ ეს პარლამენტის მიერ დაკანონებული ტექსტია. მართალია, საქართველოს უზენაეს საბჭოში იურისტები თითზე ჩამოსათვლელნი არიან, მაგრამ იმის შესაძლებლობა მაინც იყო, რომ ამ კანონის პროექტი რამდენიმე კვალიფიციური იურისტისთვის მიეცათ წინასწარ გასაცნობად. მაშინ ხომ განსახილველ ტექსტში ასეთი ლაფსუსები აღარ გაიპარებოდა. განა შეიძლება სახელმწიფოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა? სად, რომელ ქვეყანაში ხდება ასეთი რამ? როგორ უნდა დავსვათ სახელმწიფო განსასჯელის სკამზე?

სისხლის სამართლის წესით არც სახელმწიფო ორგანოების დასჯა შეიძლება. დანაშაულის სუბიექტი, ესე იგი ის, ვისაც დანაშაულის ჩადენა შეუძლია, თანამედროვე სამართლებრივი სის-

ტემების მიხედვით, არის მხოლოდ პიროვნება, ადამიანი და არა იურიდიული პირი სახელმწიფო ორგანოს, თუ სხვა დაწესებულების სახით. კანონი ამ საკითხშიც ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს. ამიტომ ეს მუხლი საერთოდ ზედმეტია და იგი ამოღებული უნდა იქნეს კანონიდან.

9. გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, კანონს აქვს სხვა არსებითი ხასიათის ხარვეზებიც, რომელთა უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. მაგალითად, პროექტში იყო ასეთი ნორმა: რედაქციას, ჟურნალისტს უფლება არა აქვს “წინასწარ განსაზღვროს სასამართლოს შედეგები ან სხვა გვარად მოახდინოს ზემოქმედება სასამართლოზე” (იხ. მ23, პ. “ვ“). ამ ნორმის შეტანა კანონში, რასაკვირველია, აუცილებელი იყო, თუმცა მას სჭირდებოდა ერთგვარი დახვეწა. კერძოდ, მე ვაყენებდი წინადადებას, რომ ეს მუხლი ასე ჩამოყალიბებულიყო: ჟურნალისტს უფლება არა აქვს “წინასწარ განსაზღვროს სასამართლოს განხილვის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინოს ზემოქმედება სასამართლოზე გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე” (იხ. გაზეთი “სმა ერისა“, 1991 წ. №3).

სამწუხაროდ, ამ ნორმას ვერც დახვეწილი და ვერც დაუხვეწელი სახით კანონის ტექსტში ვერ გხვდავთ, რაც მისი უდიდესი ნაკლია. თანამედროვე კანონი არ შეიძლება არ იცავდეს სასამართლოს პრესის ზეგავლენისაგან მართლმსჯულების განხორციელების დროს.

კანონის ეს ხარვეზი პრესას საშუალებას აძლევს თავისი უფლად გამოაქვეყნოს ისეთი პუბლიკაციები, რომლებიც ბრალს სდებენ მავანსა და მავანს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში ჯერ კიდევ განაჩენის გამოტანამდე. არც ერთ მოქალაქეს არა აქვს არავითარი გარანტია იმისა, რომ ეს პუბლიკაციები არ მოახდენენ ზეგავლენას სასამართლოზე და არ დაირღვევა ადამიანის უფლებები.

მე არ მეგულება დღეს არც ერთი ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც არ იცავდეს სასამართლოს პრესის უარყოფითი ზეგავლენისაგან. ამიტომ კანონის ეს ხარვეზი დაუყოვნებლავ უნდა გამოსწორდეს.

10. ამ კანონის ერთ-ერთი არსებითი ხარვეზი გახლავთ აგრეთვე ის, რომ იგი არ აწესებს პრესის ან მასობრივი ინფორ-

მაცის სხვა საშუალების მიერ პიროვნებისათვის მიყენებული მორალური ზიანის მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას. მორალური ზიანისათვის მატერიალური ანაზღაურება მოქალაქეს აძლევს მყარ გარანტიას აქტიურად დაიცვას თავი პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან.

ბოლო ხანებში მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურების პრინციპი თანდათანობით მკვიდრდება ყოფილი საბჭოური რესპუბლიკების კანონმდებლობაში. ამას წინათ ბალტიისპირეთში პრუნსკენეს საქმეზე სასამართლომ პრესის ერთ-ერთ ორგანოს 25 000 მანეთი დააკისრა გადასახდელად. მეტიც, ამ პრინციპს ახლა თვით საბჭოთა კავშირის 1990 წლის 12 ივნისის პრესის კანონიც კი აღიარებს (იხ.მ.39).

ჩვენ უზრადლება გავამახვილეთ კანონის ძირითად ნაკლოვანებებზე. კანონის ტექსტს, ამას გარდა, აქვს სხვა ნაკლიც. გვხვდება ზოგიერთი ტერმინოლოგიური უზუსტობა, რომელთა განხილვითაც აქ მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ. შეიძლება ვინმემ იკითხოს: ნუთუ ამ კანონში ყველაფერი უარყოფითია, არაფერი დადებითი და მისაღები არ არისო? რასაკვირველია, კანონს დადებითი მხარეებიც აქვს, მაგრამ იქ, სადაც ამდენი არსებითი ნაკლია, ამ დადებით მხარეებსაც უკვე ფასი ეკარგება.

# პრემის თავისუფლება და

## «იბერია-სპექტრის» საქმე

1992 წ. 13 ივლისი მნიშვნელოვან თარიღად შევა თანამედროვე ქართული პრესის ისტორიაში. ამ დღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ რესპუბლიკის გენერალური პროკურორის განცხადების საფუძველზე განიხილა გაზეთ “იბერია-სპექტრის” საქმე. საქართველოს უზენაეს სასამართლოში ასეთი პროცესი პირველად ჩატარდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ხსენებულმა პროცესმა საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა, რაც აისახა კიდევ პრესის ფურცლებზე. ამ პროცესით არსებითად დაიწყო ახალი ეტაპი ჩენი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ცხოვრებაში. ამოქმედდა პრესის კანონმდებლობა, რომელიც შარშან პარლამენტმა მიიღო...

კომუნისტური რეჟიმის სამოცდაათწლიანი ბატონობის განმავლობაში, როცა პრესა ჩვენში პარტიული ცენზურის უმკაცრეს მარწუხებში იყო მოქცეული, ცხადია, ასეთი რამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი გახლდათ. ტოტალიტარული რეჟიმის დროს პრესის საქმიანობა არ შეიძლება გახდეს სასამართლოს განსჯის საგანი. მაშინ არ არსებობდა პრესის თავისუფლება და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა საქმიანობა არავითარი ნომრატული აქტით არ წესრიგდებოდა. ყოველი გაზეთის ან ჟურნალის რედაქცია პარტიის დასტურით იქმნებოდა და მკაცრად იყო პოლიტიზირებული. რედაქტორი პარტიულ ორგანოსთან შეთანხმებით ინიშნებოდა და პასუხსაც მის წინაშე აკებდა. იმ შემთხვევაში, თუ გაზეთის ფურცლებზე იდეოლოგიურად ან პარტიული ხელმძღვანელობისათვის სხვა რამე არასასურველი პუბლიკაცია მოხვდებოდა, მაშინვე რედაქტორს პარტიულ ბიუროზე დაიბარებდნენ, კარგა მაგრა შეახურებდნენ და პარტიულ სასჯელს დაადებდნენ. ეს სასჯელი ზოგჯერ თანამდებობიდან გათავისუფლებასაც კი გულისხმობდა. ასე წარმოიშვა ჩვენში რედაქტორი-ცენზორის ფიგურა. ყოველი რედაქტორი, ამავე დროს, უმკაცრესი ცენზორიც იყო, რადგან, რაც უფრო მკაცრად დაიცავდა ის თავისი გაზეთის თუ ჟურნალის ფურცლებზე პარტიულ პრინციპებს, მით უფრო დიდხანს შეინარჩუნებდა თანამდებობას.

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონი, რომელიც პრესის



თავისუფლების გარანტს წარმოადგენს. ჟურნალისტთა კორპუსის ზოგიერთ წარმომადგენელს ჰგონია, თითქოს კანონი ზღუდავს პრესის თავისუფლებას. ვინც სამართლის ელემენტარულ პრინციპებს იცნობს საზოგადოდ, მან უნდა იცოდეს, რომ უფლება და თავისუფლება არ არსებობს ვალდებულების გარეშე. ვალდებულება კი, რასაკვირველია, თავისუფლების შეზღუდვაა. მაგრამ უნდა გავარკვიოთ, თუ რომელ თავისუფლებაზეა აქ ლაპარაკი. აქ ლაპარაკია ისეთ თავისუფლებაზე, რომელიც პრესის ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. მაშასადამე, პრესის ყოველი ორგანო თავისუფალია, მაგრამ რედაქცია, ამავე დროს, ვალდებულია არ გამოიყენოს ეს თავისუფლება ბოროტად. პრესის ფურცლებზე შემიძლია თავისუფლად გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ვალდებულება მეკისრება პრესა არ გამოვიყენო ვინმეს ცილისწამებისათვის, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის, ომის პროპაგანდისათვის და ა. შ. ცხადია, ეს ვალდებულება კანონით ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული. კომუნისტური რეჟიმის დროს თანაფარდობა პრესის თავისუფლებასა და ვალდებულებას შორის დარღვეული იყო პრესის თავისუფლების სასარგებლოდ. პრესა თავისუფალი იყო მხოლოდ პარტიული ორგანოსათვის, პიროვნების უფლებებს კი არ იცავდა, რადგანაც არ არსებობდა კანონით გარანტირებული ისეთი ვალდებულება, რომელიც პრესის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას შეზღუდავდა. ამიტომ პრესის თავისუფლება თვითნებობაში იყო გადაზრდილი.

პრესის თავისუფლება თავის სათავეს ჯერ კიდევ 1787 წლის ამერიკის კონსტიტუციიდან იღებს. დიდი ბიძგი მისცა პრესის თავისუფლებას აგრეთვე 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ. მაქსიმოილიან რობესპიერი თავის 1791 წლის 22 აგვისტოს გამოსვლაში, რომელიც პრესის თავისუფლებას შეეხებოდა, ამბობდა: “არ არის პრესის თავისუფლება იქ, სადაც რომელიმე ნაწარმოების ავტორი განიცდის თვითნებურ დევნას“. სიტყვა “თვითნებური“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ რედაქციის ყოველგვარი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. სწორედ ასეთ თვითნებურ დევნას განიცდიდა პრესა კომუნისტური რეჟიმის დროს, რადგანაც მაშინ პრესის თავისუფლება არ იყო დაფუძნებული კანონზე.

მე-19 საუკუნეში, მართალია, რუსეთი იმპერიას წარმოადგენდა და მაშინ იქ დემოკრატიაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, მაგ-

რამ პრესა ამ დროს რუსეთში გაცილებით უფრო თავისუფლად სუნთქავდა, ვიდრე კომუნისტური რეჟიმის დროს. საგულისხმოა ამ მხრივ გასული საუკუნის ოთხმოცდამეათე წლების ერთი მაგალითი. 1884 წელს გაზეთ “დროების” რედაქტორი ივანე მანაბელი რამდენჯერმე წარსდგა სასამართლოს წინაშე. პირველად იგი სამართალში მიუციათ ქაიხოსრო გელოვანის კორესპონდენციისათვის, რომელიც “დროებაში” დაიბეჭდა. ქ.გელოვანი სხვადასხვა დანაშაულისათვის ბრალსა დებდა რაჭის ბოქაულს ალექსანდრე წულუკიძეს, რომელმაც გაზეთის რედაქტორს და კორესპონდენტს სასამართლოში უწივლა. 23 სექტემბრის სხდომაზე სასამართლომ მხარეები შეარიგა.

ამის შემდეგ “დროებაში” დაბეჭდა ქ.გელოვანის ახალი კორესპონდენცია, რომლითაც მხილებული იყო ქუთაისის სასულიერო სემინარიის ყოფილი ზედამხედველი ფხაკაძე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და მექრთამეობაში. ფხაკაძემ ივანე მანაბლისა და ქ. გელოვანის წინააღმდეგ საქმე სასამართლოში აღძრა. ამავე დროს ბოქაულმა წულუკიძემ მათ მიმართ კვლავ განაახლა საქმე სასამართლოში და მოითხოვა რედაქტორისა და კორესპონდენტის დასჯა. საბოლოოდ საქმე იმით დამთავრებულა, რომ სასამართლომ ივანე მანაბელსა და ქ. გელოვანს წულუკიძის მიერ წარდგენილი ბრალდება მოუხსნა, ხოლო ფხაკაძის საქმეზე ორივე მათგანს ფულადი ჯარიმა დააკისრა (იხ. ვ. სიდამონიძე, ივანე მანაბელი სამსჯავროს წინაშე, ჟურ. “საბჭოთა სამართალი“, 1976, №2, გვ.53).

ასეთია ისტორია. დღეს შეიძლება ბევრს გაუკვირდეს “იბერია-საქეტრის” საქმის სასამართლოში გადაცემა. ეს იმის ბრალია, რომ ნვენ ახალი გამოსულები ვართ კომუნისტური რეჟიმიდან, სადაც, როგორც ვთქვით, მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა. მაგრამ მომავალში პრესის თავისუფლების გაღრმავების კვალობაზე ასეთი საქმეები გახშირდება. საზოგადოებაც უფრო მეტად გამოფხიზლდება და ნენი სამართლებრივი კულტურაც განვითარდება და დაიხვეწება.

თავდაპირველად გაისმა ხმები საზოგადოებაში, თითქოს “იბერია-საქეტრის” დახურვის საფრთხე ემუქრებოდა. ამ ხმების გავრცელებას ხელი შეუწო იმანაც, რომ პროკურატურის ზოგიერთი წარმომადგენელი გამოვიდა პრესის ფურცლებზე და დაიწყო “იბერია-საქეტრის” არსებითი კრიტიკა. თანაც გაზეთ “დროის” ერთ-ერთ ინფორმაციაში ნათქვამია: “რესპუბლიკის გენერალური

პროკურორის ვახტანგ რაზმაძის თქმით, ეს გაზეთები (“იბერია-სპექტრი“ და “თავისუფალი საქართველო“) მისი ბრძანებით აიკრძალა. საქმე სასამართლოში გადაიწვია, რადგან, გენერალური პროკურორის აზრით, ამ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები ხელს უწყობს დესტაბილიზაციას და პოლიტიკური ვითარების შექმნას გამწვავებას“ (იხ. პროკურორის ბრძანებით, “დრონი“, 3 ივლისი, №26).

საგულისხმოა აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს 14 ივლისის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გაცნობა, რომლებიც გაზეთ “იბერია-სპექტრს“ შეეხება. იქ ითქვა, რომ სწორად მოიქცა სასამართლო, როცა არ დახურა გაზეთი და მიხლოდ რედაქტორის დაჯარიმებით დაკმაყოფილდა. თითქოს ყველა გამომსვლელი კანონის დაცვას მოითხოვდა, მაგრამ არავინ უშუალოდ არ შეხებია კანონის კონკრეტულ მუხლს. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ არც ისინი, ვინც პრესის ფურცლებზე ამ საკითხს ეხებიან, და არც ისინი, ვინც სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გამოდიოდნენ, პრესის კანონს არ იცნობდნენ.

საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონს, რომელიც 1991 წლის 10 აგვისტოს იყო მიღებული პარლამენტის მიერ, ბევრი არსებითი ხასიათის ნაკლი აქვს. ამ საკითხს მე შარშან საკმაოდ ვრცელი კრიტიკული წერილი მიუძღვენი, რომელიც გაზეთ “დრონის“ 1991 წლის 15 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა. მაგრამ ჯერჯერობით იგი მოქმედი კანონია და ჩვენც ვალდებული ვართ ამ კანონით ვიხელმძღვანელოთ. გაზეთი “იბერია-სპექტრი“ შეიძლება ბევრს აღიზიანებდეს. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. გულახდილად რომ ვთქვა, ეს გაზეთი არც მე მომწონს და არც შეიძლება მომწონდეს. მე მას პროვინციულ გაზეთად ვთვლი. მიმართულება, რომელიც ამ გაზეთმა აირჩია. მე უფრო ზიანის მომტანად მიმაჩნია ახალი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისათვის, ვიდრე სიკეთისა, რაც გამოვხატე კიდევ ამასწინათ პრესის ფურცლებზე (იხ. ჩემი წერილი - საქართველოა ჩვენი სალოცავი, გაზეთი “ხმა ერისა“, 1992 წ. №13). მაგრამ საკითხავია, იძლევა თუ არა კანონიერ საფუძველს გაზეთის დახურვისათვის ის, რასაც მას საყვედურობენ.

პრესის კანონის მე-12 მუხლით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით დაირღვა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები ან

იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა დაკავშირებულია მატერიალურ ზარალთან, რამაც შეიძლება დააზიანოს საქართველოს რესპუბლიკა. ვინაიდან “იბერია-სექტრის“ ირგვლივ ატეხილი დავა რაიმე “მატერიალურ ზარალთან“ არ არის დაკავშირებული, აუცილებელია გაგარკვიოთ, რა მოთხოვნებს უყენებს ამ კანონის მე-4 მუხლი პრესის ორგანოს.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად “მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ: ა) სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება; ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება; გ) ომის, სისხსტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა; დ) ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულს; ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პიროვნების ღირსების ხელყოფა“. აი სწორედ ამ მუხლის მიხედვით უნდა შემოწმდეს გაზეთის ნომრები. საგულისხმოა ისიც, რომ კანონის მე-4 მუხლის დარღვევა განმეორებით უნდა მოხდეს, რათა სასამართლოს საფუძველი მიეცეს რედაქციის საქმიანობის შეწყვეტისათვის. ამიტომ პროკურატურას უნდა გადაეწყვიტა ის საკითხი, თუ როგორ გავიგოთ განმეორებითი დარღვევა: საქიროა თუ არა პირველ დარღვევაზე იყოს სასამართლოს ან სხვა ორგანოს მხრივ რაიმე რეაგირება, რათა მეორე დარღვევა გახდეს გაზეთის დახურვის საფუძველი.

ყურადღებას იპყრობს გაზეთ “თავისუფალი საქართველოს“ 1992 წლის 20 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ზვიად გამსახურდიას “მიმართვა გვარდიისადმი“, რომელიც ხელისუფლების დამხობის პირდაპირი მოწოდებით მთავრდება. მაგრამ, ვინაიდან ეს მოწოდება პირველი შემთხვევაა, პრესის კანონის მიხედვით ის არ არის საკმარისი გაზეთის საქმიანობის არც შეჩერების და არც შეწყვეტისათვის. სხვა რაიმე ზემოქმედება გაზეთის რედაქციაზე ასეთ დროს კანონით გათვალისწინებული არ არის, რაც კანონის უეჭველ ნაკლად უნდა იქნეს მიჩნეული.

კანონის მე-12 მუხლის თანახმად გაზეთის საქმიანობის შეჩერების უფლება აქვს იმ ორგანოს, რომელმაც იგი რეგისტრაციაში გაატარა. ასეთი ორგანოა იუსტიციის სამინისტრო (იხ. მუხ.მე-7). არსად კანონში ნათქვამი არ არის, რომ პროკურატურას შეუძლია გაზეთის საქმიანობის შეჩერება. ამიტომ პროკურა-

ტურის მიერ გაზეთ “იბერია-საექტრის“ საქმიანობის შესწერება არ ემყარება პრესის კანონმდებლობას.

კანონის 27-ე მუხლის მიხედვით “მასობრივი ინფორმაციის საშუალებით პროდუქციის შექმნა და გავრცელება, თუ იგი რეგისტრაციაში არ არის გატარებული, იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - 1000 მანეთამდე ჯარიმას, რომელსაც სასამართლო აკისრებს რედაქციას...” ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ შეიძლება რედაქციას დაეკისროს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მსგავსად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც პერსონალურად მხოლოდ პიროვნებას, ამ შემთხვევაში რედაქტორს ეკისრება. ამიტომ სასამართლომ სწორად გაიგო კანონის ნამდვილი აზრი და გადაწყვეტილებით ჯარიმა რედაქციას კი არა, “იბერია-საექტრის“ რედაქტორს დააკისრა.

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო კიდევ ერთ საკითხს. გაზეთ “საქართველოს“ ფურცლებზე ბატონ ნოდარ ნათაძის რეკომენდაციით დაიბეჭდა გაზეთ “თავისუფალი საქართველოს“ რედაქციის თანამშრომელთა მიმართვა საქართველოს ოფიციალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი. მე აქ არ შევუდგები ამ მიმართვის ტექსტის განხილვას, მაგრამ ის მაინც უნდა ითქვას, რომ ტექსტის ავტორთა წუწუნს, ასე და ასე გვექცევა ხელისუფლება და გვაგვიწროვებსო, არავითარი კავშირი არა აქვს პრესის თავისუფლების პრინციპის დარღვევასთან. მიმართვის ტექსტში ნათქვამია, რომ ოფიციალური პირები მივიდნენ ხსენებული გაზეთის რედაქტორის დასაპატიმრებლად. ცხადია, მივიდოდნენ და ვერც გაამტყუნებ პროკურატურის თანამშრომლებს ამ საკითხში. საქმე ის გახლავთ, რომ გაზეთ “თავისუფალი საქართველოს“ 20 მაისის ნომერში დაიბეჭდა ყოფილი პრეზიდენტის მოწოდება ხელისუფლების დამხობისათვის. 24 ივნისს კი, ე.ი. ოთხი დღის შემდეგ გამსახურდიას მომხრეები იარაღით შედიან და იკავებენ ტელევიზიის შენობას, რის გამოც აღმრულია სისხლის სამართლის საქმე. რა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ გაზეთში დაბეჭდილი მოწოდება გამოძიებას 24 ივნისის მოვლენებთან დაეკავშირებინოს. ასეთი გაზეთის რედაქტორის საქმიანობას არცერთი დემოკრატიული ქვეყნის გამოძიება არ დატოვებს უყურადღებოდ. შესაძლებელია კანონის საფუძველზე იგი ეჭვმიტანილის სახით კიდევ დააკავონ შესაბამისი დროის განმავლობაში.

# გაზეთი «ცხოვრება და კანონის» ორი

## წლისთავის ბაგო

“ცხოვრება და კანონი“ პირველი ქართული იურიდიული გაზეთია. იგი ორი წლის წინ დაიბადა. მისი დამფუძნებელი საქართველოს იურისტთა კავშირი გახლდათ. გაზეთის პირველი ნომერი 1990 წ. 26 მაისს მიიღო მკითხველმა. დღეს ამ გაზეთის ორმოცდამეათე ნომერი გამოდის. ამჟამად იგი იურისტთა კავშირთან აღარ არის და დამოუკიდებელ გაზეთად ითვლება.

ჩვენს გაზეთს მეტად რთულ პირობებში მოუხდა დაბადება და ფეხის ადგმა. მართალია, ბოლო წლების პოლიტიკურმა ცხოვრებამ ერთგვარი პირობები შექმნა პრესის თავისუფლებისათვის, მაგრამ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა როგორმე კვლავ შეეზღუდა ახლადმოპოვებული თავისუფლება და პრესა ისევ მოექცია პარტიულ ჩარხებში. ამ პროცესში პრესის მუშაკთა დიდი შემოთება და უკმაყოფილება გამოიწვია. პრესის ზოგიერთი ორგანო არ დაემორჩილა ხელისუფლების დიქტატს და განაგრძობდა დამოუკიდებელი კურსით სვლას.

მაშინ “ცხოვრება და კანონიც“ უყოყმანოდ ჩადგა პრესის იმ ორგანოთა რიგში, რომლებიც მთავრობის რეაქციულ კურსს არ დაემორჩილა, და მას შემდეგ ამ კურსის ერთგული რჩება. მკითხველი, რომელიც თვალს ადევნებს ჩვენს გაზეთს, ამას ალბათ თვითონ დაგვიდასტურებს.

“ცხოვრება და კანონი“ დაფუძნებიდანვე თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა და კვლავ იმავე გზას ადგას, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, დაამკვიდროს დემოკრატიის, სამართლიანობის პრინციპები. ამის ერთგვარი პირობები კვლავ შეიქმნა ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ. მართალია, პრესის თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიები ჩვენში მაინცდამაინც მყარი არ არის, რაც მომავალში აუცილებლად უნდა განმტკიცდეს, მაგრამ დღეს ამ თავისუფლების ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება პრესის ორგანოებისადმი.

თუმცა პრესის თავისუფლების პრინციპი თვითმიზნად როდი უნდა ვაქციოთ, ის ბოროტად კი არ უნდა გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი პრესის თავისუფლებას იმაში ხედავს, რომ ყოველგვარი საჭიროების გარეშე უპირისპირდება ხელისუფლებას, უსაფუძვლოდ ცდილობს მისი სახელის გატეხას. ისინი ჩქმილავენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს გამსახურდაის რეჟიმის დროს. არაფერს ამბობენ არც იმ ტერორისტულ აქტებზე, რომლებსაც ძველი რეჟიმის მომხრეები ასე ხშირად სწადიან დღეს საქართველოში, რათა სიძნელებები შეუქმნან ახალ

ხელისუფლებას. რაჭომ ჰგონიათ მათ, თითქოს ეს ტერორისტული აქტები მხოლოდ ხელისუფლებას ურთულებს საქმეს და მიიმე ტვიითად არ აწვება მთელი საქართველოს მოსახლეობას? არა მგონია მათ ეს არ იცოდნენ. ამას ისინი კარგად ხედებიან, მაგრამ მათ ეროვნული, მთელი საქართველოს ინტერესი როდი ამომრავებთ. მათთვის მთაკარია პირადი, ჯგუფური ინტერესები. ამ ადამიანებს მხოლოდ ძველი რეჟიმის აღდგენა სურთ, რისთვისაც არაფერს არ ერიდებიან. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დღეს პირადი ანგარიშსწორების დრო არ არის. დღეს საქართველო ურთულეს მდგომარეობაშია. მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება. ამიტომ ყოველგვარი პირადული გვერდზე უნდა გადავდეთ და უნდა გავერთიანდეთ. ყოველგვარ პარტიულ დაჯგუფებას ანუ “უჯრა-უჯრად” დაყოფას, როგორც ილია იტყოდა, ახლა უნდა მოვეშვათ და უნდა შევძლოთ ურთიერთთანხმობის მიღწევა. აი, ასე უნდა გავიგოთ ამჟამად პრესის თავისუფლება. თუმიცა ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს ცალკეული პიროვნებები ან პარტიები, თუნდაც ხელისუფლების ორგანოები პრესის კონტროლის გარეშე დარწმუნ და მათ შეცდომებზე აღარაფერი ვთქვათ. პირიქით, მათი კრიტიკა, როცა ისინი არ ემსახურებიან საერთო ეროვნულ მიზნებს, აუცილებელია პრესის ფურცლებზე, გაზეთი “ცხოვრება და კანონი” ასეთი კრიტიკის მომხრეა, ასე ესმის მას პრესის თავისუფლების პრინციპი, რაც არერთხელ დაუმიტკიცებია წრსულშიც.

“ცხოვრება და კანონი”, როგორც იურიდიულმა გაზეთმა, ხელი უნდა შეუწყოს ხალხის სამართლებრივ აღზრდას. იგი ყოველმხრივ უნდა დადგეს დაჩაგრულის შემწედ და მფარველად, ყოველნაირად ეცადოს დაიცვას ადამიანის პატივი და ღირსება. ჩვენი გაზეთი ყოველთვის ეცდება, რაც შეიძლება შეზღუდოს და შეხუთოს ბოროტება და დაიცვას ადამიანის უფლებები. “ჭეშმარიტი თავისუფლება ამბობდა ილია - მიჯნების განზე გადაგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა. დიდი მოვალეობა პრესისა, მისი დეაწლი, გლეხისა და თავადა-ახნაურის, ან მიდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევეა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომია მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოვდებია...”

გაზეთი “ცხოვრება და კანონი” განუხრელად დაიცავს ამ დიდი წინაპრის მიერ შექმნილ ტრადიციებს. მით უმეტეს, რომ ჩვენი გაზეთის დასახელება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან არის ნახესხები. თავისთავად ეს ფაქტი უბრალო ნასესხობს როდი ნიშნავს, არამედ იმის აღმნიშვნელია, რომ გაზეთი მტკიცედ ადგას იმ სწორ გზას, რომელიც დიდმა ილიამ ქართულ პრესას ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში დაუსახა.

# პრესა და სამართალი

## პირველი ნაწილი

კომუნისტური რეჟიმის დროს პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი ცენზურის მძლავრ მარწუხებში იყო მოქცეული. თუმცა ტერმინი “ცენზურა“ მაშინ არ გამოიყენებოდა, რადგან იგულისხმებოდა, რომ ცენზორი რევოლუციამდელი რუსეთისა და თანამედროვე დასავლეთის ეგრეთ წოდებული ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის იყო დამახასიათებელი. კომუნისტურ რეჟიმს ამით სურდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა კავშირში პრესის თავისუფლება არ იზღუდებოდა. ერთი სიტყვით, ეს ტერმინი განდევნილი იყო ხმარებიდან პოლიტიკური იდეოლოგიური მოსაზრებებით.

პრესის სავალალო მდგომარეობა ხსენებული რეჟიმის დროს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მაშინ ჩვენში არსებობდა ორმაგი ცენზურა. პირველი იყო იურიდიული ცენზურა, ხოლო მეორე იდეოლოგიური. იურიდიულ ცენზურას ახორციელებდა სპეციალური დაწესებულება, რომელიც საქართველოში ცნობილი იყო “მთავლიტის“ (“მთავარი ლიტერატურული სამმართველო“) სახელწოდებით. ეს დაწესებულება თავისი დებულების საფუძველზე უწევდა კონტროლს პრესის ორგანოებს. პრესისათვის განსაკუთრებით სულისშემხუთველი იყო იდეოლოგიური ცენზურა, რომელსაც პარტიული ორგანოები ახორციელებდნენ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არსებობდა საყოველთაოდ ცნობილი აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება. სწორედ ამ განყოფილებას ევალებოდა თვალყურის დევნება პრესისათვის. ეს ცენზურა იდეოლოგიური კი იყო, მაგრამ არსებითად იგი ბიუროკრატიული აპარატის ხელში პრესის თვითნებური გამოყენების საუკეთესო საშუალებად იქცა. ამ აპარატის მეშვეობით თავისუფლად იზღუდებოდა ყოველგვარი ჯანსაღი კრიტიკა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა იდეოლოგიასთან. ამ სტრიქონების ავტორსაც არაერთხელ უწევნია ამ ცენზურის სუსხი. მახსოვს ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინ ერთ-ერთ გაზეთში მივიტანე გამოსაქვეყნებლად წერილი, რომლითაც ვამხელდი იმ უხემშეცდომებს, “საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ გამომცემლებს რომ მოუვიდათ. როგორც მითხრეს, წერილის



დაბეჭდვას რეკომენდაცია არ მისცეს პროპაგანდის განყოფილებაში. ეს წერილი შემდეგ ჟურნალ “სახელმწიფოსა და სამართლის“ 1990 წ. №1-ში გამოქვეყნდა.

ასე იყო თუ ისე, კომუნისტური რეჟიმის დროს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა საქმიანობაზე მკაცრი ცენზურა იყო დაწესებული. პრესის საქმიანობა მაშინ არავითარი კანონით არ წესრიგდებოდა. მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირში დაწყებულმა ეგრეთ წოდებულმა “პერესტროიკის“ ეპოქამ, რომელსაც შედეგად პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია მოჰყვა, აშკარად შეასუსტა ცენზურის ზემოქმედება პრესის ორგანოებზე. სწორედ ცენზურის შესუსტება და ამით პრესის რეალური განთავისუფლება იყო ის ძირითადი საშუალება, რომლითაც საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია ხორციელდებოდა. თუმცა “პერესტროიკის“ იმ ეტაპზე პრესის თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიები ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მაქვს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც საგანგებოდ პრესის საქმიანობას მოაწესრიგებდა. თუმცა სისხლის და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში ჯერ კიდევ “პერესტროიკის“ დაწყებამდე შეტანილი იყო ცალკეული მუხლები, რომლებითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების მეოხებით კერძო პირის ან დაწესებულების პატივისა და ღირსების შელახვისათვის. მაგალითად, საქართველოს 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილით გაძლიერებული პასუხისმგებლობა დაწესდა ისეთი შემთხვევისათვის, როცა ჩადენილია “ცილისწამება ნაბეჭდ ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებებში“. “სხვაგვარი ხერხით გავრცელებაში“ შეიძლება ვიგულისხმოთ რადიოთი ან ტელევიზიით გავრცელება ცილისმწამებლური მოაჭორისა. მომდევნო 138-ე მუხლის მეორე ნაწილით ასევე გაძლიერებული პასუხისმგებლობაა დაწესებული შეურაცხყოფისათვის “ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით“. რასაკვირველია, ხსენებული მუხლებით პასუხისმგებლობა დაეკისრება არა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, არამედ პიროვნებას, ადამიანს, ვინც პრესა გამოიყენა სხვისი ცილისწამებისა ან შეურაცხყოფი-

სათვის. ამ ორგანოებმა შეიძლება პასუხი აგონ მხოლოდ სამოქალაქო წესით. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა პასუხისმგებლობა მოქალაქის ან ორგანიზაციის პარტივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისათვის სამოქალაქოსამართლებრივ კანონმდებლობაში საბჭოთა კავშირში პირველად შემოდის 60-იანი წლების დასაწყისიდან. ეს მოხდა 1961 წ. 8 დეკემბრის კანონით (საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები), რომლის საფუძველზე შემუშავდა საქართველოს 1964 წ. 26 დეკემბრის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი. ამ მუხლის თანახმად “თუ მოქალაქის ან ორგანიზაციის პარტივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გავრცელებულია პრესაში და სინამდვილეს არ შეეფერება, მათი უარყოფა პრესის საშუალებითვე უნდა მოხდეს.” იმ შემთხვევაში, თუ პრესა არ გამოაკვეყნებს უარყოფას, მაშინ დაზარალებულ მხარეს შეუძლია ამავე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიტანოს სასამართლოში. ეს იყო და ეს. ამით ამოიწურებოდა პრესისა და სამართლის ურთიერთობა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისამდე. მაგრამ ეს კანონიც კი პრესაზე არსებითად ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა და ამიტომ პიროვნება მაშინ სრულიად დაუცველი იყო პრესის თვითნებობისაგან. საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩემი თოთხმეტწლიანი მუშაობის პერიოდში მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსოვს, როცა გაზეთის წინააღმდეგ მოქალაქემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. თუ არ ვცდები, ეს მოხდა ქუთაისში. მაგრამ სასამართლომ მოქალაქეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. უმადლესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. საზოგადოდ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოქალაქეები იშვიათად მიმართავდნენ სასამართლოს, რადგან პრესის წინააღმდეგ სასამართლოში ნივთი უპერსპექტივო საქმედ ითვლებოდა. კომუნისტური რეჟიმის დროს პრესა პარტიული იყო და ამიტომ მის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანა არსებითად პარტიულ ორგანოსთან შეჯახებას ნიშნავდა, რასაც არცერთი სასამართლო არ იკისრებდა.

კენზურის შესუსტებამ და პრესის ფაქტიურმა გათავისუფლებამ, ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან რომ დაიწყო საბჭოთა კავშირში, თანდათანობით მოაწვივა და დღის წესრიგში

დააკენა პრესის კანონმდებლობის მიღების საკითხი. ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ პრესის თავისუფლება არ გადაზრდილიყო თვითნებობაში. უფლება და თავისუფლება, თუ მათ მეორე მხრივ არ უპირისპირდება გარკვეული ვალდებულება, აღარ არიან სამართლებრივი კატეგორიები და შიშველ ძალად იქცევიან. პრესის თავისუფლება არ ნიშნავს თვითნებობას. თავისუფლებას საზღვარი უნდა ჰქონდეს და ეს საზღვარი უნდა დააწესოს კანონმა, რომელმაც უნდა განსაზღვროს პრესის უფლება-მოვალეობანი. პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც საბჭოთა კავშირში პრესის საქმიანობას აწესრიგებდა, ეს იყო პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა 1990 წ. 12 ივნისის კანონი. მაგრამ ამ საკანონმდებლო აქტს რაიმე უშუალო ზეგავლენა ქართული პრესის საქმიანობაზე აღარ მოუხდენია, რადგან მაშინ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი უკვე დაწყებული იყო, რასაც შედეგად მოჰყვა საკავშირო კანონების ქმედუნარიანობის თანდათანობითი შესუსტება საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედებს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა 1991 წ. 10 აგვისტოს კანონი. ამ კანონს თავიდანვე დიდი ნაკლი დაჰყვა, რასაც მე თავის დროზე კრიტიკულად გამოვეხმაურე პრესის ფურცლებზე (იხ. ო.გამყრელიძე, “კრიტიკული შენიშვნები პრესის კანონის გამო“, გაზ. “დრონი“, 1991 წ. 15 ნოემბერი). მიუხედავად იმისა, რომ წემს კრიტიკულ შენიშვნებს დღემდე არც პრესაში გამოქაშებია ვინმე და არც კანონი შეუსწორებიათ ამ შენიშვნების მიხედვით, კანონი კანონია და ვალდებული ვართ ვიმოქმედოთ მის საფუძველზე. ხსენებული კანონის პირველი მუხლით გამოცხადებულია საქართველოს რესპუბლიკაში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა თავისუფლება და მათ მიმართ ცენზურის დაუშვებლობა. მეორე მხრივ, კანონი აწესებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პასუხისმგებლობას მინიჭებული თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის. ეს პასუხისმგებლობა დაწესებულია კანონის მე-12 მუხლით, სადაც ვკითხულობთ, რომ “მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეიძლება შეწყდეს ან შეწყდეს, თუ გამეორებით დაირღვა ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნები ან იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა დაკავშირებულია მატერიალურ ზარალთან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს რესპუბლიკას“.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ეკრძალება: ა) სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება; ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების (ძალადობით) დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება; გ) რასობრივი, ეროვნული, რელიგიური განსაკუთრებულობის ან შეუწყნარებლობის, აგრეთვე ომის, ძალადობის ან სისასტიკის პროპაგანდა; დ) სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების წადენის პროპაგანდა; ე) მოქალაქის პირად ცხოვრებაში წარევა, მისი პიროვნების ღირსების ხელყოფა; ვ) პორნოგრაფიის, უზნეობის პროპაგანდა.

თუკი კანონის ამ მუხლებს კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ პრესისა და სამართლის ურთიერთობაში ორმა ძირითადმა საკითხმა უნდა მიიქცეოს წვენი ყურადღება: 1) რამდენად არის გარანტირებული სახელმწიფოს მიერ პრაქტიკულად კანონით გამოცხადებული პრესის თავისუფლება და 2) მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხომ არ იყენებენ ბოროტად კანონით გარანტირებულ თავისუფლებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პრესის თავისუფლება ხომ არ გადადის თვითნებობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული კანონი აცხადებს პრესის თავისუფლებას და აწესებს ცენზურის აკრძალვას, როგორც წინა რეჟიმის, ისე დღევანდელი ხელისუფლების მიმართ მაინც გაიხმოდა და დღესაც გაიხმის ხოლმე საყვედურები, რომ საქართველოში იზღუდება პრესის თავისუფლება. რასაკვირველია, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კანონით რაიმეს დეკლარირება არ კმარა, თუკი მისი განხორციელება რეალურად არ იქნა სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ცხოვრებაში. მაგალითად, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ეწერა, რომ “საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლება (იხ. საქართველოს სსრ 1978 წ. 15 აპრილის კონსტიტუცია, მუხ.48). სინამდვილეში ეს იყო ფიქცია, ვინაიდან არავითარი რეალური გარანტია პრესის თავისუფლებისა კომუნისტურ საქართველოში არ არსებობდა.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმ პერიოდის პრესაზე, როცა ჩვენში 1991 წ. 10 აგვისტოს კანონმა დაიწყო მოქმედება. თუმცა პრესის ფაქტიური გათავისუფლება მანამდე უკვე რეალურად

ხორციელდებოდა, მაგრამ განსაკუთრებით ამ კანონის მიღების შემდეგ საქართველო თითქმის წალეკა თავისუფალმა პრესამ. მართალია, წინა რეჟიმის დროს საკმაოდ ბევრი ოფიციალური გაზეთი გამოდიოდა, თავისუფალი პრესა მაინც თანდათანობით იკაფავდა გზას. რაც შეეხება დღევანდელ საქართველოს, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ხელისუფლებას არცერთი ოფიციალური პრესის ორგანო არ გააჩნია (თუკი “პარლამენტის უწყებებს“ არ მივიღებთ მხედველობაში). არავინ ფიქრობს იმაზე, რომ იურიდიულად ეს ყოფილად გაუმართლებელია. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ ოპოზიციონერებმა, “საქართველოს რესპუბლიკა“ ოფიციალური გაზეთიაო, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს ასე არ არის. “საქართველოს რესპუბლიკა“, სამწუხაროდ, თავისუფალი გაზეთია. ამიტომაც არის, რომ მის ფურცლებზე კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის გამოქვეყნება ვერ ჩაითვლება ოფიციალურ გამოქვეყნებად და ამით ეს აქტები ვერ შეიძენენ იურიდიულად სამოქმედო ძალას. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა, რაზედაც აქ საუბარს აღარ გავაგრძელებ.

მართალია, ცენზურა კანონით უკვე აიკრძალა, მაგრამ მართალ სიტყვას ჩვენში პრაქტიკულად კვლავ დიდი დაბრკოლებები ეღობება ხოლმე წინ. ჩვენში ჯერაც არ გახუნიებულია და აღბათ დიდხანს არ გახუნდება ის ხალხური სიბრძნე, რომ მართლის მოქმედს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს. ისტორიულად პრესის თავისუფლების ტრადიციების უქონლობამ, რასაც კომუნისტური ცენზურის სამოცდაათწლიანი ფარფალიც დაემატა, სრულიად გადააგვარა და გააუხეშა ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც ვეღარ იტანს ვერავითარ თავისუფალ აზრს და პრესაში დაბეჭდილ სულ უმნიშვნელო კრიტიკასაც კი ცეცხლითა და მახვილით ხვდება.

ამას წინათ ერთმა პარლამენტარმა ოფიციალურად მოითხოვა, რომ ჟურნალისტი, რომელმაც მის წინააღმდეგ კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა პრესის ფურცლებზე, გამოეძახათ პარლამენტის სხდომაზე და პასუხი მოეთხოვათ მისთვის. როგორც ჩანს, ამ პარლამენტარს თავი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსზე ეკონა. ეტყობა, მას დააეწყდა ან ვერ გაიგო, რომ ახლა სულ სხვა დროა, რომ პრესა თავისუფალია და პარლამენტს არ ემორჩილება. ამ მიზეზის გამო ჟურნალისტი პარლამენტში არ

გამოცხადდებოდა და მისი ეს საქციელი სრულიად გამართლებულიც იქნებოდა. სამაგიეროდ, თუკი ჟურნალისტს რაიმე სამართალდარღვევა ჰქონდა ჩადენილი, პარლამენტარს შეეძლო მისთვის კანონის საფუძველზე სასამართლოში ეწივლა. ამ შემთხვევაში პარლამენტარის მხრივ მოხდა ჟურნალისტის საქმიანობაში უხეშად ჩარევის ცდა, მაგრამ ეს უკანასკნელი პრესის კანონის დახმარებით დევნასა და შევიწროებას გადაარჩა.

ყურადღებას იპყრობს ასოციაცია “თავისუფალი პრესის“ განცხადება, სადაც ნათქვამია: “ბოლო დროს სულ უფრო აშკარა ხასიათს იღებს თავისუფალ გაზეთებზე უსიკოლოგიური, ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის ზეწოლა თანამდებობის პირთა მხრიდან. მართალია, სატელეფონო ხასიათის რწევა-დარიგებებისა და მუქარის მოგერიებას ჟურნალისტები მაინც ვახერხებთ, მაგრამ საქმე უკვე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა. დღეს, 8 ივნისს მინისტრთა კაბინეტის შენობაში ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის სამდივნოს გამგემ ვ.ხვიბლიანმა თავის კაბინეტში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გაზეთ “რეზონანსის“ ერთ-ერთ კორესპონდენტს “რეზონანსში“ გამოქვეყნებული სტატიის “მარგიანი ამერიკაში. საქართველო - ესენგეში? (№57) გამოქვეყნების გამო“ (იხ. გაზ. “დრონი“, 1993, №37).

ეს ამონაწერი სიტყვასიტყვით იმიტომ მოვიტანე, რომ მკითხველმა იგრძნოს, თუ როგორი ბრძოლით იკაფავს გზას ჩვენში ცენზურისაგან გათავისუფლებული პრესა. ასეთი არაცივილიზებული მეთოდებით პრესის მუშაკებთან ურთიერთობა ყოველად გაუმართლებელია და არ შეეფერება დემოკრატიის გზაზე დამდგარ ქვეყანას. თუ პრესის მუშაკმა რაიმე ისეთი გამოაქვეყნა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება და ლახავს პიროვნების ღირსებას, ამისათვის არსებობს პრესის წინააღმდეგ ბრძოლის კანონიერი გზა. დაზარელებულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. არავითარი გამართლება არა აქვს პრესის მუშაკთა მიმართ გამოყენებულ “მუქარას“, “ფიზიკურ შეურაცხყოფას“ და სხვა უკანონო ხერხებს.

მაგრამ თავის მხრივ არც ასოციაცია “თავისუფალი პრესა“ არის მართალი, როცა აცხადებს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა და პარლამენტმა დაუყოვნებლივ მოახდინონ “რეაგირება მომხდარზე“. თუკი ისინი ამას არ მოიმოქმედებენ, ასოციაცია “იტოვებს უფლებას, მოაწყოს გამაფრთხილებელი გაფიცვა,

ხოლო თუ ესეც რეაგირების გარეშე დარჩება, მიმართოს პროტესტის სხვა ზომებს“. განცვიფრებას იწვევს ის ამბავი, რომ პრესის ორგანოები (ასოციაცია “თავისუფალი პრესის“ გარდა, ამ განცხადების ხელისმომწერები არიან გაზეთები “დრონი“, “ივერია-ექსპრესი“, “მიმომხილველი“, “რეზონანსი“ და “7 დღე“), რომლებიც იქით უნდა ასწავლიდნენ რიგით მოქალაქეს ბრძოლის კანონიერ გზას, სამწუხაროდ, თვითონვე დადგნენ მცდარ პოზიციაზე. რა ვალდებულება, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური, რომ პოლიციელებით სდიოს ყოველ ხულიგანს და რამდენი ცემა-ტყემა სადმე მოხდება, ყოველ მათგანზე რეაგირება მოახდინოს! ნუთუ გაზეთის რედაქციამ არ უნდა იცოდეს, რომ ამგვარი დარღვევის გამო დაზარალებულმა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს უნდა მიმართოს?!

პრესის საქმიანობაში მომხდარი სამართალდარღვევის თუ რაიმე სხვაგვარი გაუგებრობის პოლიტიკურ რანგში აყვანა და თვითოეული ასეთი ინციდენტის გამო სახელმწიფოს მეთაურისაგან ახსნა-განმარტების მოთხოვნა იშვიათი მოვლენა როდია ჩვენში. აი, ამის კიდევ ერთი საყურადღებო ნიმუშიც. გაზეთმა “საქართველოს რესპუბლიკამ“ (1993 წ. 6 თებერვალი) დაბეჭდა თ.მირიანაშვილის ვრცელი წერილი, რომლითაც დღის სინათლეზეა გამოტანილი “იბერია-სპექტრის“ რედაქტორის ი.გოცირიძის უურნალისტური საქმიანობა კომუნისტური რეჟიმის დროს. ამას მოჰყვა ი.გოცირიძის საპასუხო გამოსხაურება მისსავე გაზეთის ფურცლებზე (იხ. ბ-ნ ე.შეგარდნაძის თანაშემწე ავრცელებს პოლიტიკურ დეზინფორმაციას, “იბერია-სპექტრი“, 1993, №66). ავტორმა თავის მართლებების მეტად იოლი გზა გამონახა. მან თ.მირიანაშვილის პუბლიკაციას “დანაშაული“ უწოდა და დასვა კითხვა: “არის თუ არა ამ დანაშაულში ჩარეული თვით სახელმწიფოს მეთაური?“. ი.გოცირიძის აზრით, ვინაიდან თ.მირიანაშვილი სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწეა, ამით მისი პუბლიკაცია ოფიციალურ, პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ამიტომ თ. მირიანაშვილის გამოსვლა რომ ადმინისტრაციის, ესე იგი სახელმწიფოს მეთაურის და მისი აპარატის პოზიციად არ ჩაითვალოს, ამისათვის ერთადერთი სწორი ნაბიჯი ყოფილა ის, რომ “ბატონი სახელმწიფოს მეთაური დაუყოვნებლივ და საჯაროდ გაემიჯნოს მისი პირადი თანაშემწის თ.მირიანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას.“

დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება აქ ბატონ ი.გოცირიძის ერთ პატარა ეშმაკობას. იგი ცდილობს ყველაფერი სხვას გადააბრალოს, რათა თვითონ წყლიდან მშრალი ამოვიდეს. ჯერ-ერთი, როგორ შეიძლება, რომ სახელმწიფოს უმაღლესი მოხელის პოლიტიკურ განცხადებას გაუთანაბრდეს რომელიმე გაზეთის რედაქტორის წარსული ჟურნალისტური საქმიანობის კრიტიკული მიმოხილვა. რა შუაშია აქ სახელმწიფოს უმაღლესი “ადმინისტრაციის პოზიცია?” მეორეც ის, რომ ი.გოცირიძემ წინასწარ ისიც კარგად უწყოდა, ე-შევარდნაძე რომ საჯაროდ ამ საკითხზე აზრს არ გამოთქვამდა და არც არის ეს მისი საქმე-სწორედ ეს მომენტია აქ გამოყენებული ი.გოცირიძის მიერ პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი მკითხველის შესაცდენად და თავის სიმართლეში დასარწმუნებლად. ხედავთ, რახან სახელმწიფოს მეთაური საჯაროდ არ გაემიჯნა თ.მირიანაშვილის პუბლიკაციას, იგი ჩარეულია ამ საქმეში და ამის გამო მე მართალი ვარო.

გარდა ამისა, რა მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების დასადგენად იმ ფაქტს, იყო თუ არა ამ საქმეში ვინმე ჩარეული. მთავარი აქ ის არის, რომ ი.გოცირიძემ ვერ შეძლო პასუხი გაეცა თ. მირიანაშვილისათვის და ამის გამო შეთხზა სახელმწიფოს მეთაურთან დაკავშირებული მთელი ეს ისტორია. “მირიანაშვილთან და რედაქტორ გოგიაშვილთან პაექრობით თავს არ დავიმცირებო“, აცხადებს იგი იქვე. თავს როგორ არ დაიმცირებთ, ბატონო ირაკლი, საპასუხო რომ გქონდეთ რამე! ამიტომ თქვენი უძლურება პრესის თავისუფლების შეზღუდვათ არ უნდა გამოაცხადოთ და ხალხს თვალეში ნაცარი არ უნდა შეაყაროთ.

ცენზურის აკრძალვა და პრესის თავისუფლების გამოცხადება ჩვენში ახალი ხილია. ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჟურნალისტებს მართლაც ბევრი დაბრკოლება შეხვდეთ წინ პრესის თავისუფლების ცხოვრებაში რეალურად დამკვიდრების გზაზე. ეს პროცესი საქართველოში დღეს მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს. კიდევ უფრო ამძაფრებს ამ პროცესს საქართველოში არსებული პოლიტიკური გათიშულობა და შინააშლილობა. პრესის თავისუფლების პრინციპის დარღვევებს განსაკუთრებით ხშირად უჩივიან დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგე რადიკალური მიმართულების ისეთი გაზეთები როგორიცაა, მაგალითად, “იბერია-საექტრი“, “საქართველოს სამრეკლო“ და სხვ.



ამ გაზეთების ფურცლებზე (რასაკვირველია, არა მარტო მათ ფურცლებზე, დღეს ბევრი არაობიექტური და ცილისმწამებლური მასალა ქვეყნდება, რაც სამართლიანად აღელვებს საზოგადოებას და მის უარყოფით რეაქციას იწვევს. ამის გამო ზოგიერთი კატეგორიულად მოითხოვს ამ გაზეთების მიმართ რადიკალური ზომების მიღებას, კერძოდ, მათ აკრძალვას ადმინისტრაციული წესით. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა საკითხისადმი ყოველად გაუმართლებელია. ეს იქნებოდა პრესის თავისუფლების პრინციპის უხეში დარღვევა. პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული არაობიექტური და უსამართლო პუბლიკაციებს უნდა შევებრძოლოთ დასაბუთებული კრიტიკით. უნდა დავიცვათ კანონიერება ამ სფეროში და პრესის თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა მხოლოდდამხოლოდ კანონიერ საფუძველზე დავამყაროთ. კანონის თანახმად კი პრესის საქმიანობის აკრძალვა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს (იხ. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონი, მუხ.12).

28.6.93 წ.

### მეორე ნაწილი

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა თავისუფლება, რომელსაც ჩვენ პირველი წერილი მივუძღვენით, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი სიკეთეა. პრესის თავისუფლება ისეთივე აუცილებელი საშუალებაა საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის თანამედროვე პირობებში, როგორც თევზისათვის წყალი ან ადამიანის სიცოცხლისათვის ჰაერი.

მაგრამ ისევე, როგორც ყოველ ცხოვრებისეულ მოვლენას ამ ქვეყნად, პრესის თავისუფლებასაც აქვს თავისი ზღვარი. თავისუფლება, როგორც წინა წერილშიც ვამბობდით; არ შეიძლება უსაზღვრო იყოს, რადგან უსაზღვრო თავისუფლება ანარქიისა და თვითნებობის წყაროდ იქცევა ხოლმე. პრესის თავისუფლების სრული შეუზღუდველობა ისეთივე ბოროტებაა საზოგადოებისათვის, როგორც ამ თავისუფლების სრული შეზღუდვა და პრესისათვის ცენზურის დაწესება.

ამ ბოლო დროს ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ პრესა მეოთხე ხელისუფლებაა სახელმწიფოში. თუ ეს ასეა, მაშინ ლოგიკურია დასკვნა: სახელმწიფო ხელისუფლება იმით განსხვავდება წვეულებრივი ძალადობისაგან, რომ ხელისუფლება ყოველთვის კანონის წარწერებში უნდა მოქმედებდეს, ხოლო ძალადობას არავითარი კანონი არ ზღუდავს. ამიტომაც, რომ ყოველ დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყანაში პრესის თავისუფლების შეზღუდვა კანონის საფუძველზე ხდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონის მე-4 მუხლის ძალით დაუშვებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ბოროტად გამოყენება. მუხლში მოცემულია ნუსხა ინფორმაციის იმ სახეებისა, რომელთა გამოქვეყნებაც პრესას ეკრძალება. მე-4 მუხლის “ა” პუნქტით აკრძალულია “სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება”. შემთხვევითი როდია ის, რომ აკრძალვების ნუსხა სახელმწიფო საიდუმლოებით იწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი ამ სახის საიდუმლოების დაცვას ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ერთერთი აუცილებელი საშუალებაა, რაც პრესის ყოველ მუშაკს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული.

რას ნიშნავს მაინც “სახელმწიფო საიდუმლოება?” როგორ გაიგოს პრესის მუშაკმა, რომ მის მიერ მოპოვებული ცნობა “სახელმწიფო საიდუმლოებაა”, რომლის გამჟღავნებაც კანონი კრძალავს? “სახელმწიფო საიდუმლოებაში” იგულისხმება ისეთი საიდუმლო, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ინფორმაცია, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცების მიზნით საგანგებოდ არის დაცული. სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს არა ყოველი დაფარული ცნობა, არამედ მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელსაც საიდუმლოებად მიიჩნევს ქვეყნის მმართველობის უმაღლესი ორგანო.

ამას წინათ საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლითაც დასახულია “აფხაზეთის რეგიონში საომარი მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის გადაუდებელი ღონისძიებები” (იხ. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წ. 9 ივლი-

სის №552 დადგენილება). დადგენილებაში ნათქვამია, რომ “საომარ მოქმედებასთან დაკავშირებული მასალები გადაიცეს (დაიბეჭდოს) მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის ნებართვით“ (პ.3).

პრესის მუშაკებისათვის კიდევ უფრო საყურადღებოა ამ დადგენილების მომდევნო პუნქტი, სადაც ვკითხულობთ: “ღია აუდიტორიისათვის განკუთვნილი მასალების მომზდებისას პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, გამომცემლობებისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ხელმძღვანელებმა მკაცრად დაიცვან საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მიერ გამოცემული “გამოსაქვეყნებლად აკრძალულ ცნობათა ნუსხის“ მოთხოვნები“ (პ.4). დასახელებულმა ინსპექციამ “აკრძალულ ცნობათა ნუსხა“ დაამტკიცა 1993 წ. 12 მაისს. საგულისხმო ფაქტია ის, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში პირველად გამოიცა დოკუმენტი, რომლის პრინციპია “საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოება საქართველოს ხელში“ (იხ. ნუსხის ანოტაცია).

სახელმწიფო საიდუმლოება ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული ვითარების ამსახველ ცნობებს. ზოგჯერ სახელმწიფო საიდუმლოების გვერდით ცალკე გამოყოფენ სამხედრო საიდუმლოებას. მაგრამ ეს სწორი არ არის. სამხედრო საიდუმლოება სახელმწიფო საიდუმლოების ერთ-ერთი სახეა. ამიტომ არის, რომ “გამოსაქვეყნებლად აკრძალულ ცნობათა“ ნუსხა სწორედ სამხედრო საიდუმლოებით იწყება. მაგალითად, ხსენებულ ნუსხაში გვხვდება მითითება შეიარაღებულ ძალებსა და ქვეყნის თავდაცვაზე, სადაც შედის სამობილიზაციო საკითხები, სამხედრო მშენებლობა და ჯარების დაკომპლექტება, ჯარების ორგანიზაცია, რაოდენობა და დისლოკაცია, საბრძოლო მზადყოფნა, დისციპლინა, შეიარაღება და სხვ. ცნობები, რომლებიც ამ საკითხებს შეეხება, შესაბამისი უწყების ნებართვის გარეშე პრესაში არ უნდა გამოქვეყნდეს.

სახელმწიფო საიდუმლოება, სამხედრო საიდუმლოების გარდა, გულისხმობს აგრეთვე ისეთი ცნობების გამოქვეყნების აკრძალვას, რომლებიც ასახავენ მრეწველობის, სოფლის მეურნე-

ეობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში არსებულ ვითარებას.

ამ ბოლო დროს აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მწვავედ დაისვა პრესის ფურცლებზე სამხედრო საიდუმლოების დაცვის საკითხი. პრესის კანონის თანახმად რედაქცია პასუხს არ აგებს იმ ცნობების სისწორისათვის, რომლებიც “მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებისა ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისაგან“ (იხ. მ-28). უთუოდ საყურადღებოა ამ მხრივ სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნოს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფოს მეთაურის თუ სხვა ოფიციალური პირის დამოწმება აუცილებელია, როცა ქვეყნდება მათი ოფიციალური განცხადებები ან ცნობები პრესისათვის. სხვა შემთხვევაში, უშუალოდ საომარი მოქმედების ამსახველ ოპერატიულ ინფორმაციას აუცილებლად ვიზა უნდა დაადოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა (იხ. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა“, 1993, 8 ივლისი).

გაზეთმა “რეზონანსმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია “თბილისური იარაღის გამო“. ამ სათაურით გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი ინფორმაციისათვის ზოგიერთ პარლამენტარს “ერის ღალატი“ დაუწამებია “რეზონანსის“ რედაქციისათვის, რადგან აღნიშნული ინფორმაცია სამხედრო საიდუმლოების გაცემად ნაუთვლია. რედაქცია თავს იმით იმართლებს, რომ მიუთითებს ოფიციალურ წყაროს, საიდანაც მას უსარგებლია. აქ ზუსტად არის მითითებული საინფორმაციო სააგენტოს დასახელება, მისი ადგილსამყოფელი, გადაცემის თარიღი და ზუსტი დრო, ინფორმაციის ნომერი, გადაცემის რედაქტორის გვარი და სახელი, რედაქციის ტელეფონი (იხ. თბილისური იარაღის გამო, გაზ. “რეზონანსი“, 1993, 8-9 ივლისი). ამ შემთხვევაში რედაქციის სიზუსტე პირდაპირ ხანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს.

მძაფრი პოლემიკა გაიმართა თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრსა და გაზეთ “რეზონანსის“ რედაქციას შორის ამ გაზეთის 17 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული ფოტოების გამო. ფოტოებზე, რომლებიც აფხაზეთში მიმდინარე ომის მთელ საშინელებას და სისასტიკეს გამოხატავენ, ორი ნაწამები მებრძოლის

გვამია აღბეჭდილი. ამ ფოტოების გამო საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრმა 19 ივლისს საქართველოს რადიოთი გაავრცელა განცხადება. პრესცენტრი მკაცრად აფრთხილებს “რეზონანსის” რედაქციას, რომ მასთან “შეთანხმების გარეშე გაზეთმა შეწყვიტოს მისგან მასალების გამოქვეყნება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის მიმართ მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები სამხედრო მდგომარეობის შესაბამისად” (იხ. გაზ. “რეზონანსი“, 1993, 23-24 ივლისი).

“რეზონანსის” რედაქციამ პრესცენტრის განცხადებას დაუყოვნებლივ უპასუხა (იხ. თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის განცხადების შესახებ, “რეზონანსი“, 1993, 20-21 ივლისი). მე ეს პასუხი დასაბუთებულად მივხედავ. იქ, მაგალითად, ნათქვამია, რომ ფოტოები გადმობეჭდილი იყო გაზეთ “დემოკრატიკისკაია აფხაზიას” მარტის ნომრიდან. ამ გაზეთისათვის ფოტოების გამოქვეყნების უფლება თვითონ პრესცენტრს მიუცია. მიუხედავად ამისა, “რეზონანსის” რედაქციას დარღვეული აქვს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ზემოთ ხსენებული დადგენილების მე-3 პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ საომარ მოქმედებასთან დაკავშირებული მასალების დაბეჭდვა ან სხვაგვარი გავრცელება უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის ნებართვით. თუმცა ეს დარღვევა თავისთავად რაიმე სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. დადგენილების ამ მოთხოვნის შესრულება არის მხოლოდ გარანტია იმისა, რომ რედაქცია პასუხს არ აგებს საიდუმლოების გამჟღავნებისათვის, როცა ესა თუ ის ცნობა დასახელებული ორგანოების ნებართვით გამოაქვეყნა. მოელი პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის ნებართვის გაცემის შემთხვევაში ხსენებული ორგანოების მუშაკებს დაეკისრებათ. როცა პრესა აღნიშნული ნებართვის გარეშე აქვეყნებს რაიმე ცნობას, იგი მზად უნდა იყოს იმის მტკიცებისათვის, რომ მას ამ ცნობის გავრცელების უფლება ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში საქმე შეიძლება სასამართლომდეც მივიდეს. ამიტომ ჩვენთვის გაურკვეველია, რას გულისხმობს პრესცენტრი, როცა აცხადებს, რომ

თუკი “რეზონანსის“ რედაქცია არ შეწყვეტს მსგავსი მასალების გამოქვეყნებას მასთან შეთანხმების გარეშე გაზეთის მიმართ მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები სამხედრო მდგომარეობის შესაბამისად“. როცა, საქმე კანონზე და სამართალზე მიდგება, აქ მეტი სიზუსტეა საჭირო. ასეთ ოფიციალურ განცხადებებში ვალდებული ვართ მივუთითოთ რომელი კანონის რომელი მუხლი დაარღვია პრესის ორგანომ.

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრის ხელმძღვანელმა საქართველოს ტელევიზიით ამასწინანდელი გამოსვლისას სამართლიანად გააკრიტიკა პრესის ორგანოები. მისი თქმით, არ შეიძლება გამოქვეყნდეს ცნობა, რომ ამდენი და ამდენი რაზმი გაიგზავნა ფრონტზე ამდენი კაცის შემადგენლობით და სხვ. როგორც ზემოთ ვთქვი, “გამოსაქვეყნებლად აკრძალულ ცნობათა“ ნუსხის მიხედვით არ უნდა დაიბეჭდოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება ჯარების რაოდენობას და დისლოკაციას, საბრძოლო მზადყოფნას, დისციპლინას, შეიარაღებას და სხვ. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, აშკარად სცოდავს “იბერია-სპექტრის“ ზოგიერთი პუბლიკაცია. მაგალითად, ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია: “... დღესაც იგივე მეორდება აფხაზეთში, ვითომ ბატალიონები შექმნეს. 7-10 კაცი ჰყავთ! ხალხი კი ტყუვდება. რაც სოხუმის გარშემო მაღლობები იყო, ყველა აიღო მოწინააღმდეგე მხარემ. საქართველოს შიშის ფასად ჰყიდიან, ლანჩებს და გამოქცეულებს ვართმევთ ავტომატებს, რაკინათ, ხელისუფლება ავტომატებს არ გვაძლევს... კორიდორის გახსნას 2 დღე მაინც დასჭირდება. ამ ხელისუფლების ძალები ძალიან მცირე რაოდენობით მონაწილეობენ. მხედრიონი! 120 კაცი წამოვიდა პირველად, შემდეგ 80-70 პროცენტი უკან გაბრუნდა (იხ. რ.ვაშაკიძე, ლოსი ქობალია მხედართმთავარი, “იბერია-სპექტრი“, 1993, 21-27 ივლისი). გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია მეორე ინფორმაცია, სადაც ნათქვამია: “ონამინირე-ტყვარჩელის ფრონტის ხაზზე არ არის შექმნილი ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა. სამხედრო შენაერთებს ხელმძღვანელობენ არაკომპეტენტური პიროვნებები. ერთიანად არ იგეგმება და არ ხორციელდება სამხედრო ოპერაციები. ყველა ლოკალურად გეგმავს და ახორციელებს პატარ-პატარა ოპერაციებს... გუმისთის ფრონტზედაც ანალოგიური ანარქია სუფევს, ბატალიონები არ არის დაკომპლექტებული მებრძოლებით... წვენ არ

გაგვანია იმდენი იარაღი, ტექნიკა და მატერიალური საშუალება, რომ ყველა მსურველი დაგაკმაყოფილოთ, (“ხალხმა უნდა იცოდეს სიმაართლე“ გვწერენ გვარდიელები, გვ.14).

მე არ ვიცი, შეამოწმა თუ არა წინასწარ ეს ინფორმაციები შესაბამისმა პრესსამსახურმა და მისცა თუ არა მათ დაბეჭდვის ვიზა. მაგრამ ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არა მგონია ასეთი ცნობების გამოქვეყნება სამხედრო თვალსაზრისით გამართლებული იყოს. ნუთუ გაზეთის რედაქცია ისე უნდა დააბრმავოს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სიძულვილმა, რომ ვერ მიხვდეს ან არ მოინდომოს იმის მიხედვრა, რა ზიანი შეუძლია მოუტანოს ამგვარი ცნობების გამოქვეყნებამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ხალხს კი ვეუბნევით სიმაართლეს, მაგრამ ამ სიმაართლეს წენი სამხედრო მოწინააღმდეგეც ხომ გაიგებს და გამოიყენებს თავის სასარგებლოდ!

სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება არა მარტო აკრძალულია, არამედ ასეთი მოქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც არის დაწესებული. მაგალითად, სამშობლოს ღალატად ითვლება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქისაგან “სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა უცხოეთის სახელმწიფოსათვის“, თუ ეს მოქმედება განზრახ არის წადენილი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მ). თუკი ასეთსავე მოქმედებას წაიდენს უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე, იგი დაისჯება ჯაშუშობისათვის დასახელებული კოდექსის 66-ე მუხლის საფუძველზე. ამავე კოდექსის 76-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისათვის, როცა ეს გახმაურება არ შეიცავს “სამშობლოს ღალატის ან ჯაშუშობის ნიშნებს.“

სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება რედაქციასაც და რედაქციის მუშაკსაც. რედაქცია პასუხს აგებს პრეხისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონის მე-12 მუხლით, თუკი ამ საიდუმლოების გამჟღავნება გამეორებით მოხდა. ამ კანონით რედაქციის მუშაობა შეიძლება შენერდეს ან შეწყდეს. ხოლო რედაქციის მუშაკი პასუხს აგებს ზემოთ მითითებული მუხლების საფუძველზე

სისხლის სამართლის წესით სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების პირველივე შემთხვევისათვის. თუმცა ჯერ-ჯერობით არ ყოფილა შემთხვევა, რომ სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის, რამდენადაც ვიცო, ვინმეს მიმართ საქმე აღძრულიყოს. ამიტომ მინისტრთა კაბინეტი თავის 1993 წ. 9 ივლისის №552 დადგენილებით სამართლიანად მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის სიანფორმაციო-სადაზვერვო სამსახურისა და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურისაგან არ დატოვონ რეაგირების გარეშე სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნების არცერთი ფაქტი (პ.5.).

გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა, რომლის გამჟღავნებაც აკრძალულია პრესის კანონის მე-4 მუხლის “ა” პუნქტით, არსებობს აგრეთვე სხვა სახის საიდუმლოებანიც. ასეთია, მაგალითად, საექიმო, საადვოკატო, გამოძიების, შვილად აყვანის საიდუმლოება და სხვ. უკანასკნელ ხანებში კერძო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით დაცული უნდა იქნეს აგრეთვე საფირმო საიდუმლოებაც და ა.შ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჟურნალისტს არ ეკრძალება ამ სახის საიდუმლოების გამჟღავნება პრესის ფურცლებზე? რასაკვირველია, არ ნიშნავს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი პრესის კანონის მე-4 მუხლის “ა” პუნქტის რედაქცია სრულყოფილი არ არის. უფრო სრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის 1990 წ. 12 ივნისის პრესის კანონის მე-5 მუხლის ფორმულირება, სადაც ნათქვამია: არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოყენება სახელმწიფო ან კანონით დაცული სხვა სახის საიდუმლოების გახმაურებისათვის. ჩემი აზრით, სასურველია, რომ მომავალში ჩვენი პრესის კანონის მე-4 მუხლის “ა” პუნქტიც ასევე იქნეს ფორმულირებული.

დღევანდელი ფორმულირების მიხედვით, რა ხან კანონი კრძალავს მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებას, სხვა სახის საიდუმლოების გამოქვეყნებისათვის რედაქცია პასუხს არ აგებს (იხ. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონი, მ.12). რაც შეეხება პერსონალურად პრესის მუშაკს, იგი პასუხს აგებს საერთო საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77<sup>1</sup> მუხლით ისჯება სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობის გადაცემა



უცხოეთის ორგანიზაციისათვის. ამ მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრება ჟურნალისტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდება, რომ მან ამგვარი ცნობა გამოაქვეყნა პრესის ფურცლებზე ან გაავრცელა ეთერში სწორედ უცხოეთის ორგანიზაციისათვის გადასაცემად. ასე რომ, პრესის ფურცლებზე ამ ხასიათის ცნობის გამოქვეყნება დანაშაულის ჩადენის ხერხია, საიდუმლო ცნობის გადაცემის საშუალებაა უცხოეთის ორგანიზაციისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 125<sup>1</sup> მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის მშვილებლის ნებასურვილის გარეშე, ხოლო ამავსე კოდექსის 201-ე მუხლით დანაშაულად არის გამოცხადებული მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების სათანადო ნებართვის გარეშე გახმაურება. ჟურნალისტი პასუხს აგებს ამ მუხლებით იმ შემთხვევაში, თუკი მან ამ ხასიათის ცნობები გაახმაურა პრესის ფურცლებზე და არ პქონდა სათანადო ნებართვა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს ჟურნალისტს უფლება აქვს გაახმაუროს, ვიქვათ, საექიმო, საადვოკატო და სხვა სახის საიდუმლოება, რომლებიც არ იწვევენ სისხლისსამართლებრივ თუ სხვაგვარ იურიდიულ პასუხისმგებლობას. თუკი ამ სახის საიდუმლოებას ჟურნალისტი მაინც გაახმაურებს პრესის ფურცლებზე, რასაც მოჰყვება “თვით ჟურნალისტის და მასობრივი ინფორმაციის საშუალების საზოგადოებრივი დისკრედიტირება“, მან შეიძლება პასუხი აგოს ღირსების სასამართლოს წინაშე (იხ. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონი, მ.29).

პრესის კანონის მე-4 მუხლით მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ეკრძალება აგრეთვე “არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება“ (პ.“ბ“). აქ საყურადღებოა ის, რომ ტექსტში აქცენტი გადატანილი უნდა იყოს ძალადობაზე. “დამხობა“ თავისთავად გულისხმობს ძალადობის მომენტს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვივით სიტყვა “შეცვლაზე“. “შეცვლისაკენ მოწოდება“ შეიძლება კონსტიტუციურ საფუძველზეც მოხდეს, ესე იგი ეს მოწოდება მშვიდობიანი ხასიათისა იყოს, რისი აკრძალვაც არ შეიძლება. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პუნქტის მიხედვით ჟურნალ-

ლისტს ეკრძალება მხოლოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით დამხობის ან შეცვლისაკენ მოწოდება.

როგორ უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წყობილების დამხობა? სრულიად ბუნებრივი ჩანს, რომ ეს უნდა მოხდეს იმ ხელისუფლების დამხობით ან ძალის გამოყენებით შეცვლით, რომელიც იცავს ამ “წყობილებას”. ამიტომ კანონის მე-4 მუხლის “ბ” პუნქტით დაწესებული აკრძალვა დაირღვევა მაშინ, როცა პრესა მოუწოდებს ხალხს საზოგადოდ ან ადამიანთა გარკვეულ წრეს, რომ ძალით დაამხონ ან შეცვალონ არსებული ხელისუფლება. ძალადობის ხერხს აქ მნიშვნელობა არა აქვს.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონის მე-4 მუხლის “ბ”) პუნქტით დაწესებული აკრძალვის დარღვევის კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მოწოდება გვარდიისადმი, რომ დაემხონ არსებული ხელისუფლება, რომელიც გაზეთ “თავისუფალი საქართველოს” ფურცლებზე დაიბეჭდა (1992 წ. 20 ივნისი). საქმე გადაეცა სასამართლოს, მაგრამ გაზეთს პრესის კანონის მე-12 მუხლით ვერ დაეკისრა პასუხისმგებლობა, ვინაიდან კანონის მე-4 მუხლის “ბ” პუნქტის მოთხოვნა გამეორებით არ ყოფილა დარღვეული.

“იბერია-სექტორმა“ (1993, 21-27 ივლისი) გამოაქვეყნა საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირის განცხადება სათაურით “მოვითხოვთ გასამართლებას!” “... კანონიერი ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოებისაგან კატეგორიულად მოვითხოვთ - ნათქვამია განცხადებაში - რუსეთის მოქალაქისა და ქართველი ერის შეუნიღბავი მტრის - ედ. შევარდნაძის და მისი კრიმინალური ხუნტის გასამართლებას“.

ირაკლი გოცირიძისა და მისი გაზეთისათვის რომ ჩვეულებრივი მოვლენაა პიროვნების ღირსების შემლახავი ისეთი ეპითეტების ხმარება, როგორსაც ამ პუბლიკაციაში ვხვდებით, ეს ალბათ მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი. ამ საკითხზე ქვემოთ ჩვენ საგანგებოდ გვექნება საუბარი. აქ მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ მოტანილი სიტყვებიდან, ლანძღვისა და ცილისწამების გარდა, აშკარად იკვეთება დღევანდელი ხელისუფლების ძალადობით დამხობის მოწოდება. სხვაგვარი დასკვნა აქ შეუძლებელია. როგორ უნდა მოითხოვო ხელისუფლების გასამართლება, თუკი ის ძალით არ გადააყენე, ეს იგი არ

დაამხე და განსასჯელის სკამზე არ დასვი?! საეჭვოა, განსასჯელის სკამზე ვინმე ნებაყოფლობით დაჯდეს. თანაც ეს უნდა გააკეთოს “კანონიერი ხელისუფლების სამართალდამცავმა ორგანოებმა“, ესე იგი ყოფილი ხელისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა. ერთი სიტყვით, გაზეთი მიმართავს ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს, რომ დაამხონ დღევანდელი ხელისუფლება და გაასამართლონ.

თუმცა გერმანული გაზეთის “დი ვოხეს“ კორესპონდენტის შეკითხვაზე - ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ მოუწოდებთ ხალხს შევარდნადის დამხობისაკენ, ირ. გოცირიძე, ვითომ აქ არაფერი მომხდარიყოს, გაზეთის მომდევნო ნომრეში უაპელაციოდ აცხადებს: “ჩვენ არასდროს არ მოგვიწოდებია მთავრობის ძალით დამხობისაკენ“ (იხ. “როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში“, “იბერი-საპექტრი“, 1993, 4-10 აგვისტო). სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი, ფიცვი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

## მესამე წერილი

საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონის მე-4 მუხლის მომდევნო “გ“ პუნქტით აკრძალულია რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის, აგრეთვე ომის, სისასტიკის პროპაგანდა.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ნათელია, რომ გასაგები მიზეზების გამო რასობრივი პრობლემა საქართველოში არ გვაწუხებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრესას არ უნდა ეკრძალებოდეს რასობრივი შეუწყნარებლობის პროპაგანდა. ის, რაც არ ხდება დღეს, შეიძლება მოხდეს ხვალ და ამისათვის წინასწარ მზად უნდა ვიყოთ.

საკმაოდ მწვავედ დგას ჩვენში ეროვნული და რელიგიური პრობლემები. ბოლო წლებში განსაკუთრებით წინ წამოიწია ეროვნულ-საკითხმა, რაც ეროვნებათაშორისი შეჯახებების სახით ვლინდება. ამ სახის კონფლიქტები საქართველოში გარეშე ძალთა წაქეზებითა და აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება ხოლმე გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ასე წარმოიშვა ჩვენში აფხაზური და ოსური სეპარატიისტული მოძრაობები, რომელთაგან მიყენებულ ჭრილობებს საქართველო ალბათ დიდხანს ვერ მოიშუშებს.

ამიტომ არის, რომ ჩვენმა პრესამაც დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არ წამოეგოს დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალთა ანკეისზე და არ მისცეს საბაბი ჩვენს შინაურ თუ გარეულ მტრებს ეროვნებათაშორისი კონფლიქტების გასაღვივებლად.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია პასუხისმგებლობა ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის (იხ. მ75). ამ მუხლის თანახმად განზრახი მოქმედება ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა ეროვნული ან რასობრივი კუთვნილების მიხედვით მათი უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე (მ75, ნაწ. I).

თუკი ასეთი მოქმედება გამოვლინდება პრესის (ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების მეოხებით) ფურცლებზე, ესე იგი პრესა გამოაქვეყნებს ისეთ პუბლიკაციას, რომელიც “ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდებას” ან “ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირებას” ისახავს მიზნად, მაშინ ამ პუბლიკაციის ავტორი და მისი თანამონაწილე პასუხს აგებენ დასახელებული მუხლით. რაც შეეხება თვითონ პრესის ორგანოს პასუხისმგებლობას, ის განისაზღვრება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე.

პრესის მეოხებით ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირებისა და შელახვის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს გასულ საუკუნეში რუსული შავრახმული გაზეთის “МОСКОВСКИЕ НЕДОМОСТИ”-ის ფურცლებზე დაბეჭდილი პასკვილი, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა. გაზეთში, რომელსაც ცნობილი შავრახმელი კატკოვი რედაქტორობდა, შეგინებული და დამცირებულია ქართული დროშა, პატივაცრილია ჩვენი ეროვნული არსებობის სიმბოლო. გაზეთს დაუწვია, რომ ქართული თეატრს პიესა “სამშობლოს” წარმოდგენის დროს დიდი ხარჯი მოსვლია და ამიტომ ქართველები კარგს იზამენ, “ქართული დროშები რომ გოდუფრას ცირკს მიჰყიდონო”.

“ეგ დროშა, წერდა ილია თავის სახელოგანთქმულ პუბლიცისტურ წერილში “კატკოვის პასუხად”- რომელიც ეგეთის

სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუმიღვარებია, ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანია და დაუმიკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელიც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტკებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, დღეს ეგ დროშა საციროდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა“.

მსგავსად ამ შემთხვევისა, მე-19 საუკუნის რუსული პრესა არაერთხელ ყოფილა გამოყენებული ქართველთა ეროვნული ღირსების დასამცირებლად. მაგრამ ის, რაც ჩვენი საუკუნის დასასრულს საქართველოში დატრიალდა, გასულ საუკუნეში ფიქრადაც არავის მოუვიდოდა. როგორი დიდი უბედურების მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის ეროვნული შეუწყნარებლობის იდეის პროპაგანდას პრესის ფურცლებზე, ეს კარგად გამოჩნდა ოსური და აფხაზური სეპარატისტული მოძრაობების ფონზე. აფხაზური და ოსური სეპარატისტული პრესა წლების განმავლობაში გეგმაზომიერად და მეთოდურად წამლავდა თავისი მკითხველის გულსა და გონებას და ქართველთა მიმართ მანამდე არნახულ სიძულვილს თესავდა. გავიხსენოთ საქვეყნოდ გახმაურებული “აფხაზური წერილი“, რომელშიც დამცირებული და შეგინებულია ქართველი კაცის ეროვნული პატივი და ღირსება. ამ წერილმა იდეურად მოამზადა აფხაზ-ქართველთა სისხლისმღვრელი შეტაკებები, რომლებიც შემდეგ ადვილად გადაიზარდა ერთწლიან ომში, ქართველთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და გენოციდი რომ მოჰყვა საბოლოოდ.

“აფხაზური წერილი“ ჯერ სოფელ ლიხნის აფხაზთა შეკრებაზე იქნა წაკითხული, ხოლო შემდეგ ეს უზარმაზარი პასკვილი ქართველთა მოძულე აფხაზმა სეპარატისტებმა მთლიანად დაბეჭდეს გუდაუთის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის ორგანოს შავრახიმულ გაზეთ “ბზიფის“ ფურცლებზე. მის შინაარსს ჩვენ აქ არ შევხებით, რადგან მას უკვე გასცეს დამაჯერებელი პასუხი ქართველმა მეცნიერებმა (იხ. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო, 1991).

გაზეთ “ბზიფის“ 1989 წლის 4 აპრილის ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე ოსური სეპარატიზმის იდეური ბელადის ა.ნოჩიევის ან-

ტიქართული სულისკვეთებით გამსჭვალული წერილი სათაურით "მკირფასო აფხაზო ძმებო!" და ა. ვოზბას პუბლიკაცია "ინსცენირებულია, მაგრამ..." ა. ჩონიევი თანაგრძნობას უცხადებს აფხაზებს ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი გამოდის "ოსეთის ხალხის" და მისი ხელმძღვანელობის სახელით. "ოსეთის ხალხი თქვენ მხარს გიჭერთ, - დასძენს ა. ჩონიევი - მხარს გიჭერთ ჩვენი ხელმძღვანელობაც, ოღონდ მას ჯერ არ ჰყოფნის სიმამაცე".

თუმცა ეს პუბლიკაციები სამართლიანად დაგმეს ქართული პრესის ფურცლებზე (იხ. გ. ფანჯიკიძე, აუცილებელია ჭეშმარიტებას გაიმარჯვოს, "ლიტ.-საქართველო", 1989, 26 მაისი), მაგრამ მათ თავისი საქმე მაინც გააკეთეს და ხელი შეუწვევეს ქართველთა გენოციდს აფხაზეთში. დღეს მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რა დიდ მასშტაბებს მიაღწია ამ პროცესმა და რამდენი სისხლი დაიღვარა როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა მხრიდან.

მეორე მხრივ, როგორც ვთქვი, ქართულ პრესასაც დიდი სიფრთხილე მართებს, რათა არ გამოაქვეყნოს ისეთი პუბლიკაციები, რომლებიც ნებისთი თუ უნებლიეთ ეროვნული თუ რელიგიური შეუღლის ჩამოგდებას შეუწყობს ხელს. იყო დრო, როცა ჩვენი პრესის ფურცლებზე პოპულარიზაცია ეწეოდა ეგრეთ წოდებული "სტუმრის თეორიას", რომელმაც საქართველოს არაქართულ მოსახლეობაში გარკვეული დამაბუღლობა წარმოშვა. ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს.

კანონის მე-4 მუხლის "გ" პუნქტით პრესას, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, ეკრძალებათ ომისა და სისასტიკის პროპაგანდა. ომის პროპაგანდა მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც იწვევს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად საჯარო მოწოდებისათვის ომის განაღებისაკენ, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი, დაწესებულია თავისი უფლების აღკვეთა სამიდან რვა წლამდე.

ომის პროპაგანდა, რაღა თქმა უნდა, ომის განაღებისაკენ მოწოდებას წარმოადგენს. მაგრამ გასარკვევია, როგორ ომზეა აქ ლაპარაკი, როგორი ომი იგულისხმება. ომი, როგორც ვიცით, არის აგრესიულიც, როცა ერთი სახელმწიფო უსამართლოდ ესხმის თავს მეორეს, და არის თავდაცვითი ომიც, როცა ერთი ქვეყანა თავს იცავს მეორის აგრესიისაგან. ეჭვი არ არის, პრესას უნდა აეკრძალოს მხოლოდ აგრესიული ომის განაღების პროპა-

განდა. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციის 26-ე პარაგრაფში პირდაპირაა ნათქვამი, რომ “აკრძალულია აგრესიული ომის მომზადება“. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი კანონიც ასეთი ზუსტ ფორმულირებას შეიცავდეს.

ომის ცნებასთან დაკავშირებით გასარკვევია კიდევ ერთი საკითხი. იგულისხმება თუ არა პრესის კანონის “გ“ პუნქტით სამოქალაქო ომიც? ვფიქრობთ, აგრესიული ომის ცნება უნდა მოიცავდეს აგრეთვე სამოქალაქო ომსაც, ვინაიდან პრესის ჭეშმარიტი დანიშნულებაა მშვიდობის დამკვიდრება და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა. მაშასადამე, პრესას ეკრძალება პროპაგანდა, რომელიც მიმართული იქნება აგრესიული ომის განაღებისაკენ როგორც სახელმწიფოთა შორის, ისე ერთი სახელმწიფოს შიგნითაც.

ქართველმა ხალხმა ამ ბოლო წლებში ორივე სახის აგრესიული ომის ხიმწარე იგემა. აუხაზეთში მიმდინარე ერთწლიან ომს, რომლის უარყოფით შედეგებსაც ჩვენ ახლა ვიმკით, მოჰყვა სამოქალაქო ომი დასავლეთ საქართველოში. არც ეს ომი ამტკიცდარა სტიქიურად. იგი კარგა ხნის განმავლობაში გეგმაზომიერად მზადდებოდა პრესის ცალკეული ორგანოების ხელშეწყობითა და მიზნამიმართული პროპაგანდით. გაზეთები “იბერია-სპექტრი“, “საქართველოს სამრეკლო“ და მათი აღმკრები ყოველნაირად ცდილობდნენ წყალი აემღვრიათ, უბირი ხალხი აეყოლიებინათ და სამოქალაქო ომი გაენაღებინათ. მაგალითად, “საქართველოს სამრეკლომ“ დაბეჭდა “ღია წერილი სახელმწიფოს მეთაურს“, რომელიც ასეთი მუქართ მთავრდება: “თქვენ გაქვთ ერთადერთი გამოსავალი - მიმართავენ ბატონ ედ. შევარდნაძეს გამსახურდიას მომხრე ეროვნული გვარდიის გორის ბატალიონის მებრძოლები - გააუქმით თქვენს მიერ ყალბად შეკოწიწებული ანტიეროვნული პარლამენტი და პირადად თავი გაანებოთ ქვეყნის მონვენებით მართვას, თორემ თქვენ მორიგ თავდასხმას, გჯეროდეთ, უშიძმესი შედეგები მოჰყვება თქვენთვის“ (16 ივლისი, 1993).

ანალოგიურ მუქარას შეიცავს “იბერია-სპექტრის“ ერთერთი პუბლიკაცია. “თუ ერის სამართლიანი მოთხოვნა არსებული ხელისუფლების გადადგომაზე უგულვებელყოფილი იქნება, მაშინ ერი იძულებული იქნება, შეახსენოს მას, რომ არსებობს აგრეთვე გზა კატილინასი, რამაც თავის დროზე იხსნა რომი დაღუპვისაგან და ის ჩვენც გვიხსნის“ (იხ. თ.კუკავა, ვინ დარჩა მოგებული გადატრიალებით?, “იბერია-სპექტრი“, 4-10 აგვისტო, 1993).

ერთი სიტყვით, თუ ხელისუფლება გადადგომაზე უარს იტყვოდა, მის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო ძალა. მსგავსი პუბლიკაციებით ხალხში ნელნელა მწიფდებოდა აზრი, რომ საჭიროა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა. რა არის ეს, თუ არა მოწოდება სამოქალაქო ომის განაღებისაკენ? შედეგმაც არ დააყოვნა. სოსუმის დაცემის შემდეგ დასავლეთი საქართველო სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში გაეხვია. საკითხავია, რა პასუხს გასცემენ ამაზე ხსენებული გაზეთების რედაქტორები თავიანთ თანამემამულეებს, რომლებიც მათ ასე უღვთოდ გაწირეს?

კანონის მე-4 მუხლის “გ” პუნქტით აკრძალულია აგრეთვე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით “სისხასტიკის” პროპაგანდა. პრესა საზოგადოებრივი აღმზრდელია და ამიტომ იგი ვალდებულია დანერგოს სათნოება, სიყვარული ადამიანებში. საზოგადოებაში სისხასტიკის პროპაგანდას მიძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ამან შეიძლება შემდეგ გამოიწვიოს დანაშაულობის ზრდა, რადგან ადამიანი, რომელიც სასტიკია სხვებთან დამოკიდებულებაში, ადვილად ჩაიდენს ნებისმიერ სამართალდარღვევას.

სისხასტიკის პროპაგანდა მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით შეიძლება, მათ შორის, პრესის მეშვეობითაც. მაგრამ ამგვარი რამ უფრო დამახასიათებელია ტელევიზიისათვის, რომელსაც ფართო შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა სახის გამოსახულებათა ჩვენებისა. ამიტომაც არის, რომ უახლოეს წარსულში ჩვენი ტელევიზია თითქმის გამუდმებით უჩვენებდა უცხოურ ფილმებს, რომლებშიც მკვლევლობები, დასახინრებები, ცემატყევა, ადამიანების წამება, წვალება და სხვა სადისტური გამოვლინებები ჩვეულებრივზე უხვად იყო წარმოდგენილი. ასეთი ფილმების ხშირი ჩვენება განსაკუთრებით საშიშია იმით, რომ მათ უყურებს არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ბევრი მცირეწლოვანიც, რაც მათში თავიდანვე ნერგავს სისხასტიკის გრძნობას. ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ის ფილმები თუ სხვა ტელეგადაცემები, რომლებსაც ხალხში სისხასტიკის დანერგვა შეუძლია.

პროპაგანდა ლათინური სიტყვაა და ქართულ ენაზე აღნიშნავს გავრცელებას. მაგრამ გავრცელება როდი ნიშნავს იმას, რომ



პრესა სისტემატიურად უნდა აქვეყნებდეს სისასტიკის შემცველ პუბლიკაციებს. ვფიქრობთ, ერთი ნაწარმოების გამოქვეყნებაც საკმარისია იმისათვის, რომ დარღვეული იქნეს კანონის მე-4 მუხლის “გ” პუნქტის მოთხოვნა.

კანონის მე-4 მუხლის მომდევნო “დ” პუნქტით აკრძალულია “ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულს.” მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ გამოთქმა “სისხლის სამართლის დანაშაული“, სავსებით კონკრეტული ცნებაა. თავისთავად “დანაშაული“ სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს, მაგალითად, მორალური დანაშაული, რელიგიური დანაშაული. მათგან განსხვავებით სისხლის სამართლის დანაშაულის ცნება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, მ.8). ამ მუხლის თანახმად დანაშაულია სისხლის სამართლის კანონით აღწერილი მოქმედება ან უმოქმედობა. ამის საფუძველზე, რაც უნდა უზნეო და გასაკიცხი იყოს ქმედება, თუკი კანონმდებელი მას არ გამოაცხადებს დანაშაულად სისხლის სამართლის კანონით, ისე ის დანაშაულად არ ჩაითვლება. ამიტომ, როცა პრესას ედავებიან მე-4 მუხლის “დ” პუნქტის საფუძველზე, რომ იგი ავრცელებს ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას, მაშინ ბრალმდებელი ვალდებულია მიუთითოს კანონის კონკრეტული მუხლი, რომლითაც ის დანაშაულია გათვალისწინებული.

მეორე საკითხი, რომელიც აქ წამოიჭრება, ინფორმაციის გავრცელებისადმი რედაქციის სუბიექტურ დამოკიდებულებას შეეხება. ეს მეტად რთული საკითხია. თუკი ამ დამოკიდებულებას განვრცობითად გავიგებთ, მაშინ პრესას ძლიერ გაურთულდება მუშაობა. ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. რომელიღაც გაზეთის ფურცლებზე ერთი ოჯახის განმაქიქებელი წერილი გამოქვეყნებულა, რომლითაც აღწერილი ყოფილა, რომ ეს ოჯახი მდიდრად ცხოვრობს და ა.შ. ოჯახის დიასახლისი ამის გამო მეტად მახვილგონივრულად შენიშნავდა, რომ ხომ შეიძლება ამ წერილმა კინიმეს ჩემი ბინის გაქურდვის გადაწყვეტილება აღუძრასო. სავსებით სწორი მიხვედრაა.

მეცნიერებაში არსებობს თეორია, რომელიც დანაშაულის გამომწვევ კირითად მიხეზად მიბაძვას თვლის. მაგალითად,

პრესა აღწერს დაწვრილებით მავანისა და მავანის დანაშაულს. გაზეთის მკითხველი ამის მიბაძვით სჩადის მსგავს მოქმედებას.

ერთი სიტყვით, მე ის მინდა ვთქვა, რომ თუკი კანონის ფორმულირებას ფართოდ გავიგებთ, მაშინ თითქმის ყოველ პუბლიკაციას, ბევრ სატელევიზიო გადაცემას შეიძლება გამოვედევნოთ და რედაქციას ბრალი დავდოთ, რომ ამ გადაცემებმა ხელი შეუწყო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას. ეჭვი არ არის, ასეთ პირობებში ვერცერთი რედაქცია ვერ იმუშავებს. ამიტომ კანონის მე-4 მუხლის “დ” პუნქტის სიტყვიერი ტექსტი უფრო ვიწროდ უნდა გავიგოთ.

ჩემი აზრით, პრესას ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას მხოლოდ მაშინ შეიძლება დავდოთ ბრალი, როცა რედაქცია განზრახ, წინასწარი შეცნობით აქვეყნებს ისეთ პუბლიკაციას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სისხლის სამართლის დანაშაული, როცა რედაქციას მიზნად აქვს დასახული ამ დანაშაულის გამოწვევა.

ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რედაქციამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სიფრთხილე არ გამოიჩინოს და თავისი პუბლიკაციების თუ სატელევიზიო გადაცემების შერჩევის დროს ამ საკითხს ყურადღება არ მიაქციოს. რედაქციამ უნდა იცოდეს, რომ ადამიანს თავისი ბუნებით აქვს მიდრეკილება მიბაძვის სხვას. განსაკუთრებით დამახასიღებელია ეს თვისება მოზარდისათვის. ამიტომ ყოველი სატელევიზიო გადაცემა თუ საგაზეთო პუბლიკაცია ამ კუთხით წინასწარ საგანგებოდ უნდა შემოწმდეს და შეფასდეს.

14.3.94 წ.

## სამართლებრივი აქტის ენა და სტილი

კონსტიტუციური კანონმდებლობის შეცვლით, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ მოხდა, ჩვენი კანონმდებლობის განვითარების ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისად, ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში დიდი საკოდოფიკაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მუშავდება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის პროექტები, იხვეწება მოქმედი კანონები, უქმდება ზოგიერთი მოძველებული ნორმატიული აქტი და ა.შ.

კანონმდებლობის სრულყოფის სამუშაოები ჩვენს რესპუბლიკაშიც უარყოფითად გაიშალა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში შექმნილია საგანგებო სარედაქციო საბჭო, რომელიც უკვე შეუდგა რესპუბლიკური კანონმდებლობის მრავალტომიანი ქრონოლოგიური კრებულის ბეჭდვას. 1983-1987 წლებში კი დაგეგმილია საქართველოს სს რესპუბლიკის კანონთა წიგნის გამოცემა. ყველა კანონი თუ სხვა სახის ნორმატიული აქტი, რომლებიც კანონთა წიგნში შევა, უნდა დაიხვეწოს, დაზუსტდეს და მიესადაგოს კონსტიტუციას.

ამ გაცხოველებული საკანონმდებლო მუშაობის დროს, სხვა მნიშვნელოვან და გადაუდებელ საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ საკანონმდებლო ენის საკითხსაც. საჭიროა გვახსოვდეს, რომ კანონის ენის დახვეწა არა მარტო მშობლიური ენის განვითარებას უწყობს ხელს, არამედ ხალხის სამართლებრივი კულტურის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაც არის. ქართველ ერს ამ მხრივაც დიდი ტრადიციები აქვს. საქართველო, როგორც ცნობილია, უძველესი კულტურის ქვეყანაა, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრივი აღმავლობის ხანაში განვითარებული სამართალი ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა ქართული სამართლებრივი ენა, მდიდრდებოდა სამართლის ტერმინოლოგია. ჩვენი ვალია, არ დავეკარგოთ ეს მემკვიდრეობა და ყოველ სიტყვას, სპეციალურ გამოთქმას თუ ტერმინს, რომლებიც ქართული ენის წიაღში შეჭურვავდა, შეძლებისდაგვარად თავისი ადგილი მივუჩინოთ და შესაფერისი შინაარსი მივცეთ.

სამართლის ენა საერთო ლიტერატურული ენის ნაწილია. იგი ენის საერთო კანონებს ემორჩილება და სალიტერატურო ქართუ-

ლის ნორმებს ემყარება. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. კანონი უნდა იწერებოდეს იმ გრამატიკული წესების დაცვით, რომლებიც სალიტერატურო ენაში მოქმედებს, თუ გვინდა, რომ კანონმდებლობის აზრი ყველასათვის ნათელი და გასაგები იყოს.

ამავე დროს, სამართლის ენას აქვს თავისებურებანიც, რაც აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში სამართლებრივი აქტის შემუშავებისა და მისი გამოყენების დროს. თავისებურია კანონის ენა, სტილი და ტერმინოლოგია. კანონის ენა მშრალია და მოკლებული ყოველგვარ ემოციურობას. კანონი გამოხატავს აკრძალვას ან ნებართვას, ან უბრალოდ მშრალად აღწერს რომელიმე ცნებას ან ინსტიტუტს. ამის გამო კანონმდებლის გამოთქმის ტონიც კატეგორიულია. რაც მთავარია, კანონის ტექსტისათვის დამახასიათებელია ზუსტი და ნათელი ფორმულირებები. ა.ლუნანარსკი ვ. ლენინის შესახებ წერდა, რომ განათლებით იურისტმა, მან შეინარჩუნა უდიდესი ინტერესი სამართლებრივი ფორმულირებების "... გასაოცარი სიზუსტისადმი... მას ჰქონდა მიდრეკილება იურიდიული ტიპის ფორმულირების მიმართ და ვ.ლ. ამის ოსტატი იყო... იგი ამა თუ იმ სამართლებრივ ფორმულას ისე ეპყრობოდა, როგორც ნამდვილ მეცნიერულ ღირებულებას, როგორც გონების ნამდვილ მიღწევას."

კანონის ტექსტში ხშირად გვხვდება ესა თუ ის სპეციფიკური ტერმინი. კანონმდებელი ტერმინების გამოყენების დროს უნდა ერიდოს როგორც არქაიზმებს, ისე ნეოლოგიზმებს, აგრეთვე ხალხის ფართო ფენებისათვის გაუგებარი უცხო ტერმინების ხმარებას. თუკი ეს შესაძლებელია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქართულ ფუძეზე აღმოცენებულ ტერმინებსა და სიტყვებს. საჭიროა მთელი სისრულით გამოვიყენოთ ქართული ენის მდიდარი და ამოუწურავი შესაძლებლობანი.

უნდა ითქვას, რომ ბევრ რუსულ თუ უცხოურ ტერმინს მოეძებნა ზუსტი ქართული შესატყვისი, ბევრი მათგანი კარგა ხანია მტკიცედ დამკვიდრდა და წარმატებით გამოიყენება ჩვენს იურიდიულ პრაქტიკაში. თუმცა ვერც იმას უარვყოფთ, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია. მაგალითად, რუსულ ენაში ხმარებული ტერმინები "Кредитор" და "Должник" ქართულად თარგმნილია "კრედიტორად" და "მოვალედ" (იხ. საქართველოს სსრ-ის სამოქალაქო სამართლის კოდექსი . მმ 212-214 და სხვ.).

მაშინ, როცა გვაქვს “Кредитор”-ის შესატყვისი კარგი ქართული სიტყვა “მევალე”. სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: “მევალე - ვალის გამცემი”. “Кредитор”-ის ქართულ შესატყვისად “მევალეს” მიიხსენებს “რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიაც”. რაც მთავარია, “მევალეს” უპირატესობა ის არის, რომ იგი ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობს და ისევე, როგორც “მოვალე”, ქართულ ფუძეზეა აღმოცენებული.

ვერ იქნა და ვერ აღდგა თავის უფლებებში სამართლებრივი პრაქტიკიდან ერთ დროს სრულიად უსამართლოდ გაძევებული “უზენაესი”. როგორც ცნობილია, დღევანდელი “საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო” და “საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო” თავდაპირველად რუსული “Верховный Совет СССР” - ის და “Верховный Суд СССР” -ის შესაბამისად იწოდებოდა “საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოდ” და “საქართველოს სსრ უზენაეს ხასამართლოდ”. 1938 წლის 6 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი მდივნის წინადადებით სესიამ დააკანონა “უმაღლესი საბჭო” და “უმაღლესი სასამართლო”. ეს, რასაკვირველია, სწორი არ იყო. “უმაღლესი” “Высший”-ს შესატყვისება, ხოლო “Верховный”-ს ექვივალენტი ქართულში “უზენაესია”. ამ საკითხზე აზრთა სრული ერთიანობაა ენათმეცნიერთა და სამართალმცოდნეთა შორის (იხ. რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია, 1963 წ.). საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს გაზეთმა “კომუნისტმა” (1977 წ: 18 აგვისტო) გამოაქვეყნა დასაბუთებული წერილი, რომლის ავტორები (თ. წერეთელი, გ. შვანია, დ. ფურცველაძე) წინადადებას იძლეოდნენ აღგვედგინა “უზენაესი”.

ხსენებულ წერილში მოტანილ საბუთებს აქ აღარ გავიმეორებ. დავძენ მხოლოდ, რომ “უზენაესის” “უმაღლესით” შეცვლა მარტოოდენ წმინდა ენობრივი საკითხი როდია. ამ შეცვლას არსებითი, სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან საქმე ეხება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საკანონმდებლო და მართლმსაჯულების ორგანოთა სახელწოდებას, რომელიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით არის განსაზღვრული. რაკი საკავშირო კონსტიტუცია ამ ორგანოებს უწოდებს “Верховный”-ს (“უზენაესი”), მის ქვემდგომ სამართლებრივ აქტს არ შეუძლია შეუცვალოს მათ სახელი და უწოდოს “უმაღლესი”

("НЕСИИИ"). საგულისხმოა ისიც, რომ სიტყვა "უზენაესი" გვხვდება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ქართულ თარგმანში. "საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია ნათქვამია იქ ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება" (იხ. პრეამბულა). რუსულ ტექსტში კონსტიტუციის ეს აზრი ასეა გადმოცემული: "Высшая цель советского государства..." როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის ქართულ ვარიანტში "უზენაესი" ნახმარია "НЕСИИИ"-ს, ხოლო "უმაღლესი" "Верховный"-ს ქართულ შესატყვისად, თუმცა სწორედ პირიქით უნდა ყოფილიყო.

ზოგჯერ კანონის ტექსტი რუსულიდან არაეკონომიურად არის თარგმნილი და აზრი, რომელიც ერთი სიტყვით შეიძლება გამოხატულიყო, გადმოცემულია რამდენიმე სიტყვით. თანაც მრავალსიტყვაობამ შეიძლება გააბუნდოვანოს კანონის ნამდვილი აზრი. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლში აღნიშნულია: თუ ექსპერტმა "... უარი თქვა არაკანონიერი საფუძველით თავის მოვალეობის შესრულებაზე ან მისცა წინასწარი შეცნობით ტყუილი დასკვნა..." ეს უკანასკნელი ფრაზა რუსულ ტექსტში ასე ელერს: "или дачи заведомо ложного заключения". რუსულ ტექსტს, ცხადია, ვერ შევედგებით. ქართულის მიმართ კი ის პრეტენზია გვაქვს, რომ "ტყუილი" სიტყვა თავისთავად შეიცავს განზრახვის ელემენტს. "ტყუილი" ყოველთვის წინასწარ შეცნობილი არასწორის თქმაა. ამიტომ ზემოხსენებულ წინადადებაში სიტყვები "წინასწარი შეცნობით" ზედმეტია. ამავე დროს, სჯობდა "ტყუილის" ნაცვლად გვეხმარა "ყალბი" და გამოვიდოდა "ან მისცა ყალბი დასკვნა".

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სამართლებრივი საბუთების წიგნიერად, ყველასათვის გასაგები ენით შედგენას. სამართლებრივი დოკუმენტი უნდა გამოირჩეოდეს არა მარტო ღრმა დასაბუთებით, არამედ აზრის ნათელი, ზუსტი და ლაკონიური ფორმულირებითაც. მასში არ უნდა იყოს ნახმარი არც ერთი ზედმეტი სიტყვა და არასწორი, ბუნდოვანი გამოთქმა. სამწუხაროდ, სამართლებრივ საბუთებში მრავლად გვხვდება ათწლეულობით დამკვიდრებული, დაშტამპული გამოთქმები, რომლებიც სრულიად შეუფერებელია ქართული ენის ბუნებისათვის. ეს უმოავრესად რუსული ენის ზეგავლენით შექმნილი კალკები ჩვენი სამართალმცოდნეების ზეპირ მეტყველებაშიც

ხშირად იხმარება. მათ იმდენად შეეწვია ყური, რომ ბევრს ველარც კი წარმოუდგენია აზრის სხვა სიტყვებით გამოხატვა.

ასეთი კალკებია, მაგალითად, “საქმეში გამავალი მოწმეები“, “საქმეში გამავალი პირები“ (თითქოს სისხლის სამართლის საქმე შარაგზა ან გვირაბი იყოს, სადაც ადამიანები გადი-გამოდიან), “იმყოფებოდა მიმალვაში“, “ძებნაში მყოფი“, “მთვრალ მდგომარეობაში მყოფი“, “არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი“, “(კ)ცხლსასროლი იარაღიდან“, “თოფიდან ესროლა“, “უცენზურო სიტყვებით აგინა“ (ნეტავი როდის იგინებიან ცენზურით დაშვებული სიტყვებით), “პატიმრობაში აყვანა“, “მუცლის არეში“, “სახის არეში“, “თავის არეში“, “მსუბუქი ხარისხის კატეგორიის დაზიანება“, “განზრახ მოკვლის მიზნით“ (განა მიზანი განზრახვას თავისთავად არ გულისხმობს?) “მისი მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანა“, “ჯიბის საკეცი დანა“, “აგინა ცოლ-შვილი მისამართით“ და სხვ.

ერთ განაჩენში ვკითხულობთ: გრიგორიანმა მას ასევე დაუწყო უცენზურო სიტყვებით გინება და ცემა წააქცია ძირს და წიხლებს ურტყამდა მუცლის არეში შემდეგ კი ჯიბის საკეცი დანით გუგუცა ვალიშვილი დასჭრა მარცხენა ხელის გულის არეში...“ (ალარაფერს ვამბობთ სასეენ ნიშნებზე). იქვე ნათქვამია: “... ხელები წაუჭირა დაზარალებულს ყელის არეში...“

ხომ შეიძლებოდა აქ აზრი ისე გამოგვეხატა, როგორც ამას ქართველი კაცი ბუნებრივად იტყოდა: “საქმის ირგვლივ დჯკითხული მოწმეები“ ან უბრალოდ “მოწმეები“, “იმალებოდა“ და არა “იმყოფებოდა მიმალვაში“, “მთვრალი“, “ნასვამი“ და არა “ნასვამ მდგომარეობაში მყოფი“, “თოფი ესროლა“ და არა “თოფიდან ესროლა“ ( შეად. “выстрелом из пужыя”), “აგინა“, ანდა “უშვერი სიტყვებით, უწინაწერი სიტყვები აგინა“ და არა “უცენზურო სიტყვებით აგინა“. “პატიმრობაში აყვანის“ ნაცვლად უნდა ითქვას “დაპატიმრება“, “დააპატიმრეს“. “ყელის არეში ხელის წაჭერა“ კი არა, “ყელში ხელის წაჭერა“. “მსუბუქი დაზიანება“, “მოკვლის მიზნით“, “მისი ავტომანქანა“, “ჯიბის საკეცი დანა“ კი არა, - “ჯაყვა“. “ცოლ-შვილი შეაგინა“ და ა.შ. ზოგიერთი ამ დაღვლარტნილ გამოთქმებს სამართლის ენის თავისებურებით ამართლებს. სამართლის ენის თავისებურება იმას როდი ნიშნავს, რომ არალიტერატურული გამოთქმები

და სიტყვები ვიხმაროთ და ხელოვნურად გავაბუნდოვანოთ სამართლებრივი ტექსტი.

ზოგჯერ სამართლებრივი საბუთი იმდენად გაუმართავია ენობრივად, რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებთ. არც სასვენი ნიშნები, არც სხვა გრამატიკული წესების დაცვა... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ საბუთებს რომ ეცნობი, გიჭირს იქიდან აზრის გამოტანა. აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ განაწინში: ს/მ(?) სოლოლაშვილიშა თავი იცნო ნაწილობრივ დამნაშავედ და სასამართლო პროცესზე განმარტა რომ 1977 წლის 14 აგვისტოს სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იგი რკინიგზის თბილისის სადგურიდან დილის საათებში ავიდა თბილის-ბორჯომის მატარებლის უკანიდან 2-ე რონოლაში (/?) რათა წასულიყო თავის სახლში გორის რაიონის სოფ. ქვახვრელში მასთან ერთად რონოლაში (?) ავიდა ჯანეზაშვილი და ქანაშვილი მღებრიშვილი დაჯდა რონოლაში (?) მათ დაიწყეს კარტის “სეკას“ თამაში დროის გაყვანის მიზნით (?) 5 კაპიკზე, მღებრიშვილი აგროვებდა ფულს რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში (ხედავთ, ფულსაც სკოდნია ღვინის სმა), მან მღებრიშვილს უთხრა რომ გაესწორებინა მისთვის ფულის ანგარიში, მაგრამ მღებრიშვილმა მას შეაგინა (ვისზეა ლაპარაკი, ვინ არის ეს “მან“ “მას“?) ორჯერ და ასევე ორჯერვე ხელი გაართქა მანაც (?) ველარ მოითმინა და შეაგინა მღებრიშვილს თანაც ხელი გაართქა სახის არეში (?) რის შედეგადაც ისინი გააშველეს...”

აი კიდევ რამდენიმე ნიმუში: “ნამაზოვი... მუშაობს კოლმეურნობაში, რომელიც ხასიათდება უარყოფითად“ (ვინ ხასიათდება უარყოფად, ნამაზოვი თუ კოლმეურნეობა?). “მან გუსეინოვი... წაიყვანა ლაგოდეხის სატყეო მეურნეობის ფონის ნიადაცსაცაგ და მინდორსაცაგ სატყეოში, რომელსაც უთხრა...” (ვის უთხრა, სატყეოს?). “... მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ლაგოდეხის სატყეო მეურნეობას, რომელიც 1977 წლის 17 ნოემბერს 22 საათზე უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის ფარულად გადმოტანის დროს წასწრებულ იქნა (?) “ვინ იქნა წასწრებული“, მეურნეობა?

“მილიციელმა ა. სესაძემ ბინაზე მიაკითხა სამართალში მიცემულ გ.თეგეტაშვილს და მისმა მეუღლემ ს.კურტანიძემ განუცხადა, რომ სამართალში მიცემული გ.თეგეტაშვილი არ იყო ბინაში“ (განაწინიდან).



ჯერ ერთი, როდის იყო, რომ ცოლი ქმარს “სამართალში მიცემულს“ უწოდებდა. მეორეც, როდესაც გ-თეგეტაშვილს შინ მიაკითხეს, სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, იგი ჯერ მხოლოდ ეჭვიმტანილი იყო და ამიტომ მას ვერც ვერავინ მოიხსენიებდა “სამართალში მიცემულად“.

“კიბეზე ფეხით ამავალ გაგნიძეს და ცუცქირიძეს შემოხვდათ ქვემოთ მომავალი მარიდაშვილი...”

საკითხავია, თუ არა ფეხით, აბა რით უნდა ასულიყო გაგნიძე კიბეზე?

არ შეიძლება ასე უსულგულოდ, აგდებულად ვეკყრობოდეთ მშობლიურ ენას, რომელიც ყოველი ჩვენგანის ხელიხელსაგომანები მარგალიტი, თვალისწინივით მოსაფრთხილებელი და ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. საჭიროა მეტი გულისყურით მოვეკიდოთ ქართული ენის საწმინდის დაცვას სამართლებრივი აქტების შედგენის დროს.

მაგრამ მარტო ენთუზიაზმითაც, ალბათ, ფონს ვერ გავალთ. საჭიროა დავსახოთ რეალური გზები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ვფიქრობთ, შესაბამის დაწესებულებათა ხელმძღვანელები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ საჭირობოროტო საკითხს და იღონონ რამე თავიანთ უწყებებში ქართული სამართლებრივი ენის სიწმინდის დასაცავად.

## კანონის ენის სრულყოფისათვის \*

მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის დროს, როდესაც სამართლის თითქმის ყველა დარგის კანონმდებლობის თავმოყრა-გადახალისება და ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნებთან მისადაგება ხდება, კანონის ენის საკითხსაც უნდა დავუთმოდ ჯეროვანი ყურადღება. მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა, რაც ამ რეფორმის უმთავრეს მიზანს შეადგენს, წარმოუდგენელია კანონის ენობრივი ქსოვილის სრულქმნა-დახვეწის გარეშე. საკანონმდებლო ტექსტი ისეთივე ნათელი და ყველასათვის გასაგები ენით უნდა იწერებოდეს, როგორც ფართო მკითხველისათვის განკუთვნილი ლიტერატურული ნაწარმოები. ამის გამო მოქმედი კანონმდებლობა ენობრივი თვალსაზრისითაც უუჭველად უნდა გადაისინჯოს.

როდესაც თანამედროვე ქართული საკანონმდებლო ენის ავკარგზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. საქმე ის არის, რომ საკანონმდებლო ტექსტები ჩვენში რუსული ენიდან ითარგმნება. როგორც ცნობილია, საკავშირო კანონმდებლობა, რომელიც მთელი კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს, რუსულად იწერება და მხოლოდ შემდეგ ითარგმნება მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე. ამიტომ ჩვენ აქ თარგმნას, რაღა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით. მაგრამ საქმეს უფრო მეტად ის ართულებს, რომ რესპუბლიკური კანონპროექტებიც ჩვენში, სამწყხაროდ, რუსულ ენაზე იწერება. ამის გამოა, რომ ქართული საკანონმდებლო ტექსტების ენა თარგმნისას ხშირად მახინჯდება და კარგავს თავის ბუნებრივ იერს. ამ ტექსტებში შეიმჩნევა ჩვენი ენისათვის შეუფერებელი, უცხო გამოთქმები და კონსტრუქციები. ბევრ შემთხვევაში ისინი მოკლებულია იმ სიზუსტეს, სიცხადეს და ლაკონიურობას, რაც საკანონმდებლო ტექსტის აუცილებელ ნიშანთვისებად ითვლება. ეს გარემოება გვაავალდებულებს საგულდაგულოდ შევცხოთ საკანონმდებლო ტექსტების თარგმნის საკითხებს.

ამ ოციოდე წლის წინათ დამუშავდა და გამოიცა “რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია და დღესაც გვეხმარება სამართლებრივი

ტექსტების რუსულიდან ქართულად თარგმნისას. ამ ლექსიკონის წყალობით ბევრ რუსულ სამართლებრივ ტერმინს მოეძებნა ზუსტი ქართული შესატყვისი, ბევრი მათგანი მტკიცედ დამკვიდრდა პრესის ფურცლებზე და გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში. თუმცა ვერც იმას უარყოფთ, რომ ნაწილი ამ ტერმინებისა ჯერ კიდევ მოითხოვს დაზუსტებას და დახვეწას. შემოდის ახალი ტერმინებიც, რომლებსაც შესაფერისი ქართული შესატყვისები უნდა მოეძებნოს.

მაგრამ საკანონმდებლო ტექსტის თარგმნისას მარტო ტერმინოლოგიით ფონს ვერ გავაღოთ. ტერმინოლოგიური საკითხების განხილვასთან ერთად, საჭიროა სამართლებრივი აქტების ენისა და სტილის გაანალიზებაც. ამიტომ ჩვენც სწორედ ამ საკითხების გაშუქებით გვინდა დავიწყოთ ჩვენი მსჯელობა.

სამართლებრივი აქტის თარგმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებურება, რომელიც ამ სახის ტექსტს ახლავს თან, სხვა სახის ლიტერატურული ტექსტისაგან განსხვავებით. მაგალითად, იმის გამო, რომ ნორმატიული აქტი ქვეყნის სავალდებულო წესს ადგენს, აზრობრივად ის ზედმიწევნითი სიზუსტით უნდა ითარგმნოს. აქ არ შეიძლება დავუშვათ ეგრეთ წოდებული თავისუფალი თარგმანის პრინციპი, რადგანაც კანონმდებლის ნება, მისი აზრი ისევე ზუსტად უნდა გადმოიცეს თარგმნილ ტექსტში, როგორც ის დედანშია გამოხატული. უნდა ითქვას, რომ ეს დებულება ძირითადად მიღებულია და გამოიყენება საკანონმდებლო აქტების მთარგმნელობითს პრაქტიკაში. ამიტომაც ამ მხრივ ჩვენ მთარგმნელთა მიმართ საყვედური თითქმის არ გვეთქმის.

სამაგიეროდ, თარგმნის დროს თავს იჩენს ხოლმე მეორე უკიდურესობა. საქმე ის გახლავთ, რომ ხშირად აზრის სიზუსტით გადმოთარგმნა გაიგივებულია აზრის გარეგანი გამომსახველობითი ფორმების, კანონის ენობრივი ქსოვილის ზუსტად გადმოტანასთან რუსულიდან ქართულ ენაზე, რაც კანონის ქართულ ტექსტს უკარგავს მისთვის დამახასიათებელ სისხარტეს და ლაკონიურობას და საბოლოოდ ქართულისათვის არაბუნებრივი, უცხო კონსტრუქციების დამკვიდრებისაკენ მივყავართ. მაგალითად, რამდენად გამართლებულია სტილისტიკურად რუსულ საკანონმდებლო ტექსტებში გამოყენებული "о" ("ინ") სიტყვის ქართულად ყველა შემთხვევაში გადმოთარგმნა, რასაც ასე ხშირად

გზედებით ჩვენს მთარგმნელობით პრაქტიკაში? ავიღოთ თუნდაც ისეთი საკანონმდებლო აქტის სათაური, როგორც არის "Закон Грузинской ССР о судостроительстве Грузинской ССР", ან კიდევ "Закон Грузинской ССР об охране и использовании памятников истории и культуры". ქართულად ეს ტექსტები ასე ითარგმნა: "საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ" და "საქართველოს სსრ კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ". შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მსგავსი ნიმუში: "კანონი... ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ", "კანონი... ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", "კანონი... სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ" და სხვ. აქ სიტყვა "შესახებ", რომელსაც რუსული "«н»" შეესატყვისება, სრულიად ზედმეტია. ზედმეტსიტყვაობას კი კანონმდებელი ყოველთვის უნდა ერიდებოდეს. ჩემი აზრით, ეს ტექსტები ქართულად ასე უნდა ეთარგმნოს: "საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონი", "საქართველოს სსრ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების კანონი", "სახელმწიფო ნოტარიატის კანონი" და ასე შემდეგ.

თუმცა სამართლებრივი აქტების მთარგმნელობითი პრაქტიკა ამ პრინციპს ბოლომდე მაინც ვერ იცავს და "ი"-ს თარგმნაზე ზოგჯერ უარს ამბობს ხოლმე. მაგალითად, "Кодекс законов о труде Грузинской ССР": სრულიად მართებულად ასე გადმოქართულდა: "საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი", "Кодекс о браке и семье Грузинской ССР" "საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი" <sup>1</sup> "Кодекс Грузинской ССР о недрах" "საქართველოს სსრ წიაღის კოდექსი".

როგორც მკითხველი ხედავს, ზემოთ მოყვანილი ტექსტების ქართულ თარგმანებში რუსული "ი"-ს ჩამოცილება შედარებით იოლად მოხდა და ქართულ ტექსტში მას რაიმე შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. შედეგად მივიღეთ ის, რომ ქართული ტექსტი გაიმართა, იგი უფრო ლაკონური, სხარტი და მოქნილი გახდა.

მაგრამ ზოგჯერ "ი"-ს ჩამოცილება ქართულ თარგმანში ასე იოლად ვერ ხერხდება, რაც მთარგმნელისაგან მეტ დაკვირვებასა

<sup>1</sup> მართალია, ამ კოდექსის სათაური სწორად ითარგმნა, ტექსტში ეს პრინციპი კვლავ დარღვეულია (იხ. კოდექსის მეორე თავის სათაური, მე-7 მუხლი და სხვ.).

და ოსტატობას მოითხოვს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის №4 დადგენილების სათაური "О судебном приговоре" ქართულად ასეა თარგმნილი: "სასამართლო განაჩენის შესახებ". ვფიქრობ, რომ ეს არ არის ბუნებრივი ქართული. "შესახებ" სიტყვა აქაც ზედმეტი ჩანს. ალბათ ეს სათაური ქართულად ასე უნდა ითარგმნოს: "სასამართლო განაჩენისათვის". ასეთი თარგმანი, ჩემი აზრით, ქართული ენის ბუნებასაც შეეფერება და გამოსაყენებლადაც უფრო მოსახერხებელია.

ამ პრინციპით თარგმნა განსაკუთრებით გაგვიადვილებს საქმეს ისეთი ტექსტების გადმოქართულების დროს, სადაც სიტყვა "о" ერთსა და იმავე წინადადებაში ორჯერ არის გამოყენებული. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წ. 4 დეკემბრის №10 დადგენილების სათაურია "О практике применения Судами Основ законодательства Союза ССР и Союзных республик о браке и семье, ხოლო №11 დადგენილებისა "О практике применения судами законодательства о несостоятельности обороне". ეს ტექსტები ქართულად ასე ითარგმნა: "სასამართლოების მიერ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების პრაქტიკის თაობაზე" და "სასამართლოების მიერ აუცილებელი მოგერიების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე".

როგორც ჩანს, მთარგმნელს ერთგვარი უხერხულობა უგრძენია წინადადებაში "შესახებ" სიტყვის ორჯერ გამეორების გამო და იძულებული გამხდარა ერთ შემთხვევაში ის "თაობაზე" სიტყვით შეეცვალა. თუმცა ამ სიახლეს ტექსტის სტილისტიკური გაუმჯობესება მაინც არ მოჰყოლია. ქართული ტექსტის სტილი აქ კვლავ დამძიმებულია. ჩემი აზრით, სასურველი იყო ეს სათაურებიც ასე გვეთარგმნა: "სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების პრაქტიკისათვის" და "სასამართლოების მიერ აუცილებელი მოგერიების კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკისათვის".

მაგრამ ქართული საკანონმდებლო ტექსტები მარტო "შესახებ" სიტყვით როდია აჭრელებული. თითქმის ვერ შეხვდები ტექსტს, სადაც სიტყვა "პირი" არ იყოს სრულიად უად-

გილოდ წართული. გადახედეთ, მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ან თუნდაც შრომა-გასწორების თუ სხვა კოდექსს, რათა დარწმუნდეთ, რამდენად სწორია ეს საყვედური. სანიმუშოდ მოვიყვან საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის VIII თავს, რომლის სათაურია “თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომა“. ამ თავში სულ ექვსი მუხლია მოქცეული. აი მათი სათაურებიც: “თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში“ (მ 50), “თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომის პირობები“ – (მ51), “თავისუფლებააღკვეთილ პირთა შრომის ანაზღაურება“ (მ.52), “დაქვითვები თავისუფლებააღკვეთილ პირთა ხელფასიდან“ (მ 53), “თავისუფლებააღკვეთილ პირთა სამუშაოში ჩაბმა შრომის ანაზღაურების გარეშე“ (მ.54), თავისუფლებააღკვეთილ პირთა საქენისო უზრუნველყოფა შრომის უნარიანობის დაკარგვასთან დაკავშირებით“ (მ.55).

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ძალიან ხშირად გვხვდება გამოთქმა “საქმეში მონაწილე პირები“, რომელიც რუსული “участствующие в деле лица“- დან არის კალკირებული. (იხ. მ.მ.141, 149, 155, 156, 161, 162, 163, 164 და სხვ.).

რამდენად მოიგებდა თარგმანი, მთარგმნელს რომ დედნის უაზრო ერთგულებაზე უარი ეთქვა და ეს ტექსტები ბუნებრივი ქართულით გადმოედო? სიტყვა “პირი“ ხომ აქ სრულიად ზედმიტია. მით უმეტეს, რომ ამ სიტყვების ამოღებით კანონის აზრი არ იცვლება. უმჯობესი არ იყო, მაგალითად, დაგვეწერა: “თავისუფლებააღკვეთილის შრომა“, “თავისუფლებააღკვეთილის ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში“ (მ.50), “თავისუფლებააღკვეთილის შრომის პირობები“ (მ. 51) და ასე შემდეგ.<sup>1</sup> “საქმეში მონაწილე პირები“ კი არა, “საქმის მონაწილე“ და სხვ. განა “თავისუფლებააღკვეთილი“ ან “საქმის მონაწილე“ “პირს“ თავისთავად არ გულისხმობს?

ქართულ საკანონმდებლო ტექსტებზე უბრალო დაკვირვებითაც კი ადვილად შეიმჩნევა კიდევ ერთი ისეთი სახის ნაკლი,

<sup>1</sup> საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში გვხვდება ზოგიერთი ტერმინოლოგიური შეუსაბამობაც. მაგალითად, იქ რუსული “высказание“-ს ქართულ შესატყვისად “სახდელის“ ნაცვლად გამოყენებულია “სასჯელი“ (იხ. მ.მ. 68,69).

რომლის აღმოფხვრა, ჩემი აზრით, მინიშნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ ტექსტების სტილისტიკურ დახვეწას და უფრო ადვილად წასაკითხს გახდიდა მათ. ეს გახლავთ მრავლობითი ფორმის ძალზე ხშირად და უადგილოდ ადგილას გამოყენება, რაც ასევე დედნისადმი მთარგმნელის ბრმა ერთგულების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ოცდამეთხუთმეტე თავის სათაურია “საქმის წარმოება საზედამხედველო ინსტანციაში“, მაშინ, როცა კოდექსის II კარის სათაური ასეა თარგმნილი: “საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში“. ვითომ რა დაშავებოდა, აქაც რომ “საქმის წარმოება“ გვეხმარა? ამავე კოდექსის მეთხუთმეტე თავის სათაურია “სამოქალაქო საქმეების მომზადება სასამართლო გარჩევისთვის“. აქაც ასევე “სამოქალაქო საქმის მომზადება... “უნდა დაგვეწერა და სხვ.

“О статусе народных депутатов...” ასეა თარგმნილი “სახალხო დეპუტატთა სტატუსის...“ დეპუტატის სტატუსის კანონის მე-2 მუხლის სათაურია: “დეპუტატთა მონაწილეობა საბჭოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში“, მე-3 მუხლისა “კანონმდებლობა დეპუტატების უფლებამოსილების შესახებ“ და სხვ. მაგრამ იმავე კანონის მე-4 მუხლის სათაურში ვკითხულობთ: “დეპუტატის უფლებამოსილების ვადა“. ხომ შეგვეძლო, რომ მხოლობითი ფორმა “დეპუტატის“ წინა ორ მუხლშიც გვეხმარა? ცხადია, შეგვეძლო. მაგალითად: “დეპუტატის მონაწილეობა საბჭოს მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში“ და “დეპუტატის უფლებამოსილების კანონმდებლობა“. გარეგნულად აქ “დეპუტატი“ და “საბჭო“ მხოლობითი ფორმით არის მოცემული, თუმცა არსებითად ისინი მრავლობითს გულისხმობენ და, მაშასადამე, კანონის აზრი არ იცვლება. ასეთი გახლავთ ქართული ენის ბუნება, რასაც უეჭველად ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ცხადია, გვხვდება შემთხვევებიც, როცა სიტყვა მარტო არსებითად, შინაგანად კი არა, გარეგნული სახითაც მრავლობითს ფორმას მოითხოვს. მაგალითად, “Советский Союз“ აუცილებლად “საბჭოების კავშირად“ ანუ “საბჭოთა კავშირად“ უნდა ითარგმნოს, ხოლო “Совет народных депутатов“ სახალხო დეპუტატთა საბჭოდ“ და სხვ. ერთი სიტყვით, თარგმნისას საკითხს შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ.

ქართულ საკანონმდებლო ტექსტებში ენის არამომჭირნეობითი გამოყენების სხვაგვარი შემთხვევებიც შეიმჩნევა. მაგალითად, საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 45-ე მუხლის სათაური "Свидания осужденных к лишению свободы с родственниками и иными лицами" ასეა გადმოქართულებული: "იმ პირთა პაემანი ნათესავებთან და სხვა პირებთან, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა". როგორც ვხედავთ, თარგმნილი ტექსტი თორმეტი სიტყვისაგან შედგება. ვფიქრობთ, შეიძლებოდა ამ აზრის უფრო მოკლედ და ბუნებრივი ქართულით გადმოცემა: "თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პაემანი ნათესავებთან და სხვებთან". ტექსტი აქ უფრო გამარტივდა, სიტყვების რაოდენობაც თორმეტიდან ექვსამდე შემცირდა ისე, რომ კანონის აზრი არ შეცვლილა. საგულისხმოა, რომ ამ კოდექსის 41-ე მუხლში გვხვდება მარჯვე ტერმინი "თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული". მაგრამ ეს ტერმინი შემდეგ არც ზემოთ დასახელებულ და არც სხვა მუხლში აღარ არის გამოყენებული. ავიღოთ თუნდაც შრომა-გასწორების კოდექსის 49-ე მუხლი: "იმ პირთა სანიერები, განცხადებები და წერილები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა". ან კიდევ "იმ პირთა დღის განაწესი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა" (მ. 42, იხ. აგრეთვე მმ 46,47,48). ეს ტექსტებიც ქართულად ასე გაიმართებოდა: "თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის საჩივარი, განცხადება და წერილი", "თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის დღის განაწესი" და სხვ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიცია ასეთია: "გაუპატიურება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული". საოცარი დამთხვევაა. ამ თერთმეტსიტყვიანი წინადადების ადგილას თავისუფლად შეგვძლო ჩაგვესვა ორსიტყვიანი წინადადება ისე, რომ კანონის აზრი იოტისოდენადაც არ შეიცვლებოდა. აი ისიც, "გაუპატიურება გამეორებით". ეს მაგალითი კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვინვენებს, როგორი არაეკონომიურია, როგორი არალაკონიურია თანამედროვე ქართული საკანონმდებლო ენა და რა დიდი მეცადინეობა გვმართებს მომავალში ამ საქმის მეცნიერულ ნიადაგზე დასაყენებლად.

კანონის ტექსტი, როგორც ითქვა, თავისებურია და განსხვავდება სხვა სახის ლიტერატურული ტექსტისაგან. მაგრამ



ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი დაცილებული იყოს ხალხის სა-  
ლაპარკო ენას. კანონის აზრი ისეთივე ბუნებრივი ქართულით უნ-  
და იყოს გამოხატული, როგორცაა ხალხი ლაპარაკობს.  
კანცელარულობა, სტილის გართულება მხოლოდ ავნებს კანონის  
ტექსტს. კანონმდებელი შეძლებისდაგვარად უნდა ერიდოს არქა-  
იზმებისა და ნეოლოგიზმების, აგრეთვე ხალხის ფართო ფენები-  
სათვის გაუგებარი უცხო ტერმინების ხმარებას.

არქაიზმებს რომ ვახსენებთ, ამით, ცხადია, მიზნად არ  
ვისახავთ ყველა ძველი წარმოშობის ტერმინის არქაულობის ნიშ-  
ნით დაწუნებას. ცნობილია, რომ ქართული სამართლებრივი ენა  
უძველესია და ბევრ ტერმინს, რომლებიც ამჟამად გამოიყენება,  
შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ისეთი ტერმინები,  
როგორც არის, ვთქვათ, განჩინება, განაჩენი, სისხლის სამართა-  
ლი და მრავალი სხვა, ძველი დროიდან მომდინარებს. მაგრამ  
მათ წყნარ არქაულობას ვერ დავწამებთ. საქმე ის არის, რომ ეს  
ტერმინები ხალხის მეხსიერებაში დღემდე შემოინახა და სალაპა-  
რაკო ენაში კიდევ გვხვდება. არქაულობის ნიშნით შეიძლება  
დავიწუნოთ ისეთი ტერმინი ან სიტყვა, რომელიც ენაში აღარ  
იხმარება და ხალხს იგი იმდენად დავიწყებული აქვს, რომ მისი  
საკანონმდებლო ტექსტში ან საერთოდ სამართლებრივ ენაში  
შემოტანა მიზანშეწონილი არ არის. მაგალითად, “რუსულ-ქარ-  
თულმა იურიდიულმა ტერმინოლოგიამ” “*дьявещая преступление*”-ს  
ქართულ შესატყვისად შემოგვთავაზა “*მყოვარი დანაშაული*”.  
“*მყოვარი*” არქაიზმია და თანაც იმდენად მოძველებული, რომ ის  
პრაქტიკულად ხალხის სალაპარაკო ენაში აღარ იხმარება.  
ამიტომ იგი ვერ შეცვლის თანამედროვე ქართულ მეცნიერულ  
ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებულ “*დენად დანაშაულს*”,  
რომელიც “*дьявещая преступление*”-ს შესატყვისად გამოიყენება.  
ამ აზრის სისწორეს ისიც მოწმობს, რომ ხსენებული ლექსიკონის  
გამოცემის ოცწლიან პერიოდში ამ ტერმინმა ოდნავადაც ვერ  
მოიკიდა ფეხი ვერც ლიტერატურაში და ვერც სასამართლო პრაქ-  
ტიკაში.

რასაკვირველია, ის გარემოება, რომ სიტყვამ ან გამოთქმამ  
ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი ლიტერატურაში თავისთავად როდი  
ნიშნავს მის უვარგისობას. მაგალითად, იმავე “*რუსულ-ქართულ*  
*იურიდიულ ტერმინოლოგიაში*” “*определить, определять*” რამდენ-  
იმე მნიშვნელობით არის თარგმნილი. ერთ-ერთ მნიშვნელობად

სრულიად მართებულად მიჩნეულია “განჩინება (განაჩინებს)“. როგორც ცნობილია, საკასაციო განჩინებაში რუსულად წერენ “Судебная коллегия... определила“. ქართულად ამის შესატყვისად ვხმარობთ გამოთქმას “სასამართლო კოლეგიაში... დაადგინა“, მაშინ, როცა შეგვეკლო დაგვეწერა: “სასამართლო კოლეგიაში... განაჩინა“. ეს გამოთქმა ზუსტად ემთხვევა რუსულ ტერმინს (определение განჩინება, определила - განაჩინა). ამავე დროს, ის წმინდა ქართული გამოთქმაც არის. მართალია, სიტყვა “განაჩინა“, “განგაჩინე“ დღეს სასაუბრო ენაში აღარ გვხვდება, მაგრამ ეს არ გამოიწვევს გაუგებრობას, რადგანაც მისი ძირია “განჩინება“, რომელიც უკვე დამკვიდრებულია სალაპარაკო ენაში. ამიტომ, ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი ჩვენი სასამართლო საბუთების ენა კვლავ აითვისებს ამ ძველებურ ქართულ გამოთქმას.

არქაიზმებთან ერთად, სამართლებრივ აქტებში უნდა ვერიდოთ ისეთი კუთხური სიტყვების ხმარებას, რომლებიც სალიტერატურო ქართულში არ გამოიყენება. სამართლის ენა ადვილად გასაგები უნდა იყოს ყოველი კუთხის მცხოვრებისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენ მიუღებლად მიგვჩანია “რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის“ მიერ “РЕВНОСТЬ“-ის შესატყვისად შემოთავაზებული “ღაზო“. “РЕВНОСТЬ” ღაზობა“ (“იღაზებს“), “ревнивыи” - “ღაზოიანი“ - ვკითხულობთ ხსენებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში. “ღაზო“, “ღაზობა“ კუთხური გამოთქმაა, რომელიც შურის, გაღიზიანების, ხანაც უნარიანობის მნიშვნელობით იხმარება კახურ დიალექტში, კერძოდ, ქიზიყურ კილოში (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.7) და საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებთათვის სრულიად უცნობია. სამაგიეროდ, “РЕВНОСТЬ“-ის ქართულ შესატყვისად დღეს საყოველთაოდ მიღებულია “ეჭვიანობა“. ამიტომ მიზანშეუწონელია ამ ტერმინზე უარის თქმა და მისი შეცვლა სალიტერატურო ენისათვის უცნობი კუთხური გამოთქმით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი ხმარობს ტერმინს “საცხოვრებელი სადგომი“. ეს ტერმინი ერთ ხანს საქართველოს სსრ-ის სამართლის კანონმდებლობაშიც იყო მიღებული (იხ. საქართველოს სსრ სსსხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 151-ე და 152-ე მუხლების 1980 წ. 21 მაისის რედაქცია). მაგრამ “საცხოვრებელი სადგომი“ ხალხის სალაპარაკო ენისათვის უცნობია. აბა, ვის უნახავს კაცი, რომელსაც

აღმასკომში განცხადება შეეცანოს, “საცხოვრებელი სადგომის” მიღების რიგში ჩამაყენეთ ან “საცხოვრებელი სადგომი” მომეცითო. მე ვფიქრობ, არც გაქურდულს უნივლია სადმე, წუხელ “საცხოვრებელი სადგომი” გამიქურდესო. ამიტომ სწორად მოიქცა კანონმდებელი, როცა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში “საცხოვრებელი სადგომის” ნაცვლად შემოიტანა ტერმინი “ბინა” (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 151-ე და 152-ე მუხლების 1982 წლის 29 დეკემბერის რედაქცია).

“საცხოვრებელი სადგომი” ორსიტყვიანი ტერმინია. ის კიდევ შეიძლება გვეხმარა, ენაში რომ მისი შემცვლელი არ გაგვანდეს. ამავე დროს სწორედ ამ ორსიტყვიანობის გამო იგი მოუქნელიც არის და ყველა შემთხვევაში ვერ გამოიყენება. ალბათ ამიტომაც არის, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ვერ იცავს თანმიმდევრობას და იძულებულია შემოიტანოს ტერმინები “ბინის ქირა” (მმ 298, 299, 315, 326), “საბინო-სამშენებლო კოლექტივი” (მ 104), “საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი” (მმ 35, 106, 293, 299) და სხვ. ამჟამად მიღებულია საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი. ამის გამო, ვფიქრობ, აჯობებდა საბოლოოდ დაგვემკვიდრებინა ტერმინი “ბინა”.

არსებითად იგივე შეიძლება ითქვას ტერმინ “კრედიტორის” მიმართაც. “კრედიტორი” უცხო სიტყვაა და ხალხის სალაპარაკო ენაში არ გვხვდება. უცხო ტერმინიც კანონმდებელმა მხოლოდ მაშინ უნდა იხმაროს, როცა მისი შემცვლელი ენაში არ მოგვეპოვება. ქართულში კი გვაქვს “კრედიტორის” შესატყვისი ზუსტი ტერმინი “მევალე”. მაგრამ რატომღაც მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში ამ სიტყვის ხსენებაც კი არ არის. უმჯობესი არ იყო, მაგალითად, “კრედიტორისა” და “მოვალის” ნაცვლად, მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაში რომ გვხვდება (იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მმ 206-212 და სხვ.), “მევალე” და “მოვალე” გამოგვეყენებინა? “მევალის” უპირატესობა, “კრედიტორთან” შედარებით, ის არის, რომ იგი ისევე, როგორც “მოვალე”, ქართულ ფუძეზეა აღმოცენებული და ყველასათვის ადვილად გასაგებია. “მევალე”, ამავე დროს, წმინდა სამართლებრივი ტერმინია და დიდი ხანია დამკვიდრებულია ქართულ სალაპარაკო ენაში. მაგალითად, ხალხი ამბობს: კარის ზღურბლზე ნუ ჩამოჯდები, მევალე მოგვადგებაო. სულხან-საბას “სიტყვის კონაშიც” ვკითხულობთ: “მევალე - ვალის გამცემი”. ამრიგად, ამ სიტყვის მთლიანად გამოდევნა სამართლებრივი ენი-

დან და მის ნაცვლად უცხოური “კრედიტორის” დამკვიდრება, ჩემი აზრით, გაუმართლებელი უნდა იყოს.

პროფ გ. შალამბერიძე სამართლიანად იწუნებს ისეთ გრამატიკულ ფორმას, როგორც არის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი და სხვ. მისი აზრით, მსაზღვრელი სიტყვა “ეკონომიკური” ნათესაობით ბრუნვაში უნდა იყოს მოცემული, რადგანაც იგი გამოხატავს კუთვნილებას. ამიტომ უნდა დაიწეროს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი კი არა, საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტი და ასე შემდეგ. მაგრამ როგორც კი საქმე იურიდიულ ფაკულტეტზე მიდგა, აქ უკვე შეუძლებელი გახდა მსაზღვრელი სიტყვის (იურიდიული) ნათესაობით ბრუნვაში დაყენება. მაგალითად, ხომ ვერ ვიტყვით: იურიდიის ფაკულტეტი. ამის სანაცვლოდ გეტორი გვთავაზობს ტერმინს - იურისპრუდენციის ფაკულტეტი. გრამატიკულად აქ მართლაც ყველაფერი რიგზეა. როცა ვკითხულობთ, რომელი ფაკულტეტი დაამთავრა მავანმა, ვერ გუპასუხებთ, იურიდიულითქო, რადგან კითხვა “რომელი” სწორედ ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს (იურისპრუდენციის). მაგრამ იურისპრუდენციის ნაცვლად, ჩემი აზრით, აჯობებდა გვეხმარა სამართალმცოდნეობა. თუკი არსებობს სახელწოდება ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, რატომ არ შეიძლება ვთქვათ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მით უმეტეს, რომ ამჟამად ბევრგან არის გახსნილი სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტები. ქართულ ტერმინს ყოველთვის უპირატესობა უნდა მიეცეს უცხო ტერმინის მიმართ.

რუსული ენიდან ტერმინოლოგიის თარგმნის დროს ზოგჯერ გეხედება პირდაპირი კალკირების შემოხვევებიც, როცა ვერ არის ხოლმე მიგნებული ტერმინის ბუნებრივი ქართული შესატყვისი. მაგალითად, “протест в порядке надзора” თარგმნილია ასე: “პროტესტი ზედამხედველობის წესით” (იხ. “რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია”, სასამართლოს საბუთების ბლანკეტი) ნაცვლად იმისა, რომ გვეთარგმნა “სახელმძღვანელო პროტესტი”. “Рынничество”-ს ქართულ შესატყვისად ხან “თევზჭერა” გამოიყენება, ხანაც “მეთევზეობა”. მონკავშირის წესდების 57-ე მუხლში ვკითხულობთ: “მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრებს ეძლევათ მოხალისე თევზმჭერთა ბილეთი”, ხოლო წესდების 61-ე მუხლში წერია: “მონადირის ბილეთი ცვლის მოხალისე თევზმჭერის ბილეთს”. “მოხალისე თევზმჭერი”

<sup>1</sup> იხ. გ. შალამბერიძე “ნუ შეეზღუდავთ ნათესაობითი ბრუნვის უწყვეტებს!” გაზ. “სახალხო განათლება”, 1981 წ. №75

კალკია. ბუნებრივი ქართულით უნდა ითქვას ასე: "მოხალისე მეთევზე", "მეთევზეთა სექცია" და სხვ.

"Прекращение дела производством"-ის შესატყვისად დამკვიდრებულია "საქმის შეწყვეტა წარმოებით", მაშინ, როცა შეგვეძლო ქართულად გვეთქვა: "საქმის წარმოების შეწყვეტა", "საქმის წარმოება შეწყდა" და სხვ.

პირდაპირ კალკირებულია ქართულად აგრეთვე ისეთი რუსული ტერმინები, როგორც არის, მაგალითად, "составление заведомо ложных документов" ("შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენა"), "заведомо ложное показание" ("შეგნებულად ცრუ დასმენა") და "заведомо ложный донос"-შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა", (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე, 196-ე და 197-ე მმ). "რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია" "заведомо ложный донос"-ის და "заведомо ложное показание"-ს. ქართულ შესატყვისად გვთავაზობს "შეგნებულად ცრუ დასმენას" და "შეგნებულად ცრუ ჩვენებას", ხოლო "ложный донос"-ისა და "ложное показание"-ს შესატყვისად - "ცრუ დასმენას" და "ცრუ ჩვენებას". მაგრამ მე ვფიქრობ, აქ სხვადასხვა კი არა, ერთი და იგივე ტერმინებთან გვაქვს საქმე. ქართული "სიყალბე" და "სიცრუე" შეგნების მომენტს თავისთავად გულისხმობენ. არ არსებობს შეუგნებელი "სიცრუე" და "სიყალბე". ვინც ცრუობს, მან წინასწარ იცის, რომ სხვა ადამიანს ან დაწესებულებას არასწორ ცნობას აწვდის. სწორედ შეგნების ნიშნით განსხვავდება "სიცრუე" და "სიყალბე" შეცდომისაგან. ამიტომ ეს ტერმინები ქართულად ასე უნდა ვთარგმნოთ: "ყალბი დოკუმენტის შედგენა", "ცრუ დასმენა", "ცრუ ჩვენება".

"Освобождение от наказания"-ს შესატყვისად ქართულად საყოველთაოდ მიღებულია "მოსამართლის განსაკუთრებული აზრი". ჩემი ღრმა რწმენით, ამ შემთხვევაში "განსაკუთრებული" ვერ ასახავს ზუსტად "освобождение"-ს მნიშვნელობას. ეს ტერმინი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს რომელიმე მოსამართლეს რაღაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული აზრი გამოეთქვას, მაშინ, როცა მასში სულ სხვა რამ არის ნაგულები. აქ ძირითადი ის არის, რომ განსაზღვრულ საკითხზე ერთ მოსამართლეს დანარჩენი ორისაგან განსხვავებული აზრი შეექმნა. ამიტომ, ვფიქრობ, ხსენებული ტერმინი ასე უნდა ვთარგმნოთ: "მოსამართლის განსხვავებული აზრი". "განსაკუთრებული" მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა. იგი გულისხმობს თავისებურს, სხვებისაგან გამოირჩეულს, საგანგებოს, არაჩვეულებრივს და სხვ. "განსხვავებული" კი ერთმნიშვნელოვანია. ამის გამო ის უფრო

ზუსტად ასახავს "ოცნბე"-ს შინაარსს. რაც უფრო ზუსტი და ერთმინიშვნელოვანია ტერმინი, მით უფრო კარგად შეასრულებს ის თავის პრაქტიკულ დანიშნულებას.

იგივე უნდა ითქვას "ოცნბე производство"-ის მიმართაც, რომელიც ქართულად "განსაკუთრებულ წარმოებად" ითარგმნება. "ოცნბე" არც აქ უნდა ნიშნავდეს "განსაკუთრებულს". ცნობილია, რომ ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოება რაიმე განსაკუთრებული კი არა, უბრალოდ საერთო სასარჩელი წარმოებისაგან განსხვავებული წესით ხდება. სწორედ ამ განსხვავებაზეა აქ გადატანილი მთელი დატვირთვა და ტერმინშიც ეს ნიშანი უნდა გამოიკვეთოს ნათლად. ერთი სიტყვით, "ოცნბე производство" ქართულად "განსხვავებულ წარმოებად" უნდა ვთარგმნოთ.

რუსულ "судачный"-ის შესატყვისად ქართულ საკანონმდებლო ტექსტებში დიდი ხანია დამკვიდრდა "მსჯავრდებული", რომელიც თავის დროზე "რუსულ-ქართულმა იურიდიულმა ტერმინოლოგიამ" შემოგვთავაზა. მაგრამ უკანასკნელ წლებში ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გავლენით პრესის ფურცლებზე, "მსჯავრდებულის" ნაცვლად, კვლავ გავრცელდა ერთ დროს უკუბრუნებული "მსჯავრდადებული". "მსჯავრდადება", "მსჯავრდადებული" და არა "მსჯავრდებული", ვკითხულობთ ხსენებულ ლექსიკონში (იხ. "ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი", ვ.თოფურიას რედაქციით, თბ. 1968).

მე მაინც მგონია, რომ ამ საკითხში "რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის" პოზიცია უფრო სწორი უნდა იყოს. "მსჯავრდადება", "მსჯავრდადებული" არალაკონიურია, არაეკონომიურია. "მსჯავრდება", "მსჯავრდებული" უფრო თავისუფლად, სხარტად წარმოითქმება. ვფიქრობ, ეს ფორმა არც გრამტიკულად უნდა იყოს მიუღებელი. თუკი დასახელებული ორთოგრაფიული ლექსიკონი სწორად მიიხსენებს სიტყვა ბრალიდან "ბრალდებისა" და "ბრალდებულის" და არა "ბრალდადებისა" და "ბრალდადებულის" წარმოებას, რა გვიშლის ხელს, რომ მსჯავრიდან "მსჯავრდება" და "მსჯავრდებული" ვაწარმოოთ? იგივე ორთოგრაფიული ლექსიკონი სწორ ფორმად თვლის აგრეთვე "სჯულდებას" და არ უჭერს მხარს "სჯულდადებას".

ბოლო წლებში პრესის ფურცლებზე გავრცელდა ტერმინი "правоохранительные органы", რომელიც ქართულად სხვადასხვა დაწერილობით ითარგმნება. ზოგჯერ წერენ "სამართალდამცავ ორგანოებს", ზოგჯერ კი "სამართალდამცველ ორგანოებს". ჩემი აზრით, არც ერთი ეს დაწერილობა სწორი არ უნდა იყოს. სიტყვა "правоохранительные" მსაზღვრელია და ის ნათესაობით

ბრუნვას მოითხოვს. ქართულად ეს ტერმინი, ვფიქრობ, ასე უნდა ვთარგმნოთ: "სამართალდაცვის ორგანო".

ზოგჯერ ესა თუ ის ქართული სამართლებრივი ტერმინი არ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელიც ამ ტერმინის რუსულ შესატყვისშია ჩაქსოვილი. მაგალითად, "Верховный совет" და "Верховный суд" ქართულად "უმაღლეს საბჭოდ" და "უმაღლეს სასამართლოდ" არის თარგმნილი. "უმაღლესი" ვერ გამოხატავს "Верховный"-ს შინაარსს. "უმაღლესი" რუსულ "Высший"-ის შეესაბამება, ხოლო "Верховный" ქართულად "უზენაესია". ამ პოზიციას იცავს "რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია". ამ საკითხზე აზრთა სრული ერთიანობაა სამართალმცოდნეთა და ენათმეცნიერთა შორის. ჩვენი პრესის ფურცლებზე ალბათ არც ერთი სამართლებრივი ტერმინის დასაცავად იმდენი არ დაწერილა, რამდენიც "უზენაესის" გამო ითქვა. თუმცა ჯგერჯგერობით ეს თქმა რჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა და მას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუცია ჩვენი სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოებს კელაგინდებურად უწოდებს "უმაღლეს საბჭოს" და "უმაღლეს სასამართლოს". ("Высший Совет" და "Высший суд"), მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ამ ორგანოებს სხვა სახელს, კერძოდ, "უზენაეს საბჭოს" და "უზენაეს სასამართლოს" ("Верховный Совет" და "Верховный Суд") არქმევს. მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტს არა აქვს უფლება შეუცვალოს ამ ორგანოებს ის სახელწოდება, რომელიც მათ უმაღლესი დონის საკავშირო აქტმა, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ დაარქვა.

ქართული საკანონმდებლო ენის ირგვლივ მეცნიერული სჯაბაასი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, რადგანაც ბევრი საკითხი ჯერ კიდევ შესწავლას, დაზუსტებას და საბოლოო გადაწყვეტას საჭიროებს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ტერმინოლოგიურ სიძნელესა და საკანონმდებლო ტექსტების სტილისტიკურ თავისებურებაზე გავამახვილეთ ყურადღება. იმედია, რომ ეს სჯაბაასი კელაგ გაგრძელდება და ამ საკითხზე იურისტებთან ერთად, ენის სპეციალისტებიც იტყვიან თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას. რაც მოავარია, საკითხით ალბათ დაინტერესდებიან შესაბამისი სახელმწიფო უწყებანიც და განახორციელებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ქართული სამართლებრივი ენის შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის მიზნით.

# ქართული სამართლებრივი ენის წარსული და მომავალი

ქართული სამართლებრივი ენა ისევე ძველი და მრავალსაუკუნოვანია, როგორც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა და სამართალი. საუკუნეთა მანძილზე ვითარდებოდა და იხვეწებოდა ჩვენი იურიდიული ტერმინოლოგია. ბევრი ტერმინი, რომლებსაც თანამედროვე ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა იყენებს, ძველი ქართული სამართლიდან არის შემორჩენილი. ასეთებია, მაგალითად, განაჩენი, განჩინება, დანაშაული, სისხლის სამართალი და სხვანი.

1801 წლიდან მოყოლებული, როცა რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო და გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა, აღარ არსებობდა ქართული სამართლებრივი ენისა და ტერმინოლოგიის განვითარების პირობები. ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართულად არც კანონი აღარ იწერებოდა და არც მართლმსაჯულება ხორციელდებოდა. ოფიციალურ სახელმწიფო ენად რუსული ენა ითვლებოდა, რომელიც მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის გაუგებარი იყო.

მიუხედავად ამისა, ქართული იურიდიული ტერმინოლოგია მთლიანად მაინც არ წაშლილა და ამ რთულ პირობებში კვლავ ცოცხლობდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ჩვენმა სახელოვანმა მწერლებმა და მეცნიერებმა.

XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან ქართული მწერლობის განვითარების კვალობაზე შეძლებისდაგვარად იურიდიული ტერმინოლოგიაც ვითარდებოდა. ქართულმა მწერლობამ ბევრი ძველი იურიდიული ტერმინი გადაარჩინა აშკარა სიკვდილს, ხალხის მეხსიერებაში გააცოცხლა და ჩვენს დრომდე ასე ცოცხლად მოიტანა. იმ დროს ზოგი ახალი ტერმინიც შეიქმნა. თუ არ ვცდები, სწორედ XIX საუკუნეში შემუშავდა ისეთი მნიშვნელოვანი იურიდიული ტერმინი, როგორიცაა “უფლება”.

ამ ტერმინის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ მოვლენების გამოხატვა, რომელსაც რუსული ენა ტერმინ “право”-ს მეოხებით გამოხატავს. მაგალითად, რუსული გამოთქმა “это мое право” ასე უნდა გვეთარგმნა: “ეს ჩემი სამართალია”. ახლა კი ვამბობთ: “ეს ჩემი უფლებაა”, და ეს არა მარტო სწორი ქართულია, არამედ იურიდიულადაც გამართული გამოთქმაა. მაშასადამე, ქართული



ენა ერთმანეთისგან განასხვავებს “უფლებას“ და “სამართალს“, მაშინ, როცა შესაბამისი მოვლენების გამოსახატავად რუსული ენა იძულებულია შექმნას სპეციალური ტერმინები: “Объективное право“ და “Субъективное право“. ანალოგიური მდგომარეობაა გერმანულშიც.

რევოლუციის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ხანაში, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი განისაზღვრა და სახელმწიფო და სხვა სახეობის დავესებულებებში მისი სრულყოფილად დანერგვის კარგი პირობები შეიქმნა. მაგრამ ეს ხანა, სამწუხაროდ, საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა...

საბჭოთა სახელმწიფოს სამოცდაათწლიანი არსებობის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ქართულად გამოდის და მართლმსაჯულებაც ქართულ ენაზე ხორციელდება. ამ მდგომარეობამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ქართული საკანონმდებლო ენის სრულყოფასა და განვითარებაზე. ბევრი ძველი ტერმინი აღდგა და ახალ პირობებშიც კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას, ბევრიც ახალი შემუშავდა. ასე რომ, XX საუკუნეში ჩვენი სამართლებრივი ენა საკმაოდ დაიხვეწა და წინ წავიდა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენი ენის განვითარებას დღეს ხელს არაფერი უშლიდეს.

ყველაზე დიდი ხელის შემშლელი მაინც ის იყო და არის, რომ კანონპროექტები ხშირად ჩვენში რუსულად იწერებოდა და მხოლოდ მერე ითარგმნებოდა ქართულად. გარდა ამისა, გამოდის უამრავი საკავშირო საკანონმდებლო აქტი, რომლებიც საეაღდებულოა გამოსაყენებლად მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამიტომ ეს საკანონმდებლო აქტები ითარგმნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე და მათ შორის ქართულადაც. თარგმანები კი კეთდება ნაჩქარევად, სწრაფად და არაკვალიფიციური მთარგმნელების მიერ. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველა ქართული საკანონმდებლო აქტი რუსულიდანაა კალკირებული. ამის გამო ტერმინოლოგიაც კალკირებულია და ასე გადაეცემა თაობიდან თაობას. სანიშნოდ მინდა დავასახელო რუსული “Особое мнение судьи“-ს ქართული შესატყვისი - “მოსამართლის განსაკუთრებული აზრი“, რომელიც გვხვდება ქართულ საკანონმდებლო ტექსტებში და ასევეა დამკვიდრებული იურისტთა მეტყველებაშიც.

“Особое мнение судьи“ ნიშნავს იმას, რომ ერთი მოსამართლე სათათბირო ოთახში არ ეთანხმება დანარჩენ ორს და წერს თავის

აზრს მათ საწინააღმდეგოდ. რამდენად შეესატყვისება ამ შემთხვევაში "Особо"-ს ქართული "განსაკუთრებული"? ვფიქრობ, რომ ამ ტერმინის მთარგმნელი პირდაპირი კალკიების გზას დასდგომია და არ ჩაფიქრებია იმ მოვლენის შინაარსს, რომელსაც ეს ტერმინი გამოხატავს. სიტყვა "განსაკუთრებული" ნიშნავს გარკვეულ ხარისხს. მასში იგულისხმება არა მარტო "განსხვავების" ნიშანი, არამედ აღმატებისაც. მაგალითად, უჩვეულო, გამორჩეული და სხვ. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ მოსამართლემ "განსაკუთრებული", რაღაც "გამორჩეული", "უჩვეულო" აზრი გამოთქვა დანარჩენი ორის საწინააღმდეგოდ. შეიძლება ეს აზრი მართლაც უჩვეულო და განსაკუთრებულიც იყოს თავისი იურიდიული დასაბუთებით და შეიძლება სრულიად უსუსურიც, მაგრამ ამას როდი აქვს აქ მნიშვნელობა. ეს ტერმინი იმას ამბობს, რომ ერთმა მოსამართლემ დანარჩენი ორისაგან "განსხვავებული" აზრი გამოთქვა. სწორია თუ არა ეს აზრი, ამას შეამოწმებენ და გაარკვევენ. ამიტომ ხსენებული რუსული ტერმინიც ასე უნდა ითარგმნოს: "მოსამართლის განსხვავებული აზრი". "განსაკუთრებული" იმას ნიშნავს, რომ წინასწარვე გადაწყვეტილია საკითხი, მოსამართლეს სწორი აზრი გამოუთქვამს და მას შემოწმებაც აღარ სჭირდება. თუ კარგად ჩავუფიქრდებით, რუსული «с»-ც ამ შემთხვევაში სწორედ ამ განსხვავების მნიშვნელობით არის ნახმარი (აბა, "Отличительное мнение"-ს ხომ არ იხმარდნენ?).

ქართულ საკანონმდებლო ტექსტებში იხმარება ტერმინი "თანამდებობის პირი", რომელიც რუსული "должностное лицо" -ს აშკარა კალკია. ეს ქართული ტერმინი იმიტაც არის ცუდი, რომ იგი ორსიტყვიანია და არა აქვს ტრადიცია ქართულ ენაში. ამიტომ ხომ არ აჯობებდა, რომ აღგვედგინა ძველი ქართული იურიდიული ტერმინი "მოხელე", რომელიც ხალხის მეტყველებაში კვლავ ცოცხლობს ("რა მოხელეაო", იტყვის დღესაც ქართველი კაცი).

დიდი ხნის განმავლობაში რუსული "Верховный совет", "Верховный суд" ქართულად "უმაღლეს საბჭოდ" და "უმაღლეს სასამართლოდ" ითარგმნებოდა. იურისტები და ენათმეცნიერები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ "უმაღლესი" აქ "უზენაესით" შეცვლილიყო. მაგრამ მხოლოდ შარშან, ნოემბრის სესიაზე აღდგა სამართლიანობა და საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს კვლავ ეწოდა "საქართველოს სსრ უზენაესი

საბჭო“, როგორც 1938 წლამდე ერქვა. 1938 წლის 6 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდიუმის მაშინდელ მდივანს განუცხადებია, სიტყვა “უზენაესი“ ღმერთთან არის დაკავშირებული და ჩვენ როგორც უღმერთობმა, არ შეიძლება ეს ტერმინი ვიხმაროთო. მისი მოთხოვნა მაშინვე დაკმაყოფილდა. ამიტომ სამწუხარო ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს დურმიშხან გრიგოლაშვილის სიტყვები, როცა წერს, რომ “უზენაესი“ პრინციპულად მიუღებელ ტერმინად მიმაჩნია, რადგან იგი ოდითგანვე მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ღმერთის, მამაღმერთის მსაზღვრელად ან მის სინონიმად იხმარებოდა ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე, ვიდრე ბოლშევიკებმა არ აქციეს იგი საერთო ტერმინად...“ (გაზ. “თბილისი“, 11 აპრილი, 1990 წ. “წერილი რედაქციას“). პირიქით, როგორც ვნახეთ, სწორედ ბოლშევიკებმა დაგმეს ეს ტერმინი და ამით ერთგვარად გააღარიბეს კიდევ ჩვენი იურიდიული ტერმინოლოგია. დ. გრიგოლაშვილის საწინააღმდეგოდ ისიც მინდა ვთქვა, რომ ამ ლოგიკით უნდა დავიწუნოთ “თავისუფლებაც“, “უფლებაც“, რომლებიც “უფლიდან“ მომდინარეობს და სხვანი.

მაგრამ რუსულიდან მარტო იურიდიული ტერმინების კალკირება როდი ხდება. იურიდიული ტექსტები სტილისტურადაც ისეა გაუმართავი, მაშინვე მიხვდები, რომ კალკია. განსაკუთრებით არის მოძალტებული რუსული “О” (“он”) -ს ზეგავლენით გავრცელებული ქართული სიტყვა “შესახებ“, რომელსაც ტექსტებში უკვე ვეღარც კი ვამჩნევთ. მაგალითად, ქართულად იწერება “კანონი ამის და ამის შესახებ“, მაშინ, როცა ქართული ენის ბუნების მიხედვით თავისუფლად შეგვეკვლო სიტყვა კანონი ბოლოში გადაგვეტანა და ტექსტი გაგვეთავისუფლებინა ზედმეტსიტყვაობისაგან. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთი დადგენილების სათაური “О судежном приговоре“ ქართულად ასეა თარგმნილი: “სასამართლო განაჩენის შესახებ“. იქნებ აჯობებდა გვეთქვა “სასამართლო განაჩენისათვის“.

ახლა, როცა ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღმავლობის გზაზეა, ქართული ენა კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდება ჩვენს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. დროა, საკანონმდებლო აქტები პირდაპირ ქართულად იწერებოდეს და აღარ ითარგმნებოდეს რუსულიდან. ეს ხელს შეუწყობს არ მარტო ჩვენი იურიდიული ენის დახვეწას, არამედ საზოგადოდ ქართული იურიდიული კულტურის განვითარებასაც.

## რა დავარქვამთ საქართველოს პარლამენტს?

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა მუშაობა და პარლამენტს განსახილველად წარუდგინა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი. კომისიამ პროექტი ხმების უმრავლესობით მოიწონა. რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პროექტი სრულყოფილია და მას დახვეწა აღარ სჭირდება. კომისიის მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად მე ის მიიანია, რომ მან სრულიად უყურადღებოდ დატოვა ტერმინოლოგიური საკითხები. ქართული ენისადმი გულგრილი, ნიპილისტური დამოკიდებულება, რაც ჩვენს დღევანდელ საკანონმდებლო მუშაობაში თვალნათლივ შეიმჩნევა, აშკარად დაეტყო კონსტიტუციის პროექტსაც.

პროექტის გაცნობისას მკითხველს უთუოდ თვალში მოხვდება უცხო სიტყვების სრულიად გაუმართლებელი შემოტანა. ეს რომ უბრალო საკითხი არ არის, კარგად ჩანს ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა 1918 წელს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე: “თუ საქართველოს სასელმწიფო გასურთ აღადგინოთ და განამტკიცოთ, თავი უნდა დაანებოთ უცხო სიტყვების სესხებას და ის სახელი მიიღოთ, რომელიც ქართულიც არის და ამავე ბუნებას გამოხატავს“.

პროექტს მისაღებად მიიანია, რომ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დაერქვას “პარლამენტი“. ცნობილია, რომ “პარლამენტი“ ფრანგული სიტყვაა, რომელმაც თანამედროვე მსოფლიოში საკანონმდებლო ორგანოს ზოგადი სახელწოდების მნიშვნელობა შეიძინა. მაგრამ თითქმის ყველგან, ორიოდ გამონაკლისის გარდა, ამ ორგანოს თავისი სახელი აქვს შერქმეული შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე. მაგალითად, გერმანიაში ამ ორგანოს ეწოდება “ბუნდესტაგი“, ამერიკის შეერთებულ შტატებში “კონგრესი“, ესპანეთში “კენერალური კორტესები“, საბერძნეთში “დეპუტატთა პალატა“, ჩინეთში “სახალხო დეპუტატთა სრულიად ჩინეთის კრება“, რუმინეთში “დიდი ეროვნული კრება“, ისრაელში “ქნესეთი“, შვეიციაში “რიგსტაგი“, რუსეთში “სახელმწიფო სათათბირო“ და ა.შ.

დღევანდელი საკონსტიტუციო კომისიისგან განსხვავებით, იმ შორეულ 1918 წელს შექმნილ საკონსტიტუციო კომისიას სა-

განგებოდ უმსჯელია ამ საკითხზე და საქართველოს ეროვნულ საბჭოში შესულა წინადადებით, რათა შეეცვალათ საქართველოს "პარლამენტის სახელი". ეროვნული საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის ირგვლივ საკმაოდ მწვავე კამათი გამართულა, რომელსაც, როგორც ეს სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან ჩანს, ძლიერი იდეოლოგიური სარჩული სდებია საუფუკვლად. გასულა სოციალ-დემოკრატების წინადადება ხმების უმრავლესობით, როგორც მოსალოდნელიც იყო. "ამრიგად, - ვკითხულობთ გაზეთ "საქართველოს" 1918 წ. 6 დეკემბრისთვის ურცვლებზე - გავიდა სოც-დემ. წინადადება და საქართველოს პარლამენტს სახელად "საქართველოს პარლამენტი" დაერქვა".

მე ეს სიტყვები ბრტყალებით საგანგებოდ მოვიტანე, რათა მიკითხველისათვის ნათლად მქსვენებინა, თუ რა გაუმართლებელია ეს წინადადება თუნდაც ენობრივი ტექნიკის თვალსაზრისით. ყველა ჩვენგანის ზოგადი სახელწოდებაა ადამიანი. საკუთარი სახელი იმისთვისაა მოგონილი, რომ ერთი ადამიანი მეორისგან განვასხვავოთ. რა იქნებოდა, რომ ყოველ ჩვენგანს საკუთარ სახელადაც ადამიანი გვერქვას? მივიღებდით ისეთსავე აბსურდს, როგორიც მიიღო საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სოციალ-დემოკრატების წინადადების გაზიარებით. მაშინ ახალშობილისთვის უნდა დაგვერქვია "ადამიანი" და გვეთქვა: ამ ადამიანის საკუთარი სახელია "ადამიანი".

რაც მთავარია, საკონსტიტუციო კომისიამ წრდილში დატოვა ქართული იურიდიული ტერმინოლოგია და არ გამოიყენა ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობანი. ჩვენ კომისიის სხდომაზე ორჯერ წამოვჭერით ეს საკითხი და წამოვაყენეთ წინადადება, რომ საქართველოს პარლამენტისთვის გვეწოდებინა "სახელმწიფო საბჭო". ეს ტერმინი არა მხოლოდ ქართულია და მოსახლეობისთვისაც გასაგები, არამედ მასში კარგად ჩანს ის იურიდიული და პოლიტიკური დატვირთვაც, რაც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სახელწოდებას უნდა ჰქონდეს.

ასევე გაუმართლებლად მიმანია "სენატის" შემოღება პარლამენტის ერთ-ერთი პალატის სახელწოდებად. თუ საქართველოს პარლამენტი ორპალატიან ორგანოდ ჩამოყალიბდებოდა, მაშინ ამ პალატებისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა შესაბამისად "უზენაესი სათათბირო" და "უზენაესი საკრებულო".

აშკარად ყურს ჭრის და ყოვლად გაუმართლებლად უნდა მივინიოთ სიტყვა “გუბერნატორის“ შემოტანა ერთ-ერთი მაღალი სახელმწიფო მოხელის სახელწოდებად. ამას სჯობდა ისევ პრეზიდენტის რწმუნებული დაგვეტოვებინა, თუმცა შეიძლებოდა მოგვეძებნა სხვა უფრო მოხერხებული ქართული ტერმინიც. სხდომაზე “საბჭო“ დაიწუნეს იმიტომ, თითქოს ის ცუდ ასოციაციებს იწვევდეს. მაგრამ მე ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ქართველ კაცს არ მოსწონდეს “საბჭო“ და სიამოვნებდეს “გუბერნატორი“. ისე, როგორ შეგვიყვარდა ამერიკა, რომ რუსული გუბერნიების სუსხიც კი დაგვაიწყდა!

როცა ორასწლოვანი უუფლებობიდან გამოსავალს ვეძებთ და ვცდილობთ, თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნას უფლება არა გვაქვს არ ამოვწუროთ ქართული ენობრივი შესაძლებლობანი. გადავხედოთ რა ხდება კულტურის სხვა სფეროებში. ამის საბუთად მარტო ფინანსისტების მაგალითიც კმარა. როცა ჩვენში ეროვნული ფულის შემოღების საკითხი დადგა, ქართველმა ფინანსისტებმა მაშინვე შემოგვთავაზეს ქართული საფინანსო ტერმინები “ლარი“, “თეთრი“ და სხვ. ჩვენ ყველა ამ ტერმინების შემოტანას დიდი კმაყოფილებით შევხვდით და სრულიად ბუნებრივ მოვლენად მივიჩნიეთ. განა მათ არ შეეძლოთ, რომ ქართული ფულის ერთეულისთვის “დოლარი“ ეწოდებინათ? ეს სიტყვა ხომ დღეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი და ჩვენც ყველას გვიდევს ჯიბეში დოლარები. გარდა ამერიკის შეერთებული შტატების “დოლარისა“, ხომ არსებობს კიდევ “კანადური დოლარი“, “ავსტრალიური დოლარი“. ჩვენს ფინანსისტებსაც ხომ შეეძლოთ დაეყინებინათ, რომ ქართული ფულის ერთეულისთვის დაგვერქმია “ქართული დოლარი“?

იქნებ მკითხველმა ჩემი მოსახრებები ენობრივ იზოლაციონიზმად და საკუთარ ეროვნულ ნაჭუჭში ჩაკეტვის ცდად მიიჩნიოს. ამაზე მე გუპასუხებდი: პროვინციალიზმია არა მხოლოდ კულტურულ სამყაროსგან მოწყვეტა და თვითიზოლაციონიზმი, არამედ საკუთარი კულტურული მიღწევების უგულვებელყოფა და უცხო ღირებულებათა ბრმად მიმბაძველობაც, ყოველგვარი უცხოურით კეკლუცობა და თავმოწონებაც.

05.07.96 წ.

## ავტორის მინაწერი:

---

იმედი მაქვს, რომ ამ წერილში წამოჭრილ საკითხს ჩვენი საზოგადოებრიობა უყურადღებოდ არ დატოვებს და, თუ ვინმე არ დაეთანხმება ჩემს წინადადებას, ალბათ შესაფერისადაც დაასაბუთებს საწინააღმდეგო მოსაზრებას.

P.S. გაზეთმა "საქართველოს პარლამენტმა" ამ წერილის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ სიტყვა "პარლამენტი" საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, როგორც იქნა დავარქვით და ამ საკითხზე მსჯელობა რალა საჭიროაო. პრესის თავისუფლებაც ამას პქვია! მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რა შეიძლება ენოდოს ისეთ მდგომარეობას, როცა საკონსტიტუციო კომისიის წევრს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს უარს ეუბნებიან გამოთქვას აზრი პრესის ფურცლებზე კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ.

# საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი და საკანონმდებლო ტექნიკის ზოგიერთი საკითხი

ვისაც ამ თხუთმეტი-ოცი წლის განმავლობაში ჩვენი კანონმდებლობის განვითარებისათვის ცოტათი მაინც თვალი უდევრებია, უთუოდ შენიშნავდა ერთ საგულისხმო ტენდენციას: ეს არის კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, კანონის სტაბილურობის შესუსტება. ამ მოვლენას, რაღა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს. დანქარებული ტექნიკური პროგრესის პირობებში, როცა სოციალური ორგანიზმი სწრაფად იცვლის სახეს და ვითარდება, კანონმდებლობაც არ არის ერთ წერტილზე გაყინული. კანონმდებელი ცდილობს არ წამორჩეს ცხოვრების მდინარებას და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე ცვლილებები შეაქვს მოქმედ კანონმდებლობაშიც.

სანიმუშოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობაც გამოვღებო. ცნობილია, რომ თავდაპირველად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1961 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში, 287 მუხლისაგან შედგებოდა. 1977 წლისათვის კი, როდესაც ხსენებული აქტი მეხუთედ გამოიცა, იგი უკვე 332 მუხლს შეიცავდა. სულ რაღაც 15-16 წლის მანძილზე კოდექსს, როგორც ვხედავთ, 45 ახალი მუხლი დამატებია, მასში შეტანილ უამრავ სხვა ცვლილებებზეც რომ აღარაფერი ვთქვათ. თანაც ზოგიერთი მუხლი ორჯერ და მეტჯერაც კი შეიცვალა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში, ახალი კონსტიტუციის პრინციპების საფუძველზე, კიდევ უფრო მეტი ცვლილებებია მოსალოდნელი ჩენს კანონმდებლობაში. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროში შექმნილია საგანგებო სარედაქციო საბჭო, რომელიც უკვე შეუდგა კანონმდებლობის მრავალტომიანი ქრონოლოგიური კრებულის გამოცემას. მალე დაიწყება აგრეთვე ე.წ. კანონთა კორპუსის (СВОД ЗАКОНОВ) გამოცემა და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ძალაუნებურად წამოიჭრება კითხვა: როგორ მიმდინარეობს ჩვენში საერთოდ საკანონმდებლო მუშაობა? რამდენად დახვეწილია მოქმედი კანონმდებლობა საკ-



ანონიმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით? ხომ არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას კანონმდებლობის ხშირი და სწრაფი ცვლილება მის სრულყოფაზე? სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ნორმატიული აქტების გამოცემის საკითხი.

კანონპროექტების შედგენა-დამუშავება, კანონის მიღება და შემდეგ მისი გამოქვეყნება იოლი საქმე როდია. იგი დიდ ცოდნას, გამოცდილებასა და დაძაბულ შრომას მოითხოვს. ცნობილია, რომ კანონის ტექსტი ზუსტი, ნათელი და ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მცირედენი ბუნდოვანობა და ორაზროვნობა კანონის ტექსტისა უარყოფითად მოქმედებს კანონის ეფექტიანობაზე. კანონმდებლობაში არ უნდა გვხვდებოდეს წინააღმდეგობები, აუცილებელია სისტემატური, ლოგიკური კავშირი კანონებს შორის და ა.შ.

როგორ გამოიყურება ამ მხრივ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი? აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ეს კოდექსი ჯერ კიდევ 1973 წელს ძალზე ცუდად და დაუდევრად გამოიცა. სხვას ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, მასში სასვენნი ნიშნებიც კი ისე იყო არეულ-დარეული, რომ ბევრ შემთხვევაში კანონის აზრი შესამჩნევად იცვლებოდა. კორექტურული შეცდომები, ცხადია, არასდროს არ არის სასიამოვნო, მაგრამ სულ სხვაა, როცა მსგავსი ხასიათის შეცდომები თავს იჩენს ხოლმე სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც თითოულ მიმემს, თითოეულ წერტილს გადაიწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენისათვის. სანიმუშოდ მოვიყვან კოდექსის დასახელებული გამოცემის 25-ე მუხლის ტექსტს, რომელშიც ვკითხულობთ: “შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ: მამაკაცებს.

თუ მათ პირველად ედებათ მსჯავრი არამიძიმე დანაშაულისათვის ან პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა, მიძიმე დანაშაულისათვის, საერთო რეჟიმის კოლონიაში“.

დააკვირდით კარგად ამ წინადადებას! აქ სიტყვები “მიძიმე დანაშაულისათვის” მიძიმეთი (სასვენნი ნიშნით) არის გამოყოფილდ სიტყვებისაგან “არა უმეტეს სამი წლისა“. ამიტომ მოტანილი ტექსტის მიხედვით რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საერთო რეჟიმის კოლონიაში მამაკაცებს სასჯელის მოხდა დაენიშნებათ სამ შემთხვევაში: 1) თუ მათ პირველად ედებათ მსჯავრი არამიძიმე დანაშაულისათვის; 2) პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა; 3) მიძიმე დანაშაულისათვის.

ვისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა და 3) მსჯავრი ედებათ მიძიმე დანაშაულისათვის. კანონის ნამდვილი აზრის მიხედვით კი ხსენებული რეჟიმის კოლონიაში მამაკაცები გაიგზავნებიან ორ შემთხვევაში: 1) თუ მათ პირველად ედებათ მსჯავრი არამძიმე დანაშაულისათვის და 2) პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა მიძიმე დანაშაულისათვის. მთელი გაუგებრობა იმით არის გამოწვეული, რომ სასჯენი ნიშანი თავის აღგილას არ იყო დასმული. მსგავსი უზუსტობანი 25-ე მუხლში რამდენიმე აღგილას მეორდებოდა. ასეთივე უზუსტობანი გვხვდებოდა აგრეთვე კოდექსის სხვა მუხლებშიც.

კოდექსის აღნიშნულ გამოცემაში აღმოჩნდა კიდევ სხვა სახის შეცდომებიც. მაგალითად, 178<sup>1</sup> მუხლის სანქცია ასე იყო ფორმულირებული: “ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით“. აქ, როგორც ირკვევა, გამოტოვებულია “ან“ ნაწილაკი (უნდა ყოფილიყო: “ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი იმავე ვადით“), რომელმაც უნდა მიგვანიშნოს, რომ ამ მუხლის სანქცია ალტერნატიულია და რომ სასამართლოს უფლება აქვს ამ ორი ძირითადი სასჯელიდან დანიშნოს ერთ-ერთი სასჯელი. იმ შემთხვევაში კი, თუ “ან“ ნაწილაკს ამოვიღებთ, გამოვა, რომ მუხლი აწესებს ერთ ძირითად სასჯელს (თავისუფლების აღკვეთას), ხოლო მეორე (გამასწორებელი სამუშაოები) დამატებითი სასჯელია, რომელიც ალტერნატიულად ვეღარ გამოიყენება.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 254-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან სასჯელის სახე საერთოდ ამოვარდა. “ისჯება ვადით სამიდან შვიდ წლამდე“ ვკითხულობთ ამ მუხლში. კი მაგრამ რა სასჯელით ისჯება? ცხადია, თავისუფლების აღკვეთათ. მაგრამ ეს ხომ პირდაპირ უნდა ყოფილიყო აღნიშნული კანონში!

კოდექსის დასახელებულ გამოცემაში მრავალი სხვა უზუსტობა თუ შეცდომა გვხვდება, რომელთა დაწვრილებით აღნუსხვას აქ აღარ გამოვუდგებით თუნდაც იმიტომ, რომ ახალ გამოცემაში (1977) მათი უდიდესი უმრავლესობა გასწორებულია, კანონის ოფიციალური ტექსტი კვლავ აღდგენილია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეინიშნება სხვა სახის შეუსაბამობანი, რომლებსაც

შეუძლია გააძნელოს კანონის სწორად გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში. ზოგჯერ კოდექსის ქართული და რუსული ტექსტები ერთმანეთს არ ემთხვევა. არის ენობრივი უზუსტობანი და სხვ. ამიტომ აუცილებლად მიმართია ზოგიერთი, შედარებით თვალში საცემი შეუსაბამობის გამოვლენა მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 25<sup>1</sup> მუხლი, რომელიც აწესებს პირობით თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით (“საფუძვლების“ 25<sup>2</sup> მ.). ამავე მუხლის მე-3 ნაწილის “1“ პუნქტში ჩამოთვლილია ის დანაშაულებრივი ქმედობები, რომელთა მიმართ 25<sup>1</sup> მ. არ გამოიყენება. მათ შორის დასახელებულია განზრახი მკვლელობა, ხოლო ფრჩხილებში მითითებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე, 105-ე მუხლები და 258 მუხლის “გ“ პუნქტი. ამას მოსდევს მითითება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაზე (110-ე მუხლი) და სხვ.

ჩემი აზრით, აქ ერთგვარი შეუსაბამობაა. როგორც ცნობილია, განზრახ მკვლელობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მარტო 104-ე, 105-ე და 258-ე მუხლები როდი ითვალისწინებს. განზრახი მკვლელობა შეიძლება ზოგჯერ კოდექსის 209<sup>1</sup> მუხლითაც დაკვალიფიცირდეს. გამოდის, რომ 25<sup>1</sup> მუხლის გამოყენება ნებადართულია 209<sup>1</sup> მუხლის მიმართაც, რადგან აკრძალვაში ეს მუხლი მოხსენებული არ არის, მაშინ, როცა ისეთი, შედარებით უფრო მსუბუქი დანაშაულის მიმართ, როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მ. 110-ე), პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით არ გამოიყენება. ცხადია, ლოგიკური იქნებოდა, რომ 25<sup>1</sup> მუხლის გამოყენების აკრძალვა შეხებოდა განზრახი მკვლელობის ყველა შემთხვევას, გარდა 106-ე და 107-ე მუხლებისა.

სწორედ ეს აზრია გამოხატული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23<sup>2</sup> მუხლში, რომელზე დაყრდნობითაც აგებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლი. კერძოდ, “საფუძვლების“ 23<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილის პირველი

პუნქტის ძალით პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ნაბიით, სხვა დანაშაულთან ერთად, არ ეხება აგრეთვე “განზრახ მკვლელობას (გარდა მკვლელობისა, რომელიც ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაშეღების ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში)“. ამ ტექსტის მიხედვით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის პრინციპი არ უნდა გავრცელდეს განზრახი მკვლელობის არც ერთ შემთხვევაზე, გარდა 106-ე და 107-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობისა. 25<sup>1</sup> მუხლში კი “საფუძვლების“ ეს ფორმულა (“განზრახი მკვლელობა“) ზუსტად არ არის დაკონკრეტებული. კერძოდ ცალკეული მუხლების ჩამოთვლის დროს, როგორც ვნახეთ, გამოჩნენილია 209<sup>1</sup> მუხლი. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის გამოყენებისას ჯერჯერობით, ვიდრე ეს წინააღმდეგობა არ აღმოფხვრილა, უნდა ვიხელმძღვანელოთ “საფუძვლების“ 23<sup>2</sup> მუხლით.

“საფუძვლების“ 44<sup>1</sup> მუხლში სხვა დანაშაულთან ერთად, რომელთა მიმართ გამოიყენება სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, მითითებულია აგრეთვე მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დამამძიმებელ გარემოებებში. ეს სიტყვები ზუსტად არის გამეორებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლში და იქვე ფრჩხილებში სავსებით სწორად დასახელებულია ჩვენი კოდექსის 209<sup>1</sup> -ე მუხლი.

“საფუძვლების“ 44<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა აკრძალულია იმის მიმართაც, ვინც “მსჯავრდებულია განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში“.

ეს სიტყვებიც ასევე ზუსტად მეორდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54<sup>1</sup> მუხლში და ფრჩხილებში ჩამოთვლილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში. და აი აქ კვლავ დასახელებულია 209<sup>1</sup> მუხლი (?). მაშასადამე, ჩვენი

კოდექსის მიხედვით 209<sup>1</sup> მუხლის მიმართ 54-ე მუხლის პრინციპის გამოყენება ერთდროულად ნებადართულიც არის და აკრძალულიც.

რახან “საფუძვლების“ 44-ე მუხლით სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა პირდაპირ არის ნებადართული იმის მიმართ, ვინც მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა წაიდინა, ხოლო იმავე “საფუძვლების“ 44<sup>1</sup> მუხლი კრძალავს ამ პრინციპის გამოყენებას იმის მიმართ, ვინც მსჯავრდებულია განზრახი მკვლევლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54<sup>1</sup> მუხლში უნდა ყოფილიყო ჩამოთვლილი ყველა ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლევლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, გარდა 209<sup>1</sup> მუხლისა.

მაგრამ დღეისათვის, ვიდრე ასეთი წინააღმდეგობაა, ერთი მხრივ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე და 54<sup>1</sup> მუხლებსა და, მეორე მხრივ, “საფუძვლების“ 44-ე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54<sup>1</sup> მუხლებს შორის, სასამართლო პრაქტიკაში უნდა ვიხელმძღვანელოთ “საფუძვლების“ 44-ე მუხლით, ე.ი. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის პრინციპი უნდა გაგრძელდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 209<sup>1</sup> მუხლზეც.

54<sup>1</sup> მუხლში სხვა შეუსაბამობაცაა. კერძოდ აქ მოხსენებულია 78-ე და 78<sup>1</sup> მუხლებიც, რაც სრულიად ზედმეტია, რადგანაც განზრახი მკვლევლობა დამამძიმებულ გარემოებებში ამ მუხლებით არ დაკვალიფიცირდება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლით ყაჩაღობის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია დაზარალებულის “სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის“ საშიში ძალადობა. აქ კავშირი “და“ მიგვანიშნებს, რომ ძალადობა, რომელიც საშიშია მხოლოდ ჯანმრთელობისათვის და არ ხელყოფს დაზარალებულის სიცოცხლეს, არ გამოიწვევს პასუხისმგებლობას დასახელებული მუხლით. მაგრამ 96-ე მუხლის რუსული ტექსტი ამ ნაწილში განსხვავებულია ქართულისაგან. კერძოდ, რუსული ტექსტის მიხედვით ძალადობა უნდა იყოს საშიში “სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის“.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლით ყანალობის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ასევე კონსტრუირებული ამ მუხლის რუსული ტექსტაც. როგორც ვხედავთ, 96-ე მუხლით ძალადობის ცნება ვიწროდ არის გაგებული, 152-ე მუხლით კი იგი გაფართოებულია (კოდექსის წინა გამოცემაში ეს მუხლები ამ მხრივ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ).

ვიწროდ არის გაგებული ძალადობის ცნება 252<sup>1</sup> მუხლშიც (“სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის”). შეუსაბამობაა ამ თვალსაზრისით კოდექსის 133-ე მუხლის ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის (უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა) და სხვ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე და 152-ე მუხლებში ძალადობის ცნების სხვადასხვაგვარ გაგებას შეუძლია გაართულოს კოდექსის 240-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება, სადაც ლაპარაკია “ყანადური თავდასხმის გზით“ ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუველულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ძალადობა: საცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში თუ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში. ასეთივე მდგომარეობა იქმნება 96<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენების დროსაც, რომელიც მოიცავს ყანადური ხერხით განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, რადგან არც ამ მუხლშია რაიმე ნათქვამი ძალადობის თაობაზე. ეჭვი არ არის, ჩვენი კოდექსის დასახელებული მუხლები ამ მხრივ უსათუოდ საჭიროებენ დახვეწას.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის ძალით ყანალობა არის თავდასხმა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. როგორც ვხედავთ, ამ მუხლით ყანალობა დამთავრებულად ითვლება ჯერ კიდევ თავდასხმის მომენტში, ე.ი. ქონების დაუფლებამდე. ამ შემთხვევაში დამატებით კოდექსის მე-17 მუხლზე (მომზადება და მცდელობა) მიითთება საჭირო აღარ არის.

მაგრამ 96<sup>1</sup> მუხლი, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ყაჩაღური ხერხით დატაცებასაც მოიცავს, 96-ე მუხლისაგან განსხვავებით, ისეა აგებული, რომ ყაჩაღობის დამთვრებისათვის ამ შემთხვევაში აუცილებელია ქონების დაუფლება (“... ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება”). გამოდის, რომ თუ დამნაშავე შეიპყრეს თავდასხმის მომენტში, ე.ი. ქონების დაუფლებამდე და თანხაც, რომლის დაუფლებასაც ცდილობდა, ათი ათას მანეთზე ნაკლებია, იგი დაისჯება კოდექსის 96-ე მუხლით დამთავრებული ყაჩაღობისათვის, ხოლო თუ თანხა ათი ათას მანეთზე მეტია, რაც განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება 17-96<sup>1</sup> მუხლებით ყაჩაღობის მცდელობისათვის. ასე რომ, რაც უფრო ნაკლებია თანხა, დამნაშავეს, დანაშაულის დამთვრების თვალსაზრისით, მით უფრო უმიმდება მდგომარეობა, მაშინ, როცა სწორედ პირიქით უნდა ხდებოდეს, თანხის ოდენობაზე საერთოდ არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ საკითხის გადაწყვეტა. ნივთის დაუფლების მომენტი განსაზღვრავს ყაჩაღობის დამთავრების მომენტს კოდექსის 240-ე (ნაწ. III) და 252<sup>1</sup> (ნაწ. III) მუხლებითაც. ერთი სიტყვით, კოდექსში არა გვაქვს ყაჩაღობის ერთიანი ცნება, მაშინ, როცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კანონმდებელმა ერთი და იგივე ცნება ყველა შემთხვევაში ერთნაირად უნდა განსაზღვროს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლში, როგორც უკვე ითქვა, ლაპარაკია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებაზე (მიუხედავად გატაცების სახისა), რისთვისაც დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით დასჯა. ეს მუხლი შესამჩნევად ზღუდავს სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით, რადგან აქ ერთი და იგივე სანქციის ფარგლებშია მოქცეული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების გატაცება, რომელიც ჩადენილია, მაგალითად, ქურდობით და ისეთი საშიში ხერხითაც, როგორიც ყაჩაღური ხერხია, რაც ჩემი აზრით, ხელს ვერ შეუწყობს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. ასე რომ, 96<sup>1</sup> მუხლი ამ მხრივაც გადახედვას საჭიროებს. მომავალში ალბათ აუცილებელი იქნება პასუხისმგებლობის დიფერენცირება განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან

საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით.

გარდა ამისა, დასახელებული მუხლი სასჯელის მინიმუმად აწესებს თავისუფლების აღკვეთას ათი წლიდან (რსფსრ-ის სსკ-ის შესაბამისი მუხლით თავისუფლების აღკვეთა რვა წლიდან იწყება), რაც ამ სახის სასჯელის მაქსიმუმს წარმოადგენს მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (იხ. "საფუძვლები", მ. 23-ე). მართალია, სანქცია მუხლში შედარებით განსაზღვრულია (თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე), მაგრამ მასში აღმონდა ე.წ. ლატენტური ფორმა აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციისა. კერძოდ, როგორც ცნობილია, თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავეს არ შეიძლება მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ("საფუძვლები", მ.23). ამიტომ თუ პიროვნებას, რომელმაც 96<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა, არ შესრულებია თვრამეტი წელი, სასამართლო მას ვერ მიუსჯის ათ წელზე მეტ თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ხსენებული მუხლით კი მას ათ წელზე ნაკლებიც არ შეიძლება დაენიშნოს. ასე რომ, სასამართლო იძულებულია 96<sup>1</sup> მუხლით მიუსაჯოს არასრულწლოვანს, არც მეტი, არც ნაკლები, თავისუფლების აღკვეთა ათი წლით. ეს არ შეესაბამება სასჯელთა ჰუმანიზაციის თანამედროვე ტენდენციას, რომელიც ბოლო დროის საბჭოურ კანონმდებლობაშიც მკვეთრად შესამჩნევი გახდა, მით უმეტეს, რომ საქმე ეხება არასრულწლოვანს.

როცა ვამბობთ, რომ კოდექსის ცალკეული მუხლები ერთმანეთისაგან არ არის იზოლირებული და, რომ მათ შორის სისტემატური კავშირია, ვგულისხმობთ არა მარტო მუხლების დისპოზიციას, არამედ მათ სანქციებსაც. არ შეიძლება, რომ მძიმე დანაშაული მსუბუქად ისჯებოდეს, ხოლო შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის უფრო მძიმე სასჯელი იყოს დაწესებული. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ საბჭოურ კანონმდებლობაში, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ასახავს, წინა პლანზეა წამოწეული და უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას იწვევს საზოგადოებრივი სიკეთის ხელყოფა პირად სიკეთესთან შედარებით. მაგრამ თუ ამ თვალსაზრისით განვსჯით, რატომღაც სულ საწინააღმდეგო და მკვეთრად განსხვავებულ სუ-



რათს გვინკენებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე და 179-ე მუხლების სანქციათა შედარება.

179-ე მუხლის ძალით ნათესების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ან სხვა ნარგავების განზრახ დაზიანება, რამაც კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას ან სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, იწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ამ გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით ან ჯარიმას ას მანეთამდე. 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი პირადი ვენახის, ციტრუსოვანთა, დაფნის, ხილ-კენკროვან და სხვა ნარგავთა დიდი ოდენობით განადგურება ან დაზიანება იწვევს პასუხისმგებლობას თავისუფლების აღკვეთით ერთიდან რვა წლამდე. როგორც ვხედავთ, სანქციები შეტად განსხვავებულია.

საინტერესოა, მაინც რით არის გამოწვეული სანქციების ასეთი მკვეთრი შეუსაბამობა ჩვენი კოდექსის 157-ე და 179-ე მუხლებში? საქმე ის გახლავთ, რომ 179-ე მუხლში აღწერილი შემადგენლობა კოდექსში თავიდანვე იყო გათვალისწინებული და სასჯელიც შედარებით უფრო მსუბუქი მქონდა დაწესებული, ვიდრე ამჟამად აქვს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულებით გაძლიერდა პასუხისმგებლობა 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და ნაცვლად ერთ წლამდე გამასწორებელი სამუშაოებისა და ას მანეთამდე ჯარიმისა, დაწესდა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ან გამასწორებელი სამუშაოები ამავე ვადით ან ჯარიმა ას მანეთამდე.

რაც შეეხება პირადი ნარგავების განადგურებას, ეს მოქმედება კოდექსში თავიდანვე არ ყოფილა გამოცხადებული დანაშაულად. მაგრამ კოდექსის მიღების შემდეგ სამოციანი წლების შუა ხანებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში განშირდა მეზობლების მიერ ერთმანეთისათვის ვენახების და ხეხილის განიხება შურისძიების მოტივით. გადაწყდა სისხლის სამართლის კანონით ამ მოქმედების დანაშაულად გამოცხადება. მართლაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით ცვლილება შევიდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომელსაც დაემატა სიტყვები “აგრეთვე ვენახის, ციტრუსოვანის, დაფნის, ხილკენკროვან და სხვა ნარგავთა დიდი ოდენობით განადგურება ან დაზიანება“, ხოლო სანქცია ამ მუხლისა თავისუფლების აღკვეთა ერთიდან რვა

წლამდე - იგივე დარჩა. როგორც ჩანს, 157-ე მუხლის ცვლილება ნაჩქარევად მოხდა. ეტყობა, ისე ძლიერ ვყოფილვართ გატაცებული ზემოთ აღნიშნული სოციალური სენის დაუყოვნებლივი და ძირფესვიანი ამოძირკვის სურვილით, რომ აღარავის გახსენებია კოდექსის 179-ე მუხლი, რომელიც იმავე გვარის, თუმცა თავისი მნიშვნელობით ზოგჯერ შეიძლება უფრო მძიმე, დანაშაულებრივი მოქმედებისათვის გაცილებით უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა, ვიდრე 157-ე მუხლით პირადი ნარგავების განადგურება დაზიანებისათვის დაწესდა.

ამით, ცხადია, ის როდი მინდა ვთქვა, თითქოს აუცილებელი იყოს 179-ე მუხლის სანქციის გაძლიერება, რათა იგი შევუსაბამოდ 157-ე მუხლს. პირიქით, იქნებ, უმჯობესიც კი იყოს 157-ე მუხლიდან ცალკე შექმადგენლობად გამოიყოს პირადი ნარგავების განადგურება და სანქციაც ამ ახალ მუხლს 179-ე მუხლის სანქციის გათვალისწინებით დაგუწესოთ. ეს, რასაკვირველია, მომავლის საქმეა. აქ კი უნდა დავასკვნათ, რომ ყოველი ცვლილება თუ დამატება, რომელიც კოდექსში შეგვაქვს, აუცილებლად კარგად უნდა იყოს გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული, რათა არ დაირღვეს კოდექსის სისტემა, არ წარმოიშვას წინააღმდეგობები კანონმდებლობაში. ნურავინ იფიქრებს, თითქოს აქ უბრალო ფორმალისმის ეხებოდეს საქმე. კანონის დახვეწა, სრულყოფა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა გახლავთ მისი ეფექტიანობისა, პირობა იმისა, რომ კანონმა ნამდვილად მიაღწიოს დასახულ მიზანს.

დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ოპერის თეატრის საკმაოდ გახმაურებული საქმის გამო ორჯერ შეეხო ცვლილება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლს. ამ მუხლის მე-2 ნაწილით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი დაზიანება ან განადგურება ჩადენილი ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებათ, ან თუ მას აღამიანთა მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა, აგრეთვე ტყის მასივების განზრახი განადგურება ან მნიშვნელოვანი დაზიანება ცეცხლის წაკიდებით ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ორიდან რვა წლამდე. თეატრის დაწვამ იმდენად დიდი მოთქმა-მოთქმა და აღშფოთება გამოიწვია ხალხში, რომ საზოგადოებრივი აზრი ორიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ჩადენილი დანაშაულის არათანაზომიერ, შეუსაბამო და

აშკარად ღმობიერ სასჯელად მიიჩნევა. ამიტომ იყო, რომ პირველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით გაძლიერდა პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედობისათვის და, ნაცვლად ორიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთისა, დაწესდა თავისუფლების აღკვეთა სამიდან ათ წლამდე. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 1 აგვისტოს ბრძანებულებით კვლავ შეიცვალა მე -100 მუხლის შინაარსი. ამჯერად ცვლილება შეეხო დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციას და მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი, რომლითაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი დაზიანება ან განადგურება, თუ მას "... ადამიანთა მსხვერპლი ან განსაკუთრებით დიდი ზარალი თუ სხვა მიმიყ შედეგი მოჰყვა", იწვევს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

როდესაც მე-100 მუხლით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი განადგურებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მე-4 ნაწილის ძალით კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახი განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, ჩადენილი "განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების თუ ობიექტების მიმართ, აგრეთვე ჩადენილი ფუთქებადი ნივთიერების ან მოძებებული საფრთხის წყაროს გამოყენებით" იწვევს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე. მე -100 მუხლის მე-3 ნაწილით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი განადგურებისათვის, რამაც "განსაკუთრებით დიდი ზარალი" გამოიწვია, როგორც ვნახეთ, დაწესებულია რვიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაშინ, როცა 254-ე მუხლის მე-4 ნაწილით "განსაკუთრებით მნიშვნელოვანი" კულტურის ძეგლების თუ ობიექტების განადგურება იწვევს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე. მე-100 მუხლში ნაგულისხმევია მატერიალური ზარალი, ხოლო 254-ე მუხლში კი კულტურული ღირებულება. მატერიალური ზარალი საზოგადოებამ მალე შეიძლება აანაზღაუროს, ხოლო კულტურული ღირე-

ბუღების აღდგენა, თუ მისი მატერიალური გამოხატულება განადგურდა, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მუხლების სანქციები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ოპერის თეატრის დაწვით გამოწვეული აღშოთება, როგორც ვთქვით, იმდენად დიდი იყო, რომ ორიდან რვა წალმდე თავისუფლების აღკვეთა, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა, ამ შემთხვევისათვის აშკარად მისუბუქ სასჯელად გვეჩვენებოდა. მაგრამ ვინმე გარეწარის ბილწი ხელი რომ გელათს ან სვეტიცხოველს, თუნდაც ვარძიას, შიომღვიმეს, ყინწვისს, ნიკორწმინდას ან ქართული კულტურის სხვა რომელიმე უნიკალურ ძეგლს შეეხო, 254-ე მუხლის მე-4 ნაწილით შვიდ წელზე მეტ თავისუფლების აღკვეთას ვერ მიეუსჯით. როგორც ჩანს, ამის შესახებ მაშინ, როცა მე-100 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას ვაძლიერებდით, არ გვიფიქრია.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ დიდი დაკვირვება გვმართებს იმ შემთხვევაში, როცა პასუხისმგებლობის გაძლიერებას ვაპირებთ. საზოგადოებრივ აზრს, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გავუწიოთ. საბჭოთა სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და კანონიც მთელი ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს. მაგრამ კანონის მიღებისას, განსაკუთრებით კი სასჯელის ზომის მომატების დროს, სხვა გარემოებებსაც უნდა მიექცეს ყურადღება. ზოგს რატომღაც ჰგონია, თითქოს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკაცრი სასჯელების დაწესებას. ნუ დაგვაგიწყდება, რომ ნაკლებად მკაცრი სასჯელიც კი ეფექტიანი იქნება და მიაღწევს დასახულ მიზანს, თუ მას გონივრულად გამოვიყენებთ. სასჯელის გაძლიერებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ დავასაბუთებთ, რომ მანამდე არსებული სასჯელის ზომა არ იყო ეფექტიანი და ვერ უწყობდა ხელს ამ დანაშაულთან ბრძოლას. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გაძლიერება მხოლოდ თავის მოტყუებაა, უაზრო მსხვერპლია და მეტი არაფერი.

შესაბამისობაშია მოსაყვანი აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 110-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციები. 241-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ

მუხლში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, თუ ამ დარღვევას დაზარალებულის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა, იწვევს თავისუფლების აღკვეთას ორიდან ათ წლამდე მართვის უფლების ჩამორთმევით ხუთ წლამდე ვადით ან უამისოდ. 110-ე მუხლის პირველი ნაწილით კი სხეულის განხრახ მძიმე დაზიანებისათვის ერთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული. როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანებისათვის უფრო მძიმე სასჯელია დაწესებული, ვიდრე განზრახი დაზიანებისათვის. ასეთივე მდგომარეობა იქმნება 241-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 112-ე მუხლის, აგრეთვე 157-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციებს შორისაც. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ეს შეუსაბამობა იმ შემთხვევაში, როცა სხეულის განზრახ მძიმე ან მსუბუქი დაზიანება ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი აეცოტრანსპორტის მეშვეობით არის გამოწვეული. რომელი მუხლით უნდა დავაკვალიფიციროთ აღნიშნული მოქმედება? ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, დიდი არეულ-დარეულობაა. მე არ გამოვედგები აქ ამ ლიტერატურის დაწვრილებით მიმოხილვას. მაგრამ, რახან საკითხს შევვხე, არ შემიძლია გაკვირვით მაინც არ მოვიხსენიოთ უახლეს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მის შესახებ გამოთქმული მოსაზრება.

მე მენკენება, რომ იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც ჩვენი კოდექსის დასახელებულ მუხლებს შორის შეიმჩნევა, ჯ.ბაბილაშვილი აშკარად ხელოვნურ გამოსავალს გვთავაზობს და სრულიადაც ვერ გვარწმუნებს თავისი პოზიციის სისწორეში. სხვაგვარად არც შეიძლება შეფასდეს მისი მტკიცება, თითქოს “ის ფაქტი, რომ სხეულის განზრახ მძიმე ან მსუბუქი დაზიანება ისჯება უფრო მსუბუქად, ვიდრე ამავე შედეგების გამოწვევა 241-ე მუხლში აღნიშნული ქმედობით, გვაფიქრებინებს, რომ კანონმდებელი 241-ე მუხლში სხეულის მძიმე ან მსუბუქი დაზიანების მიმართ გაუფრთხილებლობით ბრალთან ერთად უშვებს განზრახვის შესაძლებლობასაც, რაც საუფიქველს გვაძლევს პირს პასუხი ვაკებინოთ 241-ე და 110-ე ან 112-ე მუხლებით“.<sup>1</sup>

ჯერ ერთი, რამდენად შესაძლებელია სასჯელის ზომის მიხედვით კანონის შინაარსის გარკვევა? ჩემი აზრით, ეს მეტად

---

<sup>1</sup> იხ. ჯ. ბაბილაშვილი, პასუხისმგებლობა აეცოტრანსპორტო დანაშაულისათვის. იმ. 1977, გვ.70.

სახიფათო გზაა. ჩვენ რომ საკითხს ასე მივუდგეთ, მაშინ ხომ შეიძლება თვითნებურად გაეაფართოვოთ კანონის შინაარსი!

მეორეც, საკითხავია, რაღა მაინცდამაინც “სხეულის მიმე ან მსუბუქი დაზიანების მიმართ” უშვებს კანონმდებელი “გაუფროთხილებლობით ბრალთან ერთად განზრახვის შესაძლებლობასაც” და არ აკეთებს ამას 241-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა შედეგების მიმართ? კანონმდებელს რომ 241-ე მუხლის მე-3 ნაწილში მართლაც არ უგულისხმია სხეულის განზრახ მიმე დაზიანება, იქიდანაც ჩანს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 8-ე (მიმე დანიშნულის ცნება), 12-ე (არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა), 25-ე (პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ნაბმით) და 44-ე (განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი) მუხლებში, რომლებშიც მოხსენიებულია სხეულის განზრახ მიმე დაზიანებაც, მითითებულია მხოლოდ 110-ე მუხლზე და არ არის დასახელებული 241-ე მუხლი. დაუჯერებელია, რომ კანონმდებელს ოთხივე ზემოხსენებულ შემთხვევაში გამორჩენილ და 241-ე მუხლზე მითითება.

მესამეც, 241-ე მუხლი ავტორტრანსპორტის მეშვეობით სხეულის განზრახ მიმე ან მსუბუქ დაზიანებას კიდევაც რომ მოიცავდეს, მაინც შეუძლებელია ამ მოქმედების დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირება, რადგან 241-ე მუხლი 110-ე და 112-ე მუხლების მიმართ სპეციალური მუხლი იქნებოდა, ხოლო ზოგადი და სპეციალური მუხლების კონკურენციაში, როგორც ვიცით, სპეციალური მუხლი იმარჯვებს. ასე რომ, სპეციალობის პრინციპის მიხედვით ხსენებული მოქმედება მარტო 241-ე მუხლით უნდა დაგვეკვალიფიცირებინა, როგორც ამას ვაკეთებთ გაუფროთხილებლობის დროს. 241-ე მუხლი 108-ე მუხლის სპეციალური შემთხვევაა. ამიტომ არის, რომ ავტორტრანსპორტის მეშვეობით გაუფროთხილებლობით მკვლელობას მხოლოდ 241-ე მუხლით ვაკვალიფიცირებთ და 108-ე მუხლით კვალიფიკაციის საკითხი ამ შემთხვევაში არც კი დგება.

ასე რომ, 241-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება მხოლოდ და მხოლოდ გაუფროთხილებლობით შეიძლება იქნეს ჩადენილი. ამიტომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტა ამ საკითხისა, ვიდრე აღნიშნული შეუსაბამობა საკანონმდებლო წესით არ მოგვარებულა, ჩემი აზრით, მაინც ის უნდა იყოს, რომ კანონის ლოგიკური განმარტებით, სასამართლომ საქართველოს სსრ

სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლით გაუფრთხილებლობით სხეულის მიძიმე ან მსუბუქი დაზიანების ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გამოწვევისათვის არ უნდა დანიშნოს იმაზე მეტი სასჯელი, რაც ამ შედეგების განზრახ გამოწვევისათვის არის გათვალისწინებული 110-ე, 112-ე და 157-ე მუხლებით.

ორიოდე სიტყვით კოდექსის ენასაც მინდა შევეხო. რატომღაც ჩვენში კანონის ენობრივ ქსოვილს ნაკლები ყურადღება ექცევა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ქართულად არც არაფერი დაწერილა ამ საკითხზე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ეტყობა თავდაპირველად რუსულად ყოფილა დაწერილი და მხოლოდ შემდეგ უთარგმნიათ ქართულად. ცუდ თარგმანს კი უარყოფითი კვალი დაუმნეკია ქართული ტექსტის ენობრივ ღირსებაზე.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კოდექსის ზოგადი ნაწილი, მცირეოდენი დამატებების გარდა, საკავშირო კანონმდებლობიდან არის აღებული (“საფუძვლები”) და ამიტომ ამ ნაწილში თარგმანას მაინც ვერ ავცდებოდით. ასეა თუ ისე, როგორც ითქვა, ჩვენ ვერ უზრუნველევავით კოდექსის ნორმალური ქართულით თარგმნა, ვერ გამოვიყენეთ ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობანი. ამის გამოა, რომ კოდექსში შეიმჩნევა ზედმეტსიტყვაობა, ყოველთვის ვერ არის მოძებნილი ამა თუ იმ რუსული სიტყვის შესტი ქართული შესატყვისი და სხვ.

ზოგჯერ ენობრივი უზუსტობანი სცილდება წმინდა ლინგვისტურ სფეროს და არსებითს მნიშვნელობას იძენს, რაც წარმოქმნის შინაარსობრივ განსხვავებას კოდექსის ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის და შეუძლია გააძნელოს კანონის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში. ამიტომ აუცილებელია ამ ენობრივი ლაფსუსების გამოვლენა ჩვენი საკანონმდებლო ენის დახეწვის მიზნით. მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ ტიპურ მაგალითს.

სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ სიტყვა “პირი”, რომელიც კოდექსში ხშირად უადგილო ადგილას არის ნახმარი. მაგალითად, 203-ე მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ “პირის გაქცევა პატიმრობიდან ან თავისუფლების მოხდის ადგილიდან”. ეს არის რუსული ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანი “побег лица из-под стражи или с места отбывания лишения свободы.”

ამ წინადადების თარგმნის დროს რომ სიტყვა “პირი” უპუბვეგდო, ქართული ტექსტი ასეთ სახეს მიიღებდა: “პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევა”.

კოდექსში ხშირად არის ნახმარი გამოთქმა “იმ პირის მიერ“, მაგალითად, “ქრთამის მიცემა არაერთხელ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის“ (მ. 190-ე). აქ შეიძლება სიტყვა “პირი“ ამოგვეგდო და უბრალოდ, ლაკონურად გვეთქვა “ქრთამის მიცემა არაერთხელ ან იმის მიერ, ვინც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის“.

ამავე მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: “ქრთამის მიმცემი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან...” სიტყვა “პირი“ აქაც ზედმეტია. უნდა იყოს “ქრთამის მიმცემი რაკისუფლდება...” და ა.შ.

“ვენერიული სენის შეყრა სხვა პირისათვის იმ პირის მიერ...” ან კიდევ: ამ მუხლის შესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა ნადენილი იმ პირის მერ, რომელიც გასამართლებული იყო სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრის გამო...” (მ.142-ე). ხომ შეიძლება რომ ბრმად არ მივეყოლოდით რუსულ ტექსტს და გვეთქვა: “ვენერიული სენის შეყრა სხვისთვის იმის მიერ, ვინც იცოდა, რომ ეს სენი სჭირდა“. ან “...ნადენილი იმის მიერ, ვინც ადრე გასამართლებული იყო სხვისთვის ვენერიული სენის შეყრის გამო...” და ა.შ.

კოდექსში ხშირად გვხვდება გამოთქა “პირთა ჯგუფი“ (მმ 150-ე, 151-ე, 152-ე და ა.შ.). რატომ არ შეიძლება უბრალოდ გვეხმარა “ჯგუფი“, “ჯგუფის მიერ“, “ჯგუფურად“ და სხვ. ან კიდევ: ნაცვლად “მოქალაქეთა პირადი ქონებისა“, ასევე შეიძლება გვეთქვა, “პირადი ქონება“. აქ სიტყვა “მოქალაქეთა“ სრულიად ზედმეტია.

196-ე მუხლის სათაურია - შეგნებულად ცრუ დასმენა. იგივე მეორდება მუხლის დისპოზიციაშიც - შეგნებულად ცრუ დასმენა დანაშაულის ნადენის შესახებ. ანალოგიურია 197-ე მუხლის დისპოზიციაც-მოწმის ან დაზარალებულის მიერ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა ან ექსპერტის მიერ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა... როგორც ჩანს, მთარგმნელს სიტყვასიტყვით გადმოუღია რუსული “заведомо ложный донос“, “заведомо ложное показание“. “заведомо ложное заключение эксперта“ და არ გაუთვალისწინებია ქართული ენის თავისებურება.

ქართულ ენაში “სიყალბე“ და “სიცრუე“ ყოველთვის “შეგნებულია“, “განზრახია“. “შეუგნებელი“ “სიყალბე“ და “სიცრუე“ უკვე აღარ არის არც სიცრუე და არც სიყალბე. მაგა-



ლითად, თუ მოწმე დარწმუნებულია სასამართლოსათვის მიცემული ჩვენების სისწორეში, მაგრამ მისი ნაღაპარაკვეი არ შეესაბამება სინამდვილეს, ეს ცრუ ჩვენება კი არა, არასწორი ჩვენებაა. იგივე ითქმის შეგნებულად ცრუ დასმენის და შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემის შესახებაც, რადგან “შეუგნებელი” სიყალბე წარმოუდგენელია. ამიტომ უნდა ითქვას და დაიწეროს არა შეგნებულად ცრუ დასმენა, არამედ უბრალოდ ცრუ დასმენა, შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა კი არა, ყალბი დასკვნა და ა.შ.

კოდექსში რუსული “Существенный вред” ხან თარგმნილია როგორც “არსებითი ზიანი” (მმ 186-ე 187-ე), ხან კი როგორც “მნიშვნელოვანი ზიანი” (მმ 188-ე, 220-ე). ჩვენი კოდექსის 186-ე, 187-ე და 188-ე მუხლების რუსული რედაქციის მიხედვით ჩანს, რომ კანონმდებელს ზიანის ცნება ამ მუხლებში ერთნაირად აქვს განსაზღვრული. ეს ლოგიკურია. ხსენებული მუხლები სისტემატიკის თვალსაზრისით ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ისინი ბუნებრივად მოითხოვენ ზიანის ცნების ერთნაირ გაგებას. გარდა ამისა, ეს ხელს შეუწყობდა სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებას ამ საკითხში. დასახელებულ მუხლებში ზიანის ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა დამატებით სიძნელეებს უქმნის სასამართლოს, რადგან, ნაცვლად ერთი შეფასებითი ცნებისა, რომელიც ისედაც რთული დასადგენია პრაქტიკაში, კანონს შემოაქვს ორი შეფასებითი ცნება, მაშინ, როცა ამის აუცილებლობა, ვფიქრობ, სრულიადაც არ იყო.

ეს ორიოდვე ყნობრივი შენიშვნა, რომლებიც აქ მხოლოდ სანიმუშოდ მოვიყვანეთ, ნათლად მოწმობს, რომ საკანონმდებლო ენა სპეციალურ შესწავლას და გაანალიზებას საჭიროებს. სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველ სწავლულ იურისტებს ეს საკითხი თითქმის უყურადღებოდ გვაქვს მიტოვებული.

მაგრამ განა მართო საკანონმდებლო ენისა და სტილის შესახებ ითქმის ეს! საზოგადოდ კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზეც არ დაწერილა ქართულად რაიმე სპეციალური გამოკვლევა. გასაკეთებელი კი ამ მხრივ ძალიან ბევრია.

საკანონმდებლო მუშაობა ფრიად სერიოზული და რთული საქმეა, რაც სპეციალურ განათლებას, დიდ გამოცდილებას, ცხოვრების ცოდნას, კანონპროექტის შინაარსის ღრმად გააზრებას და საფუძვლიან განხილვას მოითხოვს. ანქარება ამ საკითხში ამ გამოგვადგება.

# სისხლის სამართლის კანონის

## სრულყოფისათვის

საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფა კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. რაც უფრო დახვეწილი და გამართულია კანონი ტექნიკური თვალსაზრისით, მით უფრო ნათლად, ყველასათვის გასაგებად იქნება გამოხატული მასში კანონმდებლის აზრი, მისი ნება. ტექნიკურად სრულქმნილი, ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებული და დახვეწილი კანონმდებლობა ძლიერ აადვილებს სასამართლო შეცდომების თავიდან აცილებას მართლმსაჯულების განხორციელების დროს.

საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა სისხლის სამართლის სფეროში, რადგან იგი, სამართლის სხვა დარგებს შორის, ყველაზე უფრო რეპრესიულია და ადამიანის პირად უფლებებში იჭრება. ამიტომ არის, რომ ამ სფეროში სულ მცირეოდენი შეცდომა, კანონიერების სულ უბრალო დარღვევაც კი საოცრად მტკივნეულია.

საკანონმდებლო ტექნიკა, უბრალოდ რომ ვთქვათ, კანონმდებლის აზრის გამოსახვის ფორმაა. სამართლებრივი აზრის გამოხატვის თანამედროვე ფორმები კი, დღეს რომ ჩვეულებრივად ეჩვენება კაცს, სინამდვილეში ხანგრძლივი ისტორიული განვითარების ნაყოფია. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფა. ზოგად და კერძო ნაწილებად, რაც უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია საკანონმდებლო ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით, სრულიად უცხო იყო ფეოდალური სისხლის სამართლისათვის. ასეთი დაყოფა სისხლის სამართლის კოდექსისა მხოლოდ ბურჟუაზიული ეპოქის გარიჟრაჟზე გახდა შესაძლებელი.

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ზოგადი ნაწილი უკვე გამოყოფილია კერძო ნაწილისაგან, საფრანგეთის 1791 წლის 25 სექტემბრის სისხლის სამართლის კოდექსი იყო.<sup>1</sup>

მე-19 საუკუნის დაიდეგიდან მოკიდებული სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად იმდენად აუცილებელი და ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რომ წარმოუდგ-

<sup>1</sup> П.Н. Люблинский. Техника, толкование и казуистика уголовного кодекса. Пет-роград. 1917. с.52.

ენელიც კია რომელიმე თანამედროვე კოდექსი ამ დაყოფის გარეშე. სისხლის სამართლის კოდექსის დაყოფას ზოგად და კერძო ნაწილებად უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ნორმები, რომლებიც საერთოა კერძო ნაწილის მრავალი მუხლისათვის, თანდათანობით, ისტორიული განვითარების კვალობაზე, ცალკე გამოიყო და ასე შეიქმნა კოდექსის ზოგადი ნაწილი, რამაც ხელი შეუწყო საკანონმდებლო ტექსტის ეკონომიას და უფრო მოსახერხებელი გახადა მისი გამოყენება.

კოდექსის ზოგადი ნაწილი, ცხადია, არ არის მოწყვეტილი კერძო ნაწილს და ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოიდგინება. ეს ნაწილები კოდექსის ერთიან სისტემაში არიან მოქცეული და ერთმანეთთან გარკვეული ლოგიკური კავშირი აქვთ. ამის გამო ქმედობის სწორი კვალიფიკაციისათვის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილებს შორის არსებული კავშირის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნაა საჭირო.

ქმედობის კვალიფიკაციისათვის პირველად, ცხადია, უნდა მივიმართოთ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლს, რომლითაც ეს ქმედობაა აღწერილი. ისმება კითხვა: როდის ვიყენებთ ზოგადი ნაწილის მუხლს? როგორც ცნობილია, ზოგჯერ ზოგადი ნაწილის მუხლებში აღწერილია ის ქმედობები, რომლებსაც არ მოიცავენ კერძო ნაწილის მუხლები. აქედან ლოგიკურად უნდა დავასკვნათ: თუ კერძო ნაწილის მუხლი მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც მოიცავს იმ ქმედობას. რომლის კვალიფიკაციაც ჩვენ გვინტერესებს, მაშინ ზოგადი ნაწილის მუხლის გამოყენება ზედმეტია. აქ მთავარია არ დაირღვეს პრინციპი, რომლის მიხედვითაც არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე. მაშასადამე, ადამიანი არ შეიძლება პასუხი აგოს იმ ქმედობისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული (ანალოგიის აკრძალვა).

ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა ისეა აგებული, რომ კანონმდებელი, ადგილის ეკონომიის გამო, აღარ იმეორებს მუხლის წინა ნაწილში აღწერილ ძირითად შემადგენლობას მთლიანად და ცვლის მას სიტყვებით “იგივე ქმედობა” და ა.შ. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი ასეა აგებული: “ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ესე იგი თანამდებობის პირის მიერ მოქმედების განზრახ ჩადენა ან არჩადენა

სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.“

ამ მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია ასეა ჩამოყალიბებული: “იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტემატიურად ან ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ან რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მიძიმე შედეგი“. ისმება კითხვა: რას გულისხმობს “იგივე ქმედობა?“ მოიცავს თუ არა ეს სიტყვები 186-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციას მთლიანად. ესე იგი ამ ნაწილით აღწერილ მოქმედებასაც და შედეგსაც “არსებით ზიანს“, რომელიც გამოწვეული იქნება ანგარებით და ა.შ? ცხადია, რადგან კანონმდებელი საგანგებოდ არაფერს ამბობს, “იგივე ქმედობაში“ საგულისხმებელია მოქმედებაც და შედეგიც (არსებითი ზიანი), ესე იგი ყველაფერი, რაც 186-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციითაა აღწერილი. მაგრამ ზოგიერთი ანალოგიური მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკითხი არც მთლად ისე იოლი გადასაწყვეტია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება უკანონო თევზაობა “თუ იგი ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში დღიდან ასეთი მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა“. ამ მუხლის მეორე ნაწილში კი ნათქვამია: “იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ანდა თევზის ჭერის სარეწი იარაღის, ფეტქებადი ან მომწამელები ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით.“

ამ მუხლის პირველი ნაწილით პასუხს ვერ აგებს კაცი, თუ ის პირველად ჩადენილი უკანონო თევზაობისათვის ადმინისტრაციული წესით არ ყოფილა დასჯილი და შემდეგ არ გაიმეორა ანალოგიური მოქმედება ერთი წლის განმავლობაში. მეორე ნაწილის სიტყვები “იგივე ქმედობა“ გულისხმობს პირველი ნაწილის დისპოზიციის სრულად გამეორებას. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ვთქვათ, კაცმა უკანონოდ ითევზავა, რისთვისაც მას ადმინისტრაციული სახდელი დაედო. ერთი წლის განმავლობაში მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური მოქმედება, ეს უკვე საკმარისია, რომ სამართალდამრღვემა პასუხი აგოს საქართველოს სსრ სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით. მაგრამ ვთქვათ, ეს შემთხვევა არ გამოვლინდა და მან კვლავ, ამჯერად მესამედ, ჩაიდინა დასახელებული მოქმედება, რომელიც უკვე გამოვლინდა.

როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ ეს დანაშაული, 175-ე მუხლის პირველი თუ მეორე ნაწილით? თუ სიტყვასიტყვით გავიგებთ 175-ე მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციას “იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით“, უნდა ვთქვათ, რომ ამ მოქმედებას ვერ დავაკვალიფიცირებთ 175-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვინაიდან კაცს მეორედ არ ჩაუდენია უკანონო თევზაობა ერთი წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ.

მაგრამ სიტყვებს “იგივე ქმედობა“, ესე იგი უკანონო მოქმედების ორჯერ ჩადენა, როცა პირველი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი იყო დადებული ერთი წლის განმავლობაში, კფიქრობ, მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აგრეთვე 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშნების მიმართაც (თევზაობა ფეთქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით და ა.შ.).

რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ აქედან? უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ, თუ კაცი პირველად თევზაობს რაიმე საყოველთაოდ საშიში საშუალებით, მან პასუხი უნდა აგოს მხოლოდ ადმინისტრაციული წესით. თუკი ეს კაცი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ გაიმეორებს ისეთსავე მოქმედებას, იგი მიეცემა პასუხისგებაში მხოლოდ 175-ე მუხლის პირველი ნაწილით. იგივე კაცი 175-ე მუხლის მეორე ნაწილით აგებს პასუხს, თუკი მესამედაც ჩაიდენს ანალოგიურ მოქმედებას.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკაში სიტყვები “იგივე ქმედობა“ ასე არ არის გაგებული და საქართველოს სსრ სსკ-ის 175-ე მუხლის მეორე ნაწილით აკვალიფიცირებენ საყოველთაოდ საშიში საშუალებით (ელექტროდენის გამოყენებით თევზაობა და ა.შ.) თევზაობის პირველსავე შემთხვევას. ცალკეული მაგალითების მოტანას აქ აზრი არა აქვს, ვინაიდან ასეთი კვალიფიკაცია აქა-იქ კი არ გეხვდება, არამედ საერთოდ ამ გზით მიდის ჩვენი სასამართლო პრაქტიკა.

ამ მუხლის მაგალითმა გვინგენა, რომ გამოთქმა “იგივე ქმედობა“ უფრო მეტი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ საკანონმდებლო პრაქტიკაში. უმჯობესია მის ნაცვლად კვალიფიცირი შემადგენლობის აღწერა დავიწყოთ იმ სიტყვების მოლიანი ან ნაწილობრივი გამოყენებით, რომლებითაც აღწერილია შესა-

ბამისი დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა. ამის ნიმუშად გამოდგება საქართველოს სსრ სსკ-ის 150-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ასეა ფორმულირებული: “ქურდობა, ესე იგი მოქალაქეთა პირადი ქონების ფარული გატაცება“. ამ მუხლის კვალიფიციური ნაწილების აღწერისათვის კანონმდებელი ყველგან იმეორებს სიტყვას “ქურდობა“ და არ იყენებს გამოთქმას “იგივე ქმედობა“. ანალოგიურად არის კონსტრუირებული ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი სხვა მუხლიც.

ზოგჯერ კანონმდებელი სხვა გზას ირჩევს დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის აღწერისას. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 123-ე მუხლის შესამე ნაწილში ვკითხულობთ: “ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილში გათვალისწინებული აბორტის გაკეთება ხელობის სახით“... და ა.შ. (იხ. აგრეთვე საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხ. შესამე ნაწ. და სხვ.).

მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით შესწავლის დროს ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ, რაც სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. ეს არის, ასე ვთქვათ, სანქციაში შერწყმული დისპოზიციები (იხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 169<sup>3</sup> ნაწ. მეორე, 178-ე, ნაწ. შესამე, 209<sup>1</sup> და სხვ. მუხლები). მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის შესამე ნაწილი ასეა ფორმულირებული:

“ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედებანი, ნადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ანდა რომელმაც აიღო ქრთამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ოთხიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ხოლო ბანსაკუთრებით დამამძიმებელ ბარამონებებში სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“ (ხაზგასმა - ო.გ.).

ამ ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს 189-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგებოდეს, მაშინ, როცა სინამდვილეში იგი ოთხნაწილიანია. მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის არასრულყოფილებას უნდა მიეწეროს ის, რომ ეს მეოთხე ნაწილი ნათლად არ არის გამოყოფილი მუხლის შესამე ნაწილისაგან, ამიტომ გარეგნულად, ერთი

შეხედვით ისე ჩანს, თითქოს იგი, ეს მეოთხე ნაწილი დამოუკიდებლად არ არსებობდეს. თუმცა აშკარაა, რომ აქ ჩაზგასმული სიტყვები 189-ე მუხლის მესამე ნაწილისაგან განსხვავებული, სრულიად ახალი დისპოზიციაა, ახალი ნორმაა, რომელიც ამივე ნაწილის სანქციაშია შერწყმული. სიტყვები “ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში” ასე უნდა წაეკითხოთ: “ქრთამის აღება განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში”, რისთვისაც დაწესებულია აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია სიკვდილით დასჯა ქონების კონფისკაციით. საკმარისია ამ სიტყვებით გამოხატული დისპოზიცია ცალკე აბზაცის სახით გამოიყოს, რათა სრულიად ნათელი გახდეს, რომ 189-ე მუხლი ოთხი ნაწილისაგან არის შემდგარი.

მიმანინია, რომ ასეთნაირად კონსტრუირებული მუხლები, რომლებიც ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო გახშირდა ჩვენს საკანონმდებლო პრაქტიკაში, უარყოფით მოქმედნად უნდა ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ მსგავსმა ფორმულირებამ შეიძლება კანონიერების დარღვევაც კი გამოიწვიოს. რაჩან სიტყვები “ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში” ცალკე აბზაცის სახით არ არის გამოყოფილი და ეს დისპოზიცია ამ მუხლის მესამე ნაწილის სანქციაშია შერწყმული, საგამოძიებო ორგანოს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს სიტყვები მოცულია 189-ე მუხლის მესამე ნაწილით და ბრალდებულს ბრალიც სწორედ ამ მესამე ნაწილით დასდოს. ამის საფუძველზე სავსებით მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა თავის საბრალდებო სიტყვაში სიკვდილით დასჯაც კი მოითხოვოს. განსასჯელი კი, პირიქით, მთელი სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს, ვიდრე საბრალდებო სიტყვას მოისმენდეს, შეიძლება ფიქრობდეს, რომ 189-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომლითაც მას ბრალი დაედო, მხოლოდ თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, ვინაიდან ხსნებული მუხლის მესამე ნაწილით უფრო მძიმე სასჯელი არც არის გათვალისწინებული. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იგი სწორედ ამ სასჯელის ფარგლებში იცავდეს თავს. მაგალითად, შესაძლებელია, იმ იმედით, სიკვდილით დასჯა მაინც არ მომელისო, განსასჯელმა აღიაროს კიდევ თავისი დანაშაული. ასე რომ, სიკვდილით დასჯის ნაწილში, რაც მისთვის სრულიად მოულოდნელად მოითხოვა სახელმწიფო ბრალმდებელმა და გამოიყენა სასამართლომ განაჩენში, იგი სრულიად დაუცველი აღმოჩნდება.

იმის საილუსტრაციოდ, რომ 189-ე მუხლის მესამე ნაწილის ფორმულირებამ მართლა შეიძლება გამოიწვიოს ასეთი გაუგებრობა, საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ჩვენი სასამართლო პრაქტიკიდან. ერთ-ერთი სკოლის დირექტორს კ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით (იგულისხმება 189-ე მუხლის 1986 წ. 11 ივნისის რედაქციის მესამე ნაწილი). ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ ეს განაჩენი გააუქმა და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნა. სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში იქნა მიღებული ისიც, რომ საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის მეორე ნაწილი (ახლანდელი მესამე ნაწილი) თითქოს ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას და ბრალდებული სამართალში არ ყოფილა მიცემული სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე, რაც აუცილებელი იყო საქართველოს სსრ სსკ-ის 222-ე მუხლის თანახმად.

ეს მოსაზრება, რასაკვირველია, სწორი არ იყო, ვინაიდან 189-ე მუხლის მეორე ნაწილი (როგორც ახლანდელი მესამე ნაწილი) არამც და არამც არ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. ამ ნაწილით დადგენილი იყო თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სიკვდილით დასჯა, როგორც ვნახეთ, კანონით დაწესებულია ქრთამის აღებისათვის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში, რაც კ-ს არც ჰქონდა წარდგენილი და არც შეიძლება ჰქონოდა მის მიერ ჩადენილი ქმედობის გაცილებით ნაკლები საშიშროების გამო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სასამართლომ მას განაჩენით 189-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სამი წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარა.

ამ მუხლთან დაკავშირებით დგება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. როგორ უნდა გასწორდეს ის ტექნიკური არასრულყოფილება, რომელიც საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე და ზოგიერთ სხვა მუხლს ახლავს თან და 2. ვიდრე ეს უზუსტობა გასწორდებოდეს, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ბრალდების ფორმულირება და როგორ უნდა განისაზღვროს კვალიფიკაცია 189-ე მუხლის დღევანდელი რედაქციის საფუძველზე.

189-ე მუხლის დახვეწა ტექნიკური თვალსაზრისით, ცხადია, ადვილი საქმეა. საკმარისია სიტყვები “ქრთამის აღება განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“, შესაბამის სანქციასთან ერთად, ცალკე აბზაცად გამოიყოს და ყველაფერი მოგვარდება. უფრო რთულია იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ ანუ რომელმა



საკანონმდებლო ორგანომ უნდა გააკეთოს ეს. ეს საკითხი დგება იმიტომ, რომ საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის ტექსტი შემუშავებულია საკავშირო კანონმდებლის მიერ. უფრო ზუსტად, ამ მუხლის ტექსტი აღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებიდან, რომელიც მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გამოიცა. ამის გამო ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა ხსენებული ცვლილება 189-ე მუხლში შეიტანოს რესპუბლიკის კანონმდებელმა? ვინაიდან ეს ცვლილება წმინდა ტექნიკური ხასიათისაა და ის საკავშირო კანონმდებლის აზრს არა თუ არ ცვლის, უფრო აზუსტებს კიდევ, შეიძლება ეს რესპუბლიკის კანონმდებელმაც გააკეთოს.

როგორ უნდა გადავლახოთ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ის სირთულე, რასაც კვალიფიკაციის საკითხში გეიქმნის საქართველოს სსრ სსკ-ის 189-ე მუხლის დღევანდელი კონსტრუქცია? მიმანია, რომ თუკი საბრალდებო დასკვნაში ბრალდების ფორმულირება 189-ე მუხლის მხოლოდ მესამე ნაწილს მოიცავს, სასამართლოს უფლება არა აქვს განანენით გასცდეს ამ ფორმულირებას და გამოიყენოს სიკვდილი დასჯა, რადგან ამ მუხლის მესამე ნაწილით ეს სასჯელი, როგორც ზემოთ ითქვა, გათვალისწინებული არ არის. სიკვდილით დასჯის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ბრალდების ფორმულირება მოიცავს 189-ე მუხლის სიტყვებს: ქრთამის აღება “განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში“ და შემდეგ საბრალდებო დასკვნაში კონკრეტულად იქნება აღწერილი და დასაბუთებული, თუ რით გამოიხატა ამ “განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ ქრთამის აღება.

ზოგჯერ კანონმდებელი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ანუ მაკვალიფიცირებელ ნიშნად ითვალისწინებს ამა თუ ამ დანაშაულის ჩადენას გასაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად პასუხისმგებლობის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება არის განზრახი მკვლელობის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ცნება, როგორც ვიცით, განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. კანონში, სადაც ეს ცნებაა განსაზღვრული, ამავე დროს მინიშნებულია, რომ

მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გამოყენებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ კაცი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იყო ცნობილი “ამ დანაშაულის ჩადენამდე“ (იხ. საქართველოს სსრ სსკ-ის 44-ე მუხ.). ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაკვალიფიციირდება განზრახი მკვლელობა მხოლოდ მაშინ, თუ მკვლელი ამ მკვლელობის ჩადენამდე, ესე იგი წინა განაჩენით იყო აღიარებული განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

მაგრამ ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში სწორად არა აქვთ გაგებული ის საკითხი, თუ რას ნიშნავს წინა განაჩენით დამნაშაის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარება. საგულისხმოა ამ მხრივ თ. ჯ.—იას საქმე, რომელიც განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იყო აღიარებული ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 29 აპრილის განაჩენით. ეს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 1983 წლის 19 ივლისს, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი განიხილა და უარი უთხრა მის მოთხოვნას. მაგრამ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ესე იგი 1983 წლის 19 ივლისამდე თ. ჯ.—იამ სპეციზოლატორში განზრახ მოკლა პატიმარი. მიუხედავად ამისა, ეს ახალი დანაშაული დაკვალიფიციირდა საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტით (განზრახი მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ) და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1984 წლის 14 მარტის განაჩენით თ. ჯ.—იას სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - დახვრეტა მიესაჯა.

ეს კვალიფიკაცია სწორი არ იყო. ამიტომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1984 წლის 21 მაისის დადგენილებით განაჩენი შეიცვალა. თ. ჯ.—იას ქმედობა საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტიდან გადაკვალიფიციირდა იმავე კოდექსის 105-ე მუხლზე. პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თ.ჯ.—იას მიმართ სასამართლო კოლეგიამ დაარღვია კონსტიტუციური პრინციპი, რომლის თანახმადაც ბრალდებული (განსასჯელი) უდანაშაულოა მანამ, სა-

ნამ მისი ბრალი არ იქნება დამტკიცებული და დადგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.<sup>1</sup>

საქართველოს სსრ სსსკ-ის მ-4 მუხლის მიხედვით არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად. ეს პრინციპი ვრცელდება აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარებაზეც. როგორც ვიცით, საქართველოს სსრ სსკ-ის 44-ე მუხლით განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტის მიერ დანაშაულის ჩადენა ითვლება მაკვალიფიცირებელ ნიშნად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე “კანონით დადგენილი წესით” იყო ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ამ დანაშაულის ჩადენამდე. სიტყვები “კანონით დადგენილი წესით” აქ შემთხვევით როდია გამოყენებული. ეს იმას ნიშნავს, რომ განაჩენი, რომელითაც მსჯავრდებული განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იყო აღიარებული, კანონიერ ძალაში უნდა იყოს შესული ახალი დანაშაულის ჩადენის დროს.

მაგრამ ეს დებულება მარტო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტის მიერ ჩადენილი ქმედობის კვალიფიკაციის დროს როდი გამოიყენება. ეს წესი უნდა გავრცელდეს ყველა შემთხვევაზე, როცა რეციდივი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია. ცნობილია, რომ რეციდივი რამდენიმე სახისაა. ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ოთხი სახის რეციდივს: 1. არაერთგვაროვანი რეციდივი; 2. ერთგვაროვანი რეციდივი; 3. სპეციალური რეციდივი და 4. განსაკუთრებით საშიშ რეციდივი.<sup>2</sup> მოქმედი კანონმდებლობა რეციდივის ზოგად ცნებას არ განსაზღვრავს. კანონმდებლობაში განსაზღვრულია მხოლოდ რეციდივის ერთი სახის, კერძოდ, განსაკუთრებით საშიშ რეციდივის ცნება. იურიდიულ ლიტერატურაში რეციდივად ითვლება ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაული ჩადენილია წინა დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ, ესე იგი რეციდივი დანაშაულის ისეთი გამეორებაა, როცა კაცი წინა დანაშაულისათვის უკვე მსჯავრდებულია.<sup>3</sup> ამიტომ ის დებულება, რომელიც ზემოთ ჩამოვყალიბეთ

1 იხ. “საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი”, 1984, №4, გვ.24

2 იხ. გ. ტყეშელაიძე. პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ. 1965. გვ.60.

3 იქვე გვ.6

განსაკუთრებით საშიში რეციდივის მიმართ, საერთო უნდა გახდეს რეციდივის ყველა სახისათვის.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ბოლო დროს რეციდივი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება კანონმდებლის მიერ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სსრ სსკ-ის 104-ე მუხლის მე-9 პ., 110-ე მუხ. მე-3 ნაწ. 117-ე მუხ. მე-4 ნაწ., 122-ე მუხ., მე-4 ნაწ. 137-ე მუხ. მე-2 ნაწ. 138-ე მუხ. მე-2 ნაწ. 165-ე მუხ. მე-3 ნაწ. და სხვ.

ყველა აქ დასახელებულ და მსგავს შემთხვევაში, როცა ქმედობის კვალიფიკაციას ვახდენთ, მიხედვლობაში უნდა მივიღოთ, რომ კაცი წინა დანაშაულისათვის გასამართლებული იყო “კანონით დადგენილი წესით“. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში უნდა იყოს შესული. ვთქვათ, სპეკულაციისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გასანივრებულია საკახაციო წესით და ვიდრე ამ საჩივარს განიხილავდეს ზემდგომი სასამართლო, მსჯავრდებულმა კვლავ ჩაიდინა სპეკულაცია. ახლად ჩადენილი სპეკულაციის შემთხვევა ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ-ის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ვინაიდან წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ იყო შესული კანონიერ ძალაში ახალი დანაშაულის ჩადენის დროს.

მეორე მხრივ, შესაძლებელია წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში კი იყო შესული, მაგრამ ნასამართლობა კაცს უკვე მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა, როცა მეორე დანაშაული ჩაიდინა. ვერც ამ შემთხვევაში მიეცემა წინა მსჯავრდებას მაკვალიფიცირებელი ნიშნის მნიშვნელობა და ამიტომ პასუხისმგებლობაც ვერ გაუძლიერდება დამნაშავეს. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ საკანონმდებლო წინადადება, რომლის მიხედვით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს სასურველია დაემატოს ასეთი შინაარსის 39<sup>1</sup> მუხლი:

“მუხ. 39<sup>1</sup> ქმედობის კვალიფიკაცია დანაშაულის რეციდივის დროს როცა რეციდივი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად არის გათვალისწინებული კანონით, მაშინ ქმედობის ამ ნიშნით დაკვალიფიცირება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ქმედობის ჩადენის დროს წინა დანაშაულისათვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში იყო შესული და ამავე დროს, ნასამართლობა კაცს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოხსნილი ან გაქარწყლებული“.

# დანაშაულის ჩადენის ადგილის

## ცნებისათვის

დანაშაულის ჩადენის ადგილის საკითხი დიდი ხანია იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეგრეთ წოდებული დისტანციური დელიქტების ჩადენის დროს. დისტანციურს უწოდებენ ისეთ დელიქტს, რომლის ჩადენა ერთ რომელიმე ადგილას კი არ ხდება, არამედ განაწილებულია, გრძელდება ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ტიპურ დისტანციურ დელიქტს წარმოადგენს შედეგიანი დელიქტი, როცა მოქმედების ჩადენას შედეგი უშუალოდ კი არ მოსდევს, არამედ ტერიტორიულად მისგან დაცილებულია. მაგალითად, დამნაშავემ მსხვერპლს საწამლავი მისცა პოლონეთის ტერიტორიაზე, ხოლო შედეგი განხორციელდა, ესე იგი მსხვერპლი გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ა.შ. ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: სად, რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ჩადენილი ეს მკვლელობა?

თავდაპირველად ამ საკითხზე ორი მიმართულება უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ადრინდელი გერმანული დოქტრინა დანაშაულის ჩადენის ადგილად თვლიდა იმ ადგილს, სადაც დანაშაულებრივი მოქმედება განხორციელდა (ბარი, ლისტი, ბელსინგი, ფრანკი). ამ მიმართულების თანახმად დანაშაული ჩადენილია იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც დამნაშავემ თავისი დანაშაულებრივი ნება გამოავლინა. სწორედ მოქმედებაში ვლდინდება დანაშაულებრივი ნება, ვინაიდან სისხლის სამართალი ადამიანის ბრალის პრინციპზეა აგებული. შედეგის განხორციელების ადგილი, ამ თვალსაზრისის მიხედვით, მნიშვნელობას კარგავს. შედეგი შემთხვევითია, იგი შეიძლება განხორციელდეს, შეიძლება არ განხორციელდეს. შედეგი არ გამოხატავს აუცილებლობას, ის შემთხვევით გარემოებებზეა აგებული.

გარდა ამისა, ეს მიმართულება გამართლებულად მიაჩნდათ აგრეთვე პროცესუალური მოსაზრებებითაც, ვინაიდან მოქმედების ჩადენის ადგილას იმყოფება დამნაშავე, აქვე რჩება დანაშაულის კვალი, აქ არიან მოწმეები და სხვ.

დანაშაულის ჩადენის ადგილად იმ სახელმწიფოს ტერიტორიის მიჩნევა, სადაც მოქმედება განხორციელდა, თავის დროზე რეკომენდირებული იყო საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ მიუნხენში გამართულ სხდომაზე 1883 წ. გერმანელი კრიმინალისტების ბარის და ბრუნას მოხსენებათა საფუძველზე. ეს დებულება აღიარებული იქნა აგრეთვე 1932 წ. ჰააგის შედარებითი სამართალმცოდნეობის საერთაშორისო კონგრესზეც დონედია და უაბრესა და პომპეს მოხსენებათა ზეგავლენით.<sup>1</sup>

მეორე მიმართულების წარმომადგენლები უპირატესობას იმ ადგილს აძლევენ, სადაც შედეგი განხორციელდა. შედეგის თეორიის დამცველები თავიანთ თვალსაზრისს ასე ასახულებდნენ: შედეგის განხორციელების მერე ამკარავდება დანაშაულის შემადგენლობა და იღებს თავის დასრულებულ ფორმას; სწორედ ტერიტორიალური პრინციპი მოითხოვს, რომ დამნაშავე დაისაჯოს იმ სახელმწიფოს კანონით, რომლის ტერიტორიაზეც წარმოიქმნა შედეგი, ვინაიდან აქ მოხდა სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მიხლოდ მოქმედება იყო ჩდენილი, არ დაზიანებულა, მისი სიკეთის ხელყოფა არ მომხდარა. ძნელი ასატანი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს, რომლის საზღვრებს შიგნით განხორციელდა დანაშაულებრივი შედეგი, ვთქვათ, მსხვერპლის სიკვდილი, თავისი მართლწესრიგის ხელყოფა ურეაქციოდ დაეტოვებინა. შედეგის თეორიის თავგამოდებულ დამცველად ითვლებოდა ფრანგი იურიისტი კარაუდი. ეს თვალსაზრისი არაპირდაპირ გამომდინარეობდა აგრეთვე ესპანეთის კანონმდებლობიდან. აღნიშნული პრინციპი აისახა შუა და სამხრეთამერიკული ქვეყნების კოდექსებშიც (მექსიკა, კოლუმბია, კუბა, ეკვადორი, ჰონდურასი, ვენესუელა).

როგორც ვხედავთ, ამ ორ მიმართულებას შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაა. თუმცა როგორც აქ მოტანილი არგუმენტებიდან ამკარავდება, შეუძლებელია რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება. მართლაც, ვის შეუძლია იმის დასახუთება, რომ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედება იყო ჩადენილი, არა აქვს უფლება დასაჯოს დამნაშავე ისევე, როგორც ამ უფლებას ვერ წავართმევთ იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტ-

<sup>1</sup> იხ. Deutsche Strafrechtliche Landesreferate zum VII internationalen Kongress für Rechtsvergleichung, Pescara, 1970, Berlin, 1971, 35, 55-56.

<sup>2</sup> მითით. ნაშრომი, გვ. 56.

ორიაზე დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა. სახელმწიფო სუვერენიტეტის აშკარა შეზღუდვა იქნებოდა ერთ-ერთი ამ თვალსაზრისისათვის უპირატესობის მინიჭება და მეორის უზღულგებლყოფა. მოქმედების თეორიის დამცველები როდი არიან მოლად მართლები, როცა ამტკიცებენ, თითქოს შედეგის განხორციელების ადგილი არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის ადგილად, თითქოს შედეგი შემთხვევითია და ა.შ. რა გუყოთ ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავე მოქმედებს ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და წინასწარ აქვს გამიზნული, რომ მისი მოქმედების შედეგი მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდება? ვთქვათ, ვინმე თურქეთის ტერიტორიიდან თოფს ესვრის მოსაკლავად კაცს, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება და კლავს მას. განა შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არა აქვს უფლება დასაჯოს დამნაშავე, რომელმაც დააზიანა ჩვენი სახელმწიფო ჩვენსაკე ტერიტორიაზე? მერე რა, რომ დამნაშავე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იდგა, როცა თოფის ჩახმახს ხელი გამოჰკრა? ამის გამო მოქმედების თეორიის დამცველები იძულებული გახდნენ შემეშუშავებინათ ეგრეთ წოდებული “გრძელი ხელის ან გაგრძელებული ხელის, ანდა გაფართოებული მოქმედების ცნება”.<sup>1</sup> მაგრამ ასეთი ფიქციები, რასაკვირველია საქმეს ვერ შეეღიდა. ამიტომ იყო, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით შემეშუშავდა მესამე თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ყველა სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაულის რაღაც ნაწილი, რომელიღაც რგოლი მაინც მოხვდა, უფლება აქვს დასაჯოს დამნაშავე ტერიტორიალობის პრინციპის საფუძველზე (Ubiquitätstheorie, oder Einheitstheorie, теория повсеместности, или теория единства, სუყველგანობის ანუ შერეული თეორია, ანდა ერთიანობის თეორია).<sup>2</sup> ამ თვალსაზრისის მიხედვით დამნაშავის დასჯის პრეტენზია, მისი დასჯის უფლება თანაბრად ეძლევა იმ სახელმწიფოსაც, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედება იყო ჩადენილი და იმასაც, სადაც შედეგი განხორციე-

<sup>1</sup> М.И.Блум, Действие советского уголовного закона в пространстве. Рига, 1974, стр.126.

<sup>2</sup> მ.ბლუმი, მოთ.ნაშრომი, გვ.129, Ubiquitätstheorie-ს ქართულ შესატყვისად შევარჩიე “სუყველგანობის თეორია”, ესე იგი თეორია, რომლის მიხედვით დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაეკისრება სუყველგან, ყველა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მისი დანაშაული ნაწილობრივ მაინც განხორციელდა.

ლდა. მ. ბლუმი აღნიშნავდა, რომ ეს საკითხი მე-20ს დასაწყისი-სათვის რამდენიმე ქვეყანაში (გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი) ერთდროულად შემუშავდა. გერმანიაში ამ სკითხის დამუშავება კბინდინგის სახელს უკავშირდება, ხოლო რუს კრიმინალისტთა შორის ამ თეორიის პირველ წარმომადგენლად ნ.სერგეევსკის ასახელებენ.<sup>1</sup>

სუყველგანობის თეორია ამჟამად უპირატესად გავრცელებულია კონტინენტური ევროპის სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში. ბევრ ქვეყანაში ეს პრინციპი უკვე კანონმდებლობაშიც კი აისახა. მაგალითად, დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე პარაგრაფის მიხედვით “დანაშაულებრივი ქმედობა იმ ადგილას არის ჩადენილი, სადაც დანაშავემ იმოქმედა ან, უმოქმედობის შემთხვევაში ვალდებული იყო ემოქმედნა ანდა იქ, სადაც შემადგენლობის შესაბამისი შედეგი განხორციელდა ანდა დანაშავის წარმოდგენით უნდა განხორციელებულიყო“ (ნაწ. 1).

დანაშაულის ჩადენის ადგილის ამ პრინციპის მიხედვით ძალიან ადვილად წყდება დანაშაულში თანამონაწილეთა ტერიტორიული პასუხისმგებლობის საკითხიც. დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის იმავე პარაგრაფის მიხედვით “თანამონაწილეობა ჩადენილად ჩაითვლება იმ ადგილასაც, სადაც დანაშაულის ამსრულებელი მოქმედებდა, და იქაც, სადაც თანამონაწილის მოქმედება განხორციელდა, ანდა, უმოქმედობის შემთხვევაში, სადაც უნდა ემოქმედნათ ან სადაც მათი წარმოდგენით აღსრულებითი მოქმედება უნდა ყოფილიყო ჩადენილი. თუ თანამონაწილემ საზღვარსიგნიდან მიიღო მონაწილეობა საზღვაგარეთ ჩადენილ დანაშაულში, თანამონაწილის მიმართ გამოიყენება გერმანული სისხლის სამართალი მაშინაც კი, როცა აღსრულებითი მოქმედება მოქმედების ჩადენის ადგილას არ ისჯება“ (ნაწ. 2).

დანაშაულის ჩადენის ადგილის სუყველგანობის პრინციპს სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართალიც იზიარებს. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968წ. 12 იანვრის სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 პარაგრაფის თანახმად “გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სა-

<sup>1</sup> მ.ბლუმი, მითნაშრომი, გვ.129. შენიშვნა 15.



მართლის კანონები გამოიყენება ყველა დანაშაულებრივი ქმედობის მიმართ, რომლებიც მის სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე იყო ჩადენილი ანდა მათი შედეგები განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო ამ ტერიტორიაზე“ (1 პ.).

ანალოგიური ნორმა გათვალისწინებულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1969 წ. 19 აპრილის სისხლის სამართლის კოდექსშიც. ამ კოდექსის მეორე პარაგრაფის მიხედვით “დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება იმ ადგილას, სადაც კაცმა მოქმედება განახორციელა ან არ ჩაიდინა მოქმედება, რომელიც უნდა ჩაედინა, ანდა იქ, სადაც წარმოიქმნა შედეგი ან სადაც ამ შედეგის დადგომა იყო გათვალისწინებული“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1979 წ. 1 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლითაც ასეთივე ნორმაა გათვალისწინებული: “თუ დანაშაულებრივი მოქმედება ან მისი შედეგი განხორციელდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაშინ დანაშაულიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილად ჩაითვლება“ (ნაწ.3).

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958წ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლის თანახმად “ყველა პირი, ვინც დანაშაული ჩაიდინა სსრ კავშირის ტერიტორიაზე, პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი სისხლის სამართლის კანონების მიხედვით“. ანალოგიური ნორმა გათვალისწინებულია აგრეთვე ახლახან გამოცემული “საფუძვლების“ პროექტითაც (იხ. მუხ.მე-5). მაგრამ, არც მოქმედი “საფუძვლები“ და არც დასახელებული პროექტი არ განსაზღვრავს “დანაშაულის ჩადენის ადგილის“ ცნებას. თუმცა დანაშაულის ჩადენის ადგილის პრობლემა საკმარისად არის დამუშავებული საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში. ავტორთა უმრავლესობა იზიარებს ეგრეთ წოდებულ სუყველგანობის პრინციპს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილად ჩაითვლება არა მარტო მოქმედების ჩადენის ადგილი, არამედ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაც, სადაც დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდა. მ.ბლუმი სწორად აღნიშნავდა, რომ “... დანაშაული სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩადენილად უნდა ჩაითვალოს ყველა შემთხვევაში, როცა რომელიმე მისი ნაწილი, თუნდაც ერთი მისი რგოლი განხორციელდა (ცალკე მოქმედი ამსრულებლის ან თანამონაწილის მიერ) საბჭოთა კავშირის

ტერიტორიაზე“. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სავსებით ეთანხმება სისხლის სამართლის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს და სრულად შეესაბამება სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეას. ამავე დროს მე ვეთანხმები მ.ბლუმის წინადადებას, რომ “სუვერენიტეტის პრინციპი“ უნდა აისახოს საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც.<sup>1</sup> მით უმეტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობა, როგორც ზემოთ ითქვა, საერთოდ არ განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებას.

სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედებას აქვს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ასპექტიც, რომელიც საგანგებო განხილვის საგანს შეადგენს. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირი ფედერაციული სახელმწიფოა, რომლის შემადგენლობაში შედის თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა: ყოველ რესპუბლიკას, როგორც ვიცით, საკუთარი კანონმდებლობა აქვს. იბადება კითხვა: როგორი ურთიერთობები წარმოიშობა რესპუბლიკებს შორის კანონის სივრცეში მოქმედებასთან დაკავშირებით? პირველი კითხვა, რომელიც ამ ასპექტში იბადება ასეთია: გამოიყენება თუ არა ერთი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონი მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე? ეს ისეთი საკითხია, რომელიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში სერთოდ არ წამოიჭრება. მაგალითად, ვინემუ დანაშაული ჩაიდინა თურქეთის ტერიტორიაზე, ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და აქ ისევ ჩაიდინა მეორე დანაშაული. არავის არ მოაფიქრდება, რომ ამ კაცის მიმართ საბჭოთა კავშირში გამოიყენონ თურქეთის სისხლის სამართლის კანონიც და საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკის, ვთქვათ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონიც. მაგრამ ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა დამნაშავეს ასამართლებენ ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეორე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით. ერთი სახელმწიფოს კანონის მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოყენება არ შეიძლება იმიტომ, რომ ყოველი სახელმწიფო სუვერენულია და სხვა სახელმწიფოს კანონი მის ტერიტორიაზე არ მოქმედებს. რატომ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი სხვაგვარად იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება საბჭოთა კავშირში შემაგალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონის სივრცეში გამოყენებას, თუკი ისი-

<sup>1</sup> მ.ბლუმი, მით.ნაშრომი, გვ.135.

ნი თანაბარუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკებია? ამ საკითხის გადაწყვეტისას საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა ეყრდნობა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლს, რომლის მიხედვით ყველა, ვინც დანაშაულს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩაიდენს პასუხს აგებს “დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით“. აქედან კეთდება დასკვნა: კაცმა პასუხი უნდა აგოს იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით, რომლის ტერიტორიაზედაც მან დანაშაული ჩაიდინა. იმ ფაქტს, თუ რომელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ეძლევა. ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ტიპურია ისეთი შემთხვევები, როცა კაცს ჩადენილი აქვს ორი ან რამდენიმე დანაშაული სხვადასხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასეთ დროს დანაშაულის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე ორი ან რამდენიმე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სისხლის სამართალი რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის დროს არ ცნობს პასუხისმგებლობის პერსონალურ პრინციპს. რაც შეეხება ტერიტორიულ პრინციპს, აქაც ვხვდებით გადახვევას სახელმწიფოთაშორისი ტერიტორიალური პრინციპიდან. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოიყენება ის სისხლის სამართლის კანონი, რომელიც ამ ტერიტორიაზე, სადაც სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, არ მოქმედებს. ერთი რამ ცხადია, სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო ამა თუ იმ სახელმწიფოს კანონების გამოყენების პრინციპები არ შეიძლება ტრაფარეტულად გამოვიყენოთ რესპუბლიკებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მოსაწყვსრებლად. მაგრამ ძირითადი პრინციპები მათ შორის მაინც არ უნდა იყოს განსხვავებული.

იმან, რომ მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ მოქმედებს, ზოგჯერ შეიძლება ერთგვარი უხერხულობაც კი შექმნას. მაგალითად, კაცმა ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე ფალსიფიკაცია (საქართველოს სსრ სსკ-ის 162-ე მუხლი) და იძულება (საქართველოს სსრ სსკ-ის 135-ე მუხლი). ამის შემდეგ წავიდა მოსკოვში და ჩაიდინა სპეკულაცია (რსფსრ სსკ-ის 154-ე

მუხლი). იგი პასუხისგებაში მისცეს და ასამართლებენ მოსკოვის ერთ-ერთ სასამართლოში. მოხდა ისე, რომ საქეკულაციის ნაწილში ეს კაცი გამართლდა და მოეხსნა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი. დაგვრჩა იგი პასუხისგებაში მიცემული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე და 162-ე მუხლებით. მაგრამ ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები განსასჯელს ჩადენილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე. კიდევ მეტი, ეს მოქმედებები რსფსრ ტერიტორიაზე საერთოდ არ ითვლება დანაშაულად. გამოდის, რომ მოსკოვის სასამართლოში ასამართლებენ კაცს იმ მოქმედებისათვის, რომლებიც ჩადენილია სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და თანაც ეს მოქმედებები რსფსრ ტერიტორიაზე საერთოდ არ ითვლება დანაშაულად.

ამ პრობლემატიკაში სხვა საკითხებიც წამოიჭრება, რომლებიც არცაუ ისე იოლი გადასაწყვეტია. ამიტომ ვფიქრობ, მომავალი საკანონმდებლო რეფორმისათვის ალბათ საჭირო იქნება საერთო-საკავშირო ინტერლოკალური კოლიზიური ნორმების მიღება, რომელთა საშუალებით ეს საკითხები მოგვარდება.

მაგალითად, კოლიზიური კანონმდებლობით, ჩემი აზრით, უნდა მოწესრიგდეს ასეთი საკითხი: ვთქვათ, ვინმემ ჩაიდინა ორი დანაშაული, ერთი საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორე რსფსრ ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში საქართველოს ტერიტორიაზეც და რსფსრ ტერიტორიაზეც. კოლიზიური კანონით საჭიროა დადგინდეს, რომ ორივე დანაშაულისათვის უნდა გამოვიყენოთ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონები, რომლის ტერიტორიაზეც დამნაშავეს ასამართლებენ. მაგრამ, თუკი რომელიმე აქ მითითებული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონით დამნაშავის მიერ ჩადენილი ორი ქმედობიდან მხოლოდ ერთი ისჯება, მაშინ საქმე უნდა განიხილოს იმ რესპუბლიკის სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც არის ჩადენილი ორივე ქმედობა და ორივე მათგანი გამოცხადებულია დანაშაულად ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრა ადვილია და არავითარ ეჭვს არ იწვევს იმ შემთხვევაში, როცა ქმედობა მთლიანად, მოქმედებაც (უმოქმედობაც) და შედეგიც, ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდა. მაგრამ ბევრ სირთულეს ქმნის ისეთი შემთხვევები, როცა დანაშაული იწყება ერთ რესპ-

უბლიკაში და მთავრდება მეორეგან. რომელი რესპუბლიკის ტერიტორიაზეა ჩადენილი ეს დანაშაული? ეს საკითხი დგება ყველა სახის დისტანციური დელიქტის ჩადენის დროს. ახლახან გამოცემული საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მიხედვით, თუ დანაშაული ჩადენილია ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ რესპუბლიკის კანონი, სადაც დანაშაული დამთავრდა ან აღიკვეთა. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული პრობლემა სხვადასხვაგვარად წყდება სხვადასხვა დისტანციური დელიქტის მიმართ. მაგალითად, თუ დანაშაული მომხადდა ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე და განხორციელდა მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება იმ ადგილას, სადაც აღსრულებითი მოქმედება განხორციელდა.<sup>1</sup> ასევე წყდება საკითხი ორაქტიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც, კერძოდ, როცა სპეკულაციის პირველი აქტი (ყიდვა) ჩადენილია ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე აქტი (გაყიდვა)

მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დანაშაულიც ამ მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება, ესე იგი იქ, სადაც მეორე აქტი (გაყიდვა) განხორციელდა.<sup>2</sup> პირიქით წყვეტენ საკითხს იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს შედეგიან დანაშაულთან. ვთქვათ, მოქმედება ჩადენილია ერთ რესპუბლიკაში, ხოლო შედეგი განხორციელდა მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. დანაშაული ჩადენილად ითვლება იმ ადგილას, სადაც მოქმედება განხორციელდა.<sup>3</sup> სრულიად საწინააღმდეგოდ წყდება საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დენად და განგრძობად დანაშაულთა ჩადენის ადგილის საკითხი. ამ სახის დანაშაულთა ჩადენის ადგილად თვლიან ყველა იმ რესპუბლიკას, რომელთა ტერიტორიაზეც შესაბამისი დანაშაული განხორციელდა.<sup>4</sup>

როგორც ვხედავთ, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის ჩადენის ადგილის ერთიანი ცნება ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. საბჭოური სისხლის სამართლის თეორია ანგარიშს უწევს და იზიარებს სუყველგანობის პინციპს სახელმწიფ-

<sup>1</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ობიექტის, 1976, გვ.19.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ.20.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ.20-21.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ.21.

ოთაშორისი ურთიერთობის დროს, ვინაიდან ამას მოითხოვს სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეა, მაშინ, როცა არსებითად უგულვებელყოფილია ეს პრინციპი რესპუბლიკათშორის ურთიერთობაში. დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრისათვის იმ შემთხვევაში, როცა დისტანციური დელიქტი ნაწილ-ნაწილ ხორციელდება ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კვლავ იყენებენ ეგრეთ წოდებულ “მოქმედების თეორიას“, რომელიც დიდი ხანია დაწუნებულია მეცნიერებაში. მართლაც, თუკი საბჭოთა კავშირის კანონით პასუხს აგებს ის, ვინც დანაშაულე-ბრივი მოქმედება საზღვარგარეთ ჩაიდინა, მაგრამ შედეგი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განხორციელდა, მაშინ რატომ არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის ადგილად იმ რესპუბლიკის ტერიტორია, სადაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესრულებული მოქმედების შედეგი განხორციელდა? რესპუბლიკაც ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა; ისიც თანაბარუფლებიანი, სუვერენული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა მიმართ?

სხვა საბჭოელ ავტორთაგან განსხვავებით, ეს საკითხი სწორად აქვს გააზრებული და გადაწყვეტილი მ.ბლუმს. ყოველი “... რესპუბლიკა - წერდა მ.ბლუმში - უნდა ვაღიაროთ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის ადგილად, თუკი ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდა დანაშაულეებრივი ქმედობის ერთ-ერთი რგოლი, დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი, განგრძობადი ან დენადი დანაშაულის ერთ-ერთი ეტაპი, დაუშთავრებელი დანაშაულის ერთ-ერთი სტადია, კანონით აღტერნატიულად გათვალისწინებული მოქმედებებიდან ერთ-ერთი მაინც“<sup>1</sup>. მაშასადამე, მ.ბლუმმა აღიარა სუყველგანობის თეორია იმ შემთხვევაშიც, როცა დისტანციური დელიქტი ჩადენილია ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მისი აზრით, როცა ერთი დელიქტი ნაწილ-ნაწილ განხორციელდა ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაშინ დანაშაული ჩადენილად ჩაითვლება თითოეული ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ყოველ მათგანს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი სისხლის სამართლის კანონი და დასაჯოს დამნაშავე. ეს აზრიც სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეას ემყარება. როგორც უკვე ვთქვით, ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენულია, იგი დამოუკიდებელია სხვა მოკავ-

1 . М. И. Блум. Действие советского уголовного закона в пространстве, стр.156.

შირე რესპუბლიკებისაგან. ამიტომ თითოეული მათგანი დაიცავს თავის მიერ დამყარებულ მართლწესრიგს იმ სახით, როგორც თვითონ აქვს გათვალისწინებული კანონით.

ზოგჯერ ამ მომენტს არ ითვალისწინებენ კანონის სივრცეში გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს. მაგალითად, ცნობილია, რომ დენადი დანაშაული, რომელიც ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გრძელდებოდა, თითოეული ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილად უნდა ჩაითვალოს. ეს აზრი ერთხმად არის მიღებული ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში. მაგრამ როცა საქმე ეხება იმას, თუ რომელი რესპუბლიკის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული დამნაშავის მიმართ, რატომღაც ავტორთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონის გამოყენებას, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს.<sup>1</sup> სასჯელის სიმკაცრის მიხედვით ამ საკითხის გადაწყვეტა, ვფიქრობთ, არაფრით გამართლებული არ უნდა იყოს, კინაიდან ეს აზრი ეწინააღმდეგება სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეას. საქმე ის არის, რომ კანონის მიღების დროს ყოველი რესპუბლიკა აწესებს ისეთ სასჯელს ამა თუ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას ამ დანაშაულთან საბრძოლველად მიზანშეწონილად მიაჩნია. ამ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რომ ისეთი მკაცრი სასჯელის გამოყენება სდომებოდა, როგორც შესაბამისი დანაშაულისათვის სხვა მოკავშირე რესპუბლიკაშია დაწესებული, მაშინ იგი თვითონაც დააწესებდა ანალოგიურ სასჯელს. მე ვფიქრობ, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება არ გამოიყენოს თავისი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონი, როცა სხვა რესპუბლიკის კანონთან ერთად, მისი რესპუბლიკის ანალოგიური კანონიც არის დარღვეული. ის ავტორები, რომლებიც ასეთ შემთხვევაში უფრო მკაცრი კანონის გამოყენებას თხოულობენ, არსებითად სასამართლოს იმისკენ უბიძგებენ, რომ არ დაუჯეროს თავისი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რითაც მართლმსაჯულებისა და ხელისუფლების უმაღლეს

<sup>1</sup> В.Н.Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений. М. 1972, стр. 274. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, გვ. 21. ამის წინააღმდეგ. იხ. მ.ბლუმი, მით.ნაშრომი, გვ.157.

ორგანოებს ერთმანეთს უპირისპირებენ. ეს კი არ შეესაბამება რესპუბლიკაში დადგენილი მართლწესრიგის დაცვის ამოცანებს.

და მაინც საერთო-საკავშირო ინტერლოკალური კოლიზიური კანონმდებლობის მიღება მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის დრომ ამ სფეროშიც საჭირო იქნება. მაგალითად, კოლიზია შეიძლება წარმოიშვას თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის სხვადასხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენის დროს. ვთქვათ, თანამონაწილე მოქმედებდა ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო ამსრულებელმა დანაშაული ადასრულა მეორე რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით. საქმე აღიძრა და ასამართლებენ ყველას ერთად ამ მეორე რესპუბლიკის სასამართლოში. ან პირიქით, იმ რესპუბლიკის სასამართლოში, სადაც თანამონაწილე მოქმედებდა. რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული მათ მიმართ? ეს კოლიზია უნდა გადაწყვიტოს კანონმა. აქ შეიძლება სხვადასხვა წინადადებები იქნეს წამოყენებული მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ კანონით ცალკე უნდა განისაზღვროს დანაშაულის ჩადენის ადგილი, რომელიც საერთო იქნება ყველა შემთხვევისათვის, მიუხედავად იმისა, საზღვარგარეთ დაიწყო დანაშაული და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დასრულდა თუ, პირიქით, ანდა დანაშაული ნაწილ-ნაწილ განხორციელდა ორი ან მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ მოქმედმა კანონმა ცალკე უნდა მოაწესრიგოს ის კოლიზიური შემთხვევები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ორი ან მეტი რესპუბლიკის საზღვრებს შიგნით ჩადენილი დანაშაულისათვის ამა თუ იმ რესპუბლიკის კანონის გამოყენების დროს.



# ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი

## დანაშაულის დაფარვა

საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის მიღებით ჩვენი კანონმდებლობის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისად ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სამართლის თითქმის ყველა დარგის კანონმდებლობის გადასახალისებლად. კონსტიტუციის საფუძველზე ზოგიერთი ახალი ნორმატიული აქტი უკვე გამოიცა, მაგრამ ბევრი ნორმა ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია.

ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას, ეჭვი არ არის, წარსულის გამოცდილებაც არ უნდა დავივიწყოთ. ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენში დაწყებულ საკოდიფიკაციო მუშაობას და ზოგიერთ საკანონმდებლო წინადადებას, რომლებიც იმ ხანებში იყო წამოყენებული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაკანონდა, კვლავ გავიაზრებთ და დღევანდელი თვალით შევაფასებთ. მინდა შევეხო მხოლოდ ერთ ასეთ საკითხს.

190-ე მუხლი საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტისა, რომელიც 1959 წელს გამოქვეყნდა, ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისათვის. ამ მუხლის შენიშვნის თანახმად დანაშაულის დაფარვისათვის დაწესებული სასჯელისაგან თავისუფლდებოდნენ დამნაშავის ახლო ნათესავები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაფარვა ჩადენილია ანგარებით ან დაფარული დანაშაული კანონით იწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით.

ეს ნორმა, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის თავისებურებას წარმოადგენდა, პროექტის მეორე, 1960 წლის ვარიანტში არ შეუტანიათ და ამიტომ, ცხადია, ის მოქმედ კანონმდებლობაშიც აღარ გვხვდება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნორმა, ჩემი აზრით, *de lege ferende* კვლავ ყურადღების ღირსია.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განვიხილოთ ის გამოწვევები, რომელთა დროსაც, პროექტის 190-ე

მუხლის შენიშვნის მიხედვით, ახლო ნათესავები არ გათავისუფლდებიან დანაშაულის დაფარვისათვის დაწესებული სასჯელისაგან.

როგორც ვნახეთ, პროექტის თანახმად, პასუხისმგებლობიდან არ გათავისუფლდება დამნაშავის ახლო ნათესავი, თუკი მას ანგარება ამოძრავებდა. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ იქ, სადაც საქმე ეხება ახლო ნათესავებს; ვთქვათ, დედას, მამას, დას, ძმას და ა.შ. ანგარება გამორიცხული უნდა იყოს. ამის გამო ახლო ნათესავების მიერ ანგარების მოტივით დანაშაულის დაფარვა ტიპიური არ არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ საერთოდ არ შეიძლება მოხდეს. ამიტომ პროექტის ეს მოთხოვნა სწორია. აქედან ჩანს, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას თავისთავად ახლო ნათესავის ჩადენილი დანაშაულის დაფარვის ფაქტი კი არ უნდა დაედოს საფუძვლად, არამედ ნათესაური გრძნობა. ვთქვათ, დედაშვილური, მამაშვილური და სხვა შინაგანი, ახლობლური მოვალეობა. ანგარების მოტივი კი ნათესაურ მოვალეობას გამორიცხავს.

მიუხედავად ამისა, პროექტის დასახელებული მუხლის ამ შენიშვნას, ჩემი აზრით, გარკვეული ნაკლი მაინც აქვს. მაგალითად, შესაძლებელია ახლო ნათესავს დანაშაულის დაფარვის დროს ანგარება არ ამოძრავებდეს, მაგრამ მის მოქმედებას ნათესაური გრძნობა მაინც არ ედოს საფუძვლად. ხომ შეიძლება, რომ ახლო ნათესავმა დანაშაული დაფაროს გამაწილებელი ცნობების გახმაურების მუქარით. ვთქვათ, ძმა დაემუქრა დას, რომ გააჩმაურებს მის გამაწილებელ ცნობებს, თუ არ დაეხმარება დანაშაულის კვალის დაფარვაში და სხვ. პროექტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავს შემთხვევაში დამფარავი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, რაც, ვფიქრობ, არ შეესაბამება ჯანსაღ სამართლებრივ გრძნობას.

პროექტის 190-ე მუხლის შენიშვნას ახლდა კიდევ მეორე დათქმა, რომლის ძალითაც პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდებიან დამნაშავის ახლო ნათესავები, თუ დაფარული დანაშაული კანონით იწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით. აშკარაა, რომ ეს დათქმა ეწინააღმდეგება დასახელებული შენიშვნის ძირითად იდეას. თუკი ადამიანს პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლებთ იმის გამო, რომ მან თავისი ახლობლის დანაშაული დაფარა, რაღა თქმა უნდა, სასჯელის ზომას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს.

პირიქით, რაც უფრო მიძიმე სასჯელი ემოქრება დამნაშავეს, მით უფრო მეტი სტიმული გაუზრდება მის ახლობელს დაფაროს იგი და ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას. დედა, რომელმაც იცის, რომ მის შვილს ათ წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთა ან სიკვდილით დასჯა ემოქრება და ყოველნაირად ცდილობს გამოგლიჯოს ის მართლმსაჯულებას ხელიდან, გაცილებით უფრო მეტი ღირსია პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა, ვიდრე ის დედა, რომლის შვილს ათ წლამდე პატიმრობა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი მოეღის. სხვათა შორის ასეთი კრიტიკული მოსაზრება ჯერ კიდევ კოდექსის მიღებამდე იყო გამოთქმული დასახელებული პროექტის მიმართ (ალ.საგინაშვილი).

გარდა ამისა, პროექტის არათანამიმდევრობა გამოვლინდა იმიტაც, რომ იგი აწესებდა ახლო ნათესაეების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას დანაშაულის დაფარვის დროს და არ ადგენდა ასეთსავე წესს დანაშაულის განუცხადებლობისა და ცრუ ჩვენებისათვის. როგორც დაფარვა, ისე განუცხადებლობა და ცრუ ჩვენება ერთგვაროვანი დელიქტებია, რომელთა ხელყოფის უშუალო ობიექტი მართლმსაჯულების დაუბრკოლებელი განხორციელებაა. განსხვავება ამ დელიქტებს შორის მხოლოდ ობიექტურ მხარეშია. მაგალითად, ცნობილია, რომ განუცხადებლობა *ჰოვპელთვის* უმოქმედობაა, მაშინ, როცა დანაშაულის დაფარვა *ჰოვპელთვის* მოქმედებით ხდება. რაც შეეხება ცრუ ჩვენებას, ისიც ყოველთვის მოქმედებით ხორციელდება. მაგრამ დაფარვისაგან განსხვავებით, ცრუ ჩვენებას სპეციალური სუბიექტი, კერძოდ, მოწმე სწადის, რაც იმით გამოიხატება, რომ ინდივიდი სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით საგამოძიებო თუ სასამართლო ორგანოს საქმის ირგვლივ ბანზრახ აწვდის არასწორ ცნობას. დაფარვა კი უმთავრესად ფიზიკური მოქმედებაა (დამნაშავის დამალვა, სისხლის კვალის წაშლა და ა.შ.).

ერთი სიტყვიით, სამივე აქ დასახელებული დელიქტი სხვადასხვა ხერხით მიმართულია ერთი საერთო მიზნისაკენ ხელი შეუშალოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ჭეშმარიტების დადგენაში. ამიტომ დამნაშავის ახლო ნათესავის მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ააცილოს სასჯელი ახლობელს, შეიძლება გამოვლინდეს სამივე ფორმით, კერძოდ,

დანაშაულის დაფარვით, განუცხადებლობით ან ცრუ ჩვენებით. სწორედ ამის გამო არ ვიქნებით თანამიმდევრული, თუ დავაწესებთ ახლო ნათესავის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას მხოლოდ დანაშაულის დაფარვის შემთხვევაში და არ დავადგინოთ ასეთსავე ნორმას დანაშაულის განუცხადებლობისა და ცრუ ჩვენებისათვის.

ამავე რიგის დელიქტებს მიეკუთვნება მოწმის გამოუცხადებლობა მოკვლევის ან საგამოძიებო ორგანოში ან სასამართლოში, ან უარის თქმა ჩვენებაზე. რაც გათვალისწინებული იყო პროექტის 184-ე მუხლით. ამ შემთხვევაშიც მოწმე, რომელიც ხსენებულ ორგანოებში არ გამოცხადდება, რათა თავისი ახლობელი არ ამხილოს, ისევე უნდა გადავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, როგორც გათავისუფლდებოდა დამნაშავის ახლო ნათესავი დანაშაულის დაფარვისათვის დაწესებული სასჯელისაგან პროექტის 190-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით.

საგულისხმოა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის §226-ე მე-3 პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ზომები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული განუცხადებლობის გამო იმის მიმართ, ვისაც ევალებოდა უშიშროების ან პროკურატურის ორგანოებისათვის შეეჭყობინებია, რომ მზადდება ამავე კოდექსის §225-ე გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულებრივი ქმედობა, თუკი ამ დანაშაულში ბრალი დაედება მის “ახლო ნათესავს”.

დასახელებული კოდექსის §232-ე მე-2 პუნქტის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული, როცა ცრუ ჩვენება ან მტკიცებულებათა ყალბი დამოწმება (§230,231) მოხდა იმის გამო, რომ ჭეშმარიტი ჩვენების მიცემა ან მტკიცებულებათა სწორად დამოწმება ქმნიდა შესაძლებლობას აღძრულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა თვითონ მოწმის ან მისი “ახლო ნათესავის” მიმართ.

§233-ე მე-3 პუნქტითაც იგივე წესია დადგენილი დანაშაულის დამფარავის მიმართ. ასე რომ, ხსენებული კოდექსი ამ საკითხში სავსებით თანამიმდევრულია. რაც შეეხება მოწმის გამოუცხადებლობას პროკურატურის თუ სასამართლო ორგანოებში, ან ჩვენებაზე უარის თქმას, ამ დელიქტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს.

სამაგიეროდ, ამავე ქვეყნის 1968 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს იმ პირობა ნუსხას, რომლებსაც ჩვენებაზე უარის თქმის უფლება აქვთ. დასახელებული კოდექსის მიხედვით ასეთ პირებს მიეკუთვნებიან ბრალდებულის ან სამართალში მიცემულის 1) მიუვლელე, 2) დები და ძმები, 3) პირდაპირი ხაზის სისხლით ნათესავები ან ნათესავები შვილად აყვანის აქტით (§26).

პოლონეთის 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსითაც ახლო ნათესავის დანაშაულის დაფარვა, განუცხადებლობა და ცრუ ჩვენება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (იხ. მუხ.247-ე §3, მუხ. 252-ე §2, მუხ. 254-ე, §2).

დასახელებული კოდექსის 250-ე მუხლის პარ.1-ით დაწესებულია პასუხისმგებლობა იმის უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთების დამალვისათვის, ვინც ეჭვმიტანილია დანაშაულის, გადაცდომის ან დისციპლინური დარღვევის ჩადენაში. ამავე მუხლის §2-ით კი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება პიროვნება, თუ იგი მალავს ვინმეს უდანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთებს იმის შიშით, რომ ამ საბუთების გამოგლინების შემთხვევაში სასჯელი მოელის პირადად მას ან მის ახლობელს.

პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე აწესებს, რომ ბრალდებულის ახლობელს შეუძლია უარი თქვას ჩვენებაზე (მუხ. 165, §1,2), ხოლო მოწმეს შეუძლია არ გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ ამ პასუხით იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხეს უქმნის თავის თავს ან თავის ახლობელს (მ.166, §1).

როგორც ვხედავთ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსიც ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან დამნაშავეს ახლო ნათესავს არა მარტო დანაშაულის დაფარვის გამო, არამედ ყველა იმ შემთხვევაში, როცა კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულება გამოიწვევს ახლობელი ადამიანის დანაშაულში მხილებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და პოლონეთის კოდექსების დადგენილებანი ხსენებულ საკითხზე მე აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ მენვენებინა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1959 წლის პროექტის არათანამიმდევრობა,

რომელიც აწესებდა მხოლოდ იმ პიროვნების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, ვინც თავისი ახლობლის დანაშაული დაწარმოებდა. მაგრამ, მიუხედავად ამ არათანამიმდევრობისა, პროექტის 190-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული იდეა სავსებით მისაღები და ღრმად ჰუმანური იყო. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს იდეა, როგორც უკვე ითქვა, მოქმედ კანონმდებლობაში არათუ არ განვიტარდა, არამედ იმ სახითაც კი არ დაკანონდა, რა სახითაც ის დასახელებულ პროექტში იყო მოცემული.

მაინც რას ემყარება ინდივიდის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დანაშაულის დაფარვის, განუცხადებლობის და ცრუ ჩვენების დროს, თუკი ეს ხდება ახლო ნათესავის სასჯელისაგან დახსნის მიზნით? ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს იურიდიულად დასჯის ღირსი იყოს ისიც, ვინც თავისი ახლობელი დანაშაულში არ ამხილა. მაგრამ, თუ საკითხს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს მთლად ასე არ არის. რამდენად სამართლიანია დედის დასჯა იმის გამო, რომ მან თავისი დამნაშავე შვილი არ ამხილა? მე ვფიქრობ, ეს მოთხოვნა ისევე მიუღებელია ზნეობრივად და სამართლებრივად, როგორც მკვლელის დასჯა საკუთარი დანაშაულის დაფარვის, განუცხადებლობის და ცრუ ჩვენებისათვის.

მშობლები შეიძლება სხვაზე ნაკლებად არ წუხდნენ თავიანთი შვილის დანაშაულის გამო, მათ შეიძლება სხვაზე ნაკლებად არ ჰქონდეთ შეგნებული შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის ანტისაზოგადოებრივი მნიშვნელობა, ნაკლებად არ ეცოდებოდეთ მსხვერპლი და მაინც არ უნდა დაეაკისროთ მათ პასუხისმგებლობა დანაშაულის დაფარვის ან განუცხადებლობის გამო, თუ ამ მოქმედებას საფუძვლად ედო მშობლიური გრძნობა.

ამ შემთხვევაში კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის და მისი ახლობლის განსაკუთრებული ნათესაური დამოკიდებულება. ზოგჯერ ივიწყებენ, რომ დედისათვის დამნაშავე შვილი მაინც შვილია და იგი ყოველნაირად ეცდება თავიდან ააცილოს მას სასჯელი, ხოლო შვილი, რაც უნდა მძიმე დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, ახლობლისაგან მოელის მხარდაჭერას, იმედი აქვს, რომ იგი მას არ უღალატებს, არ შეუწყობს ხელს მის დასჯას. ასეთ დროს დამნაშავის ახლობელი მძიმე, ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, დედაშვილური დამოკიდებულება ავალებს დედას არ უღალატოს

შვილს, მეორე მხრივ კი, მას სასჯელი მოეცა, თუ შვილი დანაშაულში არ ამხილა. კანონმდებელი მოვალეა გამოიყვანოს ადამიანი ასეთი მძიმე, გაორებული მდგომარეობიდან.

თუ რა ტრაგიკული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ადამიანის ასეთ გაორებულ მდგომარეობას, ეს თავის დროზე შესანიშნავად გვჩვენა ა.კაზბეგმა “ხევისბერ გონაში“. როცა ხევის ჯარმა შემოსეული მტერი დაამარცხა და მოლაღატეთა დასჯის ჯერიც დადგა, ხევის უხენაესი სამსჯავროს წინაშე, სხვებთან ერთად, წარდგა გუგუაც, რომელსაც მშობელი ხალხის ღალატი ბრალდებოდა. გუგუა ამოდ იმართლებდა თავს. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად წინ წამოდგა ხევისბერის უსაყვარლესი ვაჟი ონისე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გუგუა მართალს ამბობდა, იგი ნამდვილად უბრალოა, ყველაფერი ჩემი შეცდომით მოხდა, მტრის მოახლოება მე გამომეპარა, გუგუა კი მოწინააღმდეგის რიგებში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა და ხევის ღალატი გულშიაც არ გაუვლიაო. თავზარდაცემული გონა საკუთარი ხელით აღასრულებს სასჯელს და ხანჯლით გაუშობს გულს სამშობლოს მოლაღატე შვილს. წამიც და, დამსწრენი საზარელი ტრაგედიის მოწმენი ხდებიან: მოხუცი გონა შეიშლება.

გონას ტრაგედია გამოწვეული იყო იმით, რომ ერთი მხრივ მას, როგორც ხევის განმგებელს და უხენაეს მსაჯულს, ევალებოდა მოლაღატეთა დასჯა და, მეორე მხრივ, სამშობლოს ღალატისათვის უსაყვარლესი შვილი საკუთარი ხელით სიკვდილით დასაჯა. გონა არ არის ზეკაცი, იგი ჩვეულებრივი მგრძნობიარე, მოსიყვარულე მამაა. ამიტომ ვეღარ აიტანა შვილის მკვლელობა და გაგიჟდა. აქ ერთმანეთს შეეჯახა გონას პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები, რაც მისთვის ასე საბედისწეროდ დასრულდა. ამით ა.კაზბეგმა, როგორც დიდმა ჰუმანისტმა, დაგვიანახვა, რომ არ უნდა ჩავყენოთ ადამიანი ისეთ მდგომარეობაში, როცა მისი პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები ასე მკვეთრად დაუპირისპირდება ერთმანეთს.

ინდივიდისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მისი ახლობლის დანაშაულის დაფარვის (ისევე როგორც განუცხადებლობის და ცრუ ჩვენების) გამო არა მარტო მორალურად არის დაუსაბუთებელი, არამედ მიუღებელია აგრეთვე კანონის ეფექტიანობის თვალსაზრისითაც. აკრძალვა, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას,

არ ემყარება` მორალს, ჯხადია, ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს. რაც უნდა მიიმე სასჯელი მოელოდეს დედას, ის მაინც არ გასცემს თავის შვილს, იგი ამჯობინებს თვითონ დაისაჯოს, ოღონდ შვილი დაიხსნას განსაცდელისაგან.

ყოველივე ის, რაც აქ ითქვა, ნათლად ადასტურებს, რომ ახლობელი ადამიანის დანაშაულის დაფარვა და განუცხადებლობა (ან ცრუ ჩვენება), თუკი ეს ხდება ნათქმისი გრძობის კარნახით, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ადამიანის მართლზომიერ ქცევას ემყარებოდეს. ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა გამორიცხავს მხოლოდ ინდივიდის ბრალს. ჩვენ არ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ მას, არ შეგვიძლია გააკიცხოთ იგი დამნაშავესთან განსაკუთრებული ნათესაური დამოკიდებულების გამო, რაც სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამის შესახებ არაფერს ამბობს. მაგრამ, ჯხადია, უმჯობესი იქნება, თუკი ადამიანის ამ უფლებას პირდაპირ გაიოვალისწინებს კანონი.

ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლს (დანაშაულის დაფარვა) დაერთოს ასეთი შინაარსის შენიშვნა: “ამ მუხლით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენისათვის პასუხს არ აგებენ დამნაშავეის ახლო ნათესავები, თუკი მათ ნათესაური დამოკიდებულება ამოძრავებდათ“.

ანალოგიური შენიშვნა უნდა გაუკეთდეს აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე (დანაშაულის განუცხადებლობა), 197-ე (შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა) და 198-ე (მოწმის ან ექსპერტისაგან გამოცხადებაზე თავის არიდება ან მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა) მუხლებსაც.



# შპარბისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების

## დაუფლებისათვის

ყანალობას იურიდიულ ლიტერატურაში შენადგენ დანაშაულს უწოდებენ. რადგან ეს დელიქტი ორი ნიშნისაგან შედგება. იგი ხელყოფს ორ სიკეთეს: 1) ქონებას; და 2) პიროვნების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა თავდასხმის მეოხებით ხდება და ქონების დაუფლების საშუალებას წარმოადგენს (იხ.საქართველოს სსკ-ის 152-ე მ). თავდასხმის დროს ყანალი იყენებს სხვადასხვა საშუალებას, მათ შორის ცეცხლსასროლ ან ცივ იარაღს. თავდასხმა ძალადობაა, ხოლო ძალადობა ორი სახისაა - 1) ფიზიკური და 2) ფსიქიკური.

ფსიქიკური ძალადობა ანუ დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარა უნდა იყოს რეალური და არა მოწვევებითი; უნდა არსებობდეს რეალური საფრთხე იმისა, რომ მუქარა ნამდვილად განხორციელდება, თუ დაზარალებული თავდამსხმელისათვის ქონების გადაცემაზე უარს იტყვის. მუქარას ამ დროს ორმხრივი ხასიათი აქვს. ერთი მხრივ, თავდამსხმელმა იცის, რომ რეალურ საფრთხეს უქმნის დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულიც ზუსტად ასევე უნდა აღიქვამდეს მუქარის შინაარსს. დაზარალებული აშკარად უნდა გრძნობდეს, რომ მისი სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხეშია, თუკი თავდამსხმელის მოთხოვნას არ შეასრულებს, ესე იგი ყანაღს ქონებას არ გადასცემს.

მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ხოლმე შემთხვევა, როცა იარაღით მუქარის დროს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხე არ იქმნება: ეს ისეთი შემთხვევაა, როცა თავდამსხმელი მოქმედებს იარაღის მაკეტით, ესე იგი სათამაშო იარაღით, რომელიც, თუმცა გარეგნულად საკვებით ემსგავსება ნამდვილს, მაგრამ ცოცხალი მიზნის დაზიანებისათვის უეარგისია. მიუხედავად ამისა, დაზარალებული მას ნამდვილ იარაღად აღიქვამს.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ეს ქმედება? ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არაფერი დაწერილა. რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში კი ეს საკითხი არაერთგვაროვნადაა გადაწყვეტილი. მაგალითად, ა. პიონტკოვსკის აზრით, იარაღის მაკეტით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით ყანალობად უნდა მივიჩნიოთ, “რამდე-

ნადაც დამნაშავეს შეცნობილი აქვს, რომ დაზარალებული თავ-  
დამსხმელის მუქარას აღიქვამს სიცოცხლის მოსპობის მუქარად<sup>1</sup>.

სრულიად სხვაგვარადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი საბჭოთა  
სისხლის სამართლის კურსში, რომელიც ლენინგრადის უნივერ-  
სიტეტმა გამოსცა. ამ კურსის ერთ-ერთი თანაავტორი ი.ფილან-  
ოვსკი არ მიიხსენებს ყაჩაღობად ისეთ შემთხვევას, როცა  
თავდასხმა მოქალაქის ქონების დაუფლებისათვის იარაღის მაკ-  
ეტი მოხდა.<sup>2</sup>

მაგრამ იმავე წიგნის მეორე თანაავტორი ა.სანტალოვი,  
რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წინა-  
აღმდეგ მიმართულ დანაშაულებს განიხილავს, იარაღის მაკეტი  
თავდასხმის ფაქტს საწინააღმდეგო შეფასებას აძლევს. მისი  
აზრით, ასეთი ქმედება არ შეიძლება მივიჩნიოთ კვალიფიციურ  
ყაჩაღობად და ის უნდა დაკვალიფიცირდეს რსუსრ-ის სსკ-ის 91-  
ე მუხლის პირველი ნაწილით.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, უნიკალური მოვლენაა, როცა ერთი წიგ-  
ნის ორი თანაავტორი ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვაგვარად  
წყვეტს. ეს შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს და იმის  
ბრალია, რომ პრობლემა სათანადო სიღრმით რუსულ იურიდიულ  
ლიტერატურაშიც არ ყოფილა შესწავლილი.

ჩვენთვის მიუღებელი უნდა იყოს ის თვალსაზრისი, რომლის  
მიხედვით იარაღის მაკეტით თავდასხმა სხვისი ქონების დასაუფ-  
ლებლად ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს. მარტო ის ნიშანი,  
რომ დაზარალებულმა იარაღის მაკეტი ნამდვილ იარაღად აღიქვა  
და ამით თავდამსხმელმა შეძლო მისი ნების დათრგუნვა,  
როგორც ა.პიონტოვსკის მიაჩნდა, პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

პრობლემის ასეთი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება თვითონ ყა-  
ჩაღობის ბუნებას. საჭმე ის არის, რომ სხვა ქონებრივი დანაშა-  
ულისაგან განსხვავებით, ეს დელიქტი დიდ საფრთხეს ქმნის  
დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. ამიტომ  
არის, რომ ყაჩაღობიდან მკვლელობამდე ერთი ნაბიჯია. სასა-  
მართლო პრაქტიკაში ბევრია შემთხვევა, როცა ყაჩაღობა გადა-  
იზრდება ხოლმე მკვლელობაში. ამიტომ დააწესა კანონმდებელმა

<sup>1</sup> Курс советского уголовного права. М, 1971, т.V, с. 335

<sup>2</sup> Курс советского уголовного права. изд. Ленинградского университета, 1973,  
т.3 с.797

<sup>3</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 425. რსუსრ-ის 1960 წ. სსკ-ის 91-ე მუხლის მე-2 ნა-  
წილით ამ დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი იყო ყაჩაღობა,  
ნადენილი იარაღით (პ."ბ"). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის არც  
96-ე და 152-ე მუხლები ყაჩაღობის ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, არ  
ითვალისწინებენ.

ასეთი მაღალი სასჯელი ამ დელიქტის ჩადენისათვის (152-ე მუხლით დაწესებულია 15 წლამდე თვისუფლების აღკვეთა).

თვითონ კანონის შინაარსიდანაც სწორედ ეს აზრი გამომდინარეობს. საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის დისპოზიცია აღწერს ყაჩაღობას: ყაჩაღობა არის თავდასხმა ქონების დაუფლებისათვის, რასაც “თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“. მაშასადამე, ყაჩაღობა “საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა“ ყოფილა. ამ ტექსტის მიხედვით არ შეიძლება ყაჩაღობად დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როცა თავდასხმა მოხდა უვარგისი იარაღით, რადგან ეს არ ქმნიდა საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.

ვერ დავეთანხმებით აგრეთვე ვერც ა.სანტალოვის შეხედულებას, რომელიც წინააღმდეგობრივია. იგი პრინციპულად არ უარყოფდა იმ დებულებას, რომ იარაღის მაკეტით თავდასხმა ყაჩაღობაა, მაგრამ აკვალიფიცირებდა ამ შემთხვევას არა რსუსრის სსკ-ის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ“ პუნქტით, რომლითაც, დაწესებული იყო პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის იარაღის გამოყენებით, არამედ 91-ე მუხლის პირველი ნაწილით ჩვეულებრივ ყაჩაღობად. თუკი მას მიაჩნდა, რომ იარაღის მაკეტით თავდასხმა ყაჩაღობაა, მაშინ ეს ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებინა 91 მუხლის მე-2 ნაწილის “ბ“ რუნქტით.<sup>4</sup>

რაც შეეხება ი.ფილანოვსკის, ის სავსებით სწორი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ იარაღის მაკეტით თავდასხმა არ შეიძლება მივისნიოთ ყაჩაღობად, მაგრამ შემდეგ აღარაფერს ამბობდა იმაზე, თუ როგორ უნდა დაეკვალიფიცირებულიყო ეს ქმედება. მას არ გამოუკვლევია ამ ქმედების ბუნება.

ჩემი აზრით, უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის არ შეიძლება მივისნიოთ ყაჩაღობად. ეს ქმედება არ ქმნის იმ საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რაც ყაჩაღობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ამ ქმედების ჩამდენი არ იმსახურებს ისეთ მაღალ სასჯელს, რომელიც დაწესებულია ყაჩაღობის ჩადენისათვის.

<sup>4</sup> რუსეთის უედერაციის 1996წ. სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი ყაჩაღურ თავდასხმას კვლავ უკავშირებს დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას, ხოლო ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად ისევ აწესებს იარაღის გამოყენებას.

თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უვარგისი იარაღით თავდასხმა? თუ ამ ქმედებას ყაჩაღობად ვერ დაგვაკვალიფიცირებთ, მაშინ გვრჩება ერთადერთი გამოსავალი: უვარგისი იარაღით თავდასხმა დავაკვალიფიციროთ ძარცვის მუხლით (საქართველოს სსკ-ის 151-ე მ). თუმცა თავისი ბუნებით ეს ქმედება განსხვავდება ძარცვისაგან.

საქმე ის არის, რომ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის დღევანდელ რედაქციას თუ გავითვალისწინებთ, მხოლოდ ამ მუხლის პირველი ნაწილით შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხსენებული ქმედება. მაგრამ ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც აშკარად შეუფერებელია ისეთი ქმედებისათვის, როცა სხვისი ქონების დაუფლებისათვის უვარგისი იარაღით თავდასხმა ხდება.

ეს ქმედება აშკარად თავისებური და განსხვავებული ბუნების დელიქტს ქმნის. თუკი ეს ქმედება ყაჩაღობისაგან იმით განსხვავდება, რომ არ არის საშიში დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, სამაგიეროდ დაზარალებულზე აშკარად დამორტყნველად მოქმედებს და აადვილებს ქონების გადაცემის შესაძლებლობას თავდამსხმელისათვის. ამ ნიშნით ის განსხვავდება ძარცვის შემთხვევისაგან და ამიტომ მისი ჩამდენი უფრო მეტ სასჯელს იმსახურებს, ვიდრე ეს დაწესებულია 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გარდა ამისა, აქ აშკარად ჩანს მოტყუების ელემენტიც. მაგრამ ხსენებული ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს თაღლითობად (საქართველოს სსკ-ის 153-ე მ). თაღლითობის დროს ჩვენ არა გვაქვს თავდასხმა, რაც ასე თუ ისე მაინც არის შეზღუდვა გარკვეული ზომით პიროვნების მოქმედების თავისუფლებისა. პიროვნებას, ესე იგი დაზარალებულს, უვარგისი იარაღით თავდასხმის დროს, მართალია, რეალური საშიშროება არ ემუქრება. მართალია, საფრთხე მოჩვენებითია, მაგრამ მას მაინც სუბიექტურად ძლიერი შიშის განცდა ეუფლება.

ამიტომ მე ვუიქრობ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასეთი შინაარსის მუხლი:

“უვარგისი იარაღით თავდასხმა

უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დასაუფლებლად ამ ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით, თუკი თავდამსხმელმა იცოდა, რომ იყენებდა უვარგის იარაღს და მსხვერპლმა ის ნამდვილ იარაღად აღიქვა - ისჯება...”

# სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის

## სრულყოფისათვის

თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში თანდათანობით იკიდებს ფეხს დანაშაულის სამინიშნოვანი სტრუქტურა. ამ სტრუქტურის თანახმად, დანაშაული არის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით აღწერილი კონკრეტული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს. ამავ დროს, იგი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად ჩადენილი (იხ. საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის მე-3 და მე-8 მმ).

ამ სტრუქტურაზე დაყრდნობით შეიძლება ავაგოთ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემა. ეს საკითხი ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში არ არის სრულყოფილად დამუშავებული. მინნეულია, რომ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების რიგს მიეკუთვნებიან მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას (საზოგადოებრივი საშიშროება). ასეთია, მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, დამნაშავის შეპყრობა, სავალდებულო ბრძანების შესრულება და სხვ.

მაგრამ, თუკი ჩვენ გავიზიარებთ დანაშაულის სამინიშნოვან ცნებას, მაშინ გვერდს ვერ აუვლით იმ ფაქტს, რომ არსებობენ გარემოებები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავენ არა მართლწინააღმდეგობის არარსებობის, არამედ ბრალის არარსებობის საფუძველზე.

რომელია ის გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ბრალს? მოქმედი ქართული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ორი ასეთი გარემოება 1) ასაკი (სსკ-ის მე-12 მ) და 2) შეურაცხადობა ფსიქიური დაავადების ნიადაგზე (სსკ-ის მე-13 მ). ლიტერატურაში გაბატონებულად არის მიჩნეული ის აზრი, რომ ხსენებული გარემოებები დანაშაულის სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნებია. ეს აზრი მცდარია. მცირეწლოვანმა შეიძლება ჩაიდინოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო (საზოგადოებრივად საშიში) მოქმედება. ამაში გასაკვირი არაფერია. შეიძლება

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. ო.გამყრელიძე. "სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი".

ადამიანის მცირეწლოვანობა სასამართლო პროცესზე გამოვლინდეს. ამბობენ, რომ ამ დროს საქმე წყდება სუბიექტის არარსებობის საფუძველზე. საკითხავია, ვის წინააღმდეგ მიმდინარეობდა გამოძიება, თუკი სუბიექტი არ გვყავდა? საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულის სუბიექტი, თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით, ადამიანია, სულერთია, მცირეწლოვანი იქნება ის თუ სრულწლოვანი. ამიტომ ასაკი ბრალის ნიშანია და მისი არარსებობაც ბრალის გამოძიების გარემოებაა.

ასევე იოქმის შეურაცხზე ფსიქიური დაავადების გამო. ასაკის მსგავსად, ამ სახის შეურაცხადობაც შეიძლება შუაგულ პროცესში გამოვლინდეს. თუკი შეურაცხადობა სუბიექტის ნიშანია, გამოდის, რომ მთელი პროცესი მიმდინარეობდა სუბიექტის გარეშე, რაც სრული უზრობაა. ცნობილია, რომ ამ სახის შეურაცხის მიმართ დასაშვებია აუცილებელი მოგერიება, რადგან მას შეუძლია ჩაიდინოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში (მართლსაწინააღმდეგო) მოქმედება. განა იმის მიმართ, ვინც არ არის დანაშაულის სუბიექტი, დასაშვებია აუცილებელი მოგერიება? ეს რომ ასე იყოს, მაშინ აუცილებელი მოგერიება დასაშვებია იქნებოდა ცხოველის მიმართაც, რაც დღემდე არავის მოფიქრებია. რატომ ცხოველზე არ ვამბობთ, რომ ის მოქმედებდა სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად და მართლსაწინააღმდეგოდ და პასუხს ვერ ვაგებინებთ იმიტომ, რომ ის არ არის დანაშაულის სუბიექტი?

ერთი სიტყვით, მცირეწლოვანობაც და შეურაცხადობაც ფსიქიური დაავადების ნიშანზე არ არიან დაკავშირებული დანაშაულის სუბიექტთან. ისინი ბრალის გამოძიების გარემოებებია. სიტყვა შეურაცხვა ტრადიციულად ჩვენს სისხლის სამართალში ისევე, როგორც რუსულ სისხლის სამართალში, ძლიერ ვიწროდ და არცთუ მთლად ზუსტი დანიშნულებით გამოიყენება. ბევრს ისე ჰგონია, თითქოს ასაკი სხვა გარემოებაა, ხოლო შეურაცხადობა ფსიქიური დაავადების გამო, სხვა. საქმე ის გახლავთ, რომ შეურაცხადობა მაინცდამაინც ყოველთვის გიჟს კი არ გულისხმობს. შეურაცხია ყველა, ვისაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა, ბრალად არ შეერაცხება. ამ თვალსაზრისით, მცირეწლოვანიც შეურაცხია და ისიც, ვინც ფსიქიურად არის დაავადებული. შეურაცხია ისიც, ვინც ფაქტიური ან იურიდიული შეცდომის პირობებში განახორციელა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო

(საზოგადოებრივად საშიში) ქმედება. შეურაცხადობა არ გულისხმობს ყოველთვის ხანგრძლივ პროცესს. ასე მიაჩნია ზოგიერთს. შეურაცხადობა ძლიერ კონკრეტული ცნებაა. რაც უნდა ხანგრძლივი დროით იყოს დაავადებული ადამიანი ფსიქიურად, სასამართლოს ყოველთვის აინტერესებს არა პიროვნების ხანგრძლივი დაავადება, არამედ ის გარემოება, რომ პიროვნებას ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეურაცხება მის მიერ ჩადენილი კონკრეტული მოქმედება. შეიძლება აღმოჩნდეს კიდევ შეურაცხადობის სხვა შემთხვევებიც რომლებსაც სასამართლო პრაქტიკა დაადგენს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია წამოვაყენოთ წინადადება სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ზოგად ნაწილში უნდა შევიდეს სპეციალური თავი, რომლის სათაური იქნება - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებანი. ამ თავში უნდა იყოს ორი ქვეთავი: 1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი და 2. ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი. პირველ ქვეთავში შევა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ისეთი გარემოებანი, როგორცაა, მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, დამნაშავეს შეპყრობა და სხვ. მეორე თავში უნდა გავითვალისწინოთ ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი, მაგალითად, ასაკი, შეურაცხადობა ფსიქიური დაავადების ნიადაგზე, შეცდომა და შეიძლება სხვაც.

## 1 თავი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებანი

### §1. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

- 1 მუხლი აუცილებელი მოგერიება;
- 2 მუხლი უკიდურესი აუცილებლობა;
- 3 მუხლი დამნაშავეს შეპყრობა.

### §2. ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი

- 1 მუხლი ასაკი;
- 2 მუხლი შეურაცხადობა ფსიქიური დაავადების საფუძველზე;
- 3 მუხლი შეცდომა.

# საპროცესო კანონმდებლობის

## სრულყოფისათვის

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლში მოცემულია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძველები. ამ მუხლში სულ საქმის შეწყვეტის ათი საფუძველია ჩამოთვლილი.

საქმის შეწყვეტის ცალკეული საფუძველები გათვალისწინებულია აგრეთვე ამავე კოდექსის მომდევნო მე-6<sup>1</sup>, 6<sup>2</sup> მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით.

კოდექსის მე-200 მუხლში დამატებით მოცემულია აგრეთვე საქმის შეწყვეტის განსხვავებული საფუძველი. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე შეწყდება, თუ არ დადასტურდა ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამასთან ამოწურულია დამატებითი მტკიცებულების შეკრების შესაძლებლობანი (მ.2).

310-ე მუხლის თანახმად სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გამოაქვს იმ შემთხვევაში, როცა: 1) დადგენილი არ არის დანაშაულის შემთხვევა; 2) განსასჯელის ქმედობაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა; 3) არ არის დამტკიცებული განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში (ნაწ.4).

ამ მუხლში მოცემული საფუძველები ნაწილობრივ ემთხვევა მე-5 მუხლში მოცემულ საფუძველებს (კ.პ.1,2), ხოლო ნაწილობრივ იგი იმეორებს მე-200 მუხლის ნორმას (კ.3).

საზოგადოდ ამ მუხლებში მოცემული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძველები მოითხოვს სისტემაში მოყვანას და დახვეწას. უპირველეს ყოვლისა, ჩემი აზრით, ყველა ამ საფუძველიდან ცალკე უნდა გამოვეყოთ და პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ გამამართლებელი და ბრალის გამომრიცხველი საფუძველები, ხოლო შემდეგ სხვა დანარჩენი. მაგალითად, კოდექსის მე-5 მუხლში გამამართლებელი საფუძველები არეულია სხვა საფუძველებში, ხოლო ზოგიერთი გამამართლებელი და ბრალის გამომრიცხველი საფუძველი საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ხსენებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმე უნდა შეწყდეს “დანაშაულის შემთხვევის არარსებობის“,



ხოლო მეორე პუნქტით “ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო“, ორივე ეს გარემოება გამამართლებელ საფუძველს წარმოადგენს. ამას მოსდევს საქმის შეწყვეტის ისეთი საფუძველები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან გამამართლებელ საფუძველებს. ასეთია, მაგალითად, ხანდაზმულობა და საქმის შეწყვეტა ამინისტრიის აქტის გამოყენებით და ა.შ.

საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენის უასაკობა ბრალის არარსებობას გულისხმობს (პ.5), მაშინ, როცა მუხლი არ ითვალისწინებს საქმის შეწყვეტას ბრალის არარსებობის სხვა შემთხვევებში. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება, მაგალითად, ფსიქიური დაავადების შედეგად წარმოქმნილი შეურაცხაობის მდგომარეობა, საპატიო შეცდომა და სხვ.

გასათვალისწინებელია ისეთი გამამართლებელი საფუძველიც, როგორცაა საქმის შეწყვეტა მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, რომელიც კოდექსში საერთოდ არ არის მოხსენიებული.

საპროცესო კოდექსში საქმის შეწყვეტის საფუძველების უსისტემობა სხვა მხრივაც ვლინდება. მაგალითად, მე-5 მუხლის პირველი პუნქტით, როგორც უკვე ვთქვით, აღძრული საქმე უნდა შეწყდეს “დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო“, ხოლო მეორე პუნქტით საქმე წყდება ქმედობაში “დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო“. 310-ე მუხლით ინალოგიურ შემთხვევებში უნდა გამოვიდეს გამამართლებელი განაჩენი. არსებითად კი ამ საფუძველებს შორის განსხვავება არ არსებობს. განა დანაშაულის შემადგენლობის არარსებობა დანაშაულის შემთხვევის არარსებობას არ ნიშნავს? იქ, სადაც დანაშაულის შემადგენლობა არ განხორციელებულა, არავითარ დანაშაულზე არ შეიძლება ლაპარაკი. ასევე შეიძლება ითქვას დანაშაულის შემთხვევის არარსებობაზეც, რომელიც თავისთავად გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის არარსებობას.

კოდექსის მე-200 მუხლით საქმე უნდა შეწყდეს, როცა არ დადასტურდება ბრალდებულის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამასთან ამოწურულია დამატებითი მტკიცებულებების შეკრების შესაძლებლობა. ეს დებულება საფუძველად ედება აგრეთვე გამამართლებელი განაჩენის გამოტანას (იხ. მ.310), რაც მიუღებელი უნდა იყოს ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, რადგან ის ეჭვის ქვეშ აყენებს პიროვნებას და მისი სრული

რეაბილიტაციის გარანტიას არ იძლევა. ეს ნორმა სხვა მხრივაც არის მიუღებელი. ბრალდების დაუდასტურებლობა ხომ იგივე დანაშაულის შემადგენლობის არარსებობაა. ყოველ შემთხვევაში, რუ კაცს არ დაუდასტურდა დანაშაულში მონაწილეობა, ის არც მეტი არც ნაკლები, უდანაშაულოა. ამიტომ ბრალდების დაუდასტურებლობის ცალკე საფუძველად გამოყოფა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს.

საქმის შეწყვეტის საფუძველებს (ასევე საქმის აღძვრის საფუძველსაც) ახალ საპროცესო კანონმდებლობაში სრულყოფილად ვერ ჩამოვყალიბებთ ისე, თუ არ გავითვალისწინებთ დანაშაულის ცნების სტრუქტურა, რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემას წარმოადგენს. როგორია დანაშაულის ცნების აღნაგობა, რა ნიშნებისაგან შედგება იგი? რა არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი? თანამედროვე მეცნიერებაში ამ საკითხზე არსებობს რამდენიმე მიმართულება. მე არ შევუდგები აქ ამ პრობლემის ვრცელ მიმოხილვას. ვიტყვი მხოლოდ მოკლედ, რომ მეცნიერებაში ცნობილია ერთნიშნოვანი, ორნიშნოვანი და სამნიშნოვანი ცნება დანაშაულისა.

მე პირადად მომხრე ვარ დანაშაულის სამნიშნოვანი ცნებისა, რომელიც მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას სავსებით შეესაბამება. ამ ცნების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის ჩადენა, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონით, ეწინააღმდეგება სამართალს და ბრალად შეერაცხება მის ჩამდენს. ამრიგად, დანაშაული არის 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილი კონკრეტული ქმედების შემადგენლობის შესაბამისი 2) მართლსაწინააღმდეგო და 3) ბრალეული ქმედობა.

სწორედ დანაშაულის ცნების ამგვარ სტრუქტურაზე დაყრდნობით შეგვიძლია შევიმუშაოთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველები მომავალ საპროცესო კანონმდებლობაში.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ამ საკითხის მოწესრიგება მოქმედ კანონმდებლობაში დაკავშირებულია დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან. დანაშაულის შემადგენლო-

ბის ძირითად ფუნქციას მოქალაქის თავისუფლების გარანტია წარმოადგენს. არ შეიძლება სისხლის სამართლის საქმე აღიძრას იმის მიმართ, ვისაც არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით აღწერილი კონკრეტული მოქმედება ან უმოქმედობა.

როდესაც კაცმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი მოქმედება ან უმოქმედობა, ესე იგი განახორციელა დანაშაულის შემადგენლობა, ეს უკვე საკმარისი საფუძველია სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის. ამიტომ არ უნდა იყოს ზუსტი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის ფორმულირება, რომლის მიხედვით “სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიპოვება საკმარისი მონაცემები, რომლებიც დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებენ“. ვფიქრობ, ბოლო წინადადება უმჯობესია ასე ჩამოყალიბდეს: “რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე მიუთითებენ“.

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სა-  
შუშქველი.** როცა დანაშაულის შემადგენლობის არსებობის სა-  
ფუძველზე საქმე აღიძვრება, ამის შემდეგ გამოძიებამ უნდა გამოიკვლიოს, არსებობს თუ არა დანაშაულის სხვა ნიშნებიც (მართლწინააღმდეგობა და ბრალი), რომლებიც საკმარისი სა-  
ფუძველია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ტიპობრივად იმას ნიშნავს, რომ ქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად არის ჩადენილი. ამიტომ გამოძიებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როდი უხდება ქმედობის მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არსებობის მტკიცება. მაგრამ ზოგჯერ გამოძიების პროცესში შეიძლება ისეთი საკითხები წამოიჭრას, რომლებიც აუცილებელს ხდის ქმედობის მართლწინააღმდეგობის მტკიცე-  
ბას. მაგალითად, ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი იმყოფებო-  
და აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის  
მდგომარეობაში და ა.შ. ერთი სიტყვით, წამოიჭრა მართლწინა-  
აღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის საკითხი. გამოძიებამ შეიძლება დაამტკიცოს, რომ მიუხედავად ამ ეჭვისა, ქმედობა მართლსაწინააღმდეგოა.

გამოძიების პროცესში ასევე შეიძლება აუცილებელი გახდეს იმის საგანგებო მტკიცება, შეერაცხება თუ არა ჩადენილი მართ-  
ლსაწინააღმდეგო ქმედობა მის ჩამდენს ბრალად. ამ შემთხვევა-

შიც, როგორც ვიცით, ინიშნება ფსიქიატრიული ან სხვა სახის ექსპერტიზა. შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვაგვარი გამოკვლევაც ამ საკითხისა.

მაშასადამე, საქმის აღძვრისათვის საკმარისია ერთი ნიშნის, კერძოდ, დანაშაულის შემაღგენლობის განხორციელება, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი და საკმარისია დანაშაულის სამივე ნიშნის არსებობის დადასტურება.

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა. გამოძიების პროცესში შესაძლებელია აუცილებელი გახდეს საქმის შეწყვეტა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, როცა კაცს დანაშაულის შემაღგენლობა არ განუხორციელებია, ესე იგი, როცა ვინმე უკანონოდ არის მიცემული პასუხისგებაში.

საქმის შეწყვეტა სავალდებულოა მაშინაც, როდესაც დანაშაულის შემაღგენლობა განხორციელებულია მართლწომიერად და არა მართლსაწინააღმდეგოდ. მაგალითად, დანაშაულის შემაღგენლობა განხორციელდა აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის ან ისეთ სხვაგვარ მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს ქმედობის მართლწინააღმდეგობას.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა დანაშაულის შემაღგენლობა თუმცა მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელდა, მაგრამ ვერ დამტკიცდა ქმედობის ჩამდენის ბრალი. საქმის შეწყვეტა ამ დროსაც სავალდებულო უნდა იყოს.

ამ დებულების გათვალისწინებით უნდა დაიხვეწოს მომავალი საპროცესო კანონმდებლობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შემმუშავებელ სამთაერობო კომისიას ვთავაზობთ ასეთ საკანონმდებლო წინადადებებს:

1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკმარისი საფუძველია ისეთი ქმედობის ჩადენა, რომელიც შეიცავს დანაშაულის შემაღგენლობის ნიშნებს;
2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაულის ჩადენა, ესე იგი
  - 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილი
  - 2) მართლსაწინააღმდეგო ქმედობის
  - 3) ბრალეული განხორციელება;
3. სისხლის სამართლის საქმე შეწყდება:

- ა) დანაშაულის შემაღენლობის არარსებობის გამო;
- ბ) მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო;
- გ) უბრალობის გამო.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა საქმე შეწყდება უბრალობის გამო ბრალდებულის ან განსასჯელის ფსიქიური დაავადების საფუძველზე, საქმის წარმოება შეიძლება გაგრძელდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გამოაქვს იმ შემთხვევაში, როცა განსასჯელი უდანაშაულოა, ესე იგი, როცა არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი და საკმარისი საფუძველები“.

## კანონის განმარტება

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 47<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის თანახმად “განაჩენის აღსრულების გადადება არ გამოიყენება ამ კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მესამე ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ პირთა მიმართ“. კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მესამე ნაწილის პირველ პუნქტში, სხვა დანაშაულების ჩამდგნით გვერდით, მოხსენიებული არიან აგრეთვე ის პირებიც, რომლებსაც მსჯავრი ედებათ “განზრახი მკვლელობისათვის (104-ე, 105-ე, 258-ე მუხლის “გ“ პუნქტი)“. მაშასადამე, განაჩენის აღსრულების გადადება არ გამოიყენება ამ დანაშაულების ჩამდგნითა მიმართ.

მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის, მარტო აქ ჩამოთვლილით არ ამოიწურება. განზრახი მკვლელობისათვის დაწესებულია პასუხისმგებლობა კოდექსის 209<sup>1</sup> მუხლითაც. ეს მუხლი აწესებს სასჯელს პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. გამოდის, რომ ამ დანაშაულის ჩამდგნის მიმართ განაჩენის აღსრულების გადადება შესაძლებელია, მაშინ, როცა 47<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, 209<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ მკვლელობასთან შედარებით, უფრო მსუბუქი მკვლელობის ჩამდგნის მიმართ, რომელიც აღწერილია კოდექსის 105 მუხლით. უფრო მეტიც, 47<sup>1</sup> მუხლის გამოყენება დასაშვებია 209<sup>1</sup> მუხლით აღწერილი მკვლელობის ჩამდგნის მიმართ და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის მიმართ, ვინც სხეულის განზრახ მიიმე დაზიანება ჩაიდინა (მ.110), ან ჩაიდინა განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა (228 მუხლის მესამე ნაწილი). ეს აშკარა შეუსაბამობაა, რასაც ახსნა სჭირდება. ამ მუხლს კოდექსისას აუცილებლად ესაჭიროება განმარტება, რომელიც სასამართლო პრაქტიკას სწორ გზაზე დააყენებს.

საიდან მოდის ეს შეუსაბამობა? ამისათვის აუცილებელია გავიხსენოთ საკითხის ისტორია. 25<sup>1</sup> მ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში პირველად შემოვიდა 1977წ. 20 აპრილის კანონით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება). მაგრამ ეს მუხლი არ ყოფილა საქართველოს კანონმდებლის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი. ის სიტყვასიტყვით იყო კალკირებული

საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების 23<sup>2</sup> მუხლის ტექსტიდან. 23<sup>2</sup> მუხლის მესამე ნაწილის პირველ პუნქტში კი ვნახულობთ ასეთ სიტყვებს: პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ნაბმით არ გამოიყენება იმის მიმართ, ვისაც მსჯავრი ედება “განზრახი მკვლელობისათვის“ (გარდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ან ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილი მკვლელობისა)“. აქ, როგორც ვხედავთ, მუხლების ნუმერაცია მითითებული არ არის, ვინაიდან ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ამ ტექსტის გადატანისას კოდექსში, შესაბამისად თავის ნუმერაციას ჩასვამდა და მიუთითებდა იმ მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის. ამიტომ საფუძვლების ამ მუხლში იგულისხმება ყველა სახის “განზრახი მკვლელობა“, რომელიც კი ამა თუ იმ რესპუბლიკის კოდექსის მუხლებით იყო გათვალისწინებული. მათ შორის უნდა ყოფილიყო საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის 209<sup>1</sup> მუხლიც, რადგან საკავშირო კანონმდებლის აზრი ამ მუხლებსაც მოიცავდა, ვინაიდან გამონაკლისი, როგორც ვნახეთ, შეეხება მხოლოდ იმ მკვლელობებს, რომლებიც გათვალისწინებულია ჩვენი კოდექსის 106-ე და 107-ე მუხლებით. ერთი სიტყვით, “საფუძვლების“ 23<sup>2</sup> მუხლის შინაარსი დამახინჯდა საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის ტექსტში, რომელშიც საკავშირო კანონის ტექსტის კალკირების დროს საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის მუხლების (104-ე, 105-ე და 258-ე “გ“ პუნქტი) ჩამოთვლის დროს გამორჩენილია 209<sup>1</sup> მუხლი.

ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასასრულს, როცა ჩვენ ამ საკითხს ვეხებოდით ერთ საჟურნალო წერილში, სასამართლოებს ასეთ რეკომენდაციას ვაძლევდით: “ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში საქართველოს სსრ სსსხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის გამოყენებისას ჯერჯერობით, ვიდრე ეს წინააღმდეგობა არ აღმოუხერხილა, უნდა ვიხელმძღვანელოთ “საფუძვლების“ 23<sup>2</sup> მუხლით“. (იხ. “საბჭოთა სამართალი“, 1978, №6, გვ. 60). ამ მუხლზე დაყრდნობით, სასამართლოს თავისუფლად შეეძლო დაესაბუთებინა, რომ პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ნაბმით (აგრეთვე შესაბამისად განაჩენის აღსრულების გადადება) არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილია 209<sup>1</sup> გათვალისწინებული განზრახი მკვლელობა.

ასეთი განმარტება კანონისა მაშინ სრულიად გამართლებული იყო, რადგან “საფუძვლები“ მოქმედი კანონი გახლდათ მთელი

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და გარკვეული პირობების არსებობისას მისი მუხლები უშუალოდაც გამოიყენებოდა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მიერ.

მაგრამ აქამად მდგომარეობა გართულებულია იმით, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს. რაც შეეხება “საფუძვლების” ტექსტს, ის, მართალია, ოფიციალურად არ გაუქმებულა, თუმცა არ არსებობს არც საგანგებო კანონი, რომელიც ამ საკავშირო აქტის მოქმედების შესაძლებლობას დაადასტურებდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ საქართველოს სასამართლოებს აქამად გაუჭირდებათ უშუალოდ “საფუძვლების” 23<sup>2</sup> მუხლზე მითითება და ამ გზით შესაბამისი ხარვეზის შევსება.

ნემი აზრით, ამ ხარვეზის შევსება, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია კანონის ისტორიული განმარტების ხერხის გამოყენებით. როგორც ცნობილია, ისტორიული განმარტება გულისხმობს კანონის აზრის ამოხსნას იმ პირობების და შინაარსის გაოვალისწინებით რა პირობებშიც ეს კანონი იქნა მიღებული და რა შინაარსიც მასში ისტორიულად ჩააქსოვა კანონმდებელმა. აქ იგულისხმება აგრეთვე ის წყაროც, რომელზე დაყრდნობითაც თავდაპირველად კანონმდებელმა ამ კანონის ტექსტი შეიმუშავა. თუკი ამ კუთხით შევხედავთ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლს, მაშინ ნათელი გახდება, რომ მისი შემუშავებისას კანონმდებელი ხელმძღვანელობდა “საფუძვლების” ზემოთ დასახელებული 23<sup>2</sup> მუხლით, რომლის ტექსტი მოიცავს “განზრახი მკვლელობის” ყველა სახეს. “საფუძვლების” 23<sup>2</sup> მუხლის ეს შინაარსი განსაზღვრავდა თავიდანვე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მესამე ნაწილის პირველ პუნქტს. მაშასადამე, წვენი კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლში ნაგულისხმევი იყო 209<sup>1</sup> მუხლიც, რომელიც შემთხვევითაა გამორჩენილი საქართველოს კანონმდებლობის მიერ 25<sup>1</sup> მუხლის ტექსტის შემუშავების დროს.

უნდა ითქვას ისიც, რომ ასეთივე ხარვეზი გვხვდება რსფსრ-ის და უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებშიც. უკრაინის კოდექსს აკრძალვებში დაუმატებია აგრეთვე დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა მშობიარობის დროს ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ, რომელიც საკმაოდ მსუბუქად ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ხოლო მილიციელის ან სახალხო რაზმელის მკვლელობის მუხლი აქაც გამორჩენილია. როგორც ჩანს, ეს ხარვეზები მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში ერთსა და იმავე წყაროდან მომდინარეობს.



# სასამართლო პრაქტიკის კომენტარი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლში არსებითი ცვლილება შევიდა 1991წ. 30 იანვრის კანონით. თუ მანამდე ამ მუხლით პასუხისმგებლობა იყო დაწესებული სატრანსპორტო საშუალების გატაცებისათვის დროებითი გამოყენების მიზნით, დასახელებულმა კანონმა 243-ე მუხლიდან ეს მიზანი ამოიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 243-ე მუხლის დღევანდელი რედაქციის თანახმად კაცი პასუხს აგებს ავტომანქანის გატაცებისათვის მისაკუთრების მიზნით. ამ გარემოებამ სასამართლო პრაქტიკაში წარმოშვა ერთი სადავო საკითხი.

1991 წ. 30 იანვრის კანონის მიღებამდე ავტომანქანის გატაცება მისაკუთრების მიზნით კვალიფიცირდებოდა შესაბამისად ქურდობის (91-ე, 150-ე), ძარცვის (92-ე, 151-ე) და ყაჩაღობის (96-ე, 152-ე) მუხლებით. ამ კანონის მიღების შემდეგ კი აუცილებელი გახდა ასეთი მოქმედების კვალიფიკაცია 243-ე მუხლით. დავა გამოიწვია იმ საკითხმა, საჭიროა თუ არა, 243-ე მუხლთან ერთად, ამ შემთხვევის სხვა მუხლებით კვალიფიკაციაც. სასამართლო პრაქტიკის წინაშე წამოიჭრა კითხვა: ავტომანქანის გატაცება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დანაშაულთა ერთობლიობად უნდა განვიხილოთ თუ ნორმათა კონკურენციად?

ამ კითხვას პირდაპირი პასუხი გასცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1992წ. 29 აპრილის დადგენილებით, რომელიც ავტოსატრანსპორტო დანაშაულის საკითხებს შეეხება. დადგენილების 35-ე პუნქტში ნათქვამია, რომ “სატრანსპორტო საშუალების მითვისების მიზნით გატაცების დროს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით საქართველოს რესპუბლიკის სსკ 243-ე მუხლით და სახელმწიფო ან მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით”.

მაშასადამე, პლენუმმა ჩათვალა, რომ ავტომანქანის მითვისების მიზნით გატაცების დროს საქმე გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობასთან. მიუხედავად ამისა, სასამართლოები ამ შემთხვევას ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციად

მიიხსენიან და ამის საფუძველზე დასახელებულ მოქმედებას აკვალიფიცირებენ მხოლოდ კოდექსის 243-ე მუხლით.

ყურადღებას იპყრობს ამ თვალსაზრისით გ.კაპანაძის საქმე, რომელიც განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. გ.კაპანაძემ დამნაშავეთა ჯგუფთან ერთად სხვადასხვა დროს გაიტაცა სახელმწიფო საწარმოების კუთვნილი ოთხი ავტომანქანა, რომელთა რეალიზაციის შედეგად სახელმწიფოს მიაყენა 117.200 მანეთის მატერიალური ზარალი. კოლეგიამ ეს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით.

ეს განაჩენის პროკურატურის საკასაციო პროტესტის საფუძველზე 1992წ. 12 მარტს გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის გადასცა სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განაჩენის თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოიცავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებას, რომელიც თავალისწინებულია 96<sup>1</sup> მუხლით. ამიტომ აქ გვაქვს ნორმათა კონკურენცია 243-ე და 96<sup>1</sup> მუხლებს შორის, რომლის დროსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს 243-ე მუხლს და დამატებით კვალიფიკაცია 96<sup>1</sup> მუხლით საჭირო აღარ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ, რომელმაც ეს განაჩენი გააუქმა, განიხილაში მიუთითა, რომ ავტომანქანის გატაცების დროს დამნაშავე ხელყოფს ორ ობიექტს - ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოებას და სახელმწიფო ქონებას. ამიტომ დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს 243-ე და 96<sup>1</sup> მუხლების ერთობლიობით. განიხილება ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ზემოხსენებული დადგენილების 35-ე პუნქტს (იხ. "მართლმსაჯულების მაცნე", 1993, №1, გვ. 15-16).

რამდენად სწორია პლენუმის ხსენებული დადგენილების 35-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული განმარტება? ჩემი აზრით, ავტომანქანის გატაცება მითვისების მიზნით არ შეიძლება განხილული იქნეს დანაშაულთა ერთობლიობად. ამიტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიის ხსენებულ განიხილებაში საკითხი

სწორად არ არის გააზრებული. საქმე ის გახლავთ, რომ 96<sup>1</sup> მუხლით აღწერილი შემადგენლობა მოიცავს ყოველგვარი ნივთის გატაცებას, რომლის ღირებულებაც განსაკუთრებით დიდ ოდენობას შეადგენს. მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ სატრანსპორტო საშუალებაც. ეს არის ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ზოგადი შემადგენლობა.

მაგრამ 1991წ. 30 იანვრის კანონით ამ ზოგადი ნორმიდან კანონმდებელმა 243-ე მუხლით ცალკე გამოყო სატრანსპორტო საშუალების გატაცება მითვისების მიზნით და მას ცალკე სახჯელი დაუწესა. ეს არის სპეციალური მუხლი 96<sup>1</sup> ზოგადი მუხლის მიმართ.

საკითხავია, რა ნიშნით გამოყო კანონმდებელმა სპეციალური მუხლი ზოგადი მუხლიდან? არ არის სწორი ის შეხედულება, თითქოს მითვისების მიზნით სატრანსპორტო საშუალების გატაცება 243-ე მუხლით კანონმდებელმა ცალკე გამოყო იმის გამო, რომ ეს მოქმედება საფრთხეს უქმნის ტრანსპორტის მოძრაობასა და ექსპლოატაციას. რაც შეეხება ავტომანქანას, როგორც ქონებას, მისი ხელყოფა თითქოს ისევ 96<sup>1</sup> მუხლით უნდა დაისაჯოს. ეს თვალსაზრისი გაუგებრობაზეა აგებული. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ანალოგიურად უნდა გვემსჯელა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით აღწერილი შემადგენლობის მიმართაც. 240-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეტქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის, რომელიც სპეციალობის ნიშით გამოყოფილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 151-ე და 152-ე მუხლებიდან. ცეცხლსასროლი იარაღის გატაცება ისევე, როგორც ავტომანქანის გატაცება ხელყოფს ორ ობიექტს. პირველია საზოგადოებრივი უშიშროება. იარაღის უნებართვო შენახვა ან ტარება საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. მეორეც, ის, რომ ეს მოქმედება ქონებრივ ზარალს აყენებს იარაღის მესაკუთრეს.

მიუხედავად ამისა, დღემდე არავის მოფიქრებია ამ შემთხვევის დანაშაულობა ერთობლიობით, ვთქვათ, 150-ე და 240-ე მუხლებით დაკვალიფიცირება. ჯერ არავის უთქვამს ის, რომ 240-ე მუხლით გათვალისწინებულს მოქმედება ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ხოლო ქონების ხელყოფა გათვალისწინებულია 150-ე მუხლით. თავისთავად რომელიმე საგნის

ამოღება სპეციალობის ნიშნით ზოგადი შემადგენლობიდან ყველა თავისი თვისებით (როგორც ქონება, როგორც საზოგადოებრივი საფრთხის შემქმნელი საგანი და სხვ.) გამოიყოფა ცალკე შემადგენლობად. ამიტომ ხსენებული მოქმედების დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირება გაუმართლებელია.

იგივე ითქმის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 252<sup>1</sup>-ე მუხლზეც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებათა და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებისათვის. ეს დანაშაულიც ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მაგრამ ამავე დროს დასახელებული ნივთიერება ქონებაცაა, რომლის გატაცებაც მითვისების მიზნით ზარალს აყენებს მის მესაკუთრეს. მიუხედავად ამისა, ეს მოქმედება, 252<sup>1</sup>-ე მუხლთან ერთად, არ კვალიფიცირდება 150-ე ან სხვა მუხლებთან ერთობლიობით.

ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენი კაპანაძის მიმართ კარგად იყო დასაბუთებული. აღნიშნული შემთხვევა სასამართლო კოლეგიამ სწორად შეაფასა ნორმათა კონკურენციად და შესაბამისად დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლით. ამიტომ უზენაესი სასამართლოს კოლეგია არ იყო მართალი, როცა ეს განაჩენი გააუქმა.

ასევე არ მიგვაჩნია სწორად საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წ. 29 აპრილის დადგენილების 35-ე პუნქტში მოცემული განმარტება, რომელსაც არევ-დარევა შეაქვს სასამართლო პრაქტიკაში. ვფიქრობთ, პლენუმი უახლოეს მომავალში კვლავ დაუბრუნდება ზემოთ განხილულ საკითხს და გადასინჯავს ამ მცდარ დებულებას.

## არა, პლენუმი ამჯერად არ შემცდარა!

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი 1996 წლის 2 აპრილს მიიღო დადგენილება, რომელიც ყაჩაღობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკას ეხება. დადგენილების პროექტის განხილვის დროს, ჯერ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, შემდეგ კი პლენუმზე ყველაზე მეტად ერთმა დებულებამ გამოიწვია ცხარე კამათი. პროექტის ავტორმა - უზენაესი სასამართლოს უფროსმა კონსულტანტმა ვეა გოცირიძემ საკითხის ირგვლივ კამათი “მართლმსაჯულების მაცნეს” ფურცლებზეც გააგრძელა (იხ. ე.გოცირიძე, ხომ არ შეცდა პლენუმი? “მართლმსაჯულების მაცნე“, 1996, №2)

ვინაიდან უზენაესი სასამართლოს პლენუმზე გამართულ კამათში აქტიურად ემონაწილეობდი და ე.გოცირიძის ხსენებულ პუბლიკაციაშიც ვარ მოხსენიებული, გადავწყვიტე მეც ასევე, ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოეხატო ჩემი პოზიცია. მით უმეტეს, ჩემი ღრმა რწმენით, ე.გოცირიძის მოსაზრება მცდარია.

პროექტის თანახმად, თუკი ყაჩაღობა მოხდება “სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებით“ (საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილი, პ.2), რომელსაც მსხვერპლის გაუფრთხილებლობით მკვლელობა მოჰყვება, მაშინ დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტით და 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა).

ჩემი აზრით, ხსენებული შემთხვევის ასეთი კვალიფიკაცია არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება თანამედროვე სისხლის სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს *ne bis in idem*-ს, რომლის მიხედვით, ადამიანმა ერთი დანაშაულისათვის მხოლოდ ერთხელ უნდა აგოს პასუხი.

საქმე ის არის, რომ ასეთი კვალიფიკაციის შემთხვევაში ერთი მოქმედება, კერძოდ, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ორჯერ ფასდება - ერთხელ 152-ე მუხლით, ხოლო მეორედ - 110-ე მუხლით და, მაშასადამე, ამ ერთი მოქმედების ჩადენისათვის პიროვნება ორჯერ ისჯება - ერთხელ 152-ე მუხლით, მეორედ - 110-ე მუხლით.

ამის გამო პლენუმზე მხარი დაუჭირე ამ შემთხვევის სხვაგვარ კვალიფიკაციას, რომლის მიხედვით დასახელებული პრინციპი აღარ ირღვევა. ჩემი აზრით, ეს შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის, 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე პუნქტით და 108-ე მუხლით (გაუფრთხილებლობით მკვლელობა). ამ კვალიფიკაციაში ასახულია 1) ყანალობაც; 2) სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანებაც და 3) გაუფრთხილებლობით მკვლელობაც. თანაც თითოეული ეს შედეგი პიროვნებას თითოჯერ ერაცხება ბრალად.

ის გარემოება, რომ კანონმდებელმა 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით შექმნა ეგრეთ წოდებული შენადგენი დანაშაული (სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანება, რასაც მსხვერპლის სიკვდილი მოჰყვა), ჩვენ დოგმად არ უნდა მივიღოთ და არ უნდა შევწიროთ მას ადამიანის ძირითადი უფლება, რომელსაც იცავს ზემოხსენებული პრინციპი.

ე. გოცირიძე წერს: “უწინარესად დავაზუსტებ: ადამიანის უფლების დარღვევას წარმოადგენს მისი მეორედ გასამართლება ან დასჯა ისეთი დანაშაულისათვის, რომლის გამო ის საბოლოოდ იყო გამტყუნებული ან გამართლებული“ (იხ. მით. ჟურნალი, გვ. 16). მაშასადამე, კაცი “ორჯერ ისჯება“ მხოლოდ მაშინ, როცა ორჯერ მოხდება მისი გასამართლება, ე.ი. როცა ორი პროცესი გაიმართება. მაგრამ, როცა კვალიფიკაციაში “ორჯერ აისახება“ მისი მოქმედება და ამ მოქმედებისათვის ერთხელ გაიმართება სასამართლო პროცესი, ამ დროს *ne bis in idem*-ის პრინციპი, ე.გოცირიძის აზრით, არ ირღვევა, ეს ადამიანის უფლების დარღვევას არ წარმოადგენს.

ეს შეხედულება, რასაკვირველია, მცდარია. მართალია, საქართველო კონსტიტუციით დაწესებულია, რომ “არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ (მუხლი 42, პუნქტი მე-4), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ერთი მოქმედებისათვის ორი მუხლით დასჯა კონსტიტუციით გამართლებული იყოს. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ორჯერ გამასამართლებენ თუ ერთხელ, მთავარია, რომ მე ერთი მოქმედება ჩავიდინე და ამ ერთი მოქმედებისათვის ორი მუხლით ორჯერ განმისაზღვრეს სასჯელი. მაშასადამე, დასახელებული პრინციპი ირღვევა არა მარტო მაშინ, როცა პიროვნება ერთი მოქმედებისათვის ორჯერ

გაასამართლეს, ე.ი. ორი პროცესი მოუწყეს, არამედ, მაშინაც, როცა, მართალია, ერთი პროცესი გაიმართა, მაგრამ ამ ერთ პროცესზე ერთი მოქმედებისათვის ორი სასჯელი განუსაზღვრეს, ორი სხვადასხვა მუხლით.

ასეთი შეცდომები ჩვენ ხშირად გვხვდება არა მარტო სასამართლო პრაქტიკაში, არამედ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. მაგალითად, წიგნში “დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ” ნათქვამია: “რაც შეეხება დაზარალებულის განზრახ მკვლელობას მისი გაუპატიურების შემდეგ, რამდენადაც აქ ორ დამოუკიდებელ დანაშაულთან გვაქვს საქმე, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა რეალური ერთობლიობით 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით და 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით” (გვ.110, მაშინ 117-ე მუხლი სამნაწილიანი იყო).

მე, როგორც ამ წიგნის რედაქტორმა, ავტორებს შენიშვნა მივცე, რომ ასეთი კვალიფიკაციის დროს ირდევია *ne bis in idem*-ის პრინციპი, მაგრამ მათ ეს შენიშვნა არ მიიღეს. მართლაც, აქ ორივე შედეგი მკვლელობა და გაუპატიურება ორ-ორჯერ ფასდება და დამნაშავე ორ-ორჯერ ისჯება თითოეული ამ შედეგისათვის. მკვლელობას ამძიებს გაუპატიურება (104-ე მუხლის მე-7 პუნქტი), ხოლო გაუპატიურებას მკვლელობა (117-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ეს შემთხვევა, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი მუხლით საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტით უნდა დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან ამ მუხლით მოცულია მკვლელობაც და გაუპატიურებაც.

სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ უარი თქვას ასეთ შეუსაბამობაზე, ე-გოცირიძე პირიქით იქცევა. იგი ცდილობს დაეყრდნოს ამ შეცდომებს და თავისი თვალსაზრისის გამართლებისათვის გამოიყენოს. მას მოჰყავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის დადგენილების 35-ე პუნქტი, რომლის მიხედვით ყანაღური ხერხით ავტოტრანსპორტის გატაცება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 152-ე (ყანაღობა) და 243-ე (ავტომანქანის გატაცება) მუხლებით.

ავტორის აზრით, თუ პლენუმმა მაშინ დაადგინა 152-ე და 243-ე მუხლების ერთობლიობის წესით გამოყენება, დღეს არ უნდა ეთქვა უარი ქმედების 152-ე და 110-ე მუხლების ერთობლიობით კვალიფიკაციაზე. “რატომ მოიქცა პლენუმი ასე, - წერს ევა

გოცირიძე, როცა დადგენილება ამ ნაწილში თავის დროზე იყო კიდევ გაკრიტიკებული პროფ. ო.გამყრელიძის მიერ“ (იხ. დასახ. ჟურნალი, გვ.18).

საქმეც სწორედ ის არის, რომ მე მართლაც გავაკრიტიკე პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის დადგენილების 35-ე პუნქტი (იხ. გაზეთი “ცხოვრება და კანონი“, 1994 წ. №16), რომლითაც ირღვევა ne bis in idem-ის პრინციპი. სამწუხაროდ, დადგენილების ეს პუნქტი, რომელმაც სასამართლო პრაქტიკა ხსენებულ საკითხზე მოვლ საქართველოში გაამრუდა, დღემდე ძალაშია და აქამდე ვერ მოხერხდა მისი გაუქმება. საბედნიეროდ, პლენუმმა ის მაინც შეძლო, რომ ყაჩაღობის საქმეებზე დადგენილების მიღების დროს უარი ეთქვა ე.გოცირიძის მოსახრებაზე და აღრინდელი შეცდომა აღარ გაიმეორა.

ე.გოცირიძე იმოწმებს, აგრეთვე, პლენუმის 1992 წლის 7 ოქტომბრის №18 დადგენილების მე-9 პუნქტს, რომლის თანახმადაც “თუ თანამდებობის პირი მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით წაიღენს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 139-ე (უნდა იყოს 140-ე, ო.გ.) და 186-ე მუხლებით.“ “თუკი ოპონენტთა ლოგიკას დავეყრდნობით, - წერს ე.გოცირიძე, რატომ ამ შემთხვევაზეც არ უნდა ითქვას, რომ ერთი და იმავე ქმედებისათვის ხდება პირის ორჯერ დასჯა?“ (იხ. დასახ. ჟურნ. გვ.17).

ავტორი ამ შემთხვევაში არასწორად ეყრდნობა პლენუმის დადგენილებას. პლენუმის ხსენებული დადგენილების მე-9 პუნქტი გვთავაზობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის ერთობლიობას კოდექსის 186-ე მუხლთან (ხელისუფლებისა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), 187-ე მუხლთან (ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 189-ე მუხლთან (მექრთამეობა) და 191-ე მუხლთან (სამსახურებრივი სიყალბე). საქმე ის გახლავთ, რომ პლენუმში ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, მცდარ კვალიფიკაციას გვთავაზობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით ისჯება “საარჩევნო დოკუმენტების გაყალბება“, რაც “სამსახურებრივი სიყალბის“ (191-ე მუხლი) სპეციალური შემთხვევაა. ამიტომ 140-ე და 191-ე მუხლების ერთობლიობა არ შეიძლება. ეს არის კანონთა კონკურენცია,



რომლის დროსაც ყოველთვის იმარჯვებს სპეციალური მუხლი, ე.ი. ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 140-ე მუხლით.

ასეთივე სპეციალური მუხლია 140-ე მუხლი 186-ე მუხლის მიმართ. 140-ე მუხლი შეიძლება დაკვალიფიცირდეს მხოლოდ 189-ესთან ერთად, რაც სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს დებულებას.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოებაც: პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის დადგენილების 35-ე და 1992 წლის 7 ოქტომბრის დადგენილების მე-9 პუნქტებით დადგენილი ნორმები აშკარად, ფაქტობრივად, გაუქმებულად უნდა მივიჩნიოთ იმავე პლენუმის 1994 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებით, რომლის მე-12 პუნქტის მიხედვით “ზოგადი და სპეციალური (კერძო) ნორმების კონკურენციის დროს გამოიყენება სპეციალური ნორმა“.

ყანაღური გზით ავტომატური გატაცება სწორედ კანონთა კონკურენციაა და არა დანაშაულთა ერთობლიობა, როგორც ეს არასწორადაა მინიშნული პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის დადგენილების 35-ე პუნქტით. ასევე უნდა შეფასდეს პლენუმის ზემოთმითითებული 1992 წლის 7 ოქტომბრის დადგენილების მე-9 პუნქტიც.

აქედან მხოლოდ ერთი უტყუარი დასკვნის გაკეთება შეიძლება. თუ პლენუმს ადრე შეცდომა მოუვიდა, რატომ უნდა დავეყრდნოთ ამ შეცდომას და მოვუწოდოთ, რომ ახლაც ისევე ძველი, დაწუნებული გზით იაროს? პლენუმი ამჯერად არ შემცდარა, რაც იმედს გვაძლევს, რომ მომავალშიც არამცთუ შეცდება, არამედ ძველ შეცდომებსაც გამოასწორებს.

## ანგარება თუ მითვისება

ისეთი ქონებრივი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, როგორცაა ქურდობა, ძარცვა, ყანალობა და ზოგიერთი სხვა, წარმოადგენს სხვისი ქონების მითვისების მიზანი. მაგალითად, სხვისი ქონების ფარული წაღება მხოლოდ მაშინ დაკვალი-ვიცირდება ქურდობად, როცა ის ნადენილია მითვისების მიზნით. მართალია, ეს მიზანი პირდაპირ არ არის მოცემული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის ტექსტში, სადაც ქურდობის შემადგენლობაა აღწერილი, მაგრამ ის აქ აუცილებლად იგულისხმება. 152-ე მუხლის მიხედვითაც, თუშცა ყანალობად მიიჩნევა თავდასხმა - “ქონების დაუფლების მიზნით“, მაგრამ აქაც “დაუფლება“ ქონების მითვისების საშუალებას წარმოადგენს. აქაც მითვისების მიზანი ყანალობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია.

ეს დებულება ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სახამართლო პრაქტიკაში, შეიძლება ითქვას, დავას არ იწვევს. მაგრამ ზოგჯერ მითვისების მიზანს ანგარებით მოტივთან აიგივებენ. რამდენად მართებულია ასეთი გაიგივება? ემთხვევა თუ არა ზუსტად მითვისების ცნება ანგარებას? ანგარება, როგორც ცნობილია, არის “პირადი სარგებლობის, გამორჩენის მიზნით მოქმედება“ (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ა.ჩიქობავას რედაქციით, 1986). არსებითად ასევეა ეს ცნება გაგებული იურიდიულ დიტერატურაშიც. “ანგარებით მკვლევლობას ადგილი აქვს მაშინ, ვკითხულობთ წიგნში “დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“ როდესაც დამნაშავე მიზნად ისახავდა მიეღო რაიმე მატერიალური გამორჩენა (ფული, ქონება, ქონებრივი უფლება, საბინაო ფართობის უფლება და ა.შ.) ან თავი გაეთავისუფლებინა მატერიალური ხარჯისაგან“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, პირადი ქონებრივი გამორჩენა, პირადი გამდიდრება ანგარების ბუნებას გამოხატავს, რასაც ყოველთვის ვერ ვიტყვით მითვისების მიზნის მიმართ. სხვისი ქონების მითვისება, მართალია, ტიპიურად ანგარებით, ესე იგი პირადი მატერიალური გამორჩენის მოტივით ხდება, მაგრამ ზოგჯერ

<sup>1</sup> ე.მაყაშვილი, მ.მაჭავარიანი, თ.წერეთელი, თ.შაველიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, გვ. 18.

მითვისება, ნემი აზრით, ამ მოტივის გარემოცვა შესაძლებელი. ამის საბუთად ერთი ისტორიული ფაქტიც გამოდგებოდა. გავიხსენოთ ცნობილი გამოთქმა, რომლითაც სახალხო მოქმელი არსენას ასე ახასიათებს: “მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“. მდიდრისათვის წართმევა, ცხადია, სხვისი ქონების მითვისებას გულისხმობს. მაგრამ, როცა ეს პირადი გამორჩენისათვის კი არა, ღარიბთა დახმარების მიზნით, ხდება, ვერ ვიტყვი, რომ მიმთვისებელი ანგარებით მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში სხვისი ქონების მიმთვისებელს ანგარებითი ქვეყნა გრძნობა კი არა, უფრო ზენა გრძნობა, ერთგვარი კეთილშობილური მოტივი ამოდრავებს. არსენას ქცევა, ხალხური ლექსის თანახმად, თავისებურად გაგებული ხალხური სამართლიანობის იდეას გამოხატავს. ცხადია, სახელმწიფოებრივი, ესე იგი პოზიტიური სამართლის თვალსაზრისით არსენას მოქმედება უსამართლო და დანაშაულებრივია, მაგრამ ზრც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მისი ქცევა უანგაროა.<sup>2</sup>

თუკი აქ ნათქვამს გავითვალისწინებთ, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ მითვისებისა და ანგარების ცნებები ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა. მითვისება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ანგარება. ეს უკანსკნელი ყოველთვის გულისხმობს მითვისებას, მაშინ, როცა მითვისება, თავის მხრივ, ყოველთვის არ ნიშნავს და არ მოიცავს ანგარების შემთხვევებს. როგორც უკვე ვთქვით, კაცი შეიძლება სხვის ქონებას ითვისებდეს იმ მიზნით, რომ ქვირთვობებს შეეწიოს. ამ დროს მას ანგარება არ ამოდრავებს.

მოქმედი კანონმდებლობა ზოგჯერ დანაშაულის ანგარებით ჩადენას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას ანგარებით. გვხვდება შემთხვევები, როცა წამქეზებული მოისყიდის ამსრულებელს და ჩაადენინებს განზრახ მკვლელობას.

2 არსენას მსოფლმხედველობა მეცნიერულად დღემდე შეუსწავლელია. ნემი აზრით, გამოთქმა - “მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა” - ანარქისტული მოძღვრების ძირითად იდეას გამოხატავს. არსენა ამ იდეის მიხედვით, უარყოფს სახელმწიფოსა და სახელმწიფოსაგან დადგენილ სამართალს და მის ადგილას ხალხური სამართლიანობის დამკვიდრებას ცდილობს. ამას უნდა ნიშნავდეს სწორედ მისი ბრძოლა მდიდრისა და ღარიბის ქონებრივი გათანაბრებისათვის.

ამსრულებლის მოქმედება ამ დროს, ცხადია, დაკვალიფიცირდება 104-ე მუხლის პირველი პუნქტით. როგორ უნდა დაეაკვალიფიცირდეს წამქეზებლის მოქმედება? სასამართლო პრაქტიკაში ანგარებას, ამსრულებელთან ერთად, წამქეზებელსაც არაცხვენ ხოლმე ბრალად. ასე დაკვალიფიცირდა რუსეთში, მაგალითად, ცნობილი მოტირიოვას საქმე. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ კვალიფიკაციამ არაერთმნიშვნელოვანი შეფასება გამოიწვია. "იმისათვის, რომ ქმედობა დაეაკვალიფიცირდეს როგორც ანგარებითი მკვლელობა ნათქვამია წიგნში "დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ" მნიშვნელობა არა აქვს თავის სასარგებლოდ უნდოდა მიეღო გამორჩენა დამნაშავეს თუ სხვის სასარგებლოდ" (იხ. გვ.20).

ანგარების ცნების ასეთი გაგება აშკარად გაუპართლებელია. როგორ შეიძლება, რომ ერთი მდიდრდებოდეს, პირად ქონებრივ გამორჩენას ნახულობდეს და მეორეს ანგარებად ერააცხებოდეს! ანგარება იმიტომ ამძიმებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობის დროს (და არა მარტო ამ დროს), რომ დაშინაშავე ქონებრივი გამორჩენის ფასად უსპობს სიცოცხლეს სხვას. ხსენებული საქმის მიხედვით მოტირიოვას შურისძიება ამოძრავებდა და არა ანგარების მოტივი. იმიტომ მისი დანაშაულის ანგარებით მკვლელობაში თანამონაწილეობად დაკვალიფიცირება უსამართლობა იყო. ამ აზრს იზიარებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 6 ივლისის №5 დადგენილება, რომელიც განზრახი მკვლელობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი. "იმ შემთხვევაში, კვითხულობთ ხსენებულ დადგენილებაში თუ წამქეზებელი მოისყიდის ამსრულებელს და ეს უკანასკნელი ანგარებით ჩაიდენს განზრახ მკვლელობას, ამსრულებლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 104-ე მუხლის I პუნქტით, ხოლო წამქეზებელი პასუხს აგებს სსკ 19, 105-ე მუხლით, თუკი არ არსებობს სსკ 104-ე მუხლით გათვალისწინებული (სხვა) მაკვალიფიცირებელი გარემოება" (პ.8,7)<sup>3</sup>.

სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ იმ ქონებრივ დელიქტებში, რომელთა შემადგენლობის ერთერთ აუცილებელ ნიშანს სხვისი

<sup>3</sup> იხ. "მართლმსაჯულების მაცნე", 1994 №2, გვ. 8-9; ამ დებულების უფრო ვრცელი დასაბუთება ნახეთ ჩემს წიგნში "დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა", გვ. 174, 175.

ქონების მითვისების მიზანი წარმოადგენს. მაგალითად, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობის იმ თანამონაწილის მოქმედება, რომელიც სხვისი ქონების მითვისების მიზანს არ ისახავდა, მაგრამ იცოდა, რომ ამ მიზნით მოქმედებდა დანაშაულის მეორე თანამონაწილე? ექვს არ იწვევს, რომ მისი მოქმედებაც ქურდობის თანამონაწილეობად დაკვალიფიცირდებოდა. ეს იმიტომ ხდება, რომ “მითვისების მიზანს” ზემოთ განხილული ანგარებისაგან განსხვავებით, პირადი, პერსონალური მნიშვნელობა კი არ აქვს, არამედ იგი ზოგადი, ობიექტური ნიშანია, რომელიც ქმედების (ქურდობის) შინაარსს განსაზღვრავს. ქურდობა ამ ნიშნის გარეშე შეუძლებელია. როცა ამსრულებელი მიზნად ისახავს სხვისი ქონების მითვისებას, მაშინ, ზოგიერთი შემთხვევის გარდა, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მას ანგარება ამოძრავებდა. რაც შეეხება თანამონაწილეს, რომელიც ამ მიზანს არ ისახავდა, მისი ქცევა უანგაროა. ამ გარემოებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თანამონაწილე, რომელიც მოქმედებდა ანგარების გარეშე, დაისჯება უფრო მსუბუქად, თუკი მის პასუხისმგებლობას სხვა რაიმე არ ამძიმებს.

ეს სწორედ ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებაა, რომელიც არ არის აღნიშნული კანონით და რომლის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია სასჯელის შემსუბუქება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე.

საგულისხმოა ისიც, რომ კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული დანაშაულის ჩადენა “ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით” (პ.4). მაგრამ ეს არ შეეხება იმ ქონებრივ დელიქტებს, რომელთა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია მითვისების მიზანი და სადაც, ამრიგად, ტიპიურია ანგარება. ქურდობისათვის, მაშასადამე, ტიპიურია ანგარება, გამონაკლისია უანგარობა, ხოლო აუცილებელია მითვისების მიზანი.

სასამართლო პრაქტიკაში მოსალოდნელია სირთულე იმ დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს, რომელთა დასჯადობის აუცილებელი ნიშანია მოქმედების “ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით” ჩადენა (მმ 127,133). მაგალითად, 127-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბავშვის შეცვლისათვის, რომელიც ჩადენილია “ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით”. თუ

დადგინდა, რომ ერთერთ თანაქონაწილეს არც “ანგარება“ ამოძრავებდა და არც სხვა “ქვენაგრძობა“, არამედ პირიქით, იგი მოქმედებდა რაიმე ზენაგრძობით, ვთქვათ, ყალბად გაგებული ჰუმანური მოსაზრებით, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

კიდევ უფრო მიიმე მდგომარეობა იქმნება იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის მოტაცების თანამონაწილე არ მოქმედებდა დასახელებული მოტივებით (იხ. 133 მ) და მასაც ზენა გრძობა ამოძრავებდა. აქაც ის უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან დასახელებული მოტივების გარეშე, თუ არ არის 133 მ. გათვალისწინებული შემთხვევა<sup>4</sup>, კანონმდებლობა ამ მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. ესეც დასახელებული მუხლის რედაქციის არასრულყოფილების ბრალია. მომავალი კანონმდებლობით უნდა შემუშავდეს ამ მუხლების უფრო სრულყოფილი რედაქცია.

---

4 იხ. ამ საკითხზე უსენაესი სასამართლოს პლენუმის შესაბამისი დადგენილება, “პართლმსაჯულების მაცნე“, 1994 წ. №4

## დანაშაულის იარაღი

საქართველოს სსსკ-ის 77-ე მუხლით “დანაშაულის იარაღს, რომელიც ბრალდებულს ეკუთვნის, უნდა გაუკუოდეს კონფისკაცია ან განადგურდეს“ (პ.1). “იარაღის“ ცნება ამ შემთხვევაში მოიცავს ყოველგვარ ნივთს, მათ შორის ავტომანქანას და სხვა სატრანსპორტო საშუალებასაც (მოტოციკლი და ა.შ.). ეს დებულება უდავოა. მაგრამ როდის და რა პირობებში გამოიყენება ავტომანქანა დანაშაულის იარაღად, როგორ ხდება ავტოტრანსპორტით დანაშაულის ჩადენა? ამ საკითხზე დიდი ხანია კამათობენ ჩვენი პრაქტიკოსი იურისტები და ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ შეთანხმებულან.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ავტოტრანსპორტის დანაშაულის იარაღად გამოყენების საკითხი ტრადიციულად მეტად ფართოდ ჰქონდათ გაგებული. მაგალითად, ქურდობის დროს სასამართლოები მანქანას დანაშაულის იარაღად მიიჩნევენ და კონფისკაციას უკეთებდნენ მაშინაც, როცა ავტომანქანით ხდებოდა ნაქურდალის გადაზიდვა. ამ გზით მიდიოდა, აგრეთვე რუსეთის სასამართლო პრაქტიკაც. მაგრამ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან იქ ამ საკითხში ერთგვარი შემობრუნება დაიწყო და მივიდნენ იმ აზრამდე, რომ შეუძლებელია მანქანა მივიჩნიოთ იარაღად ნაქურდალის გადაზიდვის შემთხვევაში. გამოითქვა მოსაზრება, რომ იარაღია ის ნივთი, რომლითაც სრულდება დანაშაულის ობიექტური მხარე. ამ შეხედულებამ თანდათანობით მოიკიდა ფეხი ჩვენშიც. ამ ცოტა ხნის წინათ კი იარაღის ასეთი გაგება დადგინდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთ დადგენილებაშიც.

“ავტომოტოსატრანსპორტო საშუალება ნათქვამია პლენუმის 1995 წ. 3 აგვისტოს №2 დადგენილებაში “ბუნების (გარემოს) დაცვის შესახებ“ - არ შეიძლება ცნობილ იქნას დანაშაულის იარაღად, თუ ის გამოყენებული იყო მხოლოდ უკანონო ნადირობის, ტყის განეხვის და თევზის რეწვის ადგილზე დამრღვევის მისაყვანად ან მოპოვებული პროდუქტების გადასაზიდვად“ (პ.8, იხ. “მართლმსაჯულების მაცნე“, 1995წ. №3, გვ.13). შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ დადგენილების ამ ნორმას უნდა მიეცეს ზოგადი მნიშვნელობა და ავტომანქანის დანაშაულის იარაღად გამოყენების საკითხი ასევე უნდა იქნას გაგებული ქურ-

დობის და სხვა დანაშაულთა ჩადენის დროსაც. მაგალითად, არ შეიძლება ავტომანქანა მივიჩნიოთ დანაშაულის იარაღად მაშინ, როცა მანქანით მკვლელი მივიდა დანაშაულის ადგილზე ან მკვლელობის შემდეგ მანქანით გადაიტანა მსხვერპლის გვამი დანაშაულის დაფარვის მიზნით. განზრახი მკვლელობის იარაღად ავტომანქანა მხოლოდ მაშინ უნდა მივიჩნიოთ, როცა მანქანა გამოყენებული იყო საგანგებოდ ადამიანის სიცოცხლის მოსპობისათვის (დააჯახა მოკვლის მიზნით მსხვერპლს და ა.შ.). ასევე იქნება ქურდობის დროსაც. ვთქვათ, კარის სახელურს ქურდმა მოაბა მავთულის ერთი ბოლო, ხოლო მეორე ბოლო მანქანას გამოაბა და ამ გზით გამოგლიჯა კარი, რათა ოთახში შესულიყო ბინის გაქურდვის მიზნით და სხვ.

ამის მსგავსად გადაწყდება საკითხი სხვა დელიქტების ჩადენის დროსაც. საყურადღებოა ერთი ასეთი მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან. მდინარე ხრამის პირას ბრაკონიერი მივიდა მოტოციკლით და შეუერთა მოტოციკლის აკუმულატორს ზონარი, რომლითაც დინამიტი ააფეთქა მდინარეში თევზის დახოცვის მიზნით. ეს არის კლასიკური ნიმუში ავტოტრანსპორტის გამოყენებისა დანაშაულის. იარაღად. ამ საკითხის სხვაგვარმა გაგებამ შეიძლება გამოიწვიოს კანონიერების დარღვევა და ქმედების მცდარი კვალიფიკაცია.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით ისჯება ნადირობა “ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით“. ამიტომ, თუ ნანადირევის გადაზიდვის დროს ავტომანქანას მივიჩნევთ დანაშაულის იარაღად, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილითაც - ნადირობად ავტოტრანსპორტის გამოყენებით, რაც არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქმედების სწორ კვალიფიკაციას.

კანონმდებელმა ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი 177-ე მუხლის მე-2 ნაწილში იმიტომ შემოიტანა, რომ ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ამ ხერხით ნადირობა ტიპური გახდა, რაც დიდად აზიანებს ჩვენს ქვეყნის უნიკალურ ფაუნას. ცნობილია, მაგალითად, რომ ჯერ კიდევ ორმოციან, ორმოცდაათიან წლებში შირაქის ველზე მთლიანად გაჟლიტეს ქურციკი. ამ კეთილშობილ ცხოველს შირაქის ველზე დევნიდნენ ავტომანქანით. დევნას



ქურციკი ვერ უძლებდა, გული უსკდებოდა და კვდებოდა (ნ.კეცხოველი).

ხშირია აგრეთვე ღამით ავტომანქანის ფარებით კურდღლებზე ნადირობა. კურდღელი მოექცევა ფარების შუქში და ამით ის მონადირის იოლი მსხვერპლი ხდება. ზოგჯერ ავტომანქანით გამოედევნებიან ნადირს და მიახლოებისას ადვილად კლავენ თოფით. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი ფაუნა მას შემდეგ, რაც ნადირობის საშუალებად გამოიყენება საჰაერო ტრანსპორტი. ამჟამად ვერტმფრენმა გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა კავკასიური ჯიხვი, რომელიც ერთადერთი და უნიკალურია მთელ მსოფლიოში.

ერთი სიტყვით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის მაკეალიფიცირებული ნიშანი სწორედ ასე უნდა გავიგოთ და სხვაგვარი განმარტება ამ ნიშნისა შეუძლებელია. “ავტომანქანის საშუალებით“ ნადირობა იმას ნიშნავს, რომ მისი მეოხებით ხდება ნადირ-ფრინველის მოპოვება ან მოპოვების გაადვილება და არა უკვე მოპოვებული ნანადირევის გადაზიდვა. მაგრამ, რახან კანონმდებელს ამ შემთხვევაში ასეთნაირად აქვს გაგებული დანაშაულის იარაღი, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საკითხი ასევე უნდა გადაწყდეს სხვა დელიქტებშიც (ქურდობა და ა.შ.).

ზოგიერთის აზრით, ნაქურდალი ხანდახან ისეთი წონისა და მოცულობისაა, რომ მას მანქანის გარეშე ვერ გადაზიდავ. მაგალითად, ხის მასალის ტყიდან გამოტანა და დანიშნულების ადგილას მიტანა, ავეჯის გადატანა და ა.შ. უტრანსპორტოდ წარმოუდგენელია. რასაკვირველია, ვერ უარვეყოთ იმას, რომ, თუ მანქანა გამოყენებული იყო ქონების დასაუფლებლად, მაშინ ის დანაშაულის ჩადენის იარაღია. სხვა შემთხვევაში, რაგინდ მძიმე და დიდი მოცულობის უნდა იყოს ნივთი, ავტომანქანა იქნება მისი გადაზიდვის საშუალება და მეტი არაფერი. მაგალითად, ტყეში ხის მასალის მოპოვება ხდება ხერხით ან ცულით. როცა მავანმა მოჭრა ხე, ის უკვე დაეუფლა მას. მანქანაზე ხე-ტყის დაწყობა და მისი ტყიდან გამოტანა დაუფლებასთან არ არის დაკავშირებული. მანქანით სახლში შესვლა შეუძლებელია, ამიტომ ქურდი ავეჯს ეუფლება იმ მომენტიდან, როცა მას ბინიდან გარეთ გამოიტანს. ამის შემდეგ მანქანა მხოლოდ ნაქურდალის გადაზიდვის საშუალებია.

# საქართველოს კონსტიტუციის მართი მუხლის სწორი გაგებისათვის

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაწესებულია, რომ “კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“ (ა.7). თანამედროვე საპროცესო სამართალი აკანონებს მტკიცებულების მოპოვების სათანადო წესს. გამოძიებაში და სასამართლოში ეს წესი ზუსტად უნდა დაიცვას. ამ ნორმის დაცვას ის მნიშვნელობა აქვს, რომ გამოძიებაში ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები. საბოლოოდ ეს ნორმა იმას ემსახურება, რომ არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი.

მაგალითად, გამოძიებისა და მოკვლევის ცალკეულ მუშაკებს შეუძლიათ სხვადასხვაგვარი ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების მეოხებით გამოძალონ სვენება ბრალდებულს, რომელსაც სინამდვილეში დანაშაული არ ჩაუდენია. ხდება ხოლმე, რომ ბრალდებული ვეღარ უძლებს ცემას, წამებას და აღიარებს დანაშაულს, რაც მას არ ჩაუდენია.

მაგრამ მოკვლევისა და გამოძიების მუშაკები, რომლებიც დაინახავენ, რომ უკანონო გზით მიღებული აღიარება დანაშაულისა ან სხვა მტკიცებულება მხედველობაში არ მიიღება, რომ მას “იურიდიული ძალა არა აქვს“, იძულებული გახდებიან თავი შეიკავონ უკანონო მოქმედებისაგან ბრალდებულის მიმართ და დაიცვან მტკიცებულების მოპოვების კანონით დადგენილი წესი.

თუმცა ამ ნორმას მარტო ის მნიშვნელობა როდი აქვს, რომ უდანაშაულო ადამიანი დაიცვას გამოძიების მუშაკთა თვითნებობისაგან. ცივილიზებულ ქვეყანაში არც დამნაშავეს მიმართ არ შეიძლება უკანონო ზემოქმედება. ყოველ დამნაშავეს აქვს იმის მოთხოვნის უფლება, რომ დანაშაულის გამოძიების დროსაც კი მას ისე მოეპყრან, როგორც ცივილიზებულ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანს ეპყრობიან.

ერთი სიტყვით, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ნორმის მიზანია კანონის ჩარჩოებში მოაქციოს გამოძიების საქმიანობა მტკიცებულების მოპოვების დროს.

ეს პრინციპი შედარებით ახალი ეპოქის ნაყოფია, რომელმაც განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, ვიდრე საბოლოოდ დაიკვიდრდებოდა ცივილიზებული ქვეყნების კანონმდებლობასა და საგანმომიებო პრაქტიკაში. იყო დრო, როცა ბრალდებულის ცემა და წამება დანაშაულის გამოძიების ნორმალურ საშუალებად იყო მიხნეული. ასეთი ეტაპი განვითარებისა ყველა ქვეყნის საპროცესო სამართალმა განვლო. გაიარა ეს გზა ქართულმა სამართალმაც.

მაგრამ ამჟამად ჩვენი ამოცანა როდია ამ საკითხის სრულყოფილი თეორიული გაშუქება. ჩვენი მიზანი აქ სრულიად მსჯერდალებულია. გვინდა კომენტარი გავუკეთოთ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტს წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

როცა მტკიცებულებაზე კლასარაკობთ, ძირითადად მიხედვლობაში გვაქვს ისეთი გარემოება, რომელიც შეიძლება გამოდგეს ბრალდების დასამტკიცებლად. ასეა ეს გაგებული მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლში ჩამოთვლილია “გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე“. აქ ჩამოთვლილია: 1. “დანაშაულის შემთხვევა“, 2. “ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში“ და ა.შ.

მაგრამ მტკიცებულება შეიძლება იყოს, მეორე მხრივ, ისეთიც, რომ ბრალდებულის უდანაშაულობას ამტკიცებდეს. დღეისათვის, როცა საქართველო სასამართლო რეფორმის ზღურბლზე დგას და მალე ჩვენში ნამდვილი შეჯიბრებითობის პროცესი დაიკვიდრდება, ამ მეორე სახის მტკიცებულებამ თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს სასამართლო პროცესში. ეს მოხდება იმით, რომ ბრალდების მხარე შეაგროვებს ბრალდების დამადასტურებელ, ესე იგი პიროვნების გამამტყუნებელ მტკიცებულებებს, მეორე მხრივ, დაცვა შეეცდება მოაგროვოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებანი.

ჩვენი განხილვის საგანიც ამ შემთხვევაში ეს მეორე სახის მტკიცებულებანი გახლავთ. ჩვენ აქ გვინტერესებს რომელი სახის მტკიცებულება იგულისხმება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით. რამდენად სწორი ვიქნებით, თუკი ვიტყვით, რომ “იურიდიული ძალა არა აქვს“ კანონის დარღვევით მოპოვებულ

ისეთ მტკიცებულებას, რომელიც კი არ ამტყუნებს ბრალდებულს, არამედ სრულიად ამართლებს მას, ან უბრალოდ, მის სასარგებლოდ ლაპარაკობს. კონსტიტუციის ტექსტში პირდაპირ არაფერია ნათქვამი, რომელი სახის მტკიცებულება იგულისხმება აქ. ამიტომ აუცილებელია ამ ნორმას მიეცეს სწორი მეცნიერული განმარტება.

ამ განმარტების აუცილებლობა უკვე წარმოიშვა სასამართლო პრაქტიკაში. ამას წინათ გ.კ-ისა და სხვათა საქმეზე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა, ერთ-ერთმა განსასჯელმა იშუამდგომლა, რომ ენახათ მის მიერ გადაღებული ვიდეოფირები, საიდანაც მისი სიმართლე დადგინდებოდა. გ.კ-ს და სხვებს ბრალად ედებოდათ დანაშაულში ეჭვმიტანილთა მიმართ უკანონო ზემოქმედება, ვიდეოფირების მეოხებით ისინი ამტკიცებდნენ, რომ პატიმრები ნაცემები არ ყოფილან. მოწინააღმდეგე მხარე არ დაეთანხმა ამ შუამდგომლობას იმ მოტივით, რომ ეს მტკიცებულება მოპოვებული იყო უკანონო გზით, რომელსაც კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით “იურიდიული ძალა არა აქვს“.

განსასჯელის დამცველმა ამის პასუხად პროცესზე განაცხადა, რომ კონსტიტუციის ხსენებული ნორმა გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ისეთ მტკიცებულებას, რომელიც ბრალდების დასადასტურებლად არის. შეიძლება განსასჯელის მიერ დასახელებული მტკიცებულება არ არის კანონიერი გზით მოპოვებული, მაგრამ განსასჯელის გამართლებას ემსახურება და ამიტომ მისი დაშვება პროცესზე მტკიცებულების სახით კონსტიტუციის 42-ე მუხლს არ ეწინააღმდეგება. სასამართლო საცსებით სწორად მოიქცა, როცა დააკმაყოფილა განსასჯელის შუამდგომლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი იმითომ უკრძალავს სასამართლოს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას, რომ არ მოხდეს უდანაშაულო ადამიანის დასჯა. ამ ნორმის საბოლოო მიზანია დაისაჯოს მხოლოდ დამნაშავე. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი დებულება. მაშასადამე, კონსტიტუციის ეს ნორმა შემოტანილია მოქალაქის, პიროვნების სასარგებლოდ.

ახლა ვნახოთ, რას მივიღებთ, თუკი ამავე პრინციპს გამოვიყენებთ არა მხოლოდ მაშინ, როცა მტკიცებულება ბრალდებას

ადასტურებს, არამედ მაშინაც, როცა მტკიცებულება ბრალდებას აბათილებს, ბრალდებულს ამართლებს. რა გამოვა ამით? გამოვა ის, რომ ნამდვილი დამნაშავე ზოგჯერ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს, ხოლო ნამდვილად უდანაშაულო კი დაისაჯოს, თუკი უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებაზე მის სასარგებლოდ უარს ვიტყვით. არა მგონია საკითხის ასეთ გადაწყვეტას რაიმე კავშირი ჰქონდეს სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან.

წარმოიდგინეთ ერთი წუთით თქვენი თავი ისეთ მდგომარეობაში, როცა სრულიად მართალი ხართ, გაქვთ ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც. ამ დოკუმენტის შინაარსი თქვენს სასარგებლოდ მიტყვევებს და ამაში ეჭვიც არავის ეპარება, მაგრამ გეუბნებიან, რომ ამ დოკუმენტს ვერ გამოიყენებენ თქვენს გასამართლებლად, რადგან ის მოპოვებულია უკანონოდ და ამიტომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით მას “იურიდიული ძალა არა აქვს“.

ღმერთო დაგვიფარე ასეთი სამართლისაგან!

# გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე\*

უწინარესად, ურადღებებს მივაპყრობ ორ გარემოებას. პირველი ის, რომ საქართველო, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზას, რამაც ჩვენში ადრე დაწყებული სარეფორმო მოძრაობა სისხლის სამართლის სფეროში (ისევე, როგორც მთელი ქართული სამართლის რეფორმა) კიდევ უფრო დააჩქარა. მეორეც, ის, რომ სულ ახლახან 1995 წლის 24 აგვისტოს ჯერ კიდევ წინა პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რის შემდეგაც სარეფორმო მოძრაობა საქართველოში სრულიად ახალ ფაზაში შევიდა. კონსტიტუცია, რომელიც ძალაშია ახლადარჩეული პარლამენტი-სა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან (1995წ. 27 ნოემბერი), თავისთავად მოითხოვს წარსული იდეოლოგიური დოგმებით დამძიმებული, დრომოჭმული კანონების შეცვლას ახლადმიღებული ძირითადი კანონის შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით.

თუ ამ გარემოებებს მივიღებთ მხედველბაში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ წარსულის გახსენებას ჩვენთვის, ქართველი იური-სტებისათვის უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შექმნილი ვითარება ჩვენი მხრივ მოითხოვს ტრადიციული კავშირების ახლებურად გააზრებას, ამ კავშირების კიდევ უფრო გაღრმავებას და გერმანული სისხლის სამართლის მიღწევების გამოყენებას საქართველოში ამჟამად მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის პროცესში.

წარსულში საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა პოლიტიკური ორიენტაციისათვის. მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულ ამ ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას ისტორიულად მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ბერძნულ-რომაულ კულტურულ სამყაროსთან, რაც, ცხადია, გავლენას ახდენდა ქართულ სამართლებრივ აზროვნებაზეც.

ქ. პასაუს (გერმანია) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 1996 წლის 15 იანვარს წაკითხული ლექცია.

შუა საუკუნეებში, როცა მონღოლების შემოსევის შედეგად ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკე სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს და კულტურის მესყუერებს თვალი კვლავ ქრისტიანული დასავლეთისაკენ გაუბრუნდა.

ახალ დროში ურთიერთობა დასავლეთთან კიდევ უფრო გაძლიერდა. მართალია, 1801 წელს საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ის რუსეთის იმპერიის შეპაღვენლობაში შევიდა, გაუქმდა ქართული სამართალიც და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა რუსული კანონმდებლობა, მაგრამ ქართული იურიდიული აზროვნება ამით, ცხადია, არ შეწყვეტილა. თუმცა მისი მოქმედების არეალი ერთგვარად შევიწროვდა და მხოლოდ სამეცნიერო და პუბლიცისტური სფეროთი შემოიფარგლებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით შეიმჩნევა საქართველოში გერმანული ფილოსოფიითა და სამართლის მეცნიერებით დაინტერესება. საგულისხმოა ის, რომ ამ დროის ქართულმა იურიდიულმა აზროვნებამ ერთგვარი ზეგავლენა განიცადა გერმანიაში აღმოცენებული სამართლის ისტორიული სკოლისა (ნ.ხიზანაშვილი).

საქართველოში უყურადღებოდ არ დარჩენილა ისეთი გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის შემოქმედებაც, როგორც იყო რ.იერინგი. უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რ.იერინგის სახელგანთქმული ნაშრომი “ბრძოლა უფლებისათვის“, რომელიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურულ ენაზეა თარგმნილი, ქართულად უშუალოდ გერმანულიდან ითარგმნა და გამოიცა 1908 წელს.

1918 წელს თბილისში დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც 1922 წლიდან გაიხსნა იურიდიული განყოფილება. სულ მალე აქ თავი მოიყარა ევროპულად განსწავლულმა პროფესორამ, რომელსაც ძირითადად გერმანული იურიდიული და ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული.

მაშინდელი ქართული პროფესურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამართლის მეთოდოლოგიურ საკითხებს. ეს პრობლემები იმ დროს, რამდენადაც ვიცო, გერმანულ აზროვნებაშიც წინა პლანზე იყო წამოწეული.

საქართველოში მაშინ ერთგვარი გასავალი ნახა ჰ.კელზენის წმინდა სამართლის მოძღვრებამ. თუმცა სამართლის

ფენომენოლოგიურ სკოლას 20-იანი წლების ქართველ იურისტთა შორის ჰყავდა რამდენიმე ძლიერი წარმომადგენელი, რომლებიც საფუძვლიანად აკრიტიკებდნენ კელზენის თეორიას. სანიშუშოდ დავასახელებ პროფესორ ირ.სურგულაძის სადოქტორო დისერტაციას "Gewalt und Recht", რომელიც 1925 წელს გერმანულ ენაზე დასტამბა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ და რომლის ხელახალი გამოცემაც აშკამად მზადდება თბილისში. ირ.სურგულაძე ამ წიგნში გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის ედ. ჰუხერლის ფენომენოლოგიურ მეთოდს იყენებდა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების სისტემის ასაგებად.

ამ სკოლის მეორე დიდი წარმომადგენელი საქართველოში იყო პროფესორი გ.ნანეიშვილი. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გ.ნანეიშვილმა 1919 წელს გერმანიას მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად და გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტში, მათ შორის, ფრაიბურგის უნივერსიტეტშიც იღრმავებდა ცოდნას გერმანულ ფილოსოფიასა და სამართლის მეცნიერებაში. მისი სადოქტორო დისერტაცია "სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა" ედ. ჰუხერლის ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენების საუკეთესო ნიმუშია სამართლის რაობის ასახსნელად.

1930 წელს თბილისში გაიმართა დიდი დისკუსია სამართლის მეთოდოლოგიურ საკითხებზე. მაგრამ ამ დისკუსიას, სამწუხაროდ, უფრო პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე მეცნიერული. ე.წ. მარქსისტი იურისტები და ფილოსოფოსები გ.ნანეიშვილს, ირ.სურგულაძეს და სხვებს გაბატონებული პოლიტიკური წრეების შეკვეთით უულგარული სოციოლოგიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ და პოლიტიკურ ბრალდებებს უყენებდნენ ანტიმარქსისტობის გამო. პროფესორი გ. ნანეიშვილი ამ ბრალდების გამო 1937 წელს უსამართლო რეპრესიებს შეეწირა. დისკუსიის მასალები დაიბეჭდა წიგნში "Против идеализма в правовой мысли советской Грузии (стенограмма дискуссии под. ред. А.А. Болотникова), Тифлис, 1931".

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ შევეხები უშუალოდ სისხლის სამართლის სფეროში არსებულ ვითარებას.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის შედეგად საქართველომ 1918 წელს მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც 1921 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში



სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში არ გატარებულა და სისხლის სამართლის კოდექსი არ მიუღიათ.

პირველი სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოში თანამედროვე გაგებით მხოლოდ 1922 წელს მიიღო, როცა საქართველოში უკვე ბოლშევიკები ბატონობდნენ. ამ კოდექსმა ექვს წელიწადს იმოქმედა. 1928 წელს მიღებული იქნა ახალი კოდექსი. ამჟამად საქართველოში მოქმედი კოდექსი მიღებულია 1960 წლის 30 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტიდან.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი ფედერაციული სახელმწიფო იყო და კანონმდებლობაც ფედერაციულ საწყისებზე ჰქონდა აგებული. ქვეყანაში მოქმედებდა, ერთი მხრივ, საკავშირო, ხოლო, მეორე მხრივ, რესპუბლიკური კანონმდებლობა. მათ შორის ფუნქციები კი ასე იყო განაწილებული: საკავშირო კანონმდებელი განსაზღვრავდა სისხლის სამართლის (ისევე, როგორც სხვა დარგის) ძირითად პრინციპებს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკა ამ ზოგადი პრინციპების საფუძველზე იღებდა თავის კოდექსს. ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი მოსკოვში იწერებოდა და მისი არსებითი შეცვლა რესპუბლიკას არ შეეძლო. ეს კი მოკავშირე რესპუბლიკის სამართალ-შემოქმედებით საქმიანობას არსებითად ზღუდავდა.

თუ შექმნილ ვითარებას ამ თვალსაზრისით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საბჭოური პერიოდის ქართულ სისხლის სამართალზე გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა არაერთგვაროვანია და ძირითადად რუსული სისხლის სამართლითაა გაშუალებული, რადგანაც უშუალო ზეგავლენის გამოვლინების შესაძლებლობას გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმი იშვიათად თუ იძლეოდა. რაც შეეხება თვითონ რუსულ-საბჭოურ სისხლის სამართალს, ის ხშირად გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით არ ითვალისწინებდა გერმანული სისხლის სამართლის უახლეს მიღწევებს და აიძულებდა მოკავშირე რესპუბლიკებს თვითონაც ასე მოქცეულიყვნენ.

მიუხედავად ამისა, ქართველი იურისტები არ ურიგდებოდნენ შექმნილ ვითარებას და ქვეყანაში მომხდარ ყოველგვარ “პოლიტიკურ დათბობას” საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ. ასეთი “დათბობა“, რასაკვირველია, არ ყოფილა 50-იანი წლების ბოლომდე, სანამ საბჭოთა კავშირში ორთოდოქსალური ბოლშევიკური რეჟიმი ბატონობდა.

თავის მხრივ, იმ პერიოდის საბჭოთა კავშირის სისხლის სამართალი, თუმიცა განიცდიდა გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენას, მაგრამ ეს გავლენა ცალმხრივი იყო. ძირითადად ბატონობდა სოციოლოგიური სკოლის პრინციპები. ნებადართული იყო ანალოგიის წესით კანონის გამოყენება, ყურადღება არ ექცეოდა ბრალეულ პასუხისმგებლობას, დაცული არ იყო პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი და სხვ. ერთი სიტყვით, პიროვნების თავისუფლების არავითარი საკანონმდებლო გარანტიები არ არსებობდა. ამიტომ რეფორმა საბჭოთა კავშირში 50-იანი წლების ბოლოს გარდუვალი იყო.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა დაიწყო 1958 წლის 25 დეკემბრის კანონის (“საფუძვლები“) გამოცემით, რომელიც იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა იყო. გაუქმდა ანალოგია, განმტკიცდა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი და სხვ. ამ კანონის საფუძველზე რეფორმა გაგრძელდა მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც დაიწყო კოდექსების პროექტებზე მუშაობა. რაც მთავარია, რეფორმამ, მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული მძლავრი იდეოლოგიური დიქტატისა, მაინც ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შექმნა აგრეთვე მეცნიერული მუშაობისათვის.

სწორედ ამ დროს საქართველოში ხდება ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა. 1957 წლის დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელსაც სათავეში ნაუდგა საბჭოთა კავშირში ცნობილი მეცნიერი, გერმანული სისხლის სამართლის თეორიის კარგი მკვლევარი პროფესორი თინათინ წერეთელი. ეს განყოფილება შემდეგში მძლავრ სამეცნიერო ინსტიტუტად გადაიქცა და დღესაც, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სიძნელეებისა, შეძლებისდაგვარად აგრძელებს თავის საქმიანობას.

60-იანი წლებიდან თ.წერეთლის ხელმძღვანელობით აქ გაიშალა ფართო სამეცნიერო მუშაობა სისხლის სამართლის დოგმატიკაში, რაც მაშინ განსაკუთრებით საშური საქმე იყო პიროვნების თავისუფლების გარანტიების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. 1963 წელს მოსკოვში მე-2 გამოცემით გამოვიდა თ.წერეთლის ფუნდამენტური მონოგრაფია “მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართლაში“, რომელიც გერმანული ფილოსოფიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების ღრმა ცოდნით იყო

დაწერილი. უფრო ადრე კი, 1957 წელს მოსკოვში გამოიცა მეორე ცნობილი ქართველი მეცნიერის ვ.მაყაშვილის მონოგრაფია “პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის”.

ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან, ვიდრე რეფორმა გატარდებოდა, თ.წერეთელმა და ვ.მაყაშვილმა დაიწყეს მუშაობა დანაშაულის ცნების სტრუქტურის აგებისათვის, რადგან ამ ცნებას მთელი სისხლის სამართლის სისტემის შემუშავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მათ გაიზიარეს და ქართულ მეცნიერებაში გადმოიტანეს გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამომუშავებული დანაშაულის ცნების სამსაჯებუროვანი სტრუქტურა, რომლის მიხედვით დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით აღწერილი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება. ამ დებულებას 60-იანი წლებისათვის უკვე ძლიერი საკანონმდებლო ბაზაც გააჩნდა, რადგან 1958 წლის 25 დეკემბრის ზემოთხსენებული საკავშირო კანონი სწორედ ამ სამი ნიშნით განსაზღვრავდა დანაშაულის ცნებას (იხ. მმ.3,7), რომელიც ყველა მოკავშირე რეპუბლიკის კოდექსში აისახა (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მმ 3,8).

მაგრამ, მიუხედავად ასეთი საკანონმდებლო ბაზისა, რუსულმა საბჭოურმა სისხლისსამართლებრივმა აზრმა მხარი არ დაუჭირა დანაშაულის ცნების სამსაჯებუროვან სტრუქტურას. ამ საკითხზე მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა თ.წერეთელსა და საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერების ფუძემდებლის აკადემიკოს ა.პიონტოვსკის შორის. ეს უკანასკნელი იცავდა დანაშაულის ცნების ერთსაფეხუროვან სტრუქტურას და დანაშაულის ცნებას დანაშაულის შემადგენლობის ცნებასთან აიგივებდა.

რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, ზოგიერთმა მათგანმა გაიზიარა დანაშაულის ცნების სამსაჯებუროვანი სტრუქტურა და ამ საკითხზე პოლემიკა რუს და ქართველ მეცნიერთა შორის 80-იან წლებშიც გაგრძელდა. მაგრამ უმრავლესობამ ქართველი მეცნიერებისა პიონტოვსკის თვალსაზრისს დაუჭირა. მხარი და დღესაც იმავე პოზიციაზე დგას. ასე რომ, დანაშაულის ცნების საკითხი თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთმნიშვნელოვნად არის გაგებული, რაც ქართველ მეცნიერთა მხრივ გერმანული ლიტერატურის სუსტი ცოდნით უნდა აიხსნას.

მაგრამ, ცხადია, მარტო დანაშაულის ცნების სტრუქტურის გამომუშავება საკმარისი არ იყო და საჭირო გახდა სამეცნიერო

საკმიანობის კიდევ უფრო გაღრმავება მთელი სისხლის სამართლის სისტემის ასაგებად. ამის ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ნმ-იან წლებში, როცა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს უფლება მისცეს უცხოური ვალუტით გამოეწერათ სამეცნიერო ლიტერატურა დასავლეთის ქვეყნებიდან. ჩვენ დაუყოვნებლივ ვისარგებლეთ ამ შეღავათით და ინსტიტუტის ბიბლიოთეკა ნელ-ნელა შეივსო გერმანულენოვან ქვეყნებში გამოცემული უახლესი ლიტერატურით. ამ გზით მივიღეთ ჰ.ველცელის, ე.მეცგერის, რ.მაურახის, ა. კაუფმანის და სხვა გამორჩენილი გერმანელი ავტორების წიგნები. ჩვენს წინ გადაიშალა სრულიად ახალი სამეცნიერო სამყარო ჩვენთვის მანამდე ათიქმის უცნობი პრობლემატიკით.

როგორც ცნობილია, იმ წლებში გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დიდ დავას იწვევდა უმართლობის სუბიექტური ელემენტების პრობლემა. განსაკუთრებული ყურადღების შუაგულში იდგა ჰ.ველცელის ფინალური მოქმედების მოძღვრება. ამ პრობლემებს ქართველი მეცნიერებიც გამოეხმაურნენ. ჩვენ შევნიშნავდით ველცელის მოძღვრების ზოგიერთ დადებით მომენტს, თუმცა ფინალურ თეორიას საქართველოში მიმდევრები არ ჰყოლია.

ქართველ მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო ჰ.ველცელის და ე.მეცგერის ცნობილი პოლემიკამ უმართლობის სუბიექტური ელემენტების გამო. როგორც ცნობილია, ე.მეცგერის აზრით, განზრახვა მცდელობის უმართლობის აუცილებელი ელემენტია. მაგრამ, როგორც კი დელიქტი დასრულდება, ეს სუბიექტური ელემენტი, ე.მეცგერის შეხედულებით, ბრალის ელემენტად გადაიქცევა (იხ. E. Mezger, moderne wege der Strafrechtsdogmatik). ე.მეცგერს მხედველობაში ჰქონდა ის დელიქტები, რომელთა ჩადენა ხდებოდა როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

ჰ.ველცელი, ჩვენი აზრით, ამაზე სწორად პასუხობდა. როგორ შეიძლება, ამბობდა ის, რომ სუბიექტური ელემენტი ერთ ეტაპზე დანაშაულის განვითარებისა მცდელობის უმართლობას ასაბუთებდეს, ხოლო მეორე ეტაპზე, ესე იგი დელიქტის დამთავრების დროს, იგივე ნიშანი ბრალის ელემენტად იქცეს.

მიუხედავად ამისა, ქართველი კრიმინალისტები არ ეთანხმებოდნენ ჰ.ველცელის გადაჭარბებულ სუბიექტივიზმს. ჰ.ველცელის მოძღვრებაში ორი დებულება იწვევდა ყველაზე დიდ

ექვს: 1) მოქმედების ფინალურ საფუძველზე აგება, რომელიც ვერ ებრუნება გააფრთხილებლობითი დელიქტის სტრუქტურას და 2) პერსონალური უმართლობის მოძღვრება, რაც იწვევს ბრალისა და მართლწინააღმდეგობის ცნებათა ერთმანეთში აღრევას.

რაც შეეხება ე.მეცხერის თვალსაზრისს, მას თ. წერეთელი იზიარებდა თავის უკანასკნელ ნაშრომში. თუმცა ვერც ეს თვალსაზრისი გვაკმაყოფილებდა, რადგან მიგვანჩნდა, რომ ე.მეცხერს სუბიექტური ელემენტების როლი უმართლობის ცნების აგებისათვის არასაკმარისად სრულად ჰქონდა წარმოდგენილი.

ჩვენი აზრით, არსებობენ დელიქტები, რომელთა უმართლობები ან წმინდა ობიექტური მომენტებით აიგებიან ან, ობიექტურთან ერთად, სუბიექტურ ელემენტებსაც საჭიროებენ. სუბიექტური ელემენტი უმართლობას ასაბუთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დელიქტი პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, ესე იგი, როცა მიზანი, რომელიც ჩვენ უმართლობის ერთადერთ სუბიექტურ ელემენტად მიგვანჩნია, პირდაპირ არის მიმართული შემაღგენლობით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევისაკენ.

ამ კონსტრუქციის მიხედვით მიზანი უმართლობას ასაბუთებს, უპირველეს ყოვლისა, არა მარტო მცდელობის დროს, არამედ მაშინაც, როცა დელიქტი დამთავრდა, მიუხედავად დელიქტის ტიპისა. ამავე დროს, ჩვენ ვიზიარებთ ე.მეცხერის შეხედულებას, რომლის მიხედვით, სუბიექტურ ელემენტს დანაშაულის ცნების სტრუქტურაში აქვს ორმაგი როლი: მის საფუძველზე შეიძლება აიგოს უმართლობაც და ბრალიც. უფრო მეტიც, სუბიექტური ელემენტი შეიძლება იყოს აგრეთვე შემაღგენლობის ნიშანიც.

ამის შემდეგ საქართველოში გაიშალა მუშაობა თანამონაწილეობის პრობლემატიკის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე დასამუშავებლად. დაიწყო თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველის გამომუშავება, რომელიც გერმანულ და შვეიცარულ ლიტერატურაში საკმაოდ პრობლემატურია. მწვავე კრიტიკის საგნად იქცა საქართველოში ე.წ. კორუფციის თეორია ანუ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, რომელიც, ვფიქრობთ, თანამონაწილეობის პრობლემას საერთოდ აუქმებს და შლის ზღვარს თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის. ჩვენი აზრით, თანამონაწილის დასჯადობის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილე ამსრულებელთან ერთად ასრულებს

ერთიან უმართლობას. რაც შეეხება ბრალს, ის პერსონალურია და დანაშაულის ყველა მონაწილეს საკუთარი ბრალი მიუძღვის ამ ერთიან უმართლობაში.

თავის მხრივ, თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ტიპის უმართლობაში, რომელიც აიგება სუბიექტური ელემენტის მეოხებით, ესე იგი, როცა დელიქტი ნადენილია პირდაპირი განზრახვით. სწორედ ამით არის დასაბუთებული დანაშაულის ყველა თანამონაწილის მიერ ერთიანი უმართლობის განხორციელება.

დანაშაულის ცნების სამსაფეხროვანი სტრუქტურის საფუძველზე შესაძლებელი გახდა აგრეთვე პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემის აგება. გაზიარებულია გერმანულ მეცნიერებაში შემუშავებული თვალსაზრისი, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართალში უნდა დაიყოს ორ რიგად: 1) გამამართლებელი, ესე იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები და 2) საპატიო ანუ ბრალის გამომრიცხველი გარემოებები. თუმცა ეს პრობლემა საქართველოში ჯერ კიდევ დამუშავების საწყის სტადიაზეა და საჭიროებს გაღრმავებას.

საქართველოში ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა ბრალის პრობლემის ირგვლივ. მაგრამ დღემდე მაინც ბრალის ფსიქოლოგიური თეორიაა გაბატონებული. განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქართველ კრიმინალისტებს კვლავ ბრალის ელემენტებად მიახსნიათ. თუმცა მარტო ამით არ კმაყოფილდებიან და ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში შემოაქვთ ნორმატიული ელემენტი - საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება (განზრახვა) ან მისი შეგნების შესაძლებლობა (გაუფრთხილებლობა). ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია ჩვენში ვერ განვითარდა, სემი აზრით, უფრო პოლიტიკური მოტივების გამო.

ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისის შემუშავებაზე უთუოდ დამთრგუნველი ზეგავლენა იქონია რუსულ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულმა აზრმა, თითქოს ბრალის ნორმატიული ცნება, რომელიც შეფასების ელემენტს შეიცავს, შესაძლებლობას აძლევს დასავლეთის ქვეყნების ეგრეთ წოდებულ “ბურჟუაზიულ მოსამართლეს” თვითნებობისა და კანონიერების დარღვევისათვის. ამ შეხედულების მიხედვით ბრალის ფსიქოლოგიური ცნება მყარ საფუძველს ქმნის

კანონიერების განმტკიცებისა და მოქალაქის თავისუფლების და-  
საცავად სასამართლო ხელისუფლების თვითნებობისაგან.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება,  
რომ დანაშაულის ცნების სამინიშნოვანი სტრუქტურა გამოყენებუ-  
ლი უნდა იქნეს აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობის სრულყო-  
ფისათვის. ამ თვალსაზრისის თანახმად საპროცესო  
კანონმდებლობაში მატერიალურ სისხლის სამართალზე დაყრდნ-  
ობით უნდა ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის საქმის შეწყვე-  
ტის სამი საფუძველი.

პირველი საფუძველი იქნება საქმის შეწყვეტა დანაშაულის  
შემადგენლობის არარსებობის გამო. მაგალითად, ის, ვისაც  
სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა არ  
ჩაუდენია და მხოლოდ შეცდომით ან სასამართლო ხელისუფლე-  
ბის ბოროტად გამოყენებით მიცემულია პასუხისგებაში, უნდა გა-  
თავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის შემადგენლობის  
არარსებობის გამო.

ამავე საფუძველით ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობი-  
საგან ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით აღწერილ შემად-  
გენლობას განახორციელებს, ვთქვათ, აუცილებელი მოგერიების  
ან მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობის თუ სხვა მსგავსი  
გარემოების გამო. მის მიმართ საქმე უნდა შეწყდეს მართლწინა-  
აღმდეგობის არარსებობის დროს.

მესამე საფუძველი საქმის შეწყვეტისა და პასუხისმგებლო-  
ბისაგან გათავისუფლებისა უნდა იყოს გათავისუფლება ბრალის  
არარსებობის გამო. ასეთი იქნება, მაგალითად, სისხლის სამარ-  
თლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო  
ქმედების ჩადენა მცირეწლოვანობის, ფსიქიური დაავადების გამო  
შეურაცხადობის, საპატიო უკიდურესი აუცილებლობის თუ სხვა  
მსგავსი გარემოების დროს.

ქართველმა იურისტებმა გაიზიარეს გერმანული საკ-  
ანონმდებლო პრაქტიკის გამოცდილება და საქართველოს 1960  
წლის სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს ნორმა, რომლის  
მიხედვით მძიმე შედეგი, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილით  
დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია, არ შეიძლება  
შეურაცხოს დამნაშავეს ბრალის გარეშე, ესე იგი მის მიმართ  
უნდა დამტკიცდეს დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდ-  
ებულება მაინც (იხ. საქართველოს სსკ, მ 11, გერმანიის სსკ

§18). ამ ნორმამ, რომელიც საბჭოთა კავშირში მხოლოდ საქართველოს კოდექსის თავისებურებას წარმოადგენდა, წამყვან რუს მეცნიერთა მოწონება დაიმსახურა.

შემდგომმა მეცნიერულმა კვლევამ ეს პრინციპი კიდევ უფრო გააღრმავა და შემუშავდა საკანონმდებლო წინადადება, რომლის თანახმად არა მარტო მიძიმე შედეგი, არამედ ყველა სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი დანაშაულისა, რომელიც მოცული არ იყო დამნაშავეს განზრახვით, შეიძლება შეერაცხოს დამნაშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ნიშნის მიმართ მას გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება მაინც ჰქონდა (მ. ზურაბიძე).

საქართველოში გერმანული სისხლის სამართლის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, მაგრამ გერმანული სისხლის სამართლებრივი მეცნიერების ღრმად შესწავლაში ქართველ მეცნიერებს ხელს უშლიდა ენის უცოდინარობა. უკანასკნელ წლებში ეს დაბრკოლება თანდათან იხსნება, რადგან ქართველ ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცა პირდაპირ გერმანიაში გაიღრმავოს ცოდნა. ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კურსდამთავრებული ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ამზადებს დისერტაციას თემაზე “გერმანული და ქართული სისხლის სამართლის სისტემების შედარებითი ანალიზი“ (მ. ტურავა). მომავალში ეს ურთიერთობები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაღრმავდება და, ვფიქრობთ, დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოში ამჟამად მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმაზე და საზოგადოდ ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებაზე.

*ქ. ფრაიბურგი (გერმანია), 8.01. 1996წ.*



# სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა დამოუკიდებელ საქართველოში

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა არის ერთი ნაწილი იმ საერთო სამართლებრივი რეფორმისა, რომელიც ამჟამად დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარეობს. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ოფიციალური ტექსტი უკვე გამოქვეყნდა (იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბიულეტენი, 1997, №4) და დაიწყო მისი სახალხო განხილვა.

პროექტზე მუშაობის დროს კომისია თავისუფალი იყო ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედებისაგან. კომისიის თითოეული წევრი გრძნობდა შინაგან დამოუკიდებლობას და მხოლოდ საგნის მასალასა და თავის პროფესიულ შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული. ამ გარემოებას მე საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ თითქმის სამასი წელია საქართველოს ამის შესაძლებლობა არ ჰქონია. დღევანდელი რეფორმა ამ მხრივ სრულიად უნიკალური მოვლენაა საქართველოს თითქმის მთელი სამასწლოვანი ისტორიის მანძილზე.

დიახ! ვახტანგ მეფის კანონთა წიგნის შემდეგ, რომელიც მე-18ს. დასაწყისში შეიქმნა, საქართველოს პირველად დაუდგა დრო დამოუკიდებლად გაატაროს საკანონმდებლო რეფორმა. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და გვავალდებულებს მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა.

მე-19ს. საქართველოში სამართლებრივი რეფორმა არ გატარებულა, რადგან ცნობილი მიზეზების გამო საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაუქმებული იყო და ის რუსეთის იმპერიაში შემავალ გუბერნიებად იყო დაყოფილი.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა მხოლოდ რუსეთის 1917წ. რევოლუციის შემდეგ ყალიბდება. ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 1918 წ. 26 მაისს გამოცხადდა და მას მენშევიკურ საქართველოს უწოდებენ. ამ რესპუბლიკის არსებობის ორი წლისა და ცხრა თვის მანძილზე საქართველოში სისხლის სამართლის (ისევე, როგორც სამართლის სხვა დარგის) რეფორმის გატარება ვერ მოესწრო. ერთადერთი, რისი გაკეთებაც მენშევიკურმა ხელისუფ-

ლებამ შეძლო, ეს იყო კონსტიტუციის მიღება. მაგრამ ამ კონსტიტუციას ფაქტიურად არ უმოქმედია, რადგან ის დაკანონდა 1921 წ. 21 თებერვალს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ, ესე იგი 25 თებერვალს უკვე თბილისი დაეცა. ამიტომ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოქმედი ძირითადი კანონი საქართველოს 1995 წ. 24 აგვისტოს კონსტიტუცია გახლავთ, რომლის საფუძველზეც დღევანდელი რეფორმა მიმდინარეობს.

თანამედროვე გაგებით სისხლის სამართლის კანონმდებლობის პირველი რეფორმა საქართველოში მხოლოდ ამ საუკუნის 20-იან წლებში გატარდა. ამ რეფორმის შედეგი იყო ორი კოდექსი. პირველი სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოში მიიღო 1922 წელს, მაგრამ ეს არ იყო თავისუფალი საქართველოს კოდექსი, რადგან ამ დროს საქართველოში უკვე ბოლშევიკები ბატონობდნენ, რომლებიც მოსკოვის ხელისუფლების კარნახით მოქმედებდნენ.

1922 წ. 30 დეკემბერს შეიქმნა საბჭოთა კავშირი, რომლის შემადგენლობაში ცალკე რესპუბლიკის სახით ბოლშევიკური საქართველოც აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირი ფედერაციული სახელმწიფო იყო და ამის მიხედვით წამოყალიბდა საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობა. 1924 წ. მოსკოვში მიიღეს საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისები. ამ საკავშირო საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა მიეღოთ თავიანთი კოდექსები. ამიტომ იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკამ 1928 წ. შეიმუშავა თავისი მეორე სისხლის სამართლის კოდექსი.

1953 წ., როცა ი.სტალინი გარდაიცვალა, არსებითად დასრულდა ორთოდოქსული ბოლშევიზმის ხანა და დაიწყო ნეობოლშევიზმზე გადასვლა. ამან გამოიწვია ახალი სარეფორმო მოძრაობა. ოციანი წლების რეფორმამ, რომელიც უაღრესად რეაქციული იყო და საკანონმდებლო ბაზა შეუქმნა ოცდაათიანი და მომდევნო წლების პოლიტიკური რეპრესიების გატარებას მთელ საბჭოთა კავშირში, თავისი დრო მოჭამა. საჭირო გახდა ნეობოლშევიზმის შესაფერისი, წინა პერიოდთან შედარებით გაცილებით უფრო დემოკრატიული კანონმდებლობის შემუშავება. ამის შედეგად მიიღეს 1958 წლის 25 დეკემბრის საბჭოთა კავში-

რისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელიც მთლიანად მოიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლებს და მოკავშირე რესპუბლიკებს გასაკეთებელს თითქმის აღარაფერს უტოვებდა.

ამ აქტის ბაზაზე საქართველომ 1960 წელს მიიღო მესამე სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ცვლილებებითა და დამატებებით დღემდე მოქმედებს. მართალია, არც ერთი ეს კოდექსი არ ყოფილა ქართველ იურისტთა თავისუფალი ნების გამოვლინება, მაგრამ მათ მაინც აზის ქართული იურიდიული აზროვნების ბეჭედი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამართლებრივი აზროვნება დასახელებულ პერიოდებში გარეშე ძალების დაწოლის შედეგად თუმიცა მეტ-ნაკლებად შესუსტებული იყო, მაგრამ ეს აზროვნება მთლიანად არასოდეს არ შეწყვეტილა. განსაკუთრებით დიდ აღმავლბობას ქართული სისხლისსამართლებრივი აზროვნება მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან იწყებს, როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამართლის განყოფილება შეიქმნა (1957წ.). ამ განყოფილებას, რომელიც შემდგომში მძლავრ სამეცნიერო ინსტიტუტად გადაკეთდა, სათავეში ჩაუდგა იმ დროისათვის ცნობილი მეცნიერი პროფ. თ.წერეთელი. საბჭოთა კავშირში 60-იანი წლებიდან გაძლიერებულმა პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაციამ, რასაც ადრინდელ პერიოდთან შედარებით მეცნიერული აზროვნების უფრო მეტი თავისუფლება ჰოჰყვა, შესაძლებლობა მისცა თ.წერეთელს (ვ.მაყაშვილთან ერთად) საქართველოში ნამდვილი სისხლის სამართლის სკოლა შეექმნა. ეს სკოლა თბილისის სკოლის სახელწოდებით მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი. სწორედ ამ წლებიდან იწყება საქართველოში დასავლური სისხლისსამართლებრივი აზროვნების ნაკადის შემოჭრა. მიუხედავად პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაციისა, საბჭოთა საქართველოს არსებობის უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ქართველ მეცნიერებს თავიანთი მოღვაწეობის გზაზე ბევრი სირთულე შეხვდათ და ბევრი სიძინელის გადალახვა დასჭირდათ, მაგრამ მათ მაინც შეძლეს სისხლის სამართლის ძირითადი პრობლემების ასე თუ ისე თანამედროვე დონეზე დამუშავება. ამის შედეგია ის, რომ 90-იანი წლების სარეფორმო მოძრაობას, რომელიც დამოუკიდებელ სა-

ქართველოში დაიწყო, ქართული სისხლისსამართლებრივი აზროვნების წარმომადგენლები მოუშზადებელი არ შეხვედრიან.

გამოქვეყნებული პროექტი არაერთ სიახლეს შეიცავს და თავისი შინაარსითა და ფორმით საგსებით შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს, საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ურთულეს საკითხს წარმოადგენდა პროექტის ზოგადი ნაწილის სისტემის აგება. როგორც ცნობილია, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთში ურევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს (მუხ.3) და დანაშაულის ცნებას (მუხ.8). პროექტმა ეს ნაკლი გამოასწორა. მე-8 მუხლით განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, რაც დანაშაულის ცნების სამი ელემენტისაგან შედგება. ესენია:

- 1) სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობა;
- 2) მართლწინააღმდეგობა;
- 3) ბრალი. სამაგიეროდ დანაშაულის ცნებას პროექტი ცალკე აღარ განსაზღვრავს, რაც ასევე სრულიად ლოგიკურია.

პროექტი, სიმძიმის მიხედვით, განსაზღვრავს დანაშაულის ოთხ კატეგორიას:

- ა) წვრილმანი დანაშაული,
- ბ) ნაკლებად მძიმე დანაშაული,
- გ) მძიმე დანაშაული,
- დ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (მუხ.9).

თითოეული ამ სახის დანაშაული განისაზღვრება ფორმალური ნიშნით სასჯელის ზომის მიხედვით, რაც აადვილებს მათ პრაქტიკულ გამოყენებას. მაგალითად, წვრილმანია ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მაქსიმალური სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას და ა.შ.

პროექტს, რეციდივისტის ცნების ნაცვლად, რომელსაც იყენებს მოქმედი კანონმდებლობა, შემოაქვს “რეციდივის“ ცნება (მუხ.14). მოცემულია სამი სახის რეციდივის ცნება:

- 1) რეციდივი,
- 2) საშიში რეციდივი,
- 3) განსაკუთრებით საშიში რეციდივი. თითოეული ეს ცნება რეციდივისა განსაზღვრულია ფორმალური ნიშნით.

პროექტის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს 23-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს შეცდომას აკრძალვაში. “ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სნადის აკრძალულია, - ნათქვამია აქ არ დაიხჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა საპატიოა“. ამავ მუხლის მე-2 ნაწილი გვეუბნება, როდის არის შეცდომა საპატიო. “შეცდომა საპატიოა, კკითხულობთ აქ როცა შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სნადის აკრძალულ ქმედებას“. საპატიო შეცდომა შეურაცხადობის ერთ-ერთი სახეა. იგი ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა.

პროექტს შემოაქვს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ახალი გარემოებები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა დღემდე არ იცნობს. ასეთია, მაგალითად, დამნაშავეის შეპყრობა, მართლზომიერი რისკი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პროექტით გათვალისწინებული უკიდურესი აუცილებლობის სისტემა, რომელიც სრულიად უცხოა მოქმედი სისხლის სამართლისათვის. საქართველოში მოქმედი სისხლის სამართალი ითვალისწინებს უკიდურესი აუცილებლობის ისეთ სისტემას, რომელიც გამორიცხავს მხოლოდ მართლწინააღმდეგობას. ეს გამოიხატება იმით, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს გადაარჩენილი სიკეთე მეტი უნდა იყოს დაზიანებულ სიკეთესთან შედარებით (იხ. საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლი).

პროექტი დამატებით ითვალისწინებს უკიდურესი აუცილებლობის ისეთ შემთხვევას, რომელიც გამორიცხავს არა მართლწინააღმდეგობას ქმედებისას, არამედ მხოლოდ ბრალს. “ის, ვინც ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს და სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ნათქვამია პროექტის 36-ე მუხლში რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით“ (პ. ვ).

როგორც ვხედავთ, ბრალის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა შემოზღუდულია მხოლოდ იმ შემთხვევებით, როცა საფრთხე ემუქრებოდა “თვით დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას“. გარდა ამისა, გადარჩენილ და დაზიანებულ სიკეთეთა

თანაფარდობას აქ ყურადღება აღარ ექცევა. ხსენებულ შემთხვევებში ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ გამო-რიცხულია ბრალი მხოლოდ იმ პირობით, “თუკი საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით“.

პროექტში ახლებურად არის აგებული სასჯელთა სისტემა. კომისიის წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი საკითხი: შეეტანა თუ არა სასჯელთა სისტემაში სიკვდილით დასჯა. ამ საკითხის გადაწყვეტას ერთგვარად ართულებდა წარსულიდან მიღებული მიმომე მემკვიდრეობა. ჯერ კიდევ 1992 წლისათვის სიკვდილით დასჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დაწესებული იყო ოცდაათზე მეტი შემთხვევის გამო. ეს ცხადია რუსული სოციალიზმის ნაყოფი იყო და სრულიადაც არ შეესაბამებოდა ქართული ეროვნული აზროვნების ტრადიციებს. ამ საკითხში სრული გარკვეულობა შეიტანა 1995წ. 24 აგვისტოს საქარ-თველოს კონსტიტუციამ, რომელმაც საგრძნობლად შეავიწროვა სიკვდილით დასჯის სფერო (იხ. მუხ. 15).

საქართველოს პარლამენტის 1996 წ. 11 დეკემბრის კანონით (ძალაში შევიდა 1997 წლის 20 თებერვლიდან) (ველილებები შევიდა მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და კონსტიტუციის მე-15 მუხლის საფუძველზე სიკვდილით დასჯა შენარჩუნებული იქნა მხოლოდ განზრახ მკვლელობისათვის და-მამძიმებელი გარემოების დროს. ყოველივე ამის გათვალისწინე-ბით კომისიამ საერთოდ უარი თქვა სიკვდილით დასჯაზე და ის სასჯელთა სისტემაში აღარ შეიტანა.

საქართველოს პარლამენტის 1996წ. 11 დეკემბრის კანონზე დაყრდნობით პროექტს სიკვდილით დასჯის შემცველად შემოა-ქვს თავისუფლების აღკვეთის ახალი სახე - უვადო თავისუფლ-ების აღკვეთა. ასე რომ, მოქმედი კანონმდებლობის მსგავსად, პროექტი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ორ სახეს: 1) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა (მუხ. 52) და უვადო თავისუფ-ლების აღკვეთა (მუხ.53). თავისუფლების აღკვეთის ასეთი სის-ტემა სავსებით ეფექტური საშუალებაა მოზღვაებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო მეორე მხრივ, იგი სრულიად შეესაბამება თანამედროვე ცივილიზებული სამართლებრივი აზროვნების მოთხოვნებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სისტემა თავისუფლების აღკვეთისა გამართლებულია აგრეთვე ჩვენი ისტორიული ტრადიციების თვალსაზრისითაც.

პროექტმა განსაკუთრებით ფართო გზა მისცა სასჯელის ისეთ სახეობას, როგორიცაა ჯარიმა. პროექტის კერძო ნაწილის მუხლებს თუ გადაეხედავთ, დავინახავთ, რომ ჯარიმა ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ჩადენილი არ არის ძალადობითი დანაშაული. ასეთ დროს ჯარიმის დაკისრება, ერთის მხრივ, სასარგებლოა მოქალაქისათვის, რომელიც ოჯახს არ მოწყდება, ხოლო მეორე მხრივ, ჯარიმა არის მნიშვნელოვანი შეკვება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

პროექტს სასჯელთა სისტემაში შემოაქვს სასჯელის ისეთი ახალი სახეობები, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, ტუსალობა.

განსახილველი პროექტი შემუშავებულია პოსტსოციალისტური ეპოქის პირობებში და ამიტომ ის, ბუნებრივია, აღარ განიცდის საბჭოთა კავშირში გაბატონებული კლასობრივი იდეოლოგიის გავლენას. როგორც ცნობილია, ეს იდეოლოგია არღვევდა ადამიანის ძირითად უფლებებს და მათ შორის ისეთ ფუნდამენტურ უფლებას, როგორცაა, მაგალითად, ადამიანთა შორის თანასწორობა. განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა ამ უფლების დარღვევა იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობა გაძლიერებულ პასუხისმგებლობას აწესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისათვის, ხოლო შედარებით უფრო მსუბუქად სჯის პირადი (მოქალაქის) ქონების ხელყოფას. ცნობილია, რომ მთელი ოცდაათი წლის მანძილზე მოქმედებდა და ახლაც მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებისათვის. ამ მუხლმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თანაც დღემდე სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე თავში ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის და ცალკე თავად გამოყოფს პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

ასეთი სისტემა ქონებრივი დანაშაულებისა, ცხადია, სრულიად მიუღებელია. ამის ნაცვლად პროექტმა ერთ თავში (კარი მერვე, თავი 11) მოაქცია ყოველგვარი ქონებრივი დანაშაული (გარდა ზოგიერთი შემადგენლობისა, რომლებიც სპეციალობის ნიშნით არის გამოყოფილი ზოგადი ქონებრივი დანაშაულებიდან, მაგალითად, ნარკოტიკების მართლსაწინააღმდეგო მიზნით დაუფ-

ლება და სხვ). სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტიც სავსებით სამართლიანად არ ცნობს მესაკუთრეთა დაყოფას სხვადასხვა ნიშნით და ზოგიერთი მათგანის ქონებრივი უფლების უპირატეს დაცვას. ყველა მესაკუთრე, იქნება ეს სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ კერძო პირი, თანასწორუფლებიანია და ყოველი მათგანის, როგორც მესაკუთრის, უფლება თანაბრად უნდა იყოს დაცული. ამის მიხედვით ქურდობა არის სხვისი ქონების ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და სხვ.

კლასობრივი იდეოლოგიის უგულვებელყოფა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პროექტს საფუძვლად არ ედოს არავითარი იდეოლოგია. მომავალმა სისხლის სამართლის კოდექსმა უნდა დაიცვას სხვადასხვა სახის სიკეთე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით. ამ ღირებულებათა იერარქიაში კი უდავოდ პირველ ადგილზე დგას ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვა მნიშვნელოვანი სიკეთენი, რომელთა გარეშე ადამიანს ნორმალური არსებობა არ შეუძლია.

ამიტომ არის, რომ თუკი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (1960წ.), რომელიც სულ სხვა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებაში იყო მიღებული, წინ აყენებს სახელმწიფო (იგულისხმება “სოციალისტური”) ინტერესებს და კერძო ნაწილის პირველ თავში აწესებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო დანაშაულთა ჩადენისათვის, განსახილველი პროექტის პირველი თავი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის. ეს თავი იწყება მუხლებით, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის (მუხ. 110-ე და 111-ე და სხვ.).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია პროექტის 25-ე თავი, რომელშიც აღწერილია ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებები. მათ შორის აღსანიშნავია პოსტსოციალისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი ისეთი დანაშაულები, როგორიცაა “სიტყვის თავისუფლების ხელყოფა“ (მუხ. 154), “ადამიანის დევნა“ (მუხ. 157), “ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა“ (მუხ. 162), “გაფიცვის უფლების ხელყოფა“ (მუხ. 170) და სხვ. წინა რეჟიმის დროს ადამიანის ეს უფლებები დაცული არ იყო, ამიტომ მათი



ხელყოფისათვის პასუხისმგებლობას სოციალისტური ეპოქის კოდექსები არ ითვალისწინებდნენ.

მომავალმა სისხლის სამართლის კოდექსმა უნდა დაიცვას საზოგადოება ყოველგვარი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს ისეთი სიკეთე, როგორცაა მეწარმეობის თავისუფლება. თავისუფლების ეს სახე ადამიანის ძირითად თავისუფლებათა რიგს მიეკუთვნება. რუსული სოციალიზმის ბატონობის ხანაში ადამიანს წართმეული ჰქონდა მეწარმეობის თავისუფლება. როგორც ყველაფერში, ამ სფეროშიც წინ იყო წამოწეული კოლექტიური შრომის წესი და კერძო, პიროვნული ინიციატივა ნახშული იყო.

პროექტი იცავს თავისუფალ მეწარმეს. ამ მიზნე დამახასიათებელია პროექტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ისეთი ქმედების ნაღენის გამო, როგორცაა “სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა“ (მუხ. 194), “მონოპოლიური საქმიანობის ან კონკურენციის შეზღუდვა“ (მუხ. 199), “კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ მიღება ან გავრცელება“ (მუხ. 202) და სხვ.

პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე პასუხისმგებლობას თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ისეთი ქმედებების გამო, რომელთა საერთო დახასიათებაა კომპიუტერული დანაშაული (34 თავი). საკმარად ვრცლად არის წარმოდგენილი პროექტში ნარკოტიკული (თავები 37, 38) და ეკოლოგიური (თავები 39,40) დანაშაულები.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა პროექტის ენობრივი ქსოვილისა და ტერმინოლოგიის გამო. კომისია პროექტზე მუშაობის დროს იყენებდა უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურას და ნორმატიულ მასალას. ასეთი მდგომარეობა ყოველთვის ქმნის პროექტის ენის დანაგვიანების საფრთხეს უცხო ენიდან კალკირებული ფრაზების თუ ტერმინოლოგიის გზით. კომისიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გრძნობდა პასუხისმგებლობას მშობლიური ენის წინაშე და შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა პროექტი დახვეწილი ქართულით წარედგინა საზოგადოებისათვის. მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნაწილს რუსული “Особо тяжкие преступления”-ის ზეგავლენით დღემდე ქართულ კანონმდებლობაში ეწოდება “განსაკუთრებული ნაწილი“. ეს პირდაპირი

კალკირება ტერმინისა ვერ გამოხატავს კოდექსის მეორე ნაწილის არსს, რადგან ეს ნაწილი არაფერს “განსაკუთრებულს“, ე.ი. აღმატებულს, არანვეულუბრივს არ შეიცავს. ქართულად ამ ნაწილს უნდა ეწოდებოდეს “კერძო ნაწილი“ და კომისიამ ასეც უწოდა მას.

ტერმინი “საზოგადოებრივი საშიშოება“, რომელიც ძლიერ იყო გავრცელებული საბჭოურ კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენ შევცვალეთ ამ მოვლენისათვის უფრო შესაფერისი და გამოსაყენებლად მოხერხებული ტერმინით “მართლწინააღმდეგობა“.

რუსული ტერმინის “порча земли“-ის ქართულ შესატყვისად შემოვიტანეთ “მიწის გაუვარგისება“. ეს უკანასკნელი სიტყვა ახალია, მაგრამ ქართული ენის ბუნების შესატყვისია. “მიწის სავარგული“, აქედან ვარგისი მიწა და “გაუვარგისება“ და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960) 124-ე მუხლში გვხვდება გამოთქმა “ბოროტად თავის არიდება“. ეს არის რუსული “злостное уклонение” -ს კალკი. ამის ნაცვლად პროექტში შემოვიტანეთ “ჯიუტად თავის არიდება“ (მუხ. 180), “ჯიუტი დარღვევა“ (მუხ. 298).

რუსული “причинение вреда” -ს ქართულ შესატყვისად დღემდე ჩვენს კანონმდებლობაში გამოიყენება “ზიანის მიყენება“. ეს კალკირებული გამოთქმა ჩვენ შევცვალეთ ქართული “დაზიანებით“ და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვი, რომ პროექტი ენობრივად და სხვა მხრივაც სრულიად იყოს დახვეწილი და მას სრულყოფა არ ესაჭიროებოდეს. ასეთი იდეალური დოკუმენტის შექმნა, ცხადია, შეუძლებელია. კომისია კვლავ აგრძელებს მუშაობას და იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოების დახმარებით შეძლებს პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს ჩვენი ეპოქისათვის შესაფერისი კანონ-პროექტი.

# საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი (პროექტი)

## ბანმარტაგითი ბარათი

ამ პროექტს, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად დაედო ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილება, აგრეთვე ქართული სისხლისსამართლებრივი მეცნიერების მიღწევები. მთლიანობაში პროექტი აგებულია საქართველოს 1995 წ. 24 აგვისტოს კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე.

პროექტზე მუშაობის დროს გამოვიყენე რუსული და დასავლეთის ქვეყნების სისხლის სამართლის გამოცდილებაც. განსაკუთრებით გავითვალისწინე გერმანული და სხვა გერმანულენოვანი ქვეყნების (ავსტრია, შვეიცარია) მეცნიერებისა და საკანონმდებლო პრაქტიკის მონაცემები. უმთავრესად ეს ემჩნევა პროექტის სისტემას.

პროექტი არ ითვალისწინებს საბჭოური კანონმდებლობისათვის დამახასიათებელ ისეთ მუხლებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ მხოლოდ კანონმდებლობის ამოცანებს ან პრინციპებს და პირდაპირი პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდათ. ერთი სიტყვით, შევეცადე თავი ამერიდებინა ყოველგვარი ზედმეტისაგან, რაც პრაქტიკოს იურისტს არააფერს აძლევდა. შევეცადე აგრეთვე, რომ პროექტის ტექსტი ყოფილიყო, რაც შეიძლება, ლაკონური და სტილისტურად დახვეწილი.

პროექტი ექვსი თავისაგან შედგება. პირველი თავი მოიცავს მუხლებს, რომლებიც არეგულირებენ სისხლის სამართლის კანონის მოქმედებას დროსა და სივრცეში. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ პროექტის მეოთხე მუხლს, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილის საკითხს ეხება. ამ მუხლის მიხედვით დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე იქნება ჩადენილი, თუკი ამ ტერიტორიაზე იმოქმედა ან უნდა ემოქმედა ამსრულებელს ან თა-

ნამონაწილეს ან თუ აქ განხორციელდა ან უნდა განხორციელდებოდა დანაშაულებრივი შედეგი (პ.2).

პროექტი აწესებს ეგრეთ წოდებული რეალობის პრინციპით პასუხისმგებლობას, როცა ადგენს, რომ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში, საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს ამ კოდექსით, თუ დანაშაულებრივი ხელყოფა მიმართული იყო საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ (5 მ. პ. 2).

პროექტში მოცემულია დანაშაულის მცდელობის ახლებური გაგება. აქ, ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობისათვის პასუხს აგებს ის, ვინც განზრახ უშუალოდ მიმართავს თავის ქმედებას დანაშაულის ჩასადენად (15 მ). აქ გადამწყვეტია ის გარემოება, რომ დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი. მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვისი მიზეზით არ იყო დანაშაული ბოლომდე მიყვანილი. მე უარს ვამბობ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ფორმულირებაზე, რომლის მიხედვით დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი “დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო” (იხ. 17მ). ამიტომ, სემი აზრით, მცდელობა გვექნება მაშინაც, როცა დამნაშავემ ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულზე. თუმცა ამ შემთხვევაში ის პასუხს არ აგებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (იხ. პროექტი 17მ).

სიახლეა პროექტის ის დებულებაც, რომლის მიხედვით “დანაშაულის ყოველი მონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე” (22 მ). ეს დებულება მიგვანიშნებს იმაზე, რომ თანამონაწილენი პასუხს აგებენ ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების (უმართლობის) ფარგლებში, მაგრამ საკუთარი ბრალისათვის აქ გამოხატულია პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი თანამონაწილეობის დროს.

პროექტის 26-ე მუხლის მიხედვით, როცა ერთ-ერთი თანამონაწილის ან ამსრულებლის მხარეზე არის რაიმე გარემოება, რომელიც დამახასიათებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის (უმართლობა), მაშინ ეს გარემოება შეერაცხება დანაშაულის იმ მონაწილესაც, რომლის მხარეზეც ის არ არსებობდა

მხოლოდ იმ პირობით, თუ მას ეს გარემოება შეცნობილი ჰქონდა. მაგ., ვინმეს ფარულად მიაქვს სხვისი ნივთი მითვისების მიზნით. მეორე ადამიანი, რომელსაც ეს მიზანი არ აქვს, მაგრამ იცის, რომ ეხმარება სხვას მითვისების მიზნით სხვისი ქონების ფარულად წაღებაში, ქურდობის თანამონაწილეა. იგი პასუხს აგებს ქურდობაში დახმარებისათვის. მითვისების მიზანი, რომელიც მხოლოდ ამსრულებელს აქვს და არა აქვს თანამონაწილეს, ამ შემთხვევაში ობიექტური მნიშვნელობისაა, ის შინაარსს აძლევს ქმედებას და ამიტომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშანია, მისთვის არის დამახასიათებელი.<sup>1</sup>

პროექტის მეხუთე და მეექვსე თავები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს მოიცავენ. ამ გარემოებების სისტემა პროექტში დაფუძნებულია დანაშაულის ცნების სტრუქტურაზე (იხ. 7მ). მეხუთე თავი მოიცავს მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს, ხოლო მომდევნო მეექვსე თავში თავმოყრილია ბრალის გამომრიცხველი გარემოებები. ტრადიციული საბჭოური სისტემისაგან განსხვავებით, ასაკი და შერაცხადობა, რომლებიც დანაშაულის სუბიექტისათვის იყო დამახასიათებელი და ასევეა გაგებული ეს საკითხი პოსტსაბჭოურ მეცნიერებაშიც, პროექტის თანახმად ბრალის გამომრიცხველ გარემოებებადაა მიჩნეული.<sup>2</sup>

ამავე სისტემას ეფუძნება უკიდურესი აუცილებლობაც. როგორც ცნობილია, თანამედროვე სისხლის სამართალში უკიდურესი აუცილებლობის სამგვარი სისტემა გვხვდება. პირველი სისტემის თანახმად, უკიდურესი აუცილებლობა გამორიცხავს მხოლოდ მართლწინააღმდეგობას (ქართული, რუსული და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სისხლის სამართალი). მეორე სისტემის მიხედვით კი უკიდურესი აუცილებლობა მხოლოდ ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა (ავსტრია). გერმანული სამართალი აღიარებს უკიდურესი აუცილებლობის იმგვარ სისტემას, როცა ეს გარემოება ზოგჯერ მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს,

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხებზე დაწერილებით ჩემი წიგნი "სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი". 1989.

<sup>2</sup> იხ. ოთარ გამყრელაძე, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სრულყოფილობის. "მართლმსაჯულების მაცნე". 1995, №1

ზოგჯერ კი ბრალს. ჩემს პროექტში უკიდურესი აუცილებლობის სწორედ ამგვარი სისტემაა მოცემული (იხ. 31, 36 მმ).

პროექტი დაწვერე ქ. ფრაიბურგში მაქს-კლანკის საზოგადოების საერთაშორისო და შედარებითი სისხლის სამართლის ინსტიტუტში ჩემი სამეცნიერო მივლინების დროს 1996 წ. იანვარში.

**პირველი თავი:** სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

**მეორე თავი:** დანაშაული

**მესამე თავი:** დანაშაულის მომზადება და მცდელობა

**მეოთხე თავი:** დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

**მეხუთე თავი:** მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები

**მეექვსე თავი:** ბრალის გამომრიცხველი და შეამასუბუქებელი გარემოებები

## პირველი თავი

# სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

## 1 მუხლი

სისხლის სამართლის კანონის მოქმედებაა ღრუში

- (1) ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც ძალაშია ამ ქმედების ჩადენის დროს;
- (2) ქმედების ჩადენის დროა ის დრო, როცა მოქმედებდა ან უნდა ემოქმედა ამსრულებელს ან თანამონაწილეს. შედეგის განხორციელების დროს მნიშვნელობა არა აქვს;
- (3) თუ კანონი აუქმებს ქმედების დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, მას აქვს უკუქცევითი ძალა, ესე იგი გამოიყენ-

ება იმ ქმედების მიმართაც, რომელიც ჩადენილია ამ კანონის ძალაში შესვლამდე;

- (4) კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დასჯადობას, აძლიერებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავეის მდგომარეობას უკუქცევითი ძალა არა აქვს;
- (5) თუ დანაშაულის დაწყებიდან მის დამთავრებამდე კანონი შეიცვალა, გამოიყენება ის კანონი, რომელიც ძალაში იყო დანაშაულის დამთავრების დროს;
- (6) განსაზღვრული ვადით მიღებული კანონი ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოიყენება მხოლოდ იმ პირობით, თუ დანაშაული ჩადენილია ამ კანონის მოქმედების დროს.

## 2 მუხლი

იმ კანონის გამოყენების წესი, რომელიც ყველაზე მსუბუქია

თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე უფრო მსუბუქი კანონი.

## 3 მუხლი

იმ კანონის გამოყენების წესი, რომელიც განსაზღვრავს

გააფროთხილებელ ღონისძიებას

გააფროთხილებელი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

## 4 მუხლი

სისხლის საპაროლის კანონის მოქმედება სივრცეში

- (1) ის, ვინც დანაშაულს ჩაიდენს საქართველოს ტერიტორიაზე, პასუხს აკებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით;
- (2) დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე იქნება ჩადენილი, თუკი ამ ტერიტორიაზე იმოქმედა ან უნდა ემოქმედა ამსრულებელს ან თანამონაწილეს ან თუ აქ განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო დანაშაულებრივი შედეგი;

- (3) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი გამოიყენება მაშინაც, როცა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული დაიწყო ან დამთავრდა თუ უნდა დამთავრებულიყო ან სადაც მოქმედებდა თუ უნდა ემოქმედა თანამონაწილეს ან შემსრულებელს, ჩადენილი ქმედება სისხლის სამართლის წესით არ ისჯება;
- (4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი გამოიყენება აგრეთვე, როცა დანაშაული ჩადენილია საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე, რომელიც ატარებს საქართველოს სახელმწიფოს ალამს ან საქართველოს სახელმწიფოსადმი კუთვნილების გამოსაცნობ სხვა ნიშანს, მიუხედავად ხომალდის ადგილსამყოფელისა;
- (5) უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლის ან იმ სხვა მოქალაქის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად საქართველოს სასამართლოს განსჯადი არ არის, თუ ამ პიროვნებამ დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა, გადაწყდება დიპლომატიური გზით.

## 5 მუხლი

აასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის

- (1) საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე, რომელმაც ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული საზღვარგარეთ ჩაიდინა, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით იმ შემთხვევაში, თუ ის ამ დანაშაულისათვის არ დასჯილა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით;
- (2) უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში, საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებს ამ კოდექსით, თუ დანაშაულებრივი ხელყოფა მიმართული იყო საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებით, თუკი დამნაშავე ამ დანაშაულისათვის არ დასჯილა უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით.



## 6 მუხლი

### ღამნაშაჰის ბაღაცემა

- (1) არ შეიძლება საქართველოს მოქალაქის გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- (2) არ შეიძლება აგრეთვე სხვა სახელმწიფოს გადაეცეს უცხოეთიდან შემოხიზნული, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსის ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ არის გამოცხადებული, ანდა, როცა ჩადენილი დანაშაულისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც გადაცემას მოითხოვს, სიკვდილით დასჯაა დაწესებული, ხოლო საქართველოს კანონმდებლობა ასეთ სასჯელს არ აწესებს;
- (3) უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე, რომელმაც დანაშაული საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩაიდინა, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გარდა მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

## მეორე თავი დანაშაული

## 7 მუხლი

### სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საუპყველი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, აგრეთვე სასჯელი დაედება მხოლოდ იმას, ვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში მიუძღვის ბრალი.

## 8 მუხლი

### დანაშაულის ძლასიშიქაცია

- (1) დანაშაული სიმძიმის მიხედვით იყოფა სამ სახედ: ა) დანაშაული, ბ) მძიმე დანაშაული და გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

- (2) დანაშაულია ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, რომლისთვისაც კანონით დაწესებული სასჯელი არ აღემატება თავისუფლების აღკვეთას ხუთი წლით.
- (3) მძიმე დანაშაულია ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, რომლისთვისაც კანონით დაწესებული სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას.
- (4) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, რომლის ჩადენისათვის კანონით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე ზევით.

## 9 მუხლი

აასუხისმგებლობა უერთმოდოვით გამოწვეული შედეგებისათვის

ის, ვინც არ იმოქმედდა, რათა თავიდან აეცდინა შედეგი, რომელიც სისხლის სამართლის კანონით აღწერილი შემაღგენლობის აუცილებელი ნიშანია, დაისჯება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საგანგებო სამართლებრივი ვალდებულების ძალით უნდა ეზრუნა ამ შედეგის თავიდან აცილებისათვის და ჰქონდა კიდევ ამის შესაძლებლობა.

## 10 მუხლი.

განზრახვა

- (1) განზრახ მოქმედებს ის, ვისაც შეცნობილი აქვს და სურს განახორციელოს განსაზღვრული ქმედება ან შედეგი.
- (2) განზრახ მოქმედებს ისიც, ვისაც შეცნობილი აქვს, რომ მის ქმედებას აუცილებლად მოჰყვება განსაზღვრული შედეგი.
- (3) განზრახია მოქმედება მაშინაც, როცა მოქმედი, რომელსაც არ სურს შემაღგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელება, შეგნებულად უშვებს მის დადგომას.

## 11 მუხლი

გაუფრთხილებლობა

გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვისაც შეცნობილი აქვს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მაგრამ წინდაუხედავად ვარაუდობს მის თავიდან აცილებას ან არა აქვს შეცნობილი ასეთი შედეგის დად-

გომის შესაძლებლობა, თუმიცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ის.

## 12 მუხლი

პასუხისმგებლობა განზრახი და გაუფრთხილებლობითი ქმედების ჩაღმინისათვის

- (1) ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედება პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ მაშინ, როცა ის განზრახ არის ჩადენილი.
- (2) პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის შესაძლებელია, თუ ეს კანონით პირდაპირ არის ნებადართული.

## 13 მუხლი

პასუხისმგებლობა იმ უმჯობისათვის. რომელიც კანონით გათვალისწინებულია დანაშაულის დაემაძიმებელ ბარემოვალად

- (1) თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა.
- (2) განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი დამნაშავეს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ნიშანი მოცული იყო მისი განზრახვით.

## მესამე თავი

### დანაშაულის მომზადება და მცდელობა

## 14 მუხლი

დანაშაულის მომზადება

- (1) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს იარაღის ან საშუალების გამოძებნა თუ მომარჯვება ან პირობების სხვაგვარად განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად.
- (2) ისჯება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება.

## 15 მუხლი

დანაშაულის მცდელობა

დანაშაულის მცდელობისათვის პასუხს აგებს ის, ვინც განზრახ უშუალოდ მიმართავს თავის ქმედებას დანაშაულის ჩასადენად.

## 16 მუხლი

აპოკრიფის მცდელობისა და ბათავის უშუალოდ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დროს

- (1) არ დაისჯება ის, ვინც თუმცა განზრახ შექმნა პირობები ან მიმართა თავისი საქმიანობა უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ თავიდანვე არ ისახავდა მიზნად დაწყებული საქმიანობის ბოლომდე მიყვანას, თუ ფაქტიურად ჩადენილი ქმედება თავისთავად არ წარმოადგენს სხვა დამთავრებულ დანაშაულს.
- (2) დანაშაულის მომზადება ან მცდელობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობას, თუ მოქმედის უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლოვანების გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი დანაშაულებრივი შედეგი.

## 17 მუხლი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

- (1) ვინც ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულის დამთავრებაზე, პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტიურად ჩადენილი ქმედება თავისთავად წარმოადგენს სხვა დამთავრებულ დანაშაულს.
- (2) არ დაისჯება ის, ვინც თუმცა თავის მხრივ ყველაფერი გააკეთა შემადგენლობის შესაბამისი დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის, მაგრამ შემდეგ მოვლენათა მსვლელობაში აქტიური ჩარევით ნებაყოფლობით აიცილა თავიდან ეს შედეგი.

## მართხა თაჲი

# დანაშაულის ამსრულეზლოგა და დანაშაულში თანამონანდილეოგა

### 18 მუხლი

#### ამსრულეზკელი

- (1) ამსრულეზლობისათვის დაისჯება ის, ვინც თეითონ უშუალოდ ან სხვისი მეოხებით ჩაიდენს დანაშაულს.
- (2) თუ დანაშაულს ჩაიდენს ორი ან მეტი კაცი ერთდროულად, თითოეული მათგანი პასუხს აგებს დანაშაულის ამსრულეზლობისათვის.

### 19 მუხლი

#### წამაშაგელი

წამქეზებლობისათვის დაისჯება ის, ვინც განზრახ დაიყოლიებს სხვას განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

### 20 მუხლი

#### ღამხარე

ღამხარებისათვის დაისჯება ის, ვინც განზრახ შეუწყობს ხელს განზრახი დანაშაულის ჩადენას.

### 21 მუხლი

#### ორგანიზატორი

დანაშაულის ორგანიზატორია ის, ვინც განზრახ მოაწყობს ან უხელმძღვანელებს განზრახი დანაშაულის ჩადენას.

### 22 მუხლი

#### თანამონანდილის კანუხისმგებლოგა მხლოდ საკუთარი ბრალისათვის

დანაშაულის ყოველი მონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე.

## 23 მუხლი

ვაიმპუბლისა და ამსრულებლის დასჯადობა

- (1) დანაშაულის ორგანიზატორი და წამქეზებელი პასუხს აკებენ ამსრულებლის თანაბრად კოდექსის იმ მუხლის სანქციის ფარგლებში, რომლითაც გათვალისწინებულია ჩადენილი დანაშაული.
- (2) წამქეზებელი, ამსრულებელთან შედარებით, უფრო მკაცრად დაისჯება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ წაქეზება გამოიხატა ბრძანებით, მუქარით ან სხვა ისეთი იძულებით, რომელიც არ გამორიცხავს ამსრულებლის პასუხისმგებლობას ან, როცა წამქეზებლის დამარწმუნებელი ძალა დამორგუნველად მოქმედებდა ამსრულებელზე მისი არასრულწლოვანობის, შემცირებული შერაცხადობის ან სხვა მსგავსი გარემოების გამო.

## 24 მუხლი

უშიდებო ვაიმპუბა

- (1) უშიდებო წაქეზება დანაშაულის ჩასადენად გამოიწვევს პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის.
- (2) უშიდებო წაქეზების დროს შექმნილი ვითარების გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამსუბუქოს სასჯელი ან საერთოდ გაათავისუფლოს წამქეზებელი პასუხისმგებლობისაგან.

## 25 მუხლი

ღამხარის პასუხისმგებლობა

რ

სხვა თანამონაწილეებთან შედარებით, დამხმარე უფრო მსუბუქად დაისჯება.

## 26 მუხლი

ამედგის და პიროვნებისათვის ღამახასიათებელი გარემოებები

- (1) როცა ერთ-ერთი თანამონაწილის ან დანაშაულის ამსრულებლის მიხარზე არის რაიმე გარემოება, რომელიც დამახასიათებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის,

მაშინ ეს გარემოება შეეცადაცხება დანაშაულის იმ მონაწილესაც, რომლის მხარეზეც ის არ არსებობდა, თუ მას ეს გარემოება შეეცნობილი ჰქონდა.

- (2) ისეთი წმინდა პერსონალური გარემოება, რომელიც ბრალის ან ერთ-ერთი თანამონაწილის თუ ამსრულებლის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეეცადაცხება მიხლოდ იმ მონაწილეს, ვისაც ის პირადად ახასიათებს.

## 27 მუხლი

პასუხისმგებლობა სამციალურ დანაშაულში  
თანამონაწილეობისათვის

სამხედრო ან სხვა ისეთ სპეციალურ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის აღსრულებაც საგანგებო სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევასთან არის დაკავშირებული, წაძქეხებული და დამხმარე პასუხს აგებენ თუნდაც მათ პირადად ასეთი საგანგებო მოვალეობა არ ეკისრებოდეთ.

## 28 მუხლი

თანამონაწილისაგან დანაშაულში ნებაყოფლობით ხელის აღება

- (1) დანაშაულის თანამონაწილე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თუკი მან გადაარწმუნა ამსრულებელი ან სხვაგვარად შეუშალა ხელი მას თუ სხვა თანამონაწილეს და არ მისცა დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა.
- (2) დამხმარე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება იმ შემთხვევაშიც, თუ ის წინასწარ აცნობებს ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს, რომ უარს ამბობს დაპირებაზე ან უკან დაიბრუნებს დანაშაულის იარაღს თუ საშუალებას დანაშაულის დამთავრებამდე.

**მუხუთა თავი**  
**მართლწინააღმდეგოვის გამომრიცხველი**  
**ბარემოეზები**

**29 მუხლი**

აუცილებელი მოგერიება

- (1) არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების დროს, ესე იგი ვინც თავდამსხმელს დააზიანებს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად უშუალო მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას.
- (2) თავდამსხმელის დაზიანება გამართლებელი იქნება მაშინაც, როცა მომგერიებელს შეეძლო გაქცეულიყო ან საშველად მოეხმო სხვა.
- (3) მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მეოხებით წართმეული ქონების ან სხვა სიკეთის უკან დასაბრუნებლად თავდამსხმელის დაზიანება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მოხდება უშუალოდ თავდამსხმელის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუკი მისი აქვე უკან დაბრუნება რეალურად ჯერ კიდევ შესაძლებელია.

**30 მუხლი**

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება

- (1) მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მომგერიებელი დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გადააცილებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.
- (2) აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს დაცვის აშკარა შეუსაბამობას ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან.

**31 მუხლი**

მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობა

- (1) მართლზომიერად მოქმედებს ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს



უკიდურესი აუცილებლობის დროს, ესე იგი ვინც სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემოქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან სხვის სამართლით დაცულ რაიმე სიკეთეს, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე.

- (2) ერთი ადამიანის განზრახი მკვლელობა არ შეიძლება გამართლებული იქნეს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით მაშინაც კი, როდესაც ამის მეოხებით რამდენიმე კაცის სიცოცხლე იქნა გადარჩენილი.

### 32 მუხლი

აასუხისმგებლოგისაბან ბათავისუფლება სხვა მართლზომიერი ბარემოვების ღროს

არ დაისჯება ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩადენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა ისეთი გარემოების დროს, რომელიც ამ კოდექსით აღნიშნული არ არის, თუ არ იყო დარღვეული ამ ქმედების ჩადენის მართლზომიერების ფარგლები.

### მეექვსე თავი

## ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი ბარემოვებები

### 33 მუხლი

შუარაცხარობა ასაკის ბაბო

- (1) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას,

ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

- (2) ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს აღმზრდელობითი ხასიათის გამაფრთხილებელი ღონისძიება.

### 34 მუხლი

შურაცხაობა უსიძიური ჯაჟაჟების გამო

- (1) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება იმასაც, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკულ სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებით მოშლილობის, ჰკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო არ შეეძლო შეეცნო თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ან, თუმცა შეეძლო ამის შეცნობა, მაგრამ არ გაანნდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად.
- (2) შეურაცხის მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული გამაფრთხილებელი ღონისძიება.
- (3) არ დაისჯება აგრეთვე ის, ვინც შემადგენლობის შესაბამისი მოქმედება თუმცა შერაცხად ვითარებაში ჩაიდინა, მაგრამ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე დაავადდა სულიერი ავადმყოფობით, რაც მას შესაძლებლობას უსპობს შეიცნოს თავისი სამართლებრივი მდგომარეობა ან იმოქმედოს ამის მიხედვით. ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს გამაფრთხილებელი ღონისძიება, ხოლო გამოჯანსაღების შემდეგ ეს პიროვნება შეიძლება დაისაჯოს.
- (4) სასამართლო ვალდებულია შეუმსუბუქოს სასჯელი იმას, ვისაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების გამო მნიშვნელოვნად აქვს შემცირებული უნარი შეიცნოს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან იმოქმედოს სხვაგვარად.

### 35 მუხლი

#### შეცდომა

- (1) ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სწადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა საპატიოა.
- (2) შეცდომა საპატიოა, როცა შექმნილ ვითარებაში პიროვნებამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სწადიოდა აკრძალულ ქმედებას.
- (3) როცა შეცდომა საპატიო არ არის, პიროვნებას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა კანონით ისჯება.

### 36 მუხლი

#### სააბიო უპიძურისი აუცილებლობა

- (1) ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს და სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით.
- (2) ეს ნორმა არ გამოიყენება, თუკი დამზიანებელმა საფრთხე თვითონ შექმნა ან, თუკი განსაკუთრებული პროფესიული თუ სამსახურებრივი ურთიერთობების გამო დამზიანებელს მოეთხოვება მიიღოს საფრთხე თავის თავზე.
- (3) თუკი სხვისი სიკეთის დაზიანება არ გამორიცხავს მთლიანად დამზიანებლის ბრალს, ის შეიძლება გახდეს სასჯელის შემსუბუქების საფუძველი.

### 37 მუხლი

#### აპუსისმგობლობისაგან გათავისუფლება დანაშაულის

#### წინასწარმეუბრეპალი დაზარკისათვის

ის, ვინც წინასწარი შეპირების გარეშე დაფარავს დამნაშავეს, აგრეთვე დანაშაულის იარაღსა თუ საშუალებას, დანაშაუ-

ლის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგანს, გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე მისი ახლო ნათესავი ან მეუღლე იყო.

### 38 მუხლი

აუცილებელი მოზარდების მსაცანი

არ დაისჯება ის, ვინც აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილებს მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან გამოწვეული დაბნეულობით, შიშით ან სხვა საპატიო გარემოების გამო.

### 39 მუხლი

პარლამენტის წევრის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

# დანართი

1. ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, გამოქვეყნდა ჟურ. "სახელმწიფო და სამართალში", 1990, №6,8  
პირველი ნერილი  
მეორე ნერილი
2. ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ, გამოქვეყნდა ჟურ. "სამართალში", 1992, №1,2.
3. დამნაშავეის ჩაქოლვა? დაიბეჭდა გაზ. "ცხოვრება და კანონში"- 1992 წ. 6 ივნისი, №10-11. 255
4. პრესა და მართლმსაჯულება, დაიბეჭდა ჟურნ. "მაცნეში" (ეკონომიკისა და სამართლის სერია), 1986წ. №1
5. რამდენიმე შენიშვნა პრესის კანონმდებლობის პროექტის გამო, დაიბეჭდა გაზ. "თბილისში", 1991 წ. 23 იანვარი, №13
6. საჭიროა მეტი პროფესიონალიზმი, გამოქვეყნდა გაზ. "თბილისში", 1991 წ. 27 თებერვალი, №38
7. კრიტიკული შენიშვნები პრესის კანონის გამო, დაიბეჭდა გაზ. "დრონიში" 1991 წ. 15 ნოემბერი, №44
8. პრესის თავისუფლება და "იბერია-სექტორის" საქმე, დაიბეჭდა გაზ. "ცხოვრება და კანონში", 1992 წ. 31 ივლისი, №16,17.
9. გაზეთ "ცხოვრება და კანონის" ორი წლისთავის გამო, დაიბეჭდა გაზ. "ცხოვრება და კანონში", 1992 წ. 6 ივნისი, №11
10. პრესა და სამართალი, დაიბეჭდა ჟურ. "ჟურნალისტში", 1993, №1,2, 1995, №1  
პირველი ნერილი  
მეორე ნერილი  
მესამე ნერილი
11. სამართლებრივი აქტის ენა და სტილი, დაიბეჭდა გაზ. "კომუნისტში", 1982 წ. 21 იანვარს, №16
12. კანონის ენის სრულყოფისათვის, დაიბეჭდა სათაურით "კანონის ენის შესახებ", ჟურ. "საბჭოთა სამართალში", 1983 წ. №5
13. ქართული სამართლებრივი ენის წარსული და მომავალი; დაიბეჭდა გაზ. "კომუნისტში", 1990წ. 15 აპრილი, №89,90
14. რა დავარქვავთ საქართველოს პარლამენტს? დაიბეჭდა გაზ. "კავკასიონში", 1995წ. 12 ივლისი, №127

15. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი და საკანონმდებლო ტექნიკის ზოგიერთი საკითხი, დაიბეჭდა ჟურ. "საბჭოთა სამართალში", 1978წ. №6
16. სისხლის სამართლის კანონის სრულყოფისათვის, დაიბეჭდა ჟურ. "საბჭოთა სამართალში", 1988წ. №2
17. დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებისათვის, დაიბეჭდა ჟურ. "საბჭოთა სამართალში", 1989წ. №2
18. ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, დაიბეჭდა ჟურ. "საბჭოთა სამართალში", 1979წ. №2
19. უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის, დაიბეჭდა ჟურ. "პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანში", 1997წ. №1
20. სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სრულყოფისათვის, დაიბეჭდა ჟურ. "მართლმსაჯულების მაცნეში", 1995 წ. №1
21. საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, დაიბეჭდა ჟურ. "მართლმსაჯულების მაცნეში", 1994 წ. №3
22. კანონის განმარტება, დაიბეჭდა გაზ. "ცხოვრება და კანონში", • 1994 წ. 28 იანვარი
23. სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დაიბეჭდა გაზ. "ცხოვრება და კანონში", 1994 წ. 28 იანვარი
24. არა, პლენუმი ამჯერად არ შემცდარა! დაიბეჭდა ჟურ. "მართლმსაჯულების მაცნეში", 1996 წ. №4
25. ანგარება თუ მითვისება, დაიბეჭდა ჟურ. "მართლმსაჯულების მაცნეში", 1995 წ. №2
26. დანაშაულის იარაღი, დაიბეჭდა ჟურ. "მართლმსაჯულების მაცნეში", 1996 წ. №2
27. საქართველოს კონსტიტუციის ერთი მუხლის სწორი გაგებისათვის, დაიბეჭდა ჟურ. "ადამიანი და კონსტიტუციაში", 1997წ. №1
28. გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, დაიბეჭდა ჟურ. "სამართალში", 1996წ. №3,4
29. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა დამოუკიდებელ საქართველოში, დაიბეჭდა ჟურ. "პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანში", 1997წ. №3
30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი (პროექტი), დაიბეჭდა ჟურ. "პარლამენტის უწყებანში", 1996წ. 6 ნოემბერი

## სარჩევნი

|   |      |
|---|------|
| ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის<br>პირველი წერილი                                 | .3   |
| მეორე წერილი  | .20  |
| ილია ჭავჭავაძე სამართლებრივი ნიჰილიზმის<br>წინააღმდეგ                                   | .37  |
| დამნაშავეს ჩაქოლება   | .73  |
| პრესა და მართლმსაჯულება   | .76  |
| რამდენიმე შენიშვნა პრესის კანონმდებლობის<br>პროექტის გამო                               | .80  |
| საჭიროა მეტი პროფესიონალიზმი  | .85  |
| კრიტიკული შენიშვნები პრესის კანონის გამო  | .88  |
| პრესის თავისუფლება და "იბერია-სპექტრის" საქმე   | .96  |
| გაზეთ "ცხოვრება და კანონის" ორი წლისთავის გამო  | .102 |
| პრესა და სამართალი  | .104 |
| პირველი წერილი  | .104 |
| მეორე წერილი  | .113 |
| შესაბამე წერილი   | .123 |
| სამართლებრივი აქტის ენა და სტილი  | .131 |
| კანონის ენის სრულყოფისათვის   | .138 |
| ქართული სამართლებრივი ენის წარსული<br>და მომავალი                                       | .152 |
| რა დავარქვათ საქართველოს პარლამენტს?  | .156 |
| საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი<br>და საკანონმდებლო ტექნიკის ზოგიერთი საკითხი | .160 |

|  |      |
|--|------|
| სისხლის სამართლის კანონის სრულყოფისათვის                           | .178 |
| დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებისათვის                             | .189 |
| ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა                    | .201 |
| უვარგისი იარაღით თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლებისათვის           | .209 |
| სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სრულყოფისათვის                 | .213 |
| საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის                            | .216 |
| კანონის განმარტება   | .222 |
| სასამართლო პრაქტიკის კომენტარი                                     | .225 |
| არა, პლენუმი ამჯერად არ შემცდარა!                                  | .229 |
| ანგარება თუ მითვისება  | .234 |
| დანაშაულის იარაღი  | .239 |
| საქართველოს კონსტიტუციის ერთი მუხლის სწორი გაგებისათვის            | .242 |
| გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე    | .246 |
| სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა დამოუკიდებელ საქართველოში | .257 |
| საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი (პროექტი)     | .267 |

მხატვარი: ზურაბ მამულაშვილი

სააქციო საზოგადოება "აირეჰლი სტამბა"  
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50